ისევ საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ A8

ბულახდილად B6

დედაქალაქი C



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 3 აპრილი, 2004 წელი. №79 (628)

ფასი 50 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილი: ბატონო ასლან, რამდენიც გინდათ, წერეთ და იკითხეთ!

საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციას არც გუშინ უღალატა და საგანგებო პრესკონფერენცია გვიან საღამოს გამართა. მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას საკმაოდ დიდი დრო აჭარის ავტონომიასა და ცენტრს შორის გამწვავებულ ურთიერთობას დაუთმო და კიდევ ერთხელ განაცხადა არაერთგზის თქმული: იგი არ დაუშვებს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ფეოდალების თარეშს. ცენტრი არ შეეგუება ვითარების უფრო მეტად გამწვავებას, მუშავდება პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სცენარი, მაგრამ ყველაფერი კანონის ჩარჩოში, მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს და ავტონომიაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს თავგასული ადამიანების თარეში - ეს პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი გზავნილია.

**"მე აჭარის არც ერთ მაცხოვრებელს არ მივატოვებ. ჩვენ პრობლემა არ გვაქვს აჭარასთან და აჭარის მაცხოვრებლებთან. ყველა კომპეტენტური, ნორმალური ადამიანი უნდა იყოს დაწინაურებული, გაეხსნას ახალი შესაძლებლობები. ისინი ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი პოლიტიკური სპექტრის განუყოფელი ნაწილი არიან. მე მაქვს პრობლემა რამდენიმე ადამიანთან, განსაკუთრებით - ასლან აბაშიძესთან. ყველას ვუწვდი ხელს, ყველას შეუძლია კიდევ ჰქონდეს შანსი, მაგრამ რაღაც წერტილის შემდეგ შეიძლება ზღვარი გადაილახოს,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ დაძაბული ატმოსფეროს განსამუხტად, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებები. **"მე შევთავაზე ავტონომიის ხელმძღვანელობას - მივიღოთ კანონი უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ. ბუნებრივია, ამ კანონში ჩაიწერება, რომ არავის აქვს უფლება, ჰყავდეს კერძო არმია, აკონტროლებდეს საბაჟოს. ასეთი უფლება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არც ერთ ავტონომიას არ აქვს. ამასთან, მე განვაცხადე, რომ აჭარას ექნება ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. რამდენიმე დღეში ზურაბ ჟვანია მიემგზავრება აჭარაში, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ამ კანონის განსახილველად, მეც უახლოეს კვირებში ჩავალ,"** - ამბობს პრეზიდენტი და იქვე თავის წინამორბედს იხსენებს, რომლის წყალობითაც, ცენტრსა და აჭარის ავტონომიას შორის ამდენი პრობლემა დაგროვდა.

მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ, ღიად ადანაშაულებს ედუარდ შევარდნაძეს იმაში, რომ აჭარაში ჩამოყალიბდა დიქტატურა, რომ აჭარის ხელმძღვანელმა შექმნა კერძო არმია, მათ ფულს უხდის საბაჟოდან და ტერმინალიდან შემოსული თანხიდან. როგორც სააკაშვილი აცხადებს, ეს თანხა წელიწადში 200 მილიონ დოლარს შეადგენს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აბაშიძის სუფრიდან დანახული საქართველო

მილოშევიჩი, ლუკაშენკო, აბაშიძე -

ბრიტანული გაზეთის - "The Guardian"-ის ჟურნალისტის ჯონ ლაფლენდის საყვარელი დიქტატორები

სოფო ბუკია

მემარცხენე ორიენტაციის ბრიტანულ გაზეთ "გარდიან"-ის ("The Guardian") 1 აპრილის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით "ისინი საქართველოზე ფიქრობენ" ("Georgia on their mind"). ავტორი, ჟურნალისტი ჯონ ლაფლენდი მკითხველს ადამიანის უფლებათა დაცვის ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენლის სახელით ეცნობა.

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა გუშინ სწორედ აღნიშნული სტატია გახდა. დასავლეთის პრესის მიმართ აჭარის ამგვარი დაინტერესება შემთხვევითი არ არის და ამას მკითხველი თავადაც მიხვდება, თუ ლაფლენდის ნაშრომიდან ქვემოთ მოყვანილ რამდენიმე ციტატას გადაავლებს თვალს. როგორც სტატიიდან ირკვევა, ლაფლენდი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს ბათუმში იმყოფებოდა. ოფიციალურად ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან ბათუმში არჩევნების გასაშუქებლად დაპატიჟებული უცხოელი დამკვირვებლები და ჟურნალისტები აჭარის

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტის ლიკვიდაციას აჭარის უმაღლესი ხელმძღვანელობა გეგმავდა

ინგა ალავიძე

*ასეთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ, რომლის ინფორმაციითაც, უშიშროების სამინისტრომ გუშინ დააკავა ტერორისტი, რომელიც სპეცბრძანებით – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის დავალებით - თბილისში იყო ჩამოსული.*

უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, აჭარის ტერიტორიაზე მოქმედ ქილერთა 6-კაციან ჯგუფს, რომელსაც სერგო და სოსო გოგიტიძეები, აჭარის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი და აჭარის შს მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე აკონტროლებდნენ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმის ორგანიზება ჰქონდა დავალებული, მათ მოქმედებას კი პირადად აკონტროლებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობა.

გაგრძელება A7 გვერდზე



*დაკავებულებმა აღიარებითი ჩვენებები მისცეს.*

## ბიუჯეტი პროკურატურამ შეასრულა

ხელისუფლება ძლიერია ტაქტიკაში და სუსტია სტრატეგიაში

მაია ჭალაგანიძე

*ამ არჩევნებით პარლამენტის პეიზაჟი შეიცვალა. თავად სააკაშვილმა ოპოზიციონერობა მაჟორიტარის სტატუსითაც მოახერხა და მინისტრობის დროსაც, ასე რომ, იქნება თუ არა პარლამენტი სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ტრიბუნა, თითოეულ დეპუტატზეა დამოკიდებული. საბედნიეროდ, საკანონმდებლო ორგანოში უკვე არიან დეპუტატები, რომლებიც სახელისუფლებო სიით გასვლის მიუხედავად, გარანტირებულად არ გაჩუმდებიან უკანონობაზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*კობა დავითაშვილი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

## კოფი ანანის "კვიპროსის ექსპერიმენტი"

ლაშა გიორგიძე

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიიღო უკანასკნელი და, ალბათ, საბოლოო გეგმა კვიპროსის გაერთიანების შესახებ, რაც, მისივე თქმით, ორივე მხარეს საშუალებას მისცემს, მისი განხორციელების შემთხვევაში მოგებული დარჩეს. 220-გვერდიანი დოკუმენტი მხარეებს შვეიცარიის სამთო კურორტ ბურგენსტოკში დაურიგდათ. გაერო-ს მიერ შემოთავაზებული გეგმა, შეიძლება ითქვას, საუკეთესოა, რათა დაკმაყოფილდეს როგორც ბერძნული, ასევე თურქული მხარის მოთხოვნები მანამ, სანამ კვიპროსი ევროკავშირს შეუერთდება, 2004 წლის 1 მაისს.

კვიპროსის შესახებ გაუგებრობა 30 წელზე მეტია, არსებობს. კუნძულზე მდგარი გაერო-ს სამშვიდობო ძალები კი ყველაზე ხანგრძლივ მისიას ასრულებენ. დაპირისპირება 1974 წელს კვიპროსის საშინაო საქმეებში თურქეთის შეიარაღებული ჩარევის შემდეგ დაიწყო. თურქებმა კუნძულზე არსებული ვითარება - პრეზიდენტ მაკარიოსის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო გადატრიალება - გამოიყენეს და "კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად" ჯარის ნაწილები სამხედრო მისიით გადასხეს ტერიტორიაზე. ოფიციალური ანკარა თავიდანვე აცხადებდა, რომ იგი 1960 წლის შეთანხმების საფუძველზე მოქმედებდა, რაც მას ასე მოქცევის უფლებას აძლევდა, თუმცა საინტერესოა თვით ის დოკუმენტი, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ამ ხნის მანძილზე თავის დასაცავად იმოწმებდა. შეთანხმების მეოთხე მუხლში წერია: **"ხელშეკრულების რომელიმე მუხლის დარღვევის შემთხვევაში, საბერძნეთი, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი იღებენ პასუხისმგებლობას, რომ ერთიანი კონსულტაციის საფუძველზე, უზრუნველყოფენ შეთანხმებით გათვალისწინებული მუხლების შესრულებას... სამი გარანტი მხარისაგან თითოეულს რჩება უფლება, იმოქმედოს ერთადერთი მიზნის მისაღწევად, რათა აღდგეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობა."** მიუხედავად იმისა, რომ ამ შეთანხმებით, ხელისმომწერ მხარეთაგან თითოეულს შეუძლია პრობლემის მოგვარებაში ჩაერიოს, ეს მაინც გამორიცხავს სამხედრო ჩარევას, უბრალო მიზეზის გამო.

გაგრძელება A5 გვერდზე




## შეიცვლება კრემლის პოლიტიკა კავკასიაში?

რუსუდან ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

ბორის ელცინის ეპოქამ ჩეჩნეთში სამარცხვინო ომი მოიტანა, რაც თავის ლოგიკურ დასასრულამდე ვეღარ მიჰყავს ახალი ფორმაციის პოლიტიკოსს ვლადიმირ პუტინს. **"კანონზომიერება დღესაც ცხადია - კავკასიაში კრემლს არასოდეს არანაირი პოლიტიკა არ ჰქონია, მრავალწლიანი სისხლისმღვრელი ომების გარდა,"** - აცხადებს ჩვენთან საუბარში რუსეთის პარლამენტის ექს-სპიკერი რუსლან ხასბულატოვი, რომელიც თავის დროზე და ახლაც კავკასიაში ახალი ლიდერის როლს ამაოდ იზომავდა. მასხადოვთან მისი შუამავლობის იდეა კრემლმა უკუაგდო. ხასბულატოვი იგონებს, რომ თბილისში, სასტუმრო "მეტეხში" მასხადოვის ემისრებს ხვდებოდა - ისინი ელცინს ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირებაში შუამავლად შევარდნაძესა და ხასბულატოვს სთავაზობდნენ. "კავკასიაში მშვიდობის დამყარების იდეა მაშინ საპნის ბუშტივით გაქრა, რადგანაც კრემლმა კავკასიაში ახალი ასწლიანი ომი ჩაიფიქრა. კავკასიური დაბალანსების იდეა კი დღესაც ვითომ აქტუალურია - საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად," - ასეთია ხასბულატოვის შეფასება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ცესკო ქობულეთში და ხულოში არჩევნების შედეგებს აუქმებს

თამარ მჭედლიშვილი

*როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, რვა ხმით არც ერთის წინააღმდეგ, ქობულეთისა და ხულოს საარჩევნო ოლქებში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააუქმა და ხელახალი კენჭისყრა 18 აპრილისთვის დანიშნა.*

კენჭისყრამ ცესკო-ში "აღორძინების კავშირის" წარმომადგენლების გარეშე ჩაიარა. მათ სხდომათა დარბაზი გაცილებით ადრე, დღის წესრიგის დამტკიცებისას დატოვეს, რადგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის დანარჩენმა წევრებმა მათი მოთხოვნა არ გაითვალისწინეს და განსახილველ საკითხთა ნუსხიდან ამ ოლქების შედეგების გაუქმება არ ამოიღეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საბჭოური გამოძიების ხანა სრულდება

თამარ კაციტაძე

*გუშინ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" ახალი პროექტი გადასცა და ამით კომუნისტური სამართალწარმოების ნგრევისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. საბოლოოდ საქართველოში საბჭოური გამოძიება მას შემდეგ დასამარდება, როცა აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და კანონის სახით დაამტკიცებს.*

“სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის” კანონპროექტი სამართალდამცველი და უშიშროების სტრუქტურების რეფორმირების უწყებათაშორისი კომისიის თითქმის ორწლიანი მუშაობის პირმშოა და იგი თავის დროზე რევოლუციურადაც შეფასდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | |
| ქუთაისი | 6 | |
| ბათუმი | 5 | |
| სოხუმი | 4 | |
| ფოთი | 8 | |
| თელავი | 3 | |
| ზუგდიდი | 9 | |
| გორი | 1 | |
| ახმეტა | 5 | |
| ჭიათურა | 2 | |
| ბაგრა | -1 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4660 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7032 |
| რუბლი | 0.0702 |

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 გამოხმაურება

# მაჟორიტარები პრეზიდენტთან



*ნიკო ლეკიშვილი: მაჟორიტარები ვალდებულები არიან, ხელისუფლებასთან აქტიურად ითანამშრომლონ.*

*მაჟორიტარების უმეტესობა ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში - ის ნაწილი, ვინც პარლამენტის თავმჯდომარის, ამავე დროს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის, ნინო ბურჯანაძის მეთაურობით პრეზიდენტთან შეხვედრაზე გამოცხადდა. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სააკაშვილთან მისულ მაჟორიტარებთან შეხვედრაზე იმ საკითხებზე საუბრობდნენ, რომლებიც უახლოეს პერიოდში პარლამენტში უნდა განიხილონ. ნინო ბურჯანაძის შეფასებით, "მაჟორიტარების" დიდი ნაწილი ხელისუფლების ოპოზიციაში არ იქნება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პარლამენტი ერთპარტიული იქნება.*

იგივე აზრის არის ამბროლაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი. მისი თქმით, მომავალ პარლამენტში "მაჟორიტარების" სახით ხელისუფლებას ოპოზიცია ნაკლებად უნდა ჰყავდეს, რადგან **"მაჟორიტარი დეპუტატები, თავის რაიონებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ვალდებულები არიან, ხელისუფლებასთან აქტიურად ითანამშრომლონ".** სააკაშვილთან შეხვედრის დროს, ბუნებრივია, რეგიონში არსებულ პრობლემატიკაზეც საუბრობდნენ. ლეკიშვილის აზრით, კარგი იქნება, თუ მომავალ პარლამენტში "მაჟორიტარების" მხოლოდ ერთი ფრაქცია იარსებებს, მაგრამ იგი არც რამდენიმეს ჩამოყალიბებას გამორიცხავს. ფრაქციების სავარაუდო შემადგენლობაზე ლეკიშვილს გუშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ, მისი ვარაუდით, ხელისუფლებას ოპოზიციურად განწყობილი მაჟორიტარები უფრო "მემარჯვენეების" და "მრეწველების" რიგებში გამოუჩნდება. სწორედ "მემარჯვენეებმა" გაუწიეს გარკვეული წინააღმდეგობა იმუნიტეტის შეზღუდვის საკითხს, მაშინ, როცა მაჟორიტერების უმრავლესობა, ლეკიშვილის განცხადებით, პრეზიდენტის ამ ინიციატივას მიესალმებოდა.

ონის რაიონის მაჟორიტარის დავით საგანელიძის განცხადებით, მაჟორიტართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სადეპუტატო იმუნიტეტი ძველი ფორმით უნდა დარჩეს, **"რათა პრეზიდენტს პარლამენტში მორჩილი უმრავლესობის ყოლის შესაძლებლობა არ ჰქონდეს".** საგანელიძის განცხადებით, თუ სადეპუტატო იმუნიტეტს საფრთხე დაემუქრება, შესაბამისად, ნებისმიერი დეპუტატი, შიშის ფაქტორის გათვალისწინებით, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვეღარ მიიღებს.

გუშინდელ შეხვედრაზე პრეზიდენტთან არ მისულან "აღორძინების" და "ლეიბორისტების " წარმომადგენლები. "ლეიბორისტების" ორი მაჟორიტარი (დუშეთიდან და თიანეთიდან), სააკაშვილთან შეხვედრაზე მისვლას თავიდან თითქოს სერიოზულად ფიქრობდა, თუმცა, შემდეგ გადაიფიქრეს. როგორც შემდგომ ნათელაშვილის პარტიაში განაცხადეს, "ლეიბორისტებმა" პრეზიდენტს ამგვარად თავისი პროტესტი დაუფიქსირეს, პარტიის თბილისის ორგანიზაციის გატაცებული თავმჯდომარის ვაჟა შენგელიას საქმისადმი უგულისყურობის გამო.

*ლელა მჭედლიძე*

# აჭარის სამხედრო კომისარიატი რეზერვისტებს ეძებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი ადგილობრივ რეზერვისტთა შორის საარტილერიო საქმის მცოდნე სამხედრო სპეციალისტებს ეძებს.

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ასლან აბაშიძის უახლოესი გარემოცვის დავალებით, აჭარის სამხედრო კომისარიატი მე-2 დღეა, ადგილობრივ მოსახლეობას შორის საბჭოთა არმიის საარტილერიო სამხედრო ნაწილებში სამხედრო სამსახურგავლილ რეზერვისტებს ეძებს.

იმავე წყაროს ინფორმაციით, აბაშიძის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადის სამხედრო სპეციალისტები, განსაკუთრებით - არტილერისტები, თბილისსა და ბათუმს შორის უკიდურესი დაპირისპირებისა და სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებებს არ დაემორჩილებიან.

*ინტერ-პრესი*

# მიხეილ სააკაშვილი: ბატონო ასლან, რამდენიც გინდათ, წერეთ და იკითხეთ!

პირველი გვერდიდან

**"ამ ფულით იყიდეს ტანკები, ყუმბარმტყორცნები, ვერტმფრენები. ეს ყველაფერი იმისათვის მზადდება, რომ ქართულ სახელმწიფოს შემოუბრუნონ. ჩვენ გვინდა ამ სიტუაციის კანონიერად და მშვიდობიანად გადაწყვეტა. არც ერთი ჩვენგანი არ არის მოწოდებული, რომ კიდევ უფრო გაურთულოს იქ ცხოვრება უბრალო ადამიანებს, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საქართველოს ამ ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, იყოს დიქტატურა,"** - ამბობს მიხეილ სააკაშვილი, რომლის თქმითაც, აჭარის ტერიტორიაზე გარკვეულმა ადამიანებმა შექმნეს მტრული ბანაკი, არღვევენ ადამიანის უფლებებს, და ეს, ფაქტობრივად, დიქტატორული რეჟიმია საქართველოს ტერიტორიაზე.

**"ყველას მინდა ვუთხრა, ვინც იქ არის, ვისაც ავტომატი და ყუმბარმტყორცნი აქვს და ვინც ახლა სხედან სანაპიროზე ქვემეხებთან, რათა ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებს ესროლონ, იმ ხალხს, ვინც უკანონო პატიმრებს აჩერებს ციხეში, იმ ხალხს, ვინც არჩევნებზე სცემდა ადამიანებს - კიდევ არის დრო. შესაძლოა, კიდევ ყველაფერი გეპატიოთ. ჩვენ არავის მიმართ არ ვაპირებთ შურისძიებას. თუმცა, იმავე წუთს, როგორც კი თქვენ კონკრეტული ადამიანებისა და, მით უმეტეს, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადახვალთ პირდაპირ ძალადობაზე, მერე უკან დასახევი გზა არ გექნებათ. ყველანი დაფიქრდით ამაზე,"** - აფრთხილებს საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკურ ოპონენტებს.

რაც შეეხება ასლან აბაშიძეს და მის გარემოცვას. მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მათი აღზევება ექსპრეზიდენტ შევარდნაძის "დამსახურებაა". მისი განცხადებით, მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი დემოკრატიული ავტონომია, სადაც ავტონომიის ხელმძღვანელობა ფლობს საბაჟოს და ფლობს პირადად. პრეზიდენტის თქმით, პრაქტიკულად, ორი-სამი ადამიანის ხელშია საბაჟო, ფლოტი. მიხეილ სააკაშვილი აჭარაში საეჭვო საერთაშორისო კავშირებზეც საუბრობს და ღიად ამბობს, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე ნარკოტიკებით ვაჭრობაც მიმდინარეობს.

**"საქართველოში არ შეიძლება იყოს ორი არმია, სხვადასხვა ხელმძღვანელობის ქვეშ, და ორი უშიშროება. ასე საქართველო საბოლოოდ დაიშლება. მე იმედი მაქვს, პირველ რიგში, თავად აჭარლების. ამ ხალხმა უნდა უთხრას პრეზიდენტს: ნუ გვიყენებთ ცოცხალ ფარად საეჭვო და ბინძურ თამაშებში. საქართველო ერთიანია. არავინ ეხება არც ავტონომიას და არც თვითმმართველობას, მაგრამ ავტონომია და თვითმმართველობა უნდა იყოს აჭარელი ხალხის და არა ერთი თავგასული და ერთმმართველი ფეოდალის. პროვოკაციები და საქართველოს ბედთან თამაში უნდა დასრულდეს,"** - ასე მიმართავს პრეზიდენტი აჭარის მოსახლეობას.

მიმართავს ასლან აბაშიძეს, რომელიც, პრეზიდენტის მტკიცებით, რამდენიმე მილიონ დოლარს უხდის უცხოურ პიარ-კომპანიებს საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარის ასაგორებლად:

**"ბატონო ასლან, მე არ მეშინია ამ სტატიების. რამდენიც გინდათ, წერეთ და იკითხეთ, რადგან სიმართლე ქართველმა ხალხმა იცის და ნუ ხარჯავთ ფულს. ჯობს, მოუწყეთ თქვენს ხალხს პატარა ზეიმი მაინც, ჯობს, ერთი გზა მაინც დააგეთ ბათუმში, ჯობს, პენსიონერებს მიეცით დანამატი, სკოლები მოაწყეთ უკეთესად, მართლა ააშენეთ საბავშვო ბაღები და გაარემონტეთ სამედიცინო დაწესებულებები. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაინც შევძლებთ ვითარების შემობრუნებას. ჩვენ ვემზადებით ყველანაირი სცენარისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ნაკლები დანაკარგებით მოსახლეობისთვის, ეკონომიკისთვის, თითოეული ადამიანისთვის."**

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი "სასაცილოს" უწოდებს ასლან აბაშიძის განზრახვას ავტონომიის ტერიტორიაზე რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. **"მთელი მსოფლიო ახლა ჩვენ გვიყურებს და ამით ასლან აბაშიძე თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებს,"** - ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

# გაუჩინარებული ვაჟა შენგელიას შესახებ არაფერია ცნობილი

"ლეიბორისტული პარტიის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვაჟა შენგელიას გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ, პარტიის პოლიტიკური მდივანი გელა დანელია გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ დანელიამ განაცხადა, შენგელიას გატაცების მიზეზი 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი დოკუმენტებია, რომელიც გატაცების დღეს შენგელიას თან ჰქონდა. მისივე თქმით, შენგელია უკვე ოთხი დღეა, არ ჩანს და ამ ფაქტის გამო სამართალდამცავები არანაირ რეაგირებას არ ახდენენ. როგორც დანელია აცხადებს, მან გენერალურ პროკურორს გადასცა ოფიციალური პეტიცია, დაუყოვნებლივ იქნას მომხდარი ფაქტი გამოძიებული და უსაფრთხოდ დააბრუნონ ვაჟა შენგელია. ანალოგიური პეტიციები გაიგზავნა პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის სახელზეც. დანელიას თქმით, მისთვის გაუგებარია სამართალდამცავების პოზიცია, რომლებსაც ამ დრომდე მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეც კი არ აქვთ აღძრული და ცდილობენ, მხოლოდ მოკვლევით შემოიფარგლონ.

*პრაიმ-ნიუსი*

AgVANTAGE

## USAID-ის მიერ დაფინანსებულ SAVE პროგრამას AgVANTAGE დაერქვა

ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულმა გადამამუშავებელი საწარმოების მხარდამჭერმა (SAVE) პროგრამამ ახლახანს სახელი შეიცვალა. ახალმა სახელმა AgVANTAGE შეცვალა აბრივიატურა "SAVE", რომელიც დაწყების დღიდან ასოცირდებოდა პროგრამასთან. სახელის შეცვლასთან დაკავშირებით გაიმართა მიღება, რომელიც აგრეთვე მიძღვნა ახალი ოფისის ოფიციალურ გახსნას, რომელიც მდებარეობს თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე, ქართუ ჯგუფის შენობაში.

ახალი სახელი - AgVANTAGE - უკეთ გადმოსცემს პროგრამის კომერციულ ხასიათს და უფრო ზუსტად აღნიშნავს იმ უპირატესობებს, რომლებსაც პროგრამა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს სთავაზობს. ცვლილების მეორე მიზანი მსგავსი აბრივიატურის მქონე სხვა ორგანიზაციებთან გაიგივების გამორიცხვაა. სახელის ცვლილების მიუხედავად, პროგრამის პირვანდელი მიზნები უცვლელი დარჩა.

AgVANTAGE-ის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება საექსპორტო შესაძლებლობების შესაბამისად, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორების შერბილების გზით, რაც დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს და გამსაღებლებს, წარმატებით იასპარეზონ საერთაშორისო ბაზრებზე. AgVANTAGE-ის ხედვაა საქართველოს, როგორც მყიდველთა მოთხოვნების შესაბამისი, სტაბილურად მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სანდო მიმწოდებლის რეპუტაციის ამაღლება.

AgVANTAGE მუშაობს პროდუქტების შემდეგ კატეგორიებზე: ნედლი ხილი და ბოსტნეული,
გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული, სპეცპროდუქტები და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის მქონე პროდუქტები.

თუ თქვენ ხართ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან გამსაღებელი, მყიდველი, ანდა პოტენციული ინვესტორი ან კრედიტორი და გსურთ შეიტყოთ თუ რით შეუძლია AgVANTAGE-ს თქვენი დახმარება, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:

**ილ. ჭავჭავაძის გამზირი 39ა, მე-12 სართული**
**თბილისი 0162, საქართველო**
**ტელ: +995 (32) 25 02 83**
**ფაქსი: +995 (32) 29 18 42**
**ელ.ფოსტა: info@agvantage.org.ge**

AgVANTAGE-ის საქმიანობის შესახებ უახლოეს მომავალში გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობთ.

# ისევ ბიუჯეტზე და საგადასახადო კოდექსზე



*ზურაბ ნოღაიდელი და ზურაბ ჟვანია.*

მთავრობა საბიუჯეტო შედეგებით თავმოწონებას განაგრძობს. გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის საბიუჯეტო შემოსავლებს სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნეს და განაცხადეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში იანვარ-მარტის გეგმა 114 პროცენტით არის შესრულებული; ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების კვარტალური გეგმა კი - 121 პროცენტით.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საბიუჯეტო გეგმის გადაჭარბებით შესრულება იძლევა იმის საშუალებას, რომ რეგულარულად გაიცეს მიმდინარე თვის დავალიანებები პენსიები, ხელფასები და ასევე დაიწყება დევნილთა შემწეობების გაცემაც. 15 აპრილიდან, გაზრდილი პენსიები გაიცემა თბილისში 20, ხოლო რეგიონებში 17 ლარის ოდენობით, მაისიდან კი რეგიონები მიიღებენ 18 ლარს, თბილისში 21 ლარს.

დევნილები აპრილში მიმდინარე თვის შემწეობასთან ერთად, გასული წლის ერთი თვის დავალიანებასაც მიიღებენ. ფინანსთა მინისტრის თქმით, ამ შემოსავლებით შესაძლებელია, დაიფაროს ჯანდაცვის პროგრამების დავალიანებები და დამყარდეს წესრიგი ენერგეტიკაში.

საბოლოოდ, ბიუჯეტის საშემოსავლო გეგმა 40 მილიონი ლარით არის გადაჭარბებული, აჭარის გამოკლებით, საიდანაც თანხები არ გადმორიცხულა. აჭარის დავალიანება 10 მლნ ლარს შეადგენს. სხვათა შორის, ბრიფინგზე ასევე ითქვა, რომ შემოსავლებში საკმაოდ სერიოზულია არასაგადასახადო შემოსავლების წილი და "არასაკმარისია" საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ მიღწეული შედეგები, მაგალითად, ნავთობპროდუქტების დაბეგვრით მიღწეული შედეგები, რომელთა "გამოსწორების" პირობა მინისტრმა ნოღაიდელმა აქვე დადო. გუშინვე კანცელარიაში უცხოელმა ექსპერტებმა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და დსთ-ს საგადასახადო სივრცის შესწავლის შედეგები წარმოადგინეს. პრეზენტაციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ორ კვირაში საგადასახადო კოდექსზე მომუშავე ჯგუფი ახალი კოდექსის პრინციპებს წარმოადგენს.

*24 საათი*

# საქართველოს რკინიგზაზე" ნავთობპროდუქტების გადაზიდვები გაიზარდა, შემოსავლები - არა

"საქართველოს რკინიგზაზე" ნავთობპროდუქტების გადაზიდვები გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ნავთობპროდუქტების სექტორიდან ბიუჯეტში მიღებული შემოსავლების მოცულობით მთავრობაში კმაყოფილები არ არიან.

როგორც "ინტერ-პრესს" "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა გია ხუხაშვილმა განუცხადა, მისთვის ჯერჯერობით უცნობია, გადაზიდვების გაზრდის პარალელურად რატომ არ გაიზარდა შემოსავლები. **"ვაპირებთ, აქტიურად ვითანამშრომლოთ საბაჟო დეპარტამენტთან, რათა ამ სექტორში წარმოქმნილი პრობლემები მოგვარდეს,"** - აღნიშნა მან.

**"საქართველოს რკინიგზასთან" თანამშრომლობას აუცილებლად მიიჩნევს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძეც. "რკინიგზასთან ყოველდღიური კავშირი გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ საბაჟომ ბიუჯეტის პარამეტრი შეასრულა, არ ვაპირებ, კმაყოფილებას მივეცე. ნავთობპროდუქტებში ცუდი მაჩვენებლები გვაქვს, იმპორტიორებმა თეთრად უნდა იმუშაონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობას სხვა ღონისძიებების გატარება მოუწევს,"** - აღნიშნა მან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნავთობპროდუქტების სექტორიდან ბიუჯეტში თანხების მობილიზების მაჩვენებელთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვეს და განაცხადეს, რომ ეს სექტორი ჯერ კიდევ კორუფციისა და კონტრაბანდის პირობებში მუშაობს. **ინტერ-პრესი**

# ტელერადიოცენტრი ელექტროენერგიის გათიშვას გადაურჩა

შპს "ტელერადიოცენტრმა" "თელასის" წინაშე დადებული პირობა შეასრულა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური - 40 ათასი ლარი გადაიხადა. ტელეანძას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ვადა გუშინ დილით ამოეწურა, თუმცა, ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ჩარევით, ვადა "თელასმა" 18.00 საათამდე გაახანგრძლივა. ელექტროენერგიის შესაძლო გამორთვის შესახებ წინასწარი გაფრთხილება "თელასმა" "ტელერადიოცენტრს" და ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მინისტრს თამარ სულუხიას გაუგზავნა. ტელერადიოცენტრის მეშვეობით 14-მდე ტელე და რადიოკომპანია მაუწყებლობს. შპს "ტელერადიოცენტრი" სახელმწიფო ორგანიზაციაა. **ინტერ-პრესი**

# უხარისხო "სუპერი" და, თანაც, ძვირად

თურმე, თბილისში უმაღლესი ხარისხის ბენზინს ვერსად იყიდი. როგორც წესი, "სუპერ"-ის, "პრემიუმ"-ის, "რეგულარ"-ისა და "ნორმალ"-ის მარკებით თბილისში ერთი და იგივე ხარისხის ბენზინი იყიდება. ეს გუშინ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილისა და საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის კომისიის თავმჯდომარის დავით იოსელიანის მიერ ჩატარებულმა რეიდმა ცხადყო. მათ გუშინ რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურიდან სხვადასხვა მარკის ბენზინის სინჯები აიღეს, რომელთა ლაბორატორიულმა გამოკვლევამაც აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ბენზინის გამყიდველები უსინდისოდ იტყუებიან. გარდა იმისა, რომ დაბალი ოქტანობის ბენზინს "სუპერად" აჩეჩებენ მყიდველს, ხშირად "წონაშიც იტყუებიან" და ერთი ლიტრის ნაცვლად მომხმარებელს 0,5-0,7 ლიტრს სთავაზობენ.

ლაბორატორიული კვლევების შემდგომი ეტაპი საწვავის შემცველობის დადგენას ითვალისწინებს. დავით იოსელიანის მტკიცებით, სარეალიზაციოდ გატანილი ბენზინი ეკოლოგიურად საშიშ მინარევებს შეიცავს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მისი მტკიცებით, ქალაქში სარეალიზაციოდ გატანილი საწვავი შეიცავს ეკოლოგიურად საშიშ მინარევებს, მისი ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და ირღვევა ბენზინის იმ მომხმარებელთა უფლებები, რომლებიც მითითებული მაღალი ხარისხის საწვავის ნაცვლად, რეალურად სრულიად უვარგის საწვავს ყიდულობენ.

სარეალიზაციოდ გატანილი საწვავის ფალსიფიცირებისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისთვის ბეგაშვილი ნავთობპროდუქტების ექსპორტიორებსა და ბენზინგასამართი სადგურების დირექტორებს მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით ემუქრება და შესაბამის ორგანოებს აღნიშნული საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებს. ამასთან, ის პირობას იძლევა, რომ ამ მიმართულებით ქალაქში მდგომარეობა გამოსწორდება.

*24 საათი*

## მოკლედ

### სააკაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი 6 აპრილს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში მიემგზავრება. ვიზიტის პირველ დღეს დაგეგმილია მისი გამოსვლა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. ამავე დღეს მიხეილ სააკაშვილი შეხვდება ევროკომისიის პრეზიდენტს რომანო პროდის. შემდეგ, პრეზიდენტი გაემგზავრება ევროკავშირის საბჭოში, სადაც დაგეგმილია შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ევროკავშირის ერთიანი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან ჰავიერ სოლანასთან. მოგვიანებით კი საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა ბელგიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში. ვიზიტის მეორე დღეს დაგეგმილია შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივანთან იააპ დე ჰოოპ სხეფერთან. **ინტერ-პრესი**

### ჟვანია ბათუმში ჩადის

მომავალ კვირას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, პრეზიდენტის დავალებით, ბათუმში გაემგზავრება. ვიზიტის მიზანი აჭარის ავტონომიასა და ცენტრს შორის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ კანონპროექტზე მუშაობაა. ჟვანიამ ცენტრსა და რეგიონს შორის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებასთან უნდა გამართოს მოლაპარაკება. **პრაიმ-ნიუსი**

### აჭარელი დეპუტატები, შესაძლოა, პარლამენტში არ შევიდნენ

აჭარის ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ ავტონომიიდან 2 ნოემბერს არჩეულმა მაჟორიტარებმა, რომლებიც "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წევრები არიან, მონაწილეობა არ მიიღონ ახალი პარლამენტის მუშაობაში. თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჰამლეტ ჭიპაშვილის თქმით, "პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ არ სურს პარლამენტში ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი იხილოს და რომ სავსებით საკმარისი იქნება მაჟორიტარ დეპუტატთა ყოფნა, რომლებიც ოპოზიციურ ძალებს წარმოადგენენ, თუმცა, თუ "აღორძინება" უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არ მოხვდება, მაშინ ავტონომიის მეთაურმა ასლან აბაშიძემ, შესაძლოა, 6 მაჟორიტარი დეპუტატის გაგზავნაზეც უარი განაცხადოს".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარასკევს ხელი მოაწერა დებულებას, რომლითაც ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მის სპეციალურ წარმომადგენლებად ვასილ სანოძე და დავით ახალაია დანიშნა. როგორც ვასილ სანოძესა და დავით ახალაიასთან შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა, ამ დებულებით გადაწყვეტილია ყველა იურიდიული საკითხი, რაც წარმომადგენლების აჭარაში მოღვაწეობას შეეხება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული სამხედრო აკადემიის რექტორის, პოლკოვნიკ გიორგი თავდგირიძის გადაწყვეტილებით, პარასკევს, დაკავებული თანამდებობიდან ყველა პრორექტორი, ასევე, სახმელეთო ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დაითხოვეს და უზრუნველყოფის ბატალიონის ოფიცერთა მთელი შემადგენლობა გაათავისუფლეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესში სახელმწიფომ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დათმო. სამინისტროს ცნობით, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია და საგარეო უწყებას დაუშვებლად მიაჩნია ქვეყნის საზიანოდ რაიმე მსგავსი პრეცედენტის დაშვება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა პარასკევს დაადასტურა ინფორმაცია, რომლითაც აჭარაში ყველა სტრატეგიული ობიექტის დაცვის გაძლიერება ხდება, მათ შორისაა აჭარის ავტონომიის მეთაურ ასლან აბაშიძის რეზიდენცია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეფორმასთან დაკავშირებით შაბათს, თბილისს გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო უწყების წამყვანი ექსპერტები ეწვევიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა. "ორი ქვეყნის პრეზიდენტებს უკვე გვაქვს მეგობრული, ძმური ურთიერთობები და კარგი იქნება, თუ მსგავსი კავშირები სხვა დონეებზეც დამყარდება," - განაცხადა ალიევმა შეხვედრის შემდეგ. თავის მხრივ, გიორგი ბარამიძემ აზერბაიჯანის პრეზიდენტს გადასცა სააკაშვილის მოწვევა, საქართველოში მისთვის მოსახერხებელ დროს ჩამოსვლის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული მოძრაობის დარბაზი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძეს თბილისსა და ბათუმს შორის პრობლემების მოსაგვარებლად დიალოგისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს, რომ პრობლემების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის მცდელობის შემთხვევაში, ორივე მხარეს საქართველოს ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 22 კურსანტს ლილოს სასწავლო ცენტრში ოფიცერთა მომზადებისა და გადამზადების თურქული პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცა. კურსანტებმა აღნიშნული სასწავლო კურსი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და აკადემიის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე გაიარეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ოპოზიციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" თავმჯდომარე ლეონიდე ლაკერბაია უკმაყოფილებას გამოთქვამს აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადებების გამო და აცხადებს, რომ მისთვის, როგორც აფხაზისთვის, თბილისიდან იმის გაგონება, რომ "საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ დაუშვებს", შეურაცხმყოფელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე კატეგორიულად უარყოფს "აღორძინების კავშირის" წარმომადგენლის ანზორ აბრალავას განცხადებას, თითქოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ სარფის საბაჟოზე, ფოთის პორტსა და აჭარის უზენაეს საბჭოზე საჰაერო და საზღვაო დესანტით ლოკალური შეტევების განსახორციელებლად ფოთში "კომანდოს" ბატალიონი გადაისროლა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტია" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს ტოტალურად გაყალბებულს უწოდებს, მაგრამ მიაჩნია, რომ სოციალისტების არჩევნებში დამარცხების უმთავრესი მიზეზი პარტიის მძიმე მემკვიდრეობა გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შუახევში ასლან აბაშიძის ოპოზიციონერთა დევნა დაიწყეს. დევნის ობიექტები ამჯერად პედაგოგები აღმოჩნდნენ. ამ ინფორმაციას ადასტურებს გაერთიანებული ოპოზიცია "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში საკადრო ცვლილებების განხორციელება დაიწყო. საკადრო ცვლილებები, ჯერჯერობით, მხოლოდ უწყების დაბალ რგოლს შეეხო, ხოლო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარეების ძველი მოადგილეები თანამდებობებს კვლავ ინარჩუნებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, სოხუმის ხელისუფლების ექს-პრემიერის ანრი ჯერგენიას შეფასებით, საქართველოს ახალ ხელისუფლებას ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების, მათ შორის - აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გადაწყვეტის ფორმები ჯერ განსაზღვრული არ აქვს. **ინტერ-პრესი**

# ცესკო ქობულეთში და ხულოში არჩევნების შედეგებს აუქმებს

პირველი გვერდიდან

"აღორძინების კავშირის" წარმომადგენლები, საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, საარჩევნო კანონმდებლობას იშველიებდნენ და ცალსახად აცხადებდნენ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმების უფლება არ ჰქონდა. თუმცა, "აღორძინების" წევრთა პროტესტი ამაო აღმოჩნდა - რვა ხმით სამის წინააღმდეგ საკითხი დღის წესრიგში შევიდა, რის შემდეგაც სამივე წევრი სხდომათა დარბაზს დემონსტრაციულად გაეცალნენ.

რაც შეეხება იმ არგუმენტებს, რომლითაც ცესკო-მ ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელა: როგორც გუშინ მიღებულ დადგენილებაშია ნათქვამი, **"საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა საჩივრები, საიდანაც ირკვევა, რომ ქობულეთისა და ხულოს საარჩევნო ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებში საქართველოს პარლამენტის 2002 წლის ორი ნოემბრის პროპორციული სისტემით 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული ხელახალი არჩევნები წარიმართა საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. ეს წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ აღნიშნული საარჩევნო ოლქების საარჩევნო უბანთა უმეტესობაში კენჭისყრის შედეგები ჩაითვალოს ბათილად, რაც იწვევს ამ საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგების ბათილობას".**

აქედან გამომდინარე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა: **"ქობულეთისა და ხულოს სააარჩევნო ოლქებში ბათილად იქნას ცნობილი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ხელახალი კენჭისყრა გაიმართოს 2004 წლის 18 აპრილს".**

საგულისხმოა, რომ ამ განკარგულების მიღებამდე, ცესკო-ს "ნაციონალმა" წევრმა ზაზა გოროზიამ სხდომათა დარბაზში შეკრებილებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების დასკვნაც წაუკითხა, სადაც დეტალურად იყო ჩამოთვლილი ის უხეში დარღვევები, რაც დამკვირვებლებმა კენჭისყრის დღეს ამ ოლქებში აღმოაჩინეს და რომლის თაობაზეც არაერთ მკვეთრ განცხადებას თავად ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭაიბერაშვილიც აკეთებდა.

საარჩევნო კოდექსის კონკრეტული მუხლების მოუშველიებლად, ცესკო-ს იურიდიული სამსახური ასკვნიდა, რომ ამ ოლქებში არჩევნების შედეგები უნდა გაუქმებულიყო.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოლოდინი და ალბათობა, რომ ხულოში და ქობულეთში არჩევნების შედეგები გაუქმდებოდა, დიდი იყო.

კენჭისყრამდე რამდენიმე წუთით ადრე, სიტყვა ითხოვა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში "სოციალისტების" წარმომადგენელმა დენის დავითაშვილმა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ სავსებით იზიარებს ცესკო-ს დამოკიდებულებას ამ კონკრეტული კანონდარღვევებისადმი, მაგრამ იქვე დასძინა, რომ საარჩევნო კოდექსი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოლქში არჩევნების შედეგების გაბათილებას უკრძალავდა. **"ეს სასამართლოს პრეროგატივაა და ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, არ დაარღვიოთ საარჩევნო კოდექსი, იმის მიუხედავად, რომ აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს დამოკიდებულებას აჭარაში არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით,"** - მოძღვრავდა დავითაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს. თუმცა, ამაოდ. ცესკო-მ დენის დავითაშვილს მოუსმინა, მაგრამ ხულოსა და ქობულეთში არჩევნების შედეგები, როგორც უკვე ვთქვით, სრულიად უმტკივნეულოდ გააუქმა.

გუშინვე ცესკო-მ უფლებამოსილებები შეუწყვიტა ქობულეთისა და ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებს და ახალი კომისიების დაკომპლექტებამდე, ორი დროებითი ჯგუფი შექმნა, რომელიც 18 აპრილს ამ ორ ოლქში არჩევნებს ორგანიზებას გაუწევს. ხულოში ჯგუფის ხელმძღვანელი "ახლების" წარმომადგენელი გიორგი ჩახნაშვილი იქნება, ხოლო ქობულეთში - "ნაციონალი" ზაზა გოროზია.

რაც შეეხება ბოლნისის საარჩევნო ოლქს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გასაკვირად, საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გააუქმა იმ უბნების შედეგები, სადაც ადგილობრივმა და უცხოელმა დამკვირვებლებმა უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს. ამიტომაც ცესკო-მ გუშინდელ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც დამკვირვებელთა საჩივრებს შეისწავლის; საჭიროების შემთხვევაში, ცესკო-ს თანხმობით, კონკრეტული უბნებიდან საარჩევნო დოკუმენტაციას გამოიწვევს და ბიულეტენებს ხელახლა გადაითვლის.

# აბაშიძის სუფრიდან დანახული საქართველო

პირველი გვერდიდან

ლიდერმა ყოველგვარი ვიზების გარეშე მიიღო და სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ძალიან ხელგაშლილადაც უმასპინძლა.

**"სანდრა რულოვსი, პრეზიდენტ სააკაშვილის ჰოლანდიელი მეუღლე ერთ-ერთ ჰოლანდიურ ჟურნალთან ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი მეუღლე აპირებს, არ უღალატოს ძლიერ ქართველ ლიდერთა - სტალინისა და ბერიას ტრადიციებს. გასული თვის ნოემბერში თბილისისკენ მარში სააკაშვილმა გორში სტალინის ძეგლთან გამართული მიტინგიდან დაიწყო. იანვარში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისას სააკაშვილმა მიტაცებული ძალაუფლება ხმათა 95 პროცენტით გაიმაგრა. მიუხედავად ამისა, დასავლეთის მასმედია ყოველგვარი უხერხულობის გარეშე განაგრძობს ლაყბობას სააკაშვილის დემოკრატიულ განწყობაზე,"** - ასევე ყოველგვარი უხერხულობის გარეშე წერს ბატონი ლაფლენდი, რომელიც საქართველოს "ჩეჩენი ბოევიკების ზურგის ბაზას" უწოდებს და ახალი ხელისუფლების ხელში არცთუ ისე სახარბიელო მომავალს უწინასწარმეტყველებს. მისტერ ლაფლენდს ასლან აბაშიძის სასახლეებში გამართული სადილებისა და ვახშმების შუალედში თავი რომ შეეწუხებინა და გაერკვია, აუცილებლად შეიტყობდა, რომ სააკაშვილმა "თბილისისკენ მარში" გორიდან კი არა, წალენჯიხიდან დაიწყო, სადაც სტალინის ძეგლი არ დგას. ლაფლენდი ასევე იმის გარკვევასაც შეძლებდა, რომ ზურაბ ჟვანიას შევარდნაძის დროს პრემიერ-მინისტრის პოსტი არ ეკავა, როგორც ეს მის სტატიაშია აღნიშნული, ხოლო 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მკაცრად გასაიდუმლოებული არ ყოფილა და ამ ინფორმაციის მიღება ბატონ ლაფლენდს ცესკო-ს ინტერნეტ-საიტზე თავისუფლად შეეძლო. მსგავსი ფაქტობრივი უზუსტობები ლაფლენდის მასალაში უამრავია.

ლაფლენდს უკვირს, რატომ აქვს თბილისს დაძაბული ურთიერთობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან **"მაშინ, როცა აჭარას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლობა არასოდეს გამოუცხადებია"**. სტატიის ავტორმა არ იცის ან არ უნდა იცოდეს, რომ აჭარას საკუთარი მთავარსარდალი ჰყავს, რომ აჭარაში უშიშროების სამინისტრო ფუნქციონირებს და შეიარაღებული ფორმირებები ჰყავთ, რომლებიც პრეზიდენტს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

თუ მისტერ ჯონ ლაფლენდის გვარ-სახელს ინტერნეტში მოვიძიებთ, ვნახავთ, რომ აბაშიძე არ არის ერთადერთი დიქტატორი, ვის მიმართაც გავლენიანი ბრიტანული გაზეთის ჟურნალისტი სიმპათიებითაა გამსჭვალული. ასევე ბევრი საინტერესო ინფორმაციაა იმ ორგანიზაციაზეც, რომელსაც ეს პატივცემული ჟურნალისტი წარმოადგენს.

2002 წლის ნოემბერში "გარდიანი" აქვეყნებს სკანდალურ სტატიას სათაურით "პრაღის რეკეტი" (საუბარია პრაღის სამიტზე, სადაც ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო არ დაუშვეს). ეს სტატიაც ადამიანის უფლებათა დაცვის ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენლის ჯონ ლაფლენდის მიერაა შექმნილი. აღნიშნულ სტატიაში ბატონი ლაფლენდი ენერგიულად იცავს პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე დაუნდობელ დიქტატორს, ბელორუსის პრეზიდენტს ალექსანდრ ლუკაშენკოს. **"ლუკაშენკოს მიმართ დასავლეთის სიძულვილის ნამდვილი მიზეზი დემოკრატიულ ღირებულებებზე და ადამიანის უფლებებზე ზრუნვა სულაც არ გახლავთ. სინამდვილეში, ლუკაშენკო დასავლეთში იმიტომ სძულთ, რომ იგი ჭეშმარიტად სახალხო პოლიტიკოსია, რომელმაც დაიცვა საკუთარი ქვეყანა იმ საშინელი ნგრევისაგან, რაც ეკონომიკურმა რეფორმებმა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებს მოუტანა. ლუკაშენკო არ არის ის ადამიანი, რომელიც ბრძანებებს ასრულებს, რაც მას პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ლიდერებისგან განასხვავებს,"** - წერს იგი. სტატიაში აღნიშნულია, რომ ბელორუსში სულაც არ არის ავტორიტარული რეჟიმი, რომ არ ხდება ლუკაშენკოს მიერ პოლიტიკურ ოპონენტთა განადგურება, რომ არ იდევნებიან ბელორუსულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები და რომ ეს ყველაფერი ბელორუსის "ვაჟკაც პრეზიდენტს" დასავლეთმა დააბრალა. ალბათ, არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ეს ღრმაშინაარსიანი სტატია, ბელორუსის პრეზიდენტის პრეს-სამსახურის დავალებით, ბელორუსის ყველა ჟურნალსა და გაზეთში დაიბეჭდა და ამ სტატიის ციტირება ყველა ტელევიზიას დაევალა.

სტატიის გამოსვლისთანავე ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია ავრცელებს განცხადებას, სადაც აღნიშნულია, რომ ლაფლენდის მიერ ხსენებულ, ადამიანის უფლებათა დაცვის ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფს არაფერი აქვს საერთო ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციასთან.

**"ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფი (რომლის წარმომადგენელიცაა ჯონ ლაფლენდი) არაერთხელ ეცადა, ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის წევრი გამხდარიყო, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს ორგანიზაცია დაკავებულია საქმიანობით, რომელიც შორსაა ადამიანთა უფლებების დაცვისგან. განცხადებები, რომლებსაც ეს ორგანიზაცია აკეთებს, არ შეესაბამება სიმართლეს,"** - აღნიშნულია ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენლები "საერთაშორისო დამკვირვებელთა" რანგში ხშირად ესწრებიან ეუთო-ს ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებებს, თუმცა მათი დასკვნები რადიკალურად განსხვავდება სხვა უფლებადამცავი ორგანიზაციების დასკვნებისგან. მაგალითად, აღნიშნული ორგანიზაცია თავის დროზე მილოშევიჩის აქტიურ დამცველად გამოდიოდა. ლუკაშენკოს დაცვა კი ამ უცნაურმა სამართალდამცველებმა მისი გაპრეზიდენტების დღიდან დაიწყეს. 1996 წელს ბელორუსში ჩატარებულ რეფერენდუმს საერთაშორისო დამკვირვებლებიდან მხოლოდ ბრიტანეთის ჰელსინკის კავშირის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მათ მიერ რეფერენდუმი ლეგიტიმურად და დემოკრატიულად გამოცხადდა.

ინტერნეტშივე გადააწყდებით ჯონ ლაფლენდის კიდევ ერთ საინტერესო სტატიას **"სასაკლაო, რომელიც არასოდეს მომხდარა"**, სადაც ეს უკანასკნელი მილოშევიჩს "ნატო-ს პროპაგანდისგან" იცავს. **"ნატო-მ მოიგონა მითი ეთნიკურ წმენდაზე და მასობრივ სასაკლაოზე, რათა გაემართლებინა საკუთარი შეჭრა იუგოსლავიის ტერიტორიაზე,"** - წერს ლაფლენდი.

ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფი, რომლის წარმომადგენელიც ბატონი ლაფლენდი გახლავთ, როგორც ჩანს, აქტიურადაა დაკავებული "უფლებადამცველი" ბიზნესით. ამ ორგანიზაციის საქმიანობა საკმაოდ შემოსავლიანი უნდა იყოს, რადგან მსოფლიოში ავტორიტარული მმართველობის "ლეგიტიმაციის" მსურველებს რა დალევს.

ერთი მათგანი ჩვენც გვყავს საქართველოში...

# "აღორძინების" ახალი "პროექტები" და ფანტაზიები

*"აღორძინების" დეპუტაცია, პოლიტიკური რეგრესის გარდა, როგორც ჩანს, ფანტაზიის დეფიციტსაც განიცდის: 28 მარტის არჩევნებში ნაწვნევი მარცხის შემდეგ, უმუშევრად დარჩენილმა დეპუტატებმა, ელიზბარ ჯაველიძემ და ანზორ აბრალავამ, გამსახურდიასდროინდელი უზენაესი საბჭოს შეკრებაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს. ამ "გრანდიოზული პროექტის" მიხედვით, 12 წლის წინათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულმა დეპუტატებმა თავი უნდა მოიყარონ, მუშაობა განაახლონ, ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნონ, საარჩევნო ადმინისტრაციები გადაახალისონ და... დაიშალონ.*

გიორგი ასანიშვილი

ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების სასარგებლოდ კიდევ ერთ არგუმენტს ასახელებს "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ბაქრაძე. მისი მტკიცებით, ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ არჩევნების წინ გაკეთებულმა განცხადებებმა, რომ აჭარაში მოსალოდნელი იყო დივერსიული აქტები, ასლან აბაშიძის მომხრეები, თურმე, ძალიან შეაშინა და არჩევნებზე მისვლა გადააფიქრებინა. **"აღორძინების" მიერ აღებული ექვსი პროცენტი რეალობას არ შეესაბამება,"** - ამტკიცებს ცოტნე ბაკურიას მოადგილე.

**"ახალი არჩევნების ჩატარების გარდა, სხვა გზას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივყავართ,"** - ხელისუფლებისთვის თვალის ახელას ცდილობს ანზორ აბრალავა.

თუ მმართველი ძალა "აღორძინების" "რჩევას" ყურს არ მიუგდებს და ახალ არჩევნებს არ დანიშნავს, რაც მას დაემართება, თავის თავს უნდა დააბრალოს - ელიზბარ ჯაველიძის თქმით, ის და მისი თანამებრძოლები 28 მარტის არჩევნების შედეგების გაყალბების თაობაზე ჯერ უმაღლეს სასამართლოს მიმართავენ, მერე კი დასავლეთზე "გავლენ".

თუმცა, არჩევნების გაყალბება რა მოსატანია იმასთან შედარებით, რასაც ხელისუფლება ახლო მომავალში აპირებს!

ცოტნე ბაკურიას თბილისში არყოფნის დროს, მისი მოადგილე საქმეებს არანაკლები შემართებით უძღვება - ზურაბ ბაქრაძეს სააშკარაოზე გამოაქვს ცენტრალური ხელისუფლების ჩანაფიქრი, რომელიც აჭარაზე წერტილოვანი დარტყმების მიყენებას გულისხმობს.



ანზორ აბრალავა და ადა მარშანია.

**"რადგან აჭარას მცირე ტერიტორია აქვს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციის ნაცვლად, იქ ლოკალური ბრძოლები გამართოს. ნავარაუდევია იერიშის მიტანა ჩოლოქის გამშვებ პუნქტზე, სარფის საბაჟოზე, ბათუმის პორტზე და ასლან აბაშიძის რეზიდენციაზე,"** - საიდუმლო ოპერაციის დეტალებს ახმაურებს ზურაბ ბაქრაძე.

**"ამ თამაშს ტრაგიკული დასასრული ექნება,"** - წუხს ანზორ აბრალავა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ვერაგული გეგმების რეალობაში ერთმა სატელეფონო ზარმა საბოლოოდ დაარწმუნა: გუშინ, დილის 6 საათზე, მისთვის უცნობ ქალბატონს დაურეკავს, რომლის შვილიც "კომანდოს ბატალიონში" მსახურობს, და ტირილით უცნობებია, რომ მისი ვაჟის სამხედრო ქვედანაყოფი ფოთში გადაიყვანეს. ვინაიდან ფოთიდან ბათუმი ერთი ხელის გაწვდენაზეა, რა შეიძლება იფიქროს გონიერმა პარლამენტარმა?

და მაინც, ეს მონაყოლი ან აბრალავას ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს, ან სიზმარი, რომელიც დილის ექვს საათზე გამოღვიძებულ დეპუტატს სინამდვილედ მოეჩვენა. თუ ასე არ არის, მაშინ რატომ დასჭირდა უცნობ ქალბატონს დილის ექვს საათზე აბრალავას გაღვიძება და მისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ლამის მთელი საქართველოსთვის იყო ცნობილი? - გუშინ თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ფოთში გაიმართებოდა სამხედრო სწავლება.

# შეიცვლება კრემლის პოლიტიკა კავკასიაში?

პირველი გვერდიდან

აპირებს თუ არა დღევანდელი რუსეთი კავკასიაში ახალი პოლიტიკის გატარებას და სრულიად ახალი იმიჯის შექმნას? - ამ შეკითხვაზე პასუხი თავად ვლადიმირ პუტინმა გასცა სოჭში ბოლო ვიზიტ-

კებთან შეხვედრების პარალელურად, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტისათვის მიცემული დავალებები პრესამ უკომენტაროდ დატოვა.

დღეს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი და ასაკოვანი ფი-

ლიდაციით დაიწყება და ჩეჩენ-ინგუშების ისტორიული შერიგებით დასრულდება. შემდეგ ჯერი კავკასიის სხვა ცხელი რეგიონების დარეგულირებაზე უნდა მიდგეს. ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ხშირად გამოსულა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირე-

ლიტიკური კონიუნქტურა. **"შევარდნაძე-არძინბას შორის შუამავალი კრემლის კაცი უნდა ყოფილიყო და არა ერთ-ერთი კავკასიელი ლიდერი,"** - ასე ხსნის ამ ფაქტს რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარე ჰეიდარ ჯამალი.

რუსეთის ხელისუფლება, როგ-

პროექტზე. იგი მიზნად ისახავს გათიშული რეგიონების შეერთებას, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაკავშირებას. ამ პროექტს რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს და ლობირებს. მაგალითად "ორი ოსეთის გაერთიანების" ბიზნეს-გეგმა დღესაც უჯრაში უდევს რუსეთის პარ-

მოსკოველ ანალიტიკოსებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ პუტინი კრემლის ახალ რიტორიკას, ახალ პოლიტიკას აყალიბებს. კავკასიის ხალხებთან დიალოგს რუსეთის პრეზიდენტი კავკასიაში გავლენიანი ლიდერების გამოყენებით აპირებს. ყველა წინაპირობა არსებობს

# სემეკ-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

*დღეიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე თამაშის ახალი წესები დამკვიდრდება. ეს წესები, მინიმუმ, ხუთი წელი იქნება ძალაში. სწორედ ამ ვადით ინიშნება საქართველოში ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) თავმჯდომარე. ბრძანებულებას ამ პოსტზე გია თავაძის დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტმა ხელი გუშინ მოაწერა. დავით მირცხულავას ახალი მემკვიდრე დღემდე აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის თავმჯდომარე გახლდათ. იგი საბითუმო ბაზრის სამეთვალყურეო საბჭოსაც ხელმძღვანელობს.*

მაია ურუშაძე

პრეზიდენტის მიერ სემეკ-ის თავმჯდომარედ წარდგენილი გია თავაძე, ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელისა და სარკინიგზო უწყების ხელმძღვანელ ლევან ვაშალომიძის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მესამე წარმომადგენელია, რომელიც მაღალ თანამდებობაზე ინიშნება. როგორც ჟურნალისტებს თავაძემ განუცხადა, მისი თანამდებობაზე დანიშვნა პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის და ახალ სამსახურში საქმისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმუშავებს.

სემეკ-ის ახლად დანიშნული თავმჯდომარე ორმოცდაათი წლისაა.

სამი თვეა, რაც საქართველოს ელქტროენერგეტიკული სექტორი, ფაქტობრივად, "უპატრონოდაა" დარჩენილი. ეს იმიტომ, რომ დარგის უმთვარესი მარეგულირებელი ორგანო, პრაქტიკულად, უფუნქციოა – მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სემეკის უკვე ყოფილ თავმჯდომარეს დავით მირცხულავას ამ სამი თვის წინ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და თანამდებობიდან


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ვინც თამაშის ახალ წესებს არ მიიღებს, ჯობს ახლავე დატოვოს სამსახური," - აცხადებს თავაძე.*

გაათავისუფლა, კომისიის თავმჯდომარის სკამი ვაკანტურია. თითქმის ერთი თვის წინ კი კომისიის ორი დარჩენილი წევრიც გადადგა. თანაც, დემურ ჩომახიძისა და პაატა ცინცაძის გადადგომა ზუსტად ერთი დღით უსწრებდა წინ დარგისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას.

ახლა, სამთვიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის უმთავრესი მარეგულირებელი ორგანო, როგორც იქნა, სრულყოფილად ამოქმედდება. სემეკ-ის ამუშავებას ელექტროენერგეტიკული ბაზრის ბევრი სუბიექტი მოუთმენლად ელის. მათ შორისაა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ-ი), რომელიც კომისიის გარეშე თავის დაუძინებელ მტრებს, ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებს" ვერ ერევა. თუ სემეკ-მა ლიცენზირების წესებში ცვლილებები არ შეიტანა და პირობები არ გაამკაცრა, გსეკ-ი საქართველოს რეგიონებში დენის გამანაწილებელ ერთადერთ დისტრიბუტორად ვერ დარჩება, ეს კი მას საინვესტიციო მიმზიდველობას დააკარგვინებს და, ამასთან, მისი მართვაც ერთიორად გაძნელდება.

გარდა ამისა, სემეკის გადასაწყვეტია მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი – ახლად აშენებული "ხადორჰესის" ბედი. სემეკ-ის ამოქმედებას ელიან პანკისის ხეობაში აშენებული 24-მეგავატიანი "ხადორჰესის" ინვესტორი ჩინელებიც – "სიჩუანის" კორპორაციას კომისიამ ერთობ საჭირბოროტო საკითხი უნდა გადაუწყვიტოს და სადგურს ტარიფი დაუმტკიცოს – ამ "ფორმალობის" გარეშე "ხადორჰესიდან" ენერგოსისტემა დენს ოფიციალურად ვერ შეისყიდის.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით უკვე ცნობილია. სექტორის სახელმწიფო კურატორი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური სადისტრიბუციო ბაზარზე თამაშის გსეკ-ისეულ წესებს იზიარებს, ხოლო "ხადორჰესის" ინვესტორთათვის მაღალი ტარიფის დაწესების წინააღმდეგია.

# საბაჟო დეპარტამენტს საზოგადოებრივი საბჭო გააკონტროლებს

დიანა ჩაჩუა

გუშინ, საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტში ახალი საზოგადოებრივი უწყების პრეზენტაცია მოეწყო. ამიერიდან, დეპარტამენტს რეფორმის სწორი კურსის განსაზღვრაში საზოგადოებრივი საბჭო დაეხმარება. საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც 7 ექსპერტი შედის, საზოგადოებას საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ წარუდგინა. როგორც მან აღნიშნა, წევრების არჩევის კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოს ნებისმიერ წევრს გარკვეული შეხება ჰქონდა საბაჟო სისტემასთან და **"მათ ზუსტად იციან ის ნაკლოვანებები, რითაც ხასიათდება დღევანდელი საბაჟო, იქნება ეს ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა თუ სამართლებრივი საკითხები,"** – დაამატა გოდაბრელიძემ.

საბჭოს ყველა წევრი საბაჟოს დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებით შეირჩა. მის შემადგენლობაში შედიან პარლამენტარი გივი თარგამაძე, შპს "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გია ხუხაშვილი, ამერიკის საბაჟო სამსახურის წარმომადგენელი ტომ ქალამი, ბიზნესმენი მამუკა ცაგარელი, ფინანსთა მინისტრის მრჩეველი კახა ერაძე, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თემურ მიმინოშვილი და ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე. როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი საბჭოს წევრებს ხელფასი არ ექნებათ. კვირაში ერთხელ, შაბათობით საზოგადოებრივი უწყება შეიკრიბება და სისტემაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევაზე იზრუნებს. **"საზოგადოებრივი საბჭოს რეკომენდაციები ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მის წევრებს საბაჟოსთან მიმართებაში დიდი გამოცდილება გააჩნიათ,"** - აღნიშნა გოდაბრელიძემ.


გოგიტა ბახაიძის ფოტო

*გოდაბრელიძეს ახალი მაკონტროლებლები ჰყავს.*

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა რიცხვი 222-მდე შემცირდება.

როგორც სააგენტო "ინტერპრესს" დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ განუცხადა, ამჟამად დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში 495 თანამშრომელი მუშაობს. ერთ კვირაში მზად იქნება დეპარტამენტის ახალი სტრუქტურის პროექტი, რის შემდეგაც გაირკვევა, კონკრეტულად რა შინაარსის რეფორმა გატარდება საბაჟო სისტემაში.

**"უნდა გაირკვეს, საჭიროა თუ არა 18 საბაჟო გამშვები პუნქტი. ალბათ, გაუქმდება აფხაზეთისა და რკინიგზის საბაჟოები. უნდა განისაზღვროს გამშვები პუნქტების მუშაობის საათებიც, კერძოდ ის, თუ რომელმა მათგანმა უნდა იმუშაოს 24 საათის განმავლობაში, რომელმა - 18 საათიანი რეჟიმით და სხვა"**- განმარტა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გოდაბრელიძის თქმით, უკვე გადაწყვეტილია, რომ საბაჟო სისტემა კვლავ რეგიონალური სტრუქტურით გააგრძელებს მუშაობას. **"თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სტრუქტურის დამტკიცების შემდეგ საჭიროა თანამშრომელთა გაფრთხილება და კანონის სხვა მოთხოვნების დაცვა, რეფორმის განხორციელება, სავარაუდოდ, თვენახევარში დაიწყება"** - დასძინა მან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აზერბაიჯანი სუფსაში ახალი ტერმინალის მშენებლობის პროექტს ამუშავებს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას ქართული მხარე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და მისი დანართები ამიერიდან ოფიციალურად გამოქვეყნდება. ეს გადაწყვეტილება თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სასარჩელო განცხადების საფუძველზე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულმა სარეკლამო კომპანიამ "იმპერიალ BBDO"-მ 2004 წლის ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით, საუკუნის მსოფლიო ხარისხის ჯილდო "Century International Quality Era Award" მიიღო. აღნიშნული ჯილდო Business Initiative Directions საერთაშორისო შესარჩევმა კომიტეტმა დააწესა, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი კომპანიები და სახელგანთქმული პიროვნებებია გაერთიანებული. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კომპანია "იმპერიალისთვის" ეს მე-2 საერთაშორისო აღიარებაა. საინვესტიციო ბანკ "The galt Taggart Securities Llc" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სარეკლამო კომპანია "იმპერიალი" საქართველოს 75 საუკეთესო კომპანიათა რიცხვში შევიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" წყალტუბოს ფილიალის 80-მდე თანამშრომელმა, რომლებიც ტესტირების შედეგად სამსახურიდან დაითხოვეს, რაიონულ სასამართლოს მიმართა. მათ მიაჩნიათ, რომ გასაუბრება შრომის შესახებ კანონის დარღვევით ჩატარდა, რადგან თანამშრომლებმა ტესტირების შესახებ მხოლოდ ორი დღით ადრე შეიტყვეს. თავის მხრივ, იმერეთის ენერგოკომპანიაში მიიჩნევენ, რომ გასაუბრება კანონის ფარგლებში ჩატარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ევროპა პლიუსი" უახლოესი მომავლიდან რადიომაუწყებლობას ტალღაზე FM 99,6 განახორციელებს. კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გუშინ რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მიღებაზე გამართულ კონკურსში "ევროპა პლიუსმა" გაიმარჯვა. პრეტენზიას, თავდაპირველად, 3 კომპანია - "ევროპა პლიუსი", "ქართული კულტურის ტალღა" და "მთაწმინდა - ტელე-რადიო კომპანია" აცხადებდა, თუმცა კონკურსის დაწყების წინ "ქართული კულტურის ტალღამ" საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. გამარჯვებული კომპანია უკვე 3 წელია მაუწყებლობს, თუმცა მას დღემდე საკუთარი სიხშირე არ ჰქონდა. **ინტერ-პრესი**

**სს "თელასი" აცხადებს კონკურს სხვადასხვა სახის ბლანკების ბეჭვდაზე**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 5 აპრილიდან; მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება. ტელ: 77 98 55 / 53; 77 99 29

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**5 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), თემქის IV კვარტლის, ცოდნისკარის, შატილის, საჩხერის, ირემაშვილის, ტყიბულის, ურეკის ქუჩების მაცხოვრებლებს

**5 აპრილს, 11.00-დან 17.00 სთ-მდე:**
სამგორის მე-2 დასახლების, ვარკეთილის მასივის ზემო პლატოს მაცხოვრებლებს.

**5 აპრილს, 11.00-დან 17.00 სთ-მდე:**
ვარკეთილი-3-ის I მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.
5 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ფოცხვერაშვილის, გოგოლის, კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**5 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გალაქტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, შალვა დადიანის, მაჩაბლის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში

"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში ანგარიშვალდებული იქნება საოპერაციო მენეჯერის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში პასუხისმგებელი იქნება ადგილებზე მოქმედი ხელმძღვანელობისა და ზედამხედველებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, პროაქტიური კონსულტაციების სახით, ყველა საქმიანობის მონიტორინგის გზით, რათა საქართველოში მოქმედმა სამუშაო ძალებმა განაგრძონ გარემოს დაცვის კონტროლის ყველა საჭირო ზომების მიღება, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კომპანიის, ასევე საერთაშორისო, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოების გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის სამუშაო ადგილი საქართველოში იქნება, თუმცა მას მოეთხოვება აზერბაიჯანში მოგზაურობაც.

იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უფროს საოპერაციო კონსულტანტთან გარემოს დაცვის დარგში (აზერბაიჯანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მიმართ მიდგომათა შეთანხმებულობა.

**როლები და პასუხისმგებლობები**
ამჟამად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონსულტაციები გაუწიოს ადგილზე მომუშავე მენეჯერებსა და ზედამხედველებს და განახორციელოს იმ პროცედურების და პრაქტიკის მონიტორინგი, რომლებიც აუცილებელია ISO 14001-ის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საოპერაციო HSO მენეჯმენტის სისტემების და მარეგულირებელი ორგანოების და ბრითიშ პეტროლეუმის გარემოსდაცვითი სტანდარტების განხორციელებისთვის
- განახორციელოს გარემოში ნარჩენების დაცლის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და განიხილოს ბუნებრივი გარემოს გამოკვლევები, რათა საჭიროებისამებრ რეკომენდაცია გაუწიოს მაკორექტირებელ ღონისძიებებს
- ჩაატაროს ოფიციალური და არაოფიციალური ინსპექციები და შემოწმებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთებზე, შეთანხმებული პროცედურების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ინციდენტების შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში და მოამზადოს ანგარიშები ამ ინციდენტების შესახებ
- მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციო ჯგუფის მიერ მანქანა-დანადგარების სუსტი მუშაობის გამოკვლევაში, როდესაც ასეთი მუშაობა დაუშვებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მოამზადოს სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშები და შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ISO 14001 გარემოსდაცვითი დოკუმენტით
- მოამზადოს პრეზენტაციები საზოგადოების ინფორმირებისთვის, გარემოსდაცვითი ფორუმებისა და თანამშრომლებთან საუბრებისთვის და ჩაატაროს ტრენინგები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის სფეროში
- იმუშაოს ადგილზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და კონსულტაციები გაუწიოს მათ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ყველა სახის საოპერაციო ღონისძიების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება, მილსადენის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (მაგ. ნარჩენების მენეჯმენტი და გარემოში გამოტყორცნების კონტროლი)
- იყოს წამყვანი კოორდინატორი ადგილებზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და ნავთობის დაღვრის სფეროში კონტრაქტორებთან, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების შედგენისას, სწავლებისას და დასუფთავების ოპერაციების დროს.
- დაამყაროს ადგილობრივი კავშირები ოპერატორებთან, პროექტებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ეკოლოგიური ლობირების ჯგუფებთან და სხვა კომპანიებთან, გარემოს დაცვის სფეროში
- დაესწროს საჯარო შეხვედრებს, როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის წარმომადგენელი ბინებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სფეროში

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს დაცვის სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.
საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**

# კოფი ანანის "კვიპროსის ექსპერიმენტი"

პირველი გვერდიდან

კერძოდ, გაერო-ს ქარტიის თანახმად, არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, შეიარაღებული ძალების გამოყენებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე, სხვა ქვეყნის საქმეებში ჩაერიოს. კვიპროსის შემთხვევაში, თურქეთისათვის გამამართლებელი იქნებოდა სამხედრო ჩარევა, თუკი მისი მოქმედება იქნებოდა ნამდვილი გარანტი იმისა, რომ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და კონსტიტუციური წესრიგი აღდგებოდა. მისიის დასრულების შემდეგ კი თურქეთის ჯარის ნაწილები კვიპროსის ტერიტორიიდან უნდა გამოსულიყვნენ. რეალურად კი თურქეთის, როგორც ხელშეკრულების შესრულების ერთ-ერთი გარანტის, მიზნები გამოიხატა იმაში, რომ კუნძულის მოსახლეობის მეოთხედი ლტოლვილად იქცა, აბსოლუტურად დაინგრა ქვეყნის ეკონომიკა და, რაც ყველაზე მთავარია, ოფიციალურმა ანკარამ გამოაცხადა "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა"(TRNC), რომელიც მხოლოდ მის მიერაა აღიარებული. ანკარას მიერ აღიარებული რესპუბლიკა დაგმო გაერო-ს უშიშროების საბჭომ № 541 და № 550 რეზოლუციებით და ყველა წევრ ქვეყანას მოუწოდა, თურქული კვიპროსის პირდაპირი თუ ირიბი აღიარებისაგან თავი შეეკავებინა.

მოგვიანებით თურქეთმა გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ სამხედრო ჩარევა არ იყო გამოწვეული ბერძენ და თურქ კვიპროსელებს შორის არსებული რელიგიური თუ სხვა განსხვავებით, არამედ ნაკარნახევი იყო თურქეთის გეოპოლიტიკური და სამხედრო ინტერესებით. ამას დაემატა რამდენიმე წლის წინ თურქეთის პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება: **"ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო კვიპროსის თურქი მოსახლეობისათვის, არამედ თვით თურქეთის უსაფრთხოებისათვის."** ეს თავის მხრივ ხაზს უსვამს მისი ამბიციების არსებობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში.

მას შემდეგ, რაც კვიპროსი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდა, დღის წესრიგში დადგა, შექმნილიყო პირობები ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად. გაერო-ს გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს მოწყობისა და ქვეყნის სიმბოლოების პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრილია. ქვეყნის ახალ დროშაზე ლურჯი ფერი საბერძნეთის წარმომადგენლობის სიმბოლო გახდება, წითელი - თურქეთის, შუაში მოქცეული სპილენძისფერი კი გაერთიანებულ კვიპროსს გამოხატავს.

კვიპროსელთათვის სამწუხაროა ის ფაქტი, რომ, მართალია, კვიპროსის ეროვნული ჰიმნი შეიქმნა, მაგრამ ის ტექსტის გარეშეა. მუსიკალური მელოდიისაგან განსხვავებით, ვერ მოხერხდა ბერძნული და თურქული ტექსტების "ჰარმონიზაცია." უპრეცედენტო სურათი იქმნება იმ მხრივაც, რომ მუსლიმებს დასვენება მოუწევთ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ხოლო ქრისტიანებს - მუსლიმური უქმე დღეების დროს. იმავე კოფი ანანის გეგმის მიხედვით, გაერთიანებული კვიპროსი ევროკავშირში ორი ლიდერით წარდგება. ქვეყნის მართვას განახორციელებს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, რომელთაგან ერთი ბერძენი იქნება, მეორე კი - თურქი. მათი პოსტზე მონაცვლეობა ყოველ 20 თვეში მოხდება. კვიპროსელებს საშუალება ეძლევათ, ხმა მისცენ ქვეყნის გაერთიანების ამ გეგმას ამა წლის 20 აპრილს, რათა კვიპროსი როგორც ერთიანი ქვეყანა, ისე შევიდეს ევროკავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ სრული დოკუმენტი საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის, გარკვეულია რამდენიმე მთავარი საკითხი, რასაც გაერო-ს გეგმა შეიცავს. იგი საშუალებას აძლევს თურქეთის რეგიონს, რომ ბერძნების კუნძულის ამ ნაწილში დაბრუნებამდე თვითმმართველობის გარკვეული ელემენტები შეინარჩუნოს. სხვა მხრივაც ცვლილებაა. გაერო-ს წინანდელი დოკუმენტებისაგან განსხვავებით, რეგიონში მხოლოდ იმ რაოდენობის ბერძენი უნდა დაბრუნდეს, რაც თურქი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენს, განსხვავებით მანამდე დაფიქსირებული 21 პროცენტისა. თურქულ საჯარისო ნაწილებს საშუალება ეძლევათ, სამუდამოდ დარჩნენ კვიპროსის ტერიტორიაზე სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, მაგრამ ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ მათი რაოდენობა 40 000-დან 650-მდე უნდა შემცირდეს. რაც შეეხება ქვეყნის მმართველობას, იგი წარმოდგენილი იქნება ბერძენი და თურქი პირებით. ასეთი შერეული მმართველობა და გარდამავალი პერიოდი, გაერო-ს გაანგარიშებით, დაახლოებით, ექვს წელიწადს გაგრძელდება. შესაძლოა, გათვალისწინებული იქნეს საბერძნეთის მოთხოვნა და ეს გარდამავალი პერიოდი გაერო-ს ზედამხედველობის ქვეშ გაგრძელდეს.

პირველი ეტაპი 2004 წლის 20 აპრილს მთავრდება, როდესაც გაირკვევა, ერთიანი იქნება თუ არა კვიპროსი. რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, შესაძლოა ევროპის კავშირში მხოლოდ კვიპროსის ბერძნული რეგიონი გაერთიანდეს, ხოლო მისმა მეორე ნაწილმა ეს ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვას.

პრეს-მერიდიანი

# ვარდებიანი მიშა

გავლენიანმა გერმანულმა გაზეთმა "დი ცაიტ" გამოაქვეყნა სტატია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ეძღვნება. **"მიხეილ სააკაშვილი პათოსისა და პრაგმატიზმის ნაზავია,"** - ასეთია სტატიის დედააზრი.

**"ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური დისკურსი ნალმებითა და კალაშნიკოვის ჯერითაა გაჯერებული, სააკაშვილი მოგზაურობს ერთი საოცარი იარაღით - ვარდით,"** - საქართველოს პრეზიდენტს გამარჯვების ეს სიმბოლო აჭარაშიც ახლდა, სადაც ადგილობრივი ფეოდალი ასლან აბაშიძე ნიღბოსან ბოევიკებზე დაყრდნობით ბატონობს და მიშამ ისევ გაიმარჯვა. ამაში, გაზეთის აზრით, გადამწყვეტი როლი პრეზიდენტის პოლიტიკამ შეასრულა: მან სიმკაცრისა და მოქნილობის შეზავებით აჭარაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარება შეძლო, სადაც გაიმარჯვა კიდეც. **"სააკაშვილი საქართველოს პერსონიფიცირებული უკანასკნელი იმედია."** ესაა ქვეყანა, რომელიც სამოქალაქო ომებისა და პუტჩის შემდეგ საარჩევნო უბნებსა და მოლაპარაკებების მაგიდაზე მშვიდობის გზით აღწევს გამარჯვებებს.

სააკაშვილს აქამდე რადიკალური ნაციონალისტისა და "ადვილად ფეთქებადი" კაცის სახელი ჰქონდა. მან გასული წლის ნოემბერში, საპარლამენტო არჩევნების გაყალბების შემდეგ, უამრავი ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, საკუთარ "აღმზრდელ" შევარდნაძეს დაუნდობლად ემუქრებოდა ჩაუშესკუს ბედით, ცეცხლოვანი სიტყვებით ზრდიდა პოლიტიკურ ტემპერატურას მასებში, შემდეგ კი, ვარდებით შეიარაღებული პარლამენტში შეიჭრა და შევარდნაძე აიძულა, გადამდგარიყო.

ამის შემდეგ გაზეთი სააკაშვილის გაპრეზიდენტებასა და დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადებას ეხება. არჩევნები საკმაოდ თავისუფალი იყოო, - აღნიშნავს ავტორი. დიდი მეფის საფლავზე ფიცის დადების შემდეგ **"სააკაშვილი ხალხის მორევში გადაეშვა, რათა გადაეკოცნა და გადახვეოდა მას."** მხურვალე ფიცი და ახალი დროშა - სააკაშვილისთვის პათოსი და პრაგმატიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

ემოციურისა და რაციონალურის ურთიერთშერწყმის მიზეზებს სტატიის ავტორი ქართულ ხასიათში ეძებს და წერს, რომ ესაა ქვეყანა, სადაც ემოციას ისევე აფასებენ, როგორც სტალინის საყვარელ წითელ ღვინოს და სადაც მისტიკური ნიშნები ხშირად ცივ არგუმენტებს უკვალოდ აცამტვერებს. **"ესაა მართვის სტილი, რომლითაც ჩვენთან ხალხის მობილიზება ხდება,"** - ავტორის თქმით, ასე ამშვიდებს "გათვლებისა" და "ემოციების" შემზავებელი პრეზიდენტი დასავლეთიდან ჩამოსულ უცხოელებს. იგი კარგი მოსაუბრეა, ხოლო მისი ბავშვური ღიმილის უკან ყველა მოწინააღმდეგის დამარცხების ამბიცია იმალება.

თუმცა, იგი საკმაოდ გონიერიც აღმოჩნდა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებს შეეკრა. სწორედ ნინო ბურჯანაძე ავსებს მას საკუთარი სიმშვიდითა და გამოცდილებით. **"ზოგიერთი ხიდი, რომელსაც მიშამ ცეცხლი წაუკიდა, სწორედ "ტემპერამენტის დამზღვევმა" ნინომ აღადგინა."**

ინგლისურიდან ფრანგულზე მოხტუნავე სააკაშვილი პოსტსაბჭოურ სივრცეში სახელმწიფოს ყველაზე პროდასავლური მეთაურია. პროფესორის ოჯახში აღზრდილმა, კიევში განთლების მიიღების შემდეგ, ამავე მიზნით დასავლეთს მიაშურა. მის სამუშაო ოთახში გამოფენილია ჯორჯ ვაშინგტონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების დიპლომები. აქვეა მისი



მიხეილ სააკაშვილმა ვარდები ბათუმშიც ჩაიტანა.

ინტერ-პრესი

პოლიტიკური იდეალის, ჯონ კენედის ავტობიოგრაფია.

1995 წელს შევარდნაძემ ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდის შეკრება დაიწყო. სააკაშვილი მოგვიანებით მისი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი გახდა, ხოლო 2000 წელს იუსტიციის მინისტრის პოსტი ჩაიბარა. მალე სააკაშვილმა შენიშნა, რომ ოპოზიციური ნიშა თავისუფალი იყო. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მან კოლეგებს სასახლეების ფოტოები დაულაგა და მიტაცებული ქონების კონფისკაციის შესახებ კანონის მიღება მოითხოვა. შევარდნაძისთვის ეს მეტისმეტი იყო. სააკაშვილმა მისი გუნდი დატოვა და კორუფციასთან მებრძოლის სახელი მოიხვეჭა.

ქალაქის საკრებულოში იგი საკუთარი პოლიტიკური მოძრაობის შექმნას შეუდგა და თან ხალხს საქმესაც აჩვენებდა - მოსწავლეებს სასკოლო ჩანთებსა და წიგნებს გადასცემდა, არემონტებდა სახლების სახურავებს, დემონსტრაციულად ანგრევდა უკანონო მშენებლობებს. ამასთან, მისი მეუღლე მართლმადიდებლურად მოინათლა და ქართული ისწავლა. საპრეზიდენტო არჩევნებისას იგი საკუთარი ხელით ურიგებდა მოსახლეობას სააგიტაციო ფურცლებს, სადაც მეუღლის ამბიციური გეგმებია გადმოცემული: კორუფციასთან და სიღარიბესთან ბრძოლა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

კორუფციასთან ბრძოლის პირველი შედეგები გაღატაკებული ქვეყნისათვის ჯერ მხოლოდ ზღვაში წვეთია. ამ ბრძოლამ ქვეყანას, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ჰაიტიზე დაბალია, საერთაშორისო დახმარება და ინვესტიციები უნდა მოუტანოს. სააკაშვილი ხმამაღლა ოცნებობს ნატო-სა და ევროკავშირში წევრობაზე. არჩევნების შემდეგ სააკაშვილმა გერმანია და აშშ მოინახულა.

გაზეთის აზრით, **"დასავლური ორიენტაციის მქონე სააკაშვილი კიდევ დიდხანს დარჩება მსოფლიოში მოხეტიალედ,"** რადგან ყველა გზა კვლავაც მოსკოვისაკენ მიდის. თუმცა, სააკაშვილმა პუტინის მისამართით ქების სიტყვები არ დაიშურა: **"რუსეთის ძლიერი და შემძლე პრეზიდენტი," "ორი ქვეყნის მეგობრობა," "ჩვენ მნიშვნელოვანი ქვეყანა ვართ,"** – ამ სიტყვებით მან მოსკოვის აღიარება დაიმსახურა. ადრე, მოსკოვში სააკაშვილს ქართველ ჟირინოვსკის უწოდებდნენ. ახლახან, სატელევიზიო დებატებში იგი ჟირინოვსკის გამოხდომებს **"სახელმწიფო მოღვაწისათვის შესაფერი სიდინჯითა და ირონიული ღიმილით"** პასუხობდა. ჟირინოვსკი აჭარაში ომის დაწყებას წინასწარმეტყველებდა. სააკაშვილმა კი მოლაპარაკებების გზით ეს გამოცდა წარმატებით ჩაატარა და იგი აბაშიძეს ხელისუფლებისაგან საბოლოოდ მოშორებას ხალხის უკმაყოფილებას მიანდობს. ასე რომ, **"ქართველებს, თბილისის "ვარდების რევოლუციის" მოხერხებულ ტაქტიკოსსთან ერთად, მათდა გასაოცრად, შორსმჭვრეტელი სტრატეგიც აურჩევიათ,"** - ასკვნის სტატიის ავტორი.


**საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
**აცხადებს კონკურსს**
**ვაკანტურ თანამდებობებზე**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რისთვისაც "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" ქართული ენის, მათემატიკისა და უცხო ენების ჯგუფებს დაემატებათ წევრები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)
**მათემატიკის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)
**ინგლისური ენის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)
**გერმანული ენის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)
**ფრანგული ენის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)
**რუსული ენის ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
საგამოცდო პროგრამის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
მონაწილეობის მიღება საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის აპრობაციებში, ანალიზსა და კორექტირებში;
მონაწილეობის მიღება სააპელაციო კომისიის მუშაობაში;
მონაწილეობის მიღება როგორც საინფორმაციო, ასევე ტესტურ კითხვათა ნიმუშების ბუკლეტების მომზადებაში;
მონაწილეობის მიღება საზოგადოებასთან ურთიერთობის დაგეგმვასა და წარმართვაში.
**საკვალიფიკაცო მოთხოვნები:**
უმაღლესი განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
საგნის სწავლების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
საგნის სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
გუნდური მუშაობის უნარი;
კომპუტერთან მუშაობის ჩვევები.
**ანგარიშვალდებულება:**
ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ჯგუფის ხელმძღვანელების წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.
თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია
**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 16 აპრილი**
**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელებ-


# ისრაელის მთავრობა შეტევაზე გადადის



არიელ შარონი.

გუშინ ისრაელის უდიდესი გაზეთისათვის - "მაარივი" - მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა შარონმა საკმაოდ მოულოდნელად განაცხადა, რომ იასირ არაფატსაც კი არ აქვს უსაფრთხოების გარანტია. ებრაული პასექის წინ გაკეთებული მუქარის მსგავსი სიტყვები პალესტინელთა ლიდერის მიმართ შარონს დიდი ხანია, არ უთქვამს. **"ყველა მიხვდა, რომ მშვიდობის გზაზე არაფატი წინააღმდეგობას წარმოადგენს,"** - ამბობს ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

**"ყველა, ვინც ხოცავს ებრაელებს, ზიანს აყენებს ისრაელის მოქალაქეებს ან გზავნის ხალხს ებრაელების მოსაკლავად, მიზანში გვყავს ამოღებული,"** - განუცხადა მეორე გაზეთ "ჰაარეც"-ს შარონმა, თუმცა ამჯერად არაფატის სახელი არ უხსენებია. მსგავსი გაფრთხილება გაისმა ლიბანის გასამხედროებული დაჯგუფება "ჰეზბოლას" ლიდერის შეიხ ჰასან ნასრალას მიმართაც.

ნიშანდობლივია, რომ შარონის მუქარის განცხადებები პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" სულიერი ლიდერის შეიხ აჰმედ იასინის მკვლელობიდან 10 დღის შემდეგ კეთდება. ამ ორგანი-

იასირ არაფატის პალესტინის ავტონომიიის მმართველობიდან ჩამოშორების აუცილებლობაზე ისრაელის მთავრობა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში საუბრობდა. მაშინ ზოგიერთი მინისტრი მისი გასახლების ან სულაც ლიკვიდაციის შესაძლებლობაზეც კი მსჯელობდა. თუმცა, მაშინ შარონმა აღიარა, რომ არაფატის ხელშეუხებლობის შესახებ ამერიკელებისაგან ჰქონდა მითითება მიღებული. თავად არაფატი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფება. იგი მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ რამალაში თავის რეზიდენციას არ ტოვებს და კატეგორიულად უარყოფს მიმდინარე ინტიფადას ფარგლებში განხორციელებულ ძალადობაში თავის მონაწილეობას, რომელიც უკვე 3,5 წლის განმავლობაში გრძელდება.

ამასობაში, კონფლიქტის ზონაში შეტაკებები გრძელდება. გუშინ იერუსალიმში "ალ-აქსას" სალოცავი კომპლექსის ტერიტორიაზე ისრაელის პოლიცია შევიდა. საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მათი ეს ქმედება პალესტინელ მოზარდთა მხრიდან გოდების კედელთან მლოცველი ებრაელებისათვის ქვების დაშენამ გამოიწვია. საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ ისრაელის პოლიციამ შეკრებილ მუსლიმთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზი და დამაყრუებელი ხელყუმბარები გამოიყენა. სააგენტო "ბი-ბი-სი" ავრცელებს ინფორმაციას შეტაკების შედეგად დაკავებულებისა და ათეულობით დაშავებულთა შესახებ.

"ალ-აქსას მეჩეთი" წმინდა მთაზე მდებარეობს და როგორც მუსლიმების, ასევე ებრაელებისათვის წმინდა ადგილს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2000 წლის სექტემბერში დაწყებულ ინტიფადას, პალესტინელთა მტკიცებით, სწორედ მა-

# "ოლიმპი" - დღევანდელობა და პერსპექტივები

*გამორიცხული არაფერია, მაგრამ "აიაქსის" სკოლაში მე მაინც ვერ მოვხვდები და ამჯერად "ოლიმპზე" გესაუბრებით ისეთივე აღტაცებით, როგორც "აიაქსზე" ვისაუბრებდი. ეს არის საფეხბურთო აკადემია - ცოცხალი, ჰარმონიულად განვითარებული ორგანიზმი, საქმიანი აწმყოთი და შესანიშნავი პერსპექტივით. მაგრამ, როგორი ექნება მომავალი, ეს სახელმწიფოზეცაა დამოკიდებული და მხოლოდ კერძო სტრუქტურა დღეს ამას ვერ განსაზღვრავს.*

დალი კუპრავა

"ოლიმპი" საფეხბურთო სკოლაა, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლითა და ლიცეუმით. "მალე გვექნება UEFA-ს და FIFA-ს მიერ ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებელიც, მოვამზადებთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სპორტულ ჟურნალისტებს, ექიმებს, იურისტებს, მენეჯერებსა და მწვრთნელებს," - თქვა აკადემია "ოლიმპის" პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ.

გუშინ აკადემია კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა მოინახულა. რამდენიმე ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ორი აუზი, სავარჯიშო ტრენაჟორებიანი დარბაზები, საკლასო ოთახები, კომპიუტერული კლასი, მომღერალთა გუნდი, კედლებზე გამოფენილი ნახატები - ყველაფერი ნამდვილი, მოქმედი და ცოცხალი. მინისტრს მოსაჩვენებელი არაფერი უნახავს - აუზში ბავშვები დაცურავდნენ, დარბაზში ვარჯიშობდნენ, მოედნებზე ფეხბურთს თამაშობდნენ, სასადილოში სადილობდნენ, მერხებთან ბავშვები ისხდნენ და ნამდვილი წიგნებით ნამდვილად მეცადინეობდნენ. დერეფნებშიც კი, ბავშვები რაღაც სხვანაირ სალამს იძლეოდნენ - ხალისიანს და ნამდვილს, არა სავალდებულოს.

აკადემია, ორი წელია, არსებობს. სპორტული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დაბალანსებულ რეჟიმში მუშაობს. მოზარდები სპორტულ მიღწევებს და საგანმანათლებლო შეფასებას თანაბარი პასუხისმგებლობით ეპყრობიან. როგორც ცნობილია, "აიაქსის" სკოლაში მათემატიკაში არადამაკმაყოფილებელ შეფასებას საუკეთესო სპორტული მონაცემების მოზარდსაც არ პატიობენ... **"რამდენიმე ბავშვმა ჩვენი სკოლა დატოვა, რადგან "მოეჩვენათ", ძალიან ბევრს და მკაცრად გვთხოვენო,"** - გვითხრა თორნიკე ბერიშვილმა, აკადემიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის მოადგილემ. იგი აკადემიის ფსიქოლოგია, რომელიც თვალს ადევნებს, რომ არ დაირღვეს მოზარდის ჰარმონიული განვითარების პროცესი, ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა ასაკთან დაბალანსებული იყოს.



ახალგაზრდა მინისტრი "ოლიმპით" კმაყოფილია.

სკოლაში მხოლოდ მეთერთმეტე კლასი არ ჰყავთ. სასკოლო პროგრამა სახელმწიფო სტანდარტს ექვემდებარება. ხარისხს კარგი პედაგოგები და საინტერესოდ წარმართული სასწავლო პროცესი განაპირობებს. **"პედაგოგების შესარჩევად ჩვენ სპეციალისტების კომენტარებს და შემოთავაზებულ პარამეტრებს ვითვალისწინებთ. დღევანდელი პირობებისთვის ხელფასი საშუალოა; სასურველია მეტი, მაგრამ ჯერჯერობით ვკმაყოფილდებით. ჩვენი დაფინანსების წყარო სწავლის გადასახადია,"** - თქვა სკოლის დირექტორმა მიხეილ ჩიკვილაძემ.

ფეხბურთის აკადემიის ძირითადი ინვესტორი თეიმურაზ უგულავაა - "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მეპატრონე. სკოლის მესვეურების მიერ ნიჭიერი ბავშვების რეგიონებიდან ჩამოყვანა, მათი უგადასახადოდ სწავლება და ცხოვრება, ინვესტორის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სწავლის გადასახადი აკადემიის ხარჯს ვერანაირად ვერ აუვიდოდა. ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად აკადემიის ხელმძღვანელებს სახელმწიფოსთან თანამშრომლობის იმედი აქვთ.

რა პრიორიტეტებს განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა; რომელ მინისტრს "გაულიმებს" ბედი და ვის სფეროს შეხვდება მეტი დაფინანსება? - თუ საკითხს ასე დავსვამთ, ნაბიჯის წინ გადადგმა გაჭირდება.

**"საბნის გადაქაჩვის პრინციპი, ვის უფრო მეტი შეხვდება და ერთი სფეროს ხარჯზე მეორე რომ განვითარდეს, სწორი არ არის. სამინისტრო არჩევანს ვერ გააკეთებს და პრიორიტეტს ცალსახად ვერ განსაზღვრავს - კულტურა უნდა განვითარდეს, სპორტი თუ ძეგლთა დაცვა,"**- თქვა მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. პარლამენტში უნდა დამტკიცდეს კანონები, რომელიც სპორტის და კულტურის გასავითარებლად ფილანტროპიას დაიხმარს, საგადასახადო სისტემას ისე დაარეგულირებს, რომ ამ სფეროებში კერძო ინვესტიცია და გამჭვირვალე ბიზნესი წამგებიანი არ იყოს. დღეს მთავრობასა და პარლამენტში ერთიანი პოლიტიკური გუნდია და კანონპროექტის მომზადებისა და პარლამენტში გატანის პროცესი სინქრონული იქნება. პარლამენტი მხოლოდ კანონის წარდგენის შემდეგ არ დაიწყებს ფიქრს, კარგია თუ ცუდი. **"რა თქმა უნდა, საბიუჯეტო დანახარჯი ვერ იქნება იმდენი, რაც სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის სფეროს სჭირდება, მაგრამ საკანონმდებლო დონეზე შეღავათები დაწესდება და სპორტსა და კულტურაში ინვესტიციებს ხელი შეეწყობა. ეს უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი"**, - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა.

# საკრებულო მშენებარე კოოპერატიული კორპუსების დასრულებას ითხოვს

*თბილისის საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიამ გუშინდელ სხდომაზე კოლეგებს წარუდგინა პროგრამა, რომელიც 2004 წლისთვის სამი მშენებარე კოოპერატიული კორპუსის დასრულებას და დანარჩენი კორპუსების აშენების ვალდებულების ცენტრალური ბიუჯეტისთვის გადაბარებას ითვალისწინებს. ფრაქცია "დემოკრატები" ამ პროგრამის განხილვის დროებით შეჩერებას მოითხოვს. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დამცველი ასოციაცია კი მიიჩნევენ, რომ მოცდა პრობლემას უფრო გაამწვავებს.*

ნანა ქადაგიშვილი

1980-90-იანი წლებიდან მშენებარე კოოპერატიულ ბინებს ამჟამად 4 500 მოქალაქე ელის. მათი კუთვნილი 45 სახლის ფართი შეადგენს 375 888 კვადრატულ მეტრს, რისი ღირებულებაც 157 253 100 ლარს აღწევს. ამ ხალხის უმრავლესობას საკუთარი ბინის ღირებულება მთლიანად აქვს გადახდილი, ნაწილს კი - სანახევროდ. შეგახსენებთ, რომ კოოპერატიული სახლების მშენებლობები 1992 წელს, ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო, შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებისგან მეპაიეთა მიერ შეტანილი თანხები ისესხა და, სამაგიეროდ, მშენებლობების დასრულება ითავა. პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, ეს მშენებლობები ქალაქის ბიუჯეტიდან 2006 წლამდე უნდა დაფინანსდეს. სახელმწიფომ კი 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი კოოპერატიული სახლის აშენება მოახერხა და 2 413 113 ლარი (კომპენსაციის სახით) გასცა - ანუ სულ 181 მოქალაქე დააკმაყოფილა. რიგში კიდევ 4 500 ადამიანი დგას. როგორც თბილისის საკრებულო აცხადებს, სახელმწიფო მათი ვალის გასტუმრებას ერთი საუკუნის მანძილზეც ვერ მოახერხებს.

არის კიდევ ერთი პრობლემა - მშენებარე კოოპერატიულ ბინებში დევნილები თვითნებურად შესახლდნენ, რასაც მაშინდელი ხელისუფლების უმოქმედობამაც შეუწყო ხელი. დღეს კი მათი იქიდან გამოყვანა უკვე ძალიან ძნელია. არადა, მეპაიეებსა და დევნილთა შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა და საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც მივიდა. ამის მიუხედავად, ქალაქის მთავრობა, ჯერჯერობით, ამ პრობლემის მოგვარებისგან თავს იკავებს. თუმცა, თბილისის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული გვარწმუნებს, რომ დევნილებს უკანონოდ დაკავებული კორპუსების დაცლა მალე მოუწევთ.



კოოპერატიულ ბინებს 4 500 მოქალაქე ელის.

იმ მეპაიეთა საქმე კი, რომელთა კუთვნილ ბინებში არავინ შეჭრილა, შედარებით უკეთაა. თუმცა, დაბრკოლება აქაც უამრავია. საკრებულო კოოპერატიული ბინათმშენებლობების 15 წევრს, კუთვნილი ბინის სანაცვლოდ, დიდ დიღომში ამ ბინის ღირებულების მიწის ფართს სთავაზობს. როგორც პაატა ჯიბლაძე აცხადებს, ამისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი მომზადებულია, მაგრამ საქმეს ის აჭიანურებს, რომ ქალაქის მთავრობა ვერა და ვერ დამტკიცდა. ამის გარდა, საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ წარმოდგენილი პროგრამა წლის ბოლომდე 3 კოოპერატიული მშენებარე კორპუსის დასრულებას ითვალიწინებს. ამ აზრს თბილისის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხულიც ეთანხმება და აცხადებს, რომ 2004 წლის ბიუჯეტში კოოპერატიული კორპუსებისთვისაც მოხერხდება თანხის გამოძებნა. მას ასეთი განხადების საფუძველს ფინანსთა მინისტრის დაპირება აძლევს - ქალაქის ბიუჯეტის 70 მილიონით გაზრდა. თუმცა, ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე დავით ხუციშვილი აღნიშნული პროგრამის განხილვის გადადებას ითხოვს ახალი მთავრობის დამტკიცებამდე, - მერე, შეიძლება, ბევრი რამე შეიცვალოსო. ჯიბლაძე და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დამცველი ასოციაციის ხელმძღვანელობა კი აცხადებენ, რომ აღნიშნული პროგრამის შემუშავება ბიუჯეტის დამტკიცებამდე თუ არ მოესწრო, საქმე უარესად გაჭიანურდება. ამას კი მეპაიეთა საპროტესტო აქციები მოჰყვება.

# ახალი "ერთეული" ჯანდაცვის სისტემაში

*მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში იქმნება სრულიად ახალი სტრუქტურა - "ჯანდაცვის პოლიტიკის ერთეული", რომელიც იმუშავებს სისტემაში შექმნილ სიტუაციურ ანალიზზე, ამასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების ვარიანტებზე, ვალდებულებების ფუნქციურ განაწილებაზე, კომპეტენციის მიხედვით, უფლებამოსილებების გამიჯვნაზე, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და ა.შ. -ყველაფერზე, რაც დარგის განვითარებისთვის არის სასიცოცხლოდ აუცილებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კონცეფციის განხილვა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მოეწყო.*

ზაზა ფაჩუაშვილი

"ჯანდაცვის პოლიტიკის ერთეულის ფუნქციური გეგმა" წარმოადგინა ორგანიზაციის - "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისთვის," ექსპერტმა დავით გზირიშვილმა, რომელმაც პრეზენტაციის შემდეგაც არაერთ წამოჭრილ კითხვას გასცა პასუხი. ძირითადი მსჯელობა გაიმართა მომავალი სტრუქტურის მდგრადობისა და მისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხების გარშემო, თორემ მის საჭიროებაზე ორი აზრი არავის გამოუთქვამს.

მსოფლიო ბანკი ვალდებულებას იღებს, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის ახალ ერთეულს 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ყველაფრით - აღჭურვა, რემონტი, სწავლება, კონფერენციები, ხელფასები. ოღონდ, როგორც გაირკვა, მსოფლიო ბანკი ელოდება სახელმწიფოს პოზიციის დაფიქსირებას რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით - სჭირდება თუ არა სახელმწიფოს ამგვარი სამსახური და შეინარჩუნებს თუ არა მას 5 წლის შემდეგაც, როცა მსოფლიო ბანკის დაფინანსება შეწყდება. ამასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა განაცხადა:

**"აბსოლუტურად ვეთანხმები აზრს, რომ სახელმწიფომ დღესვე უნდა დააფიქსიროს, რამდენად ფასეულია მისთვის ეს პროექტი და რომ ის ხუთი წლის შემდეგაც შეინახავს აღნიშნულ სტრუქტურას ან შექმნის პირობებს მისი არსებობისა და ფუნქციონირებისათვის. ამასთან დაკავშირებით, როგორც მინისტრს, მიმაჩნია, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის ერთეული უნდა იყოს და მუშაობდეს მუდმივად, იმიტომ, რომ ცოტა ხანში არა მარტო ჯანდაცვას, არამედ ყველა სხვა სფეროს დასჭირდება სწორი პლიტიკის, ზუსტი ანალიზის და შესაბამისი გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი უწყება".**

განხილვაზე ძირითადი საკითხის (კონცეფციის საერთო მოწონება და სახელმწიფო პოზიციის დაფიქსირება) გარკვევის შემდეგ მსჯელობა გაგრძელდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც სამუშაო ვითარებაშია მოგვარებადი - "ერთეულის" სახელწოდება, დამოუკიდებლობის ხარისხი და ა.შ. თუმცა, ამასთან დაკავშირებული კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

შემაჯამებელი სიტყვა ისევ მინისტრმა წარმოთქვა. გიგი წერეთელი:

**"ნუ შეგვექმნება ისეთი აზრი, რომ მიმდინარეობს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის მეორე დოკუმენტის შემუშავება. ეს იქნება სამინისტროს შემადგენელი ნაწილი - ასე ვთქვათ, ერთი ხელი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს შეასრულებს. შედეგებს კი სამინისტროში წარმოადგენს და ჩვენ გადავწყვეტთ, რა იქნება რეალიზებადი და რა წარვადგინოთ პარლამენტში დასამტკიცებლად.**

**გეთანხმებით, რომ, მთლიანობაში, კონცეფცია მისაღებია. ასეთი "ერთეული" უნდა ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ბაზაზე".**

ამის შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აცნობებდა მსოფლიო ბანკს, რომელიც, შესაბამისად, დაიწყებს პროექტის პირველი ეტაპის განხორციელებას - კადრების შერჩევას.

# ახალი ხელისუფლება უმუშევრებისთვის ვეღარ იცლის

*უმუშევრობის პრობლემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოგვარება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის პრეროგატივაა. ამ თვალსაზრისით, ახალი კანონმდებლობის საფუძველზე, 2002 წლიდან მოქმედებს უმუშევართა და მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო 92-მა უმუშევარმა და თავისი ბიზნესი გააფართოვა 80-მა მცირე და საშუალო მეწარმემ.*

თამარ შველიძე

პროგრამა წარმატებული იყო. იგი ხელს უწყობდა უმუშევრობის შემცირებას, რაც დღეს ქვეყნისთვის ნომერ პირველი პრობლემაა, მაგრამ, სამწუხაროდ, 2003 წლის უმუშევართა და მცირე მეწარმეთა

დაადგა. ეს გაურკვეველი მიზეზი, სავარაუდოდ, განაპირობა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ხელმძღვანელობის შეცვლამ, რასაც დაფინანსების შეფერხება მოჰყვა. თანხა, რომელიც უმუშევრებს და მცირე მეწარმეებს იანვარში უნდა მიეღოთ, ჯერაც არ მიუღიათ.

ის, რომ სახელმწიფოს დახმარებით ბანკიდან უპროცენტო სესხი აეღოთ და საკუთარი ბიზნესი წამოეწყოთ. მათ მეწარმეთა უნარ-ჩვევების გამოსავლენად გაიარეს ფსიქოლოგიური ტესტირება, ბიზნესსაფუძვლების ტრეინინგი; მოამზადეს ბიზნეს-გეგმა (პროექტი) და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მომავლისადმი რწმენა გაუჩნდათ; მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პროგრამა შუა გზაზე შეჩერდა.

პროგრამის განხორციელება შეფერხებულია ფონდის მხრიდან. სწორედ ამის გამო, არ გასცემს კომერციული ბანკი თანხას უმუშევრებზე და მცირე მეწარმეებზე, რაც მათი ბიზნესის დასაწყებად

დენიმე დღის წინათ ფონდში ის ადამიანები მივიდნენ, ვინც თავს მოტყუებულად მიიჩნევს და პროგრამის გაგრძელებას ითხოვს. მათ შორის მრავალშვილიანი ქალბატონიც გახლდათ, რომელიც ხელძღვანელი პირების გულგრილობამ აღაშფოთა.

ირინა ციხისელი: **"სამი შვილი მყავს. მე და ჩემი მეუღლე უმუშევრები ვართ. როდესაც ამ პროგრამის შესახებ გავიგეთ, იმედი მოგვეცა. რისკის ფაქტორი გადავლახეთ და ჩვენი შვილების მომავლისთვის დავიწყეთ ბრძოლა. ტესტირებაზე ისე ვღელავდი, ლამე არ მეძინა. შვილებისაც მრცხვენოდა, - როგორ მეთქვა,**

**ახლა აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გვიკავებენ ფულს. რატომ არ მიჰყავთ საქმე ბოლომდე?! ვის მივმართოთ აღარ ვიცით. ასეთი სამართლით თუ ვაპირებთ ახალი საქართველოს შენებას, შორს ვერ წავალთ. სახელმწიფოსადმი რწმენა დავკარგეთ".**

საქმის ბოლომდე მიყვანაში კი იგულისხმება კომერციული ბანკის მხრიდან უმუშევრის მიერ შედგენილი ბიზნეს პროექტის დამტკიცება, რასაც შეღავათიანი სესხი უნდა მოჰყვეს. აღნიშნული პროექტები წლის დასაწყისში მოიწონა სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმაც, რომელიც პროგრამის ძირითადი დამფინან-

თანხის გადარიცხვა დღემდე ვერ მოხერხდა.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელმა შეხვედრა დაუთქვა უმუშევრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფონდში მისულ ადამიანებს მასპინძელი ადგილზე არ დაუხვდათ, რამაც მათი უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ამის შემდეგ გაწბილებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალი მინისტრისთვის მიემართათ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის ლადო ჭიპაშვილ-

# პრეზიდენტის ლიკვიდაციას აჭარის უმაღლესი ხელმძღვანელობა გეგმავდა

პირველი გვერდიდან

უშიშროების სამინისტროს მიერ თავდაპირველად ჩატარებული მოკვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ბაკურიძე-გოგიტიძის ქილერთა ჯგუფის წევრები თავდასხმას ოპოზიციურ ლიდერებზე გეგმავდნენ – საუბარია კობა ხაბაზის, ლევან ვარშალომიძის და ედვარდ სურმანიძის ლიკვიდაციაზე. **"თუმცა, მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ეს ვერსია სპეცსამსახურებისთვის კვალის არევას ისახავდა მიზნად. რეალურად კი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია იგეგმებოდა. ქილერთა 6-კაციანი ჯგუფიდან დაკავებულ ლერი ბერიძეს, გია საგინაძეს და ბადრი საგინაძეს კიდევ ერთი, ედვარდ მსხალაძეც შეემატა, რომლის დაკავებაც დღეს მოხერხდა. გამოძიება გრძელდება და უშიშროების სამინისტრო ამჟამად დარჩენილი ორი წევრის - გოჩა სიამაშვილისა და ჯამბურ გუჩმანიძის დაკავებისთვის მუშაობს,"** – განაცხადა გიგი უგულავამ, რომელმაც პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმის ორგანიზების ვერსია მათ მიერ მოპოვებული ოპერატიული დეტალებით გაამყარა. ლერი ბერიძე, მეტსახელად "ქილერი", დაკავებამდე 2 კვირის მანძილზე იმყოფებოდა თბილისში და სწავლობდა პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტს, რომელიც დაკავებისას მას თან აღმოაჩნდა, თავდასხმისთვის ხელსაყრელი პოზიციის შესარჩევად. ხოლო გოჩა სიამაშვილი და ჯამბულ გუჩმანიძე, რომლებიც ახლა აჭარას აფარებენ თავს, პრეზიდენტის წალენჯიხაში ვიზიტისას სამეგრელოში იმყოფებოდნენ, **"მაშინ, როდესაც ჩვენი ინფორმაციით, ეს ხალხი, პრაქტიკულად, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას არ ტოვებს,"** – განაცხადა გიგი უგულავამ.

რაც შეეხება გუშინ დაკავებულ ედვარდ მსხალაძეს, ის 28 მარტს, გურიაში პრეზიდენტის ვიზიტს "აკონტროლებდა".

არსებული ინფორმაციით, ტერორისტთა ჯგუფის ლიდერის "ქილერისა" და აჭარის მაღალჩინოსან სამართალდამცველთა მჭიდრო ურთიერთობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო. მაშინ ბერიძეს ბათუმის სასამართლოს მიერ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ბაკურიძის დახმარებით, პატიმრობიდან ოთხ თვეში გაათავისუფლეს და მათი "თანამშრომლობაც" აქედან დაიწყო.

ლერი ბერიძის გვარი გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა აჭარის პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თემურ ინაიშვილის მკვლელობის მონაწილედაც დაასახელა. შეგახსენებთ, რომ გენპროკურორის განცხადებით, ინაიშვილის მკვლელობა სწორედ სოსო გოგიტიძემ და დავით ბაკურიძემ შეუკვეთეს. მათთვის ამ და სხვა მძიმე დანაშაულებისთვის წაყენებულ ბრალდებას კიდევ ერთი დაემატა – დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების წინააღმდეგ. ამ დანაშაულით გათვალისწინებული რომელიმე მუხლით წაეყენება თუ არა ბრალი აჭარის იმ უმაღლეს ხელმძღვანელს, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მკვლელობას გეგმავდა, ამის შესახებ სამართალდამცველები ჯერჯერობით არ საუბრობენ.

# საბჭოური გამოძიების ხანა სრულდება

პირველი გვერდიდან

**"საბჭოური გამოძიება ძვირი, მოუქნელი და არაეფექტურია",** - ასე შეაფასა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და აღნიშნული კანონპროექტის მთავარმა სულის ჩამდგმელმა ლადო ჭანტურიამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც დღეს მოქმედებს. ფაქტობრივად, სწორედ დასახელებული მიზეზები გახდა საბაბი საქართველოში ახალი კანონის შესაქმნელად, რაზეც ქართველ იურისტებთან ერთად ევროსაბჭოს, გერმანიის და აშშ-ს იუსტიციის საბჭოს წამყვანი ექსპერტებიც მუშაობდნენ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლადო ჭანტურია გიორგი პაპუაშვილს ახალი კოდექსი გადასცა.

კანონპროექტმა დღევანდელი სახის მიღებამდე დიდ ქარ-ცეცხლში გამოიარა და ბევრი ცვლილებაც განიცადა. თუმცა, როგორც თავად ავტორები და სპეციალისტებიც ვარაუდობენ, იგი პარლამენტში წარდგენამდე და საბოლოო სახის მიღებამდე გარკვეულ სახეცვლილებას კიდევ განიცდის.

**"ახალი პროექტი მთლიანად შეესაბამება განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოების მოთხოვნებს სისხლის სამართლებრივ და იუსტიციის სფეროში. იგი ითვალისწინებს გამოძიების გამარტივებას, მსაჯულთა ინსტიტუტის განმტკიცებას, სამინისტროებისთვის საგამოძიებო უფლებების მინიჭებას და სხვა საკითხებს. ამავე დროს, ბრალდებულის უფლებების დაცვას, რაც სავსებით შეესაბამება ევროპულ კონცეფციას",** - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ლადო ჭანტურიამ.

ახალ "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" კანონპროექტს ქართული სინამდვილისთვის უცხოს ნამდვილად ველარ ვუწოდებთ, რადგან მასში წარმოდგენილი ბევრი ინსტიტუტი, პრაქტიკულად, უკვე დაინერგა. მათ შორის, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, რაც კონსტიტუციაშიც არის დამტკიცებული (სხვათა შორის, პროექტში არსებობს ალტერნატიული ვარიანტი, ანუ პროცესში ექვსი მსაჯულის მონაწილეობა) ასევე, გარიგებითი მართლმსაჯულების ინსტიტუტი და სხვადასხვა უწყებებისთვის გამოძიების უფლების გადაცემა (იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროები). ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პროექტის ცალკეულმა მუხლებმა გაამართლა და მათ ქართველი სამართალდამცველები უკვე იყენებენ.

ახლა, კანონის სრული ამოქმედებისთვის მთავარია საპრეზიდენტო და საპარლამენტო გამოცდა. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ახალი მოწვევის პარლამენტს იგი განსახილველად, სავარაუდოდ, შემოდგომაზე გადაეცემა.

**"ამ პროექტით, კანონმდებლობაში დიდი ცვლილებები შევა და შეიქმნება ისეთი კოდექსი, რომლის შეცვლაც კარგა ხნის მანძილზე საჭირო აღარ გახდება. პროექტის საბოლოო სახის მისაღებად, იუსტიციის სამინისტროს მუშაობა არ იქნება კარჩაკეტილი და მასში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე უცხოელი ექსპერტებიც",** - განაცხადა პროექტის ჩაბარების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა.

ბრიფინგის დასასრულს, პროექტზე მუშაობით და ქართველ კოლეგებთან ურთიერთობით კმაყოფილება გამოთქვეს იმ უცხოელმა ექსპერტებმაც, რომლებმაც ქართული სამართალწარმოების დახვეწაში საკუთარი წვლილი შეიტანეს.

# ფინანსურმა პოლიციამ დაკითხვაზე დაბარებული ბიზნესმენი საკანში გადაიყვანა

*ბოლო დროს დაწყებულ ანტიკორუფციულ ბრძოლაში ახლადშექმნილი უწყება - ფინანსური პოლიციაც ჩაერთო. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა დამკვიდრებულ ტრადიციას არ უღალატა, შპს "სდკ"-სა და შპს "ელსერვისის" დირექტორი შალვა ბურჯალიანი დაკითხვაზე დაიბარეს, ეჭვმიტანილად ცნეს და შემდეგ დააკავეს.*



ინტერ-პრესი

*ფინანსურმა პოლიციამ დაპატიმრებები დაიწყო.*

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილის ჯემალ კობაიძის განცხადებით, ბურჯალიანი, რომელიც ექსპორტ-იმპორტით იყო დაკავებული, ბიუჯეტისთვის 200 ათასი ლარის დამალვაშია ეჭვმიტანილი.

ჯემალ კობაიძის ინფორმაციით, ბურჯალიანმა "სდკ"-ს მეშვეობით ჩატარებული ოპერაციებიდან ნაწილის დეკლარირება მოახდინა საგადასახადო ინსპექციაში, თუმცა რეალურად ბიუჯეტისთვის ეს თანხა არ გადაუხდია. **"ფინანსურ პოლიციას დადასტურებული აქვს ასევე არაერთი შემთხვევა, როცა ბურჯალიანი სახელმწიფოს ატყუებდა და გადასახადებს მალავდა. არსებობს ეჭვი, რომ ბურჯალიანს სერიოზული მფარველები ჰყავდა, რომელთა ვინაობის დადგენასაც გამოძიება ცდილობს,"** – აცხადებს კობაიძე და იგი კონკრეტული ინფორმაციებით ამაგრებს ბურჯალიანის დანაშაულს, რომლის მიხედვითაც, შალვა ბურჯალიანმა სააქციო საზოგადოება "ვაზიანს" მიაწოდა ღვინო-მასალა და საგადასახადო ანგარიშფაქტურაში აქციზის გადასახადი არ აღრიცხა, რითაც სახელმწიფოს 7 ათას 500 ლარზე მეტი დაუმალა.

ბურჯალიანის ფირმამ საქონელი საქტელერადიოკორპორაციას მიაწოდა და გადასახდელი დღგ საგადასახადო ინსპექციაში არ წარადგინა. ამ შემთხვევაში მან ბიუჯეტს 2 ათას ლარამდე დაუმალა.

გარდა ამისა, ეჭვმიტანილმა კონტრაბანდის სახით შემოტანილ კომპიუტერულ ტექნიკაზე ყალბად შეადგინა ოთხი ცალი საბაჟო დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, მას თითქოს გადახდილი ჰქონდა 13 ათას 400 ლარზე მეტის დღგ.

ბურჯალიანი საგადასახადო ანგარიშფაქტურებს, სასაქონლო ზედნადებსა და საბაჟო დეკლარაციებს ყალბად ამზადებდა. შპს "ელსერვისის" სახელით განხორციელებული ოპერაციების დროს, ეჭვმიტანილმა ამ ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით, კვლავ დაუმალა საგადასახადო ინსპექციას 55 ათას 800 ლარზე მეტი.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა ბურჯალიანი დაადანაშაულა განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისთვის არაერთგზის თავის არიდებაში; საბაჟო წესების დარღვევაში, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით და არაერთგზის; ყალბი საგადასახადო და ქონებრივი უფლებამოსილების დოკუმენტების დამზადება-გამოყენებასა და საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევაში. დაკავებული ბიზნესმენი ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გუშინვე გადაიყვანეს. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი დაპატიმრების ბრძანების მისაღებად სასამართლოს დღეს შუამდგომლობით მიმართავს.

*24 საათი*

# კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს ობიექტზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამშენებლო ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძელზე. საველე მეთვალყურე ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიურ და მიწისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობას დაამყარებს გარეშე დაწესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- მშენებლობისას მიწის სამუშაოების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
- სამშენებლო სამუშაოების მიწისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
- ობიექტის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი საველე ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
- გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრეინინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
- პროექტის სხვა საველე პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
- ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორის მიერ კონატრაქტის პირობების შეუსრულებლობის ირგვლივ, რათა მან კონატრაქტორს ამის შესახებ სპეციალური გაფრთხილებები მისცეს.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება მარშრუტის სპეციფიკურ/ლოკალურ საკითხებზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალიზებული ინსტრუქციული და სახელმძღვანელო მასალების მომზადებაში.
- შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
- "არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა" და "ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღნოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმისადმი ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"

# ციხე ცარიელდება - ბიუჯეტი კი ივსება

თამარ კაციტაძე

გუშინწინ გენერალურ პროკურატურაში დაწყებული მიმოსვლა გუშინ კვლავ განახლდა და საბოლოოდ, ბიუჯეტის 100 ათასი ლარით გაზრდით დასრულდა.

გუშინწინ გენპროკურატურაში მისულ წყნეთის სატყეო მეურნეობის ყოფილი უფროსის შოთა მეფარიძის ახლობლებმა შენობა ხელმოცარულებმა დატოვეს. მეფარიძის გულშემატკივრებს სურდათ, მიწების გასხვისებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული მეტყევის გასათავისუფლებლად 100 ათასი ლარი გადაეხადათ. მაგრამ, მოლაპარაკება არ შედგა. როგორც გაირკვა, პროკურატურა, მეფარიშვილის თავისუფლების სანაცვლოდ, დასახელებულზე მეტ თანხას ითხოვდა. თუმცა, გუშინ გენერალურმა პროკურატურამ პოზიციები შეარბილა და მდგომარეობაც მეფარიძის სასარგებლოდ შეიცვალა. როგორც პროკურატურის შენობიდან გამოსულმა, მეფარიძის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა 100 ათასი დოლარი გადაიხადა და წინასწარი პატიმრობის შეცვლის შუამდგომლობით სასამართლოსაც მიმართა.

როგორც ჭაბაშვილი აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა მეფარიძის ბრალეულობას ვერ დაამტკიცებს, აღნიშნული თანხა მეფარიძის ოჯახს უნდა დაუბრუნდეს. წინააღმდეგ შემთვევაში, ის ბიუჯეტში შევა.

თუმცა, ვიდრე თანხის უკან დაბრუნებაზე მიდგებოდეს საქმე, მანამდე მთაწმინა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მეფარიძის გათავისუფლების საკითხზე იმსჯელა და სატყეო მეურნეობის ყოფილ უფროსს წინასწარი პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა.

გუშინწინანდელი სტუმრებისგან განსხვავებით, გუშინ გენერალური პროკურატურის შენობაში "მაგთიკომის" დამფუძნებლის, გია ჯოხთაბერიძის ადვოკატი გიორგი ყავლაშვილიც გამოჩნდა. როგორც ცნობილი გახდა, პროკურატურამ თანხმობა განაცხადა, რომ თავისუგახსენებთ, ჯოხთაბერიძეს, როგორც ფიზიკურ პირს, გამოძიება ფირმა "ჯიკომის" შესყიდვისას ბიუჯეტისთვის სავალდებულო 12 პროცენტის გადაუხდელობას ედავება.

"მაგთიკომის" დამფუძნებელი, რომელიც თანახმა იყო, წინასწარი პატიმრობის შეფარდების სანაცვლოდ, გირაოს სახით, 2 მილიონი გადაეხადა, წინასწარი გამოძიების მიერ დასახელებული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვის წინააღმდეგია.

ჯოხთაბერიძის ადვოკატის განცხადებით, თანხის გადახდაზე თვითონ პატიმარი ამბობს სასტიკ უარს და აცხადებს, რომ სახელმწიფოსთან არანაირი დანაშაული არ მიუძღვის.

როგორ გაგრძელდება და, მით უმეტეს, რით დასრულდება ყოფილი პრეზიდენტის და დღევანდელი პროკურატურის დავა, მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ფაქტია, ჯოხთაბერიძე ციხეში ბევრ პრობლემებს აწყდება და არ არის გამორიცხული, რომ ცოტა ხანში, მან საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება გათავისუფლების ანუ თანხის გადახდის შემდეგ არჩიოს.

ამასობაში კი ციხის კედლები უკვე დატოვა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილმა მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა.

როგორც უკვე ცნობილია, მან უკვე გადაიხადა წინასწარი გამოძიების მიერ დადგენილი სახელმწიფო ზარალი - 700 ათასი ლარი და ამასთან, დამატებით, წინმსწრებად ანუ ზარალის გაზრდის შემთხვევაში - 800 ათასი ლარიც (სულ 1.5 მილიონი ლარი).

მერაბ ადეიშვილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ დარბაზიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა.

თანხის გადახდის შემდეგ, აქამდე და გუშინ გათავისუფლებულ ბრალდებულ მაღალჩინოსანთა საქმეების გამოძიება გრძელდება. სამართალდამცველებს თუ იმედი აქვთ, რომ აღნიშნული პიროვნებების საქმიანობაში ახალ-ახალ დანაშაულებს აღმოაჩენენ და სახელმწიფო ბიუჯეტს ერთი-ორად გაამდიდრებენ, თავად ბრალდებულები დარწმუნებულები არიან, რომ მართლმსაჯულების გზით საკუთარ უდანაშაულობას დაამტკიცებ-

# ისევ საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ

ქართული ტელევიზიის შემდგომ განვითარებაზე ბოლო წლებში მრავალი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა სულ უფრო ხშირი განცხადებები საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ სტრუქტურად გარდაქმნის თაობაზე. თავის დროზე ჩვენ ნაადრევად მივიჩნიეთ ასეთი ცვლილება და სათანადო არგუმენტებიც წამოვაყენეთ, რასაც რაიმე გამოხმაურება ან კამათი აღარ მოჰყოლია. ორიოდე წლის წინ სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივად "გადაკეთების" ცდები (ბუნებრივია, მხოლოდ სიტყვიერად, მხოლოდ სადირექტივო წრეებში) კვლავ წამოტივტივდა, მაგრამ ასევე მალე ჩაქრა და დავიწყებას მიეცა.

ამჟამად, უკვე კატეგორიული წესით, სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზის" წევრებმა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე ღია წერილის სახით კვლავ წამოჭრეს ეს საკითხი (გაზეთი "24 საათი", 2004 წელი, 19 იანვარი). მასში აღნიშნულია, რომ "სახელმწიფო ტელევიზია იმ ფორმითა და ფუნქციით არ შეესაბამება დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტებს და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნილებებს". ღია წერილის პათოსი ვიღაცას (და არა პრეზიდენტს, ალბათ) მოუწოდებს, რომ "საზოგადო ტელევიზია უნდა გახდეს ჩვენი ხალხისა და მომავალი თაობების განვითარების ნამდვილი საყრდენი". ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ გულმხურვალედ შევუერთდეთ ამ ტირადას და მხოლოდ სასხვათაშორისოდ ვიკითხოთ, როგორ, რა მანქანებით, რის საფუძველზე, რისი საშუალებით უნდა ვეწიოთ "ამ საკითხის გადაწყვეტას", რაც ღია წერილის ავტორებს, ალბათ, სავსებით სამართლიანად მიაჩნიათ "ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად".

თავისთავად საზოგადოებრივი ტელევიზია მაუწყებლობის უფრო დემოკრატიული ფორმაა და უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფო ტელევიზიასთან შედარებით. რამდენადაც ვიცით, ევროსაბჭოც მხარს უჭერს საქართველოში ამგვარი რეფორმის გატარებას. თვითონ ღია წერილის ავტორებიც საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი ხალხია. არც ის იქნებოდა ურიგო, თუ მწირი სახელმწიფო ბიუჯეტი გათავისუფლდებოდა ტელევიზიის დაფინანსებისაგან და რამდენიმე მილიონი დაიზოგებოდა. მაგრამ რამდენად რეალურია ეს დღეს და როგორ მოახერხებს პრეზიდენტი ღია წერილის ავტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას? ძნელი არ იქნება ახლანდელი სახელმწიფო ტელევიზიის იურიდიული სტატუსის ან საკუთრების ფორმის შეცვლა (ამისათვის პარლამენტის ან მთავრობის დადგენილებაც იკმარებდა), პროფესიონალებიც საკმაოდ არიან, რომ შესაბამისი კონცეფცია მომზადდეს, მაგრამ ტელევიზია მეტად ძვირი სიამოვნებაა და რის ხარჯზე იარსებებს იგი?

ამჟამად მსოფლიოში საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ორი ფორმა არსებობს: სააბონენტო გადასახადი და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდები თუ კერძო შემოწირულებანი (გარკვეული შემოსავლის წყაროებია აგრეთვე რეკლამა და სახელმწიფო სუბსიდიები). პირველს ემყარება ევროპული მოდელი, მეორეს - ამერიკული. ორივე მათგანი ისტორიული ტრადიციებით არის განპირობებული. სპეციალისტთა მოსაზრებით, "საზოგადოებრივი ტელევიზია უნდა იყოს და არის იქ, სადაც საზოგადოებრივი ყოფიერების საფუძველი აყვავებული და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასია (მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში). ასეთი საზოგადოება ინახავს თავის ტელევიზიას და სათანადოდ მოითხოვს კიდეც მისგან". ამგვარი სოციალური ბაზა - "აყვავებული და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი" - საქართველოში არ არსებობს და კარგა ხანს კიდევ არ იარსებებს. ასევე არ იარსებებს ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ტიპური ფორდის, როკფელერის, კარნეგის და ა.შ. კულტურულ-საქველმოქმედო ფონდები და ათეულ ათასობით კერძო პირთა შემოწირულებანი. ამიტომ, საქართველოს ტელევიზიის განვითარება იმ დემოკრატიულ პრინციპებს უნდა დაემყაროს, რომლებიც საერთოა ევროპული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სტრუქტურებისათვის. ეს ძირითადი დებულება განვავითარეთ სტატიაში "როგორი ტელევიზია უნდა ჰქონდეს საქართველოს", რომელიც ეხმაურებოდა 1997 წელს გამოქვეყნებულ კანონპროექტს "მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ" და ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია არ არის ყველაფრის პანაცეა და სახელმწიფო ტელევიზიასაც შეუძლია დადებითი როლის შესრულება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ვინც ამ პროექტს არის გაცნობილი, ემახსოვრება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მომენტად იგი მიიჩნევს ამჟამად არსებული სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის ბაზაზე საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზიის ჩამოყალიბებას და არა მის პრივატიზაციასა და კომერციული სტრუქტურით ჩანაცვლებას.

ამასთან, "განმარტებითი წერილი", რომელიც თან ერთვის კანონპროექტს, სრულ ინფორმაციას არ იძლევა: იგი უცხოელ ექსპერტებს იმოწმებს კომერციულ სტრუქტურასთან შედარებით სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის საზოგადოებრივად გარდაქმნის უპირატესობის დასამტკიცებლად, მაგრამ, ამავე დროს, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს საზღვარგარეთის დემოკრატიულ ქვეყნებში რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო სტრუქტურები საერთოდ არ არსებობდეს და მხოლოდ საზოგადოებრივი ან კომერციული ფორმები ფუნქციონირებდეს, რაც აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ორი მოდელი, რომლებიც გავრცელებულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი პლურალისტური ტელე-რადიომაუწყებლობა არსებობს - ერთდროულად ფუნქციონირებს ან სახელმწიფო და კომერციული, ან საზოგადოებრივი და კომერციული სტრუქტურები (თითქმის არსად არაა სამივე ერთად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციული მაუწყებლობის ალტერნატივა თანაბრად არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფორმები). ევროპის ქვეყნების უმრავლესობა უპირატესობას პირველ მოდელს ანიჭებს. იქ სახელმწიფო მაუწყებლობის არსებობა, კომერციულთან ერთად, არავითარ კამათს არ იწვევს. ამიტომ, რამდენადმე კატეგორიულად გვეჩვენება დებულება, რომ "სახელმწიფო მასმედიის საზოგადოებრივით ჩანაცვლება დემოკრატიის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებების ლოგიკური გაგრძელება იქნება". საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, შვეციას და ა.შ. სახელმწიფო ტელერადიოარხები აქვთ (კომერციულის პარალელურად), მაგრამ ჯერ არავის უთქვამს, რომ ეს ქვეყნები ნაკლებ დემოკრატიულია, ვიდრე დიდი ბრიტანეთი ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც საზოგადოებრივი სტრუქტურებია ჩამოყალიბებული (კომერციულთან ერთად).

მაუწყებლობის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ფორმები იქმნებოდა არა დემოკრატიის ხარისხის, არამედ კონკრეტული ქვეყნის ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეროვნული სპეციფიკისა და პოლიტიკური ტრადიციების მიხედვით. ინგლისში, მაგალითად, საზოგადოებრივი რადიოს, შემდეგ კი ტელემაუწყებლობის ჩამოყალიბება განაპირობა მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ ბევრ სახელმწიფო და სამთავრობო ფუნქციას. გფრ-ში ეს იყო ბუნებრივი რეაქცია ფაშისტური ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმის დამხობის შემდეგ და სხვ. ასე რომ, მთავარია, თვითონ სახელმწიფო რამდენად არის დემოკრატიული და არა ის, თუ როგორი აზრა აქვს გაკრული რადიო-ტელევიზიის შენობას. სახელმწიფო ტელევიზია არსებობს შვეციაშიც და არსებობდა ერაყშიც, მაგრამ პირველ შემთხვევაში იგი დემოკრატიის ერთ-ერთი გარანტია, მეორეში კი დიქტატურისა და დემაგოგიის იარაღი იყო.

ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო არ ითვლება დემოკრატიის მოწინააღმდეგედ, პირიქით, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვა და მათი საქმიანობის რეგულირებაა. ამიტომ იგი აქტიურად ერევა იგივე საზოგადოებრივი თუ კომერციული ტელე-რადიომაუწყებლობის დაფინანსებასა და მართვაშიც. ინგლისის მთავრობასა და პარლამენტს უფლება აქვთ, ვეტო დაადონ საზოგადოებრივი ბი-ბი-სის პროგრამებს (რასაც ვერც საქართველოს და ვერც რუსეთის პარლამენტარები ვერ განახორციელებენ თავიანთ სახელმწიფო ტელევიზიების მიმართ), პარლამენტმა შექმნა "დამოუკიდებელი ტელევიზიის კომისია", რომელიც მკაცრად აკონტროლებს ტელეკომპანიებს და ა.შ. უცხოელი სპეციალისტები ხშირად არც განასხვავებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მაუწყებლობას და ორივეს ერთნაირად იხსენიებენ ერთი ან მეორე ტერმინით. სხვადასხვა ცნობარსა თუ სპეციალურ ლიტერატურაშიც კი ზოგჯერ საზოგადოებრივი ტელე-რადიოსტრუქტურები სახელმწიფო საშუალებებად არის გამოცხადებული. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტერმინოლოგიური შეუთანხმებლობით არაა გამოწვეული. სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამაუწყებლო სტრუქტურები, ფაქტობრივად, ერთნაირ საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო ეროვნულ ფუნქციებს ასრულებენ, ზღვარი მათ შორის ძალიან მკრთალია. წარმოდგენილი კანონპროექტი არ ცნობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფორმების ასეთ სიახლოვეს და პრინციპულად უპირისპირებს მათ ერთმანეთს, როცა პირველის მეორეთი ჩანაცვლებას მოითხოვს. "განმარტებითი წერილის" მტკიცებით, დასავლეთის ექსპერტები პრივატიზაციასთან შედარებით უფრო მართებულად მიიჩნევენ სახელმწიფო სტრუქტურის საზოგადოებრივად გადაკეთებას, რადგან აქციონირების დროს ტელევიზიას ხშირად ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კომერციული სტრუქტურები ეუფლებიან, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობასო.

ამგვარი ლოგიკით არც იმის გარანტია არსებობს, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიას "ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებული" და მისი "სანდო პირები" არ ჩაიგდებენ ხელში და, თანაც, აქციების ყოველგვარი შესყიდვის გარეშე. ესეც არ იყოს, ხელისუფლებას ყოველთვის აქვს კომერციულ სტრუქტურებზე ზემოქმედების გარკვეული საშუალებანი არა მარტო პრივატიზაციის პროცესში, არამედ მის შემდეგაც (სხვადასხვა სუბსიდია, დაკვეთა, საგადასახადო შეღავათი და ა.შ.).

კომერციული სტრუქტურების გავლენისაგან არც საზოგადოებრივი ტელევიზია არის დაზღვეული. მათ შეუძლიათ საერთო ენა გამონახონ ხელისუფლებასთან და ერთიანი ურთიერთსასარგებლო პოლიტიკა გაატარონ არა დამოუკიდებელი კომერციული, არამედ ფორმალურად საზოგადოებრივი ტელევიზიის სახელით. ამის კონკრეტული მაგალითია ყოფილი ცენტრალური ტელევიზიის, შემდეგ კი ტელე-რადიოკომპანია "ოსტანკინოს" ბაზაზე შექმნილი რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი ტელევიზია ოერ-ტე. ყველას თვალწინ, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ტელევიზიის შექმნის ლოზუნგით, აშკარად მოხდა ხელისუფლებისა და კომერციული სტრუქტურების შეზრდა და მან რუსულ პრესაში სამართლიანად დაიმკვიდრა ნახევრად სახელმწიფოებრივი კომერციული კონცერნის სახელი. სახელმწიფომ დაიტოვა აქციების 51 პროცენტი, ხოლო 49 პროცენტი წილად ხვდა ჯგუფ "ლოგოვაზს", ბანკ "ნაციონალურ კრედიტს". ბანკ "მენატეპს", ბანკ "სტოლიჩნის", "ალფაბანკს", სავაჭრო კომპანია "მიკროდინს" და დამოუკიდებელი ტელევიზიის ასოციაციას.

ადვილი შესაძლებელია, "განმარტებითი წერილის" ავტორს რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის ამგვარი პრაქტიკაც აქვს მხედველობაში, როცა ხაზგასმით მიუთითებს სამთავრობო (რატომ "სამთავრობო" და არა "სახელმწიფო"? რომელ ქვეყანაში არსებობს "სამთავრობო" ტელევიზია? შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მთავრობის ბეჭდვითი ორგანო) მასმედიის საზოგადოებრივად გადაკეთების მართებულობაზე, "ოღონდ ევროპული სტანდარტების მიხედვით".

ევროპაში ტელე-რადიომაუწყებლობის დემოკრატიზაცია სხვა, უფრო რეალური გზით - დემონოპოლიზაციისა და დეცენტრალიზაციის გზით წარიმართა: იმ ქვეყნებში, სადაც თავიდან მხოლოდ საზოგადოებრივი ან მხოლოდ სახელმწიფო (ანუ სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული) ტელე-რადიომაუწყებლობა არსებობდა, კანონით (ბევრგან კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებით) ნება დაერთო, აგრეთვე დამოუკიდებელი კომერციული ტელესტრუქტურების, როგორც ბიზნესის ჩვეულებრივ საშუალებათა საქმიანობას. ასე მოხდა დიდ ბრიტანეთში 1954 წელს, იტალიაში - 1974 წელს, საფრანგეთში - 1982 წელს, გფრ-ში 1985 წელს და ა.შ.

ძნელია არ დაეთანხმო "განმარტებით წერილში" გამოთქმულ აზრს, რომ საქართველოს არასტანდარტული მდგომარეობა ბევრი პრობლემის ახლებურად გადაწყვეტას ითხოვს და ჩვენი ცხოვრების სპეციფიკის გამო შეუძლებელია სხვა ქვეყნების ნორმების მექანიკური გადმოტანა. მაგრამ, ამავე დროს, ალბათ იმაზე დაფიქრებაც გვმართებს, რას გვაძლევს საქართველოს დღევანდელ პირობებში ტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი სტრუქტურების "გადმოტანა", რომელიც ევროპაში, ფაქტობრივად, სახელმწიფო მაუწყებლობის პარალელური ფორმაა და როგორ მოხდება მისი "ევროპული სტანდარტების" მიხედვით ორგანიზება იმ ქვეყანაში, სადაც არც სოციალური, არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური პირობები ამ სტანდარტებს არ შეესაბამება? როგორ განხორციელდება "მათი დაცვა სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების გავლენისაგან", რასაც ამგვარ "საშუალებათა დამოუკიდებლობა გულისხმობს"?

დღევანდელი საქართველოს პირობებში სახელმწიფო რადიო-ტელევიზიას შეიძლება მხოლოდ აბრა გამოეცვალოს, არსებითად კი იგი ან ისევ სახელმწიფო საშუალებად დარჩება, ანდა კომერციულ სტრუქტურად გადაიქცევა (თუ მთლიანად არა, მაუწყებლობის კონცეფციით მაინც).

პირველ შემთხვევაში იგი ვერ იქნება ხელისუფლებისაგან უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე არსებული სახელმწიფო სტრუქტურაა, რადგან ვერ დაემყარება სააბონენტო გადასახადის პირდაპირ შემოსავალს (ეს საქართველოში შეუძლებელია უახლოესი ათეული წლის განმავლობაში), როგორც ამას "ევროპული სტანდარტები" მოითხოვს. ფაქტობრივად, იგი ისევ სახელმწიფო სტრუქტურა იქნება, რადგანაც მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთლიანად სახელმწიფო საკუთრებად რჩება და საბოლოოდ თითქმის მთლიანად სახელმწიფოსვე დაეკისრება მისი დაფინანსება სხვადასხვა დოტაციის, გრანტებისა და დაკვეთების საშუალებით.

მეორე შემთხვევაში იგი ვერ იქნება კომერციული სტრუქტურებისაგან უფრო თავისუფალი, ვიდრე დღევანდელი სახელმწიფო ტელევიზიაა, რადგანაც სახელმწიფოსაგან მისი ახლებური ფორმებით დაფინანსება ამჟამად ბიუჯეტით გამოყოფილ სახსრებზე ნაკლები იქნება (თანაც, ბევრ შემთხვევაში, დაპირებად დარჩება) და მას არსებობისათვის ბრძოლაში კომერციული საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოება მოუწევს (რაც "ევროპული სტანდარტების" მიხედვით მკაცრად რეგლამენტირებული და, ზოგან საერთოდ აკრძალულიც კია).

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ტელევიზია სახელმწიფო სტრუქტურაზე უკეთ ვერ შეასრულებს იმ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებს, რომლებიც მას ხაზგასმით ეკისრება კანონპროექტის მიხედვით.

თავი რომ დავანებოთ ყოფილი ცენტრალური და საქართველოს ტელევიზიის გამოცდილებას, რომელსაც კულტურული და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ცალკე არხებიც კი ჰქონდათ გამოყოფილი, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ტელევიზია მრავალარხიანია, ძირითადი არხის კულტურულ პროგრამებთან დამატებით ერთი არხი ყოველთვის აღნიშნულ მიმართულებას ეთმობა (მაგ. ენ-ეიჩ-კეის მეორე არხი, რუსული არხი "კულტურა" და ა.შ.).

სახელმწიფო სტატუსდაკარგული რადიო-ტელევიზია კულტურულ-საგანმანათლებლო მაუწყებლობაზე კი არ იღებს გეზს, როგორც ამას კანონპროექტი გვიმტკიცებს, არამედ, პირიქით, ამგვარი გადაცემების შემცირებაზე (როგორც ეს ო-ერ-ტემ მოიმოქმედა), რადგან იგი მომგებიანი არ არის, მუდმივ დოტაციასა და ხელშეწყობას მოითხოვს და სახელმწიფოს სისტემატური ფინანსური ინექციების გარეშე ვერ იარსებებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა დღეს სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის ტრადიციული ფუნქცია და მისი არსებობის ერთ-ერთი გამართლებაა. იგი ითვალისწინებს საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის ინტერესებს (ბავშვებით დაწყებული და პენსიონერებით დამთავრებული), იგი იცავს და ავითარებს ეროვნულ კულტურას, მის ტრადიციულ ღირებულებებს. იგი პროპაგანდას უწევს მსოფლიო ცივილიზაციის საუკეთესო მიღწევებს, მაგრამ, ამავე დროს, იცავს ქვეყნის კულტურულ სუვერენიტეტს მსოფლიო მასშტაბის "მასკულტურის" შემოტევისაგან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესშია და მის საბოლოო ფორმირებაში რადიო-ტელევიზიას (განსაკუთრებით ტელევიზიას) უნიკალური როლის შესრულება შეუძლია. მან ხელი უნდა შეუწყოს როგორც ეროვნული, ისე, არსებითად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცნობიერების მასობრივ ფორმირებას. დღევანდელ საქართველოში ტელევიზია არა მარტო სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკული ინსტრუმენტია, არამედ ერისა და ქვეყნის რეალური გამაერთიანებელი ძალაც და მოცემულ ეტაპზე ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს იგი მოსახლეობის სულიერი ინტეგრაციისათვის, ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი ღირებულებების გარშემო მის დასარაზმავად.

ასე რომ, საქართველოს დღევანდელ პირობებში აუცილებლად მიგვაჩნია ერთი სახელმწიფო ტელე-რადიოარხის შენარჩუნება და ნაჩქარევად გვეჩვენება მთელი სახელმწიფო ტელე-რადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ სტრუქტურად გადაკეთება (რაც, ფაქტობრივად, როგორც განვიხილეთ, შეუძლებელიცაა).

როგორც ჩანს, ეს პრობლემა მარტო საქართველოს არ აწუხებს და საერთოა სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვისაც. რუსეთში, როგორც ცნობილია, არსებობს სახელმწიფო ორგანიზაცია - სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანია, რომელიც მოიცავს როგორც საერთო-ეროვნულ ტელე-რადიოარხებს (მაგ. ერ-ტე-ერს), ისე რუსეთის სხვადასხვა მხარეებში მოქმედ რეგიონულ ტელე-რადიოსტრუქტურებსაც. ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო სტრუქტურები ჯერჯერობით შეინარჩუნეს ჩვენს მეზობელ სომხეთისა (კომერციულ სტრუქტურასთან ერთად) და აზერბაიჯანის რესპუბლიკებშიც და ეს დემოკრატიული პროცესების საწინააღმდეგოდ კი არ კეთდება, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საქართველოს რადიო-ტელევიზიას, როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, არ ესაჭიროება შემდგომი სრულყოფა და დემოკრატიული განვითარება. უპირველესად, საჭიროა მისი უფრო ზუსტი ორიენტირება საერთო-ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებაზე. სახელმწიფო ტელევიზიისათვის უცხო არ უნდა იყოს ძალისმიერი პროგრამირება, როცა მაღალრეიტინგიან გასართობ გადაცემებს სოციალურად აქტუალური პრობლემების ანალიზი ცვლის (თავისთავად, რეიტინგიც შედარებითი ცნებაა, არ შეიძლება ერთი საზომით გაიზომოს ტელეთამაშის, პუბლიცისტური გადაცემისა და, გნებავთ, მაღალინტელექტუალური თუ მაღალესთეტიკური კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარობა).

დასამუშავებელია თვითონ სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის სტატუსთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებიც. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში მისი და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება ისე ვითარდებოდა, რომ მაუწყებლობაზე კონტროლი მთავრობის სტრუქტურებიდან პარლამენტის ხელში გადადიოდა (რასაც პარლამენტის მრავალპარტიულობა და, შესაბამისად, მეტი დემოკრატიულობა განაპირობებდა). გასათვალისწინებელია უცხოეთის გამოცდილება, სადაც აუდიოვიზუალური საშუალებებისათვის ცალკე სტრუქტურებია შექმნილი (მაგ. აშშ-ში საშინაო ეთერს არეგულირებს კონგრესში არსებული კავშირგაბმულობის ფედერალური კომისია; საფრანგეთში არსებობს აუდიოვიზუალურ საშუალებათა უმაღლესი საბჭო, რომლის წევრებს ნიშნავენ: საფრანგეთის პრეზიდენტი, ეროვნული კრების პრეზიდენტი და სენატის პრეზიდენტი; იტალიაში *რაის* ძირითად ამოცანებს აყალიბებს სენატორებისა და დეპუტატების მუდმივმოქმედი კომისია; რუსეთში ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის პარალელურად ფუნქციონირებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ფედერალური სამსახური და ა.შ.). საქართველოში, მართალია, არსებობს ეროვნული მარეგულირებელი კომისია, მაგრამ იგი ძირითადად ლიცენზირების საკითხებით არის დაკავებული და თვითონ მაუწყებლობის რეგულირების რაიმე მექანიზმი არ გააჩნია. ამის დადასტურებაა ის აჟიოტაჟი, რომელიც მოჰყვა მის ცდას სატელევიზიო ეთერში უცხოურ პროდუქციაზე კვოტების დაწესების შესახებ.

რაც მთავარია, ახალი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს სახელმწიფო რადიო-ტელევიზიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი, დაზუსტდეს მათი უფლება-მოვალეობანი, რაც საქართველოს ტელე-რადიოკორპორაციის ყოველმხრივ გააზრებული და დასრულებული დებულების შექმნას მოითხოვს. სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რადიო-ტელევიზიას ხელისუფლება ჯერ კიდევ თავის საკუთრებად მიიჩნევს და მხოლოდ თავისი ინტერესების დამცველად მიაჩნია. ყოფილ პრეზიდენტს შემთხვევით არ წამოცდენია ტერმინი "სამთავრობო ტელევიზია" და ამ კონცეფციის მიხედვით მისი პრეტენზიებიც სავსებით ბუნებრივი იყო. ნაწილობრივ ამგვარმა მდგომარეობამაც განაპირობა, ალბათ, საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზიის საკითხის წამოჭრა.

როგორც აღვნიშნეთ, "ევროპული სტანდარტებით" სახელმწიფო რადიო-ტელევიზია არ ექვემდებარება მთავრობას და, საერთოდ, არ ითვლება მთავრობის ან ხელისუფლების რადიო-ტელევიზიად. იგი საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-ეროვნულ ფუნქციებს ასრულებს და მის საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევა კანონით მკვეთრადაა შეზღუდული (მაგალითად, იტალიაში 1975 წელს სპეციალური კანონიც კი მიიღეს სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის – რაის - პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ევროპული ტიპის სახელმწიფო რადიო-ტელევიზია იმით განსხვავდება ანალოგიური პოსტკომუნისტური სტრუქტურისაგან, რომ იგი პლურალისტურია, მხოლოდ ხელისუფლების პოზიციას არ გამოხატავს და იგივე პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენშიც სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის განვითარებას.

ასეთი სახელმწიფო ტელევიზიის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყობდა ხელს ევროპაში ფართოდ გავრცელებული სამეთვალყურეო, მზრუნველი თუ მმართველი საბჭოების მსგავსი სტრუქტურის შექმნა. ამგვარ საბჭოებში პროფესიონალებთან ერთად სხვადასხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც არიან შეყვანილი და ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებენ ხელისუფლებასა და ტელევიზიას შორის - ანეიტრალებენ მის პირდაპირ ზემოქმედებას.

ასე რომ, იმ პირობებში, როცა რეალურად შეუძლებელია სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივად გარდაქმნა, ყველანაირი შანსი უნდა იქნეს გამოყენებული მისი შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. ამ მხრივ, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს თვითონ ტელე-რადიოკორპორაციის დეცენტრალიზაციაც: რადიომაუწყებლობისა და თუნდაც ტელეფილმების სტუდიის ცალკე გამოყოფა, მეორე არხის პრივატიზაცია (სახელმწიფო მაუწყებლობისათვის ერთი არხიც საკმარისია) და ა.შ. საბჭოთა ტელევიზიამ მეტად ცუდი მემკვიდრეობა დატოვა ფანტასტიკურად გაბერილი შტატებისა და მოუქნელი ინფრასტრუქტურის სახით (წარმოუდგენელია, სტუდიას 2000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდეს და კიდევ სხვა კომპანიას უკვეთავდეს გადაცემებს). რაც ყველაზე მთავარია, სახელმწიფო ტელე-რადიომაუწყებლობის არანაირი რეფორმა არ შეიძლება ნაჩქარევად, ფინანსური გათვლისა და გაანგარიშების, სათანადო კონცეფციის შემუშავებისა და თუნდაც პროგრამების გარკვეული ნაწილის წინასწარ მომზადების გარეშე. ეს პროცესი კი თავის მხრივ არა მხოლოდ ტელევიზიის პროფესიონალების, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა რეალურ მონაწილეობას მოითხოვს.

***ნიკო ლეონიძე,***
*პროფესორი,*
*თსუ ტელე-რადიოჟურნალისტიკის*
*კათედრის გამგე,*
***ელდარ იბერი,***
*პროფესორი,*
*კათედრის გამგის მოადგილე.*

საჩუქრის ახალი ფორმა!
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ბიუჯეტი პროკურატურამ შეასრულა

## ხელისუფლება ძლიერია ტაქტიკაში და სუსტია სტრატეგიაში

A1 გვერდიდან

*არც მაჟორიტარ კობა დავითაშვილისგან უნდა ველოდოთ მორჩილ მდუმარებას, მით უფრო, რომ მან სახელისუფლებო გაერთიანება არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დატოვა. ჩემი აზრით, დავითაშვილის პოზიცია ძალიან უახლოვდება იმ კონსტრუქციულ ოპოზიციას, რომლის არსებობის აუცილებლობასაც არც ხელისუფლება უარყოფს. ეს აგრეთვე კარგი მაგალითია პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიებისთვის, რომელთა "ბრძოლის" მეთოდები წინა ხელისუფლებამ თან წაიღო... ჩვენი ინტერვიუს დროს კანცელარიაში მაჟორიტარებისა და პრეზიდენტის შეხვედრა იწყებოდა. ქვემოთ ნახავთ, რა მიზეზით გააცდინა კობა დავითაშვილმა ეს შეხვედრა.*

**- რა როლს შეასრულებენ მაჟორიტარები ამ პარლამენტში, მათ ტრადიციული პროსახელისუფლებო პოზიცია ექნებათ?**

- ყური მოვკარი, რომ ფრაქციის შექმნას აპირებენ.

**- გიფიქრიათ, როგორ გადანაწილდება ძალები ამ პარლამენტში?**

- ტრადიციულად, მაჟორიტარები ხელისუფლების მხარდამჭერნი არიან, თანაც მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ხელისუფლებაში. ეს 23 ნოემბრის მერეც დაადასტურეს.

- ბევრი დღევანდელი მაჟორიტარი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო თავის რაიონში - ასეთია ქართული პოლიტიკური ტრადიცია. ასე რომ, ფრიად გადაჭარბებული მეჩვენა პრეზიდენტის შეფასებები მაჟორიტარების ოპოზიციური განწყობის შესახებ.

საქართველოში მაჟორიტარობის უცნაური ტრადიცია ჩამოყალიბდა და არ ვაპირებ, ამ ტრადიციის მსხვერპლი გავხდე. ჩვენთან მაჟორიტარი დეპუტატი ერთგვარად არჩეული გამგებლის ფუნქციებს ითავსებს - გამგებლის კანდიდატურას, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავდა მაჟორიტარს უთანხმებდნენ ხოლმე. არ მესმის, კანონმდებელთან რატომ უნდა შეათანხმონ აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალში დასანიშნი ფიგურა.

საარჩევნო კამპანიის დროს ხალხს ავუხსენი, რომ თუ მათ სურთ კარგი მეურნე, მუშაკი კაცი, რომელიც გზებს დაუგებს, მილებს გაიყვანს და ა.შ. - სხვა ვინმე მოეძებნათ. ისინი არა გლდანის ან თბილისის საკრებულოში, არამედ ქვეყნის პარლამენტში მირჩევდნენ. ეს არის ორგანო, რომელმაც უნდა იზრუნოს მთლიანად საქართველოზე და, მათ შორის, გლდანელ ამომრჩეველზეც, რომლის პრობლემები ქვეყნის მოსახლეობის პრობლემებისგან არ განსხვავდება.

ერთადერთი, რის გამოც ოლქის ინტერესებზე განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება გავამახვილო, სხვა ოლქებისგან განსხვავებული დისკრიმინაცია იქნება. ეს კი, ძირითადად, ელექტროენერგიით მომარაგების საკითხია. რატომღაც, ითვლება, რომ რადგან ეს ხალხი გლდანში ცხოვრობს, მათი დაჩაგვრა შეიძლება...

**- იქნებ, რადგანაც ეს ხალხი გლდანში ცხოვრობს, გადასახადებს ვერ იხდის?**

- სხვათა შორის, ძალიან კარგად იხდიან. მთლიანად რაიონია დატანჯული და განსაკუთრებით, მუხიანი, რომლის უბედურება ის არის, რომ შედარებით ახალი აშენებულია და თანამედროვე ტიპის ავტომატური ელექტროჩამრთველი დაუყენეს. როგორც კი რაიმე კრიზისი იქმნება, მუხიანი ავტომატურად ირთვება...

**- მუხიანი ცივილიზაციის მსხვერპლი გამოდის.**

- ასე გამოდის და ბუნებრივია, ვერასდროს შევეგუები იმას, რომ სოფელში შუქი არ იყოს და ქალაქში იყოს, ან ქალაქის ცენტრში იყოს და პერიფერიებში - არა...

**- ამის გამო ვის გამოუცხადებთ ბრძოლას?**

- გლდანელებს ვეუბნებოდი, რომ მასობრივი აქციები ძალიან კარგ გავლენას ახდენს ნებისმიერ მთავრობაზე. რა თქმა უნდა, გლდანი-მუხიანის გადასასვლელის გადაკეტვას აზრი არა აქვს. გლდანის მაცხოვრებლების მიერ რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვის ცოტა ამბიციური გეგმა მქონდა. გამოცდილება მაქვს - წინა ხელისუფლების მიერ ამ მუხლით ჩემზე საქმეც არის აღძრული. ახალმა ხელისუფლებამ ეს საქმე არ შეაჩერა და ერთი გადაკეტვა იქნება თუ ორი - მნიშვნელობა არ აქვს.

**- შეგვახსენეთ, თუ შეიძლება, რა საქმეზე საუბრობთ?**

- 2002 წელს "იმელთან" გადავკეტეთ გზა მოთხოვნით - "საქართველო შევარდნაძის გარეშე". ეს საქმე დახურული არ არის და ოქრუაშვილი პერიოდულად მახსენებს, რომ დაკითხვაზე უნდა გამოვცხადდე. თუმცა, უწყებას არ მიგზავნის.

**- ეს ლოზუნგი მხოლოდ ლოზუნგი აღარ არის და საქმე რატომ არ წყდება?**



*კობა დავითაშვილი "24 საათის" რედაქციაში.*

ერთხელ კაკო ასათიანმა დაწერა, რომ ასლანს აქვს საფუძველი, დემოკრატიის თვალსაზრისით ხელისუფლება აკრიტიკოსო. მინდა ვუპასუხო - საფუძველი ყველას შეიძლება ჰქონდეს, ოღონდ ასლან აბაშიძეს - არა!

ხალხმა, რომელიც აბაშიძეს ტყვეობაში ჰყავდა და აჭარის ტელევიზიის გარდა არაფერს აყურებინებდა, თავისი თვალით ნახა, რომ თბილისში შეიძლება გამოხვიდე ცენტრალურ ქუჩაზე, აგინო შენს მთავრობას და ამის გულისთვის არავინ გცემს, არავინ დაგიჭერს. პირიქით, გიმასპინძლებენ და უპრობლემოდ დაბრუნდები საკუთარ სახლში. რაც მეტი ხალხი გაივლის ამგვარ პრაქტიკას, უკეთესია. ასე რომ, ასლან აბაშიძის გადაწყვეტილებას ხალხის გამოგზავნის თაობაზე - მივესალმები, ჩვენც სათანადო მასპინძლობას გავუწევთ.

ეს არის სახელმწიფო რეკეტი ხალხის მიმართ, რომლებმაც, მართლაც, მოიპარეს ფული. მათ ეს ფული კანონიერად უნდა ჩამოერთვათ. მიმაჩნია, რომ თუ სასჯელი არსებობს, დამნაშავემ ფულიც უნდა მოიტანოს და უნდა მოიხადოს კიდეც.

- თუ შევარდნაძეს პენსიას უნიშნავენ და კრწანისში ცხოვრობს, იდეაში, მე ციხეში უნდა ვიჯდე, არა?

**- სახელისუფლებო პარტიაში არიან გამოკვეთილი ფიგურები - თქვენ, ბერძენიშვილები, ბოკერია, ზურაბიშვილი და სხვ. გადაარჩენენ თუ არა ეს ადამიანები პარლამენტს უსახურობისგან და იმ საფრთხისგან, რაც ერთპარტიულობას მოაქვს?**

- პარლამენტს ერთპარტიულობის საფრთხე არ ემუქრება და არც არასდროს დაემუქრება. აზრთა სხვადასხვაობა პარლამენტის თვისებაა. ყოველთვის გაზვიადებულად მეჩვენებოდა მითი ერთპარტიულობის შესახებ. "ნაციონალური მოძრაობა" თავისთავად არის კოალიცია, სადაც მათ გარდა "დემოკრატები", "რესპუბლიკელები", "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" შედის. ბუნებრივია, მათი პოზიციები ყველა საკითხში არ დამემთხვევა ერთმანეთს.

**- რამდენად გავლენიანი იქნება ამ კონკრეტული დეპუტატების ხმა?**

- როგორც გამოჩნდა, გიგა ბოკერია მმართველი პარტიის გავლენიანი ლიდერი იქნება, ეს მისთვის უჩვეულო ამპლუაა.

**- როგორ გგონიათ, ამ ადამიანების სამოქალაქო აქტივისტის თვისებებს ჩაახშობს ხელისუფლებაში ყოფნა?**

- პოლიტიკაში ყოფნა სხვაა და უფლებების დაცვა - სხვა. ამ განსხვავებებს ისინი აცნობიერებენ.

**- სამოქალაქო უფლებების დამცველები დავკარგეთ?**

- ჯერ არა...

**- ახალი რეალობის გამო პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალები დაკარგავენ აქტუალობას, გავლენას და სახეს?**

- ჩვენ 21-ე საუკუნეში, ტელედემოკრატიის პირობებში ვცხოვრობთ. ვინც ტელევიზორში იქნება, ის არ გაქრება, ვინც არ იქნება - გაქრება.

**- ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების დაფინანსება პრიორიტეტად გამოაცხადა. რას ნიშნავს ეს?**

- არსებობს სახელმწიფოს ძირითადი და მეორადი ფუნქციები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორადი ფუნქცია მეორეხარისხოვანია. თავდაცვა და შიდა წესრიგი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა. თუ სახელმწიფოს არ ჰყავს ჯარი და სამართალდამცავი სტრუქტურები, რომელიც შიდა წესრიგს უზრუნველყოფენ, ის ქვეყანა სახელმწიფო საერთოდ არ არის. თუ არ არსებობს პირველადი სტრუქტურა, თუ არ სრულდება ძირითადი ფუნქციები, მაშინ ვერც მეორადი განხორციელდება.

სამართალდამცავმა სტრუქტურებმა კანონის შესრულება ყველა სფეროში უნდა უზრუნველყონ. ქვეყანა თუ ერი, რომელიც საკუთარ არმიას არ ინახავს, ინახავს სხვის არმიას - ეს ცნობილი თეზაა. აქედან გამომდინარე, არმიის პრიორიტეტულობა აქსიომაა.

**- ამ მოკლე ხანში პრეზიდენტმა რამდენიმე სამხედრო ნაწილი მოინახულა. ხშირად ამ შეხვედრებზე პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებს. ეს უკავშირდება აჭარის კრიზისს?**

- როგორც ჩანს, კრიზისმა ამგვარი პოლიტიკის სტიმულირება მოახდინა. თუმცა, პრეზიდენტის მხრიდან ეს პოლიტიკური კურსი ყოველთვის არსებობდა. შეგახსენებთ, პრეზიდენტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალზე ნათელი პროგრამით მოვიდა. აქედან გამომდინარე, აქცენტები გასაგები უნდა იყოს.

**- აჭარის კრიზისი ახალ ფაზაში შედის. ისევ მუშაობს ანტიკრიზისული საბჭო?**

- არ ვიცი, მე და ჟვანია ინფორმაციებს არ ვცვლით.

**- თქვენი აზრით, ამოიწურა თუ არა სამართლებრივი მეთოდები და როგორ განვითარდება მოვლენები?**

- ჯერ საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებაა საჭირო და მერე ნებისმიერი სხვა ღონისძიებისა. ქართველი საზოგადოებისთვის, დასავლეთისთვის თუ რუსეთისთვის ნათელი უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლების მიზნები, მისწრაფებები და ამოცანები. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და კონტროლის განხორციელება ჩვენთვის არის გასაგები, მაგრამ ეს არაფერს ეუბნება დასავლეთსა და რუსეთს. მათ სჭირდებათ სხვა მოდელი, სხვა არგუმენტაცია იმისა, თუ რა არის კრიზისის საფუძველი. რეალურად ეს საფუძველია ბრძოლა დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის.

ჩვენმა ხელისუფლებამ, სანამ უშუალოდ კრიზისში არ შევიდა, ეს ბოლომდე ვერ გაიცნობიერა. მანამდე გადადგმული ნაბიჯები, თუნდაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, იმას არ მიუთითებს, რომ კრიზისის მიზეზები გაცნობიერებულია. ცვლილებების შედეგად პარლამენტის დამოუკიდებლობა შეიზღუდა და საკონსტიტუციო მოდელი რუსულსა და თურქმენულს შორის არის. საქართველოს ხელისუფლებაში ყველა სფეროში გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვის დეფიციტი შეინიშნება.

მოგვწონს თუ არა, დღეს ტელეპოლიტიკა რეალობაა, მაგრამ ამის ძალიან აყოლაც არ არის საჭირო. პოლიტიკა მხოლოდ "ერთი დღის პიარი" არ არის. ეს არის გეგმაზომიერი მოქმედება, ტაქტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვა. ჩვენი ხელისუფლება ძლიერია ტაქტიკაში და სუსტია სტრატეგიაში.

ამგვარი მოდელი, როგორც წესი, აქვთ პოსტსაბჭოთა სივრცის ავტორიტარულ რეჟიმებს. დიდ პატივს ვცემ ჩვენს დიდ მეზობელს და მის პრეზიდენტ ბატონ პუტინს, მრავალსაუკუნოვანი მოთმინებისა და გამძლეობისთვის აგრეთვე ქედს ვიხრი თურქმენი ხალხის წინაშე, მაგრამ საქართველოში ამ ქვეყნებში არსებული კონსტიტუციური მოწყობის მოდელს არ ვისურვებდი. მადლობა ღმერთს, რეალურად ჯერ ეს ასე არ არის, თუმცა, კონსტიტუციით უკე იქ ვართ.

**- საკონსტიტუციო ცვლილებები რა შუაშია აჭარის კრიზისთან?**

- როდესაც ასეთ რამეს აკეთებ, თავადვე ისპობ იმის დამადასტურებელ არგუმენტს, რომ ის არის ავტორიტარი და შენ - დემოკრატი. ეს არგუმენტი კი მნიშვნელოვანია დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც. ეს, შეიძლება, ისე მნიშვნელოვანი არ არის ქართველებისთვის, ვისთვისაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა უმთავრესი და არა ბრძოლა ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის.

**- პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დღეს მას პარლამენტში მეორე ფრონტი არ სჭირდება. დღევანდელ რეალობაში ეს გასაგებია, მაგრამ...**

- არც ერთ პრეზიდენტს არც ერთ ეტაპზე არც ერთი ფრონტი არ სჭირდება. თამაშის წესები იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკაში ჩართულ ყველა ადამიანს ჰქონდეს მეტი ძალაუფლება და ნაკლები პასუხისმგებლობა, ეს ბუნების კანონია.

**- ვინ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ხელისუფლება ძალაუფლებით ძალიან არ გაერთოს?**

- ეს ყველა დანარჩენი ადამიანის საზრუნავია და უფრო მეტად ამომრჩევლის პრობლემაა, ვიდრე ხელისუფლების. ამერიკელები, როდესაც დემოკრატ პრეზიდენტს ირჩევენ, კონგრესში რესპუბლიკურ უმრავლესობას მიაყოლებენ ხოლმე და პირიქით. ხელისუფლების გადანაწილების აშშ-ს კონსტიტუციით არსებული მოდელი (რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი კონსტიტუციიდან ამოიღეს) არ მუშაობს, თუ არ არსებობს ამომრჩევლის ნება.

1919 წელს, საქართველოში ჩატარებულ პირველ არჩევნებში, სოციალ-დემოკრატებმა 2/3-ით გაიმარჯვეს. ზვიად გამსახურდიას ასეთივე უმრავლესობა ჰქონდა, შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც. ქართველი ხალხი მთლიანად და დაუმადლებლად აძლევს ხმას ხელისუფლებას. ეს ისტორიული მეხსიერების პრობლემაც არის, რადგან ჩვენ სულ ომებისა და უბედურებების პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება, ამიტომ, ხელისუფლების კონცენტრაციის სურვილი და ძლიერი მეფის იდეალი ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობს.

თუმცა, ამას თან სდევს მძიმე კომუნისტური მემკვიდრეობა, როდესაც ყველაფრის ბატონ-პატრონი სახელმწიფო იყო. ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ ადამიანს არაფერზე უნდა ეფიქრა, როგორც მცენარეს, ისე უნდა ეარსება. სამაგიეროდ, მიხედავდნენ, სამსახური და პენსია ექნებოდა. მაგრამ არ ჰქონდა თავისუფლება, რომ თავად გადაეწყვიტა, რა უნდოდა და რა - არა...

**- გამოდის, არც სამოქალაქო შეგნება გაზრდილა, რომელსაც ასე გვიქებენ დღევანდელი პოლიტიკოსები.**

- არა, ეს იცვლება, ოღონდ ნელ-ნელა. ებრაელების უდაბნოდან გამოსაყვანად მოსეს 40 წელი დასჭირდა. თუ დამოუკიდებლობას 1990 წლიდან ვიანგარიშებთ, 26 წელი დაგვრჩა იმისთვის, რომ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან - ანუ როდესაც ადამიანი არჩევნებზე წავა, ბედს ერთ კონკრეტულ პიროვნებას ჩააბარებს, მიდის სახლში და იძინებს, ერთი წლის მერე კი ეკითხება ხელისუფალს, საქმე როგორ არისო... დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების გადაჭრის მონაწილე და პასუხისმგებელია.

**- დღევანდელი ხელისუფლება მოქალაქეთა ამგვარი აქტივობის წახალისების მომხრე ჩანს.**

- მოკლევადიან პერსპექტივაში ეს არც ერთ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს. როცა მორიგი არჩევნები და ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება, მერე ხვდება, რომ, კარგი იქნებოდა, პასუხისმგებლობის ტვირთი საზოგადოებასაც გაზიარებული ჰქონოდა.

**- რამდენად ეყოფა ამ პარლამენტს ძალა და გამბედაობა, დააყენოს თქვენგან დაწუნებული საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი?**

- ყველას მინდა შევახსენო, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები დარღვევით განხორციელდა (გამოქვეყნებიდან მიღებამდე ერთთვიანი ვადა არ დაიცვეს). მოიძებნება თუ არა პარლამენტის წევრების ის 1/5, ვინც ამას გაასაჩივრებს, არ ვიცი. ინიციატიორი აუცილებლად ვიქნები.

**- რა გეგმებით შედიხართ პარლამენტში?**

- პირველი პოლიტიკური გეგმა არსებული პოლიტიკური მოწყობის შეცვლაა, ამისთვის ვიბრძოლებ.

**- როგორ გგონიათ, ასლან აბაშიძე გამოიყენებს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის იმ ხარვეზებს, რაზეც ახლა ისაუბრეთ?**

- ასლან აბაშიძე ამ შეცდომების გამომყენებელი ვერ არის. აბაშიძემ რომ დემოკრატიაზე დაიწყოს ლაპარაკი, ხალხი სიცილით ჩაბჟირდება. ძალიან სასაცილო არის, როდესაც აბაშიძე ან მისი გუნდი დემოკრატიულობის კუთხით აყენებს საკითხს. ერთხელ ბატონმა კაკო ასათიანმა დაწერა, ასლანს აქვს საფუძველი, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით ხელისუფლება აკრიტიკოსო. მინდა ვუპასუხო - საფუძველი ყველას შეიძლება ჰქონდეს, ოღონდ ასლან აბაშიძეს – არა!

**- რას ეყრდნობა აბაშიძე?**

- უხეშ ძალას, იარაღს და კლანურობას. ეს რამდენიმე ათასი კაცია, რომელთაც პატრონები აბაშიძის ხელისუფლებაში ეგულებათ.

აჭარის მოსახლეობა ამ სისტემაში არ არის ჩართული და დამატებით აბაშიძე ამ მოსახლეობის დაშინებას ეყრდნობა.

თუმცა, ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ აჭარაში ხალხი შეცვლილია და სიტუაცია დაძრულია. აბაშიძემ თავის მიტინგზე 2 000 კაცზე მეტი ვერ მოაგროვა და მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას 10 000-იანი აქციით შეხვდნენ. "აღორძინებას" ძალადობისა და გაყალბების მიუხედავად მოუწია აღიარება, რომ ბათუმში არჩევნები წააგო. თუმცა, ძალიან მძიმედ იტანს ამ ამბავს და თბილისში "დესანტის" გადმოსხმას აპირებს. მივესალმები ამ ნაბიჯს და მიხარია, რადგან ასლან აბაშიძის საქმე მაშინ წავიდა ცუდად, როცა ხალხი პირველად გამოუშვა აქეთ. ხალხმა, რომელიც აბაშიძეს ტყვეობაში ჰყავდა და აჭარის ტელევიზიის გარდა არაფერს აყურებინებდა, თავისი თვალით ნახა, რომ თბილისში შეიძლება გამოხვიდე ცენტრალურ ქუჩაზე, აგინო შენს მთავრობას და ამის გულისთვის არავინ გცემს, არავინ დაგიჭერს. პირიქით, გიმასპინძლებენ და უპრობლემოდ დაბრუნდები საკუთარ სახლში. რაც მეტი ხალხი გაივლის ამგვარ პრაქტიკას, უკეთესია. ასე რომ, ასლან აბაშიძის გადაწყვეტილებას ხალხის გამოგზავნის თაობაზე - მივესალმები, ჩვენც სათანადო მასპინძლობას გავუწევთ.

**- დღეს ყველას აინტერესებს, სად ხვდება მილიონები და როგორ ნაწილდება ბიუჯეტი. საჭიროა თუ არა ამ თანხების მონიტორინგი?**

- ბატონმა ჟვანიამ და ნოღაიდელმა გვამცნეს, რომ ბიუჯეტი შესრულდა. ბატონმა ჟვანიამ აღნიშნა, რომ ეს ბრძნულად წარმოებული ფისკალური პოლიტიკის ხარჯზე მოხდა. მე ვიტყოდი, რომ ბიუჯეტი პროკურატურამ შეასრულა და ბრძნული ფისკალური პოლიტიკა არაფერ შუაშია.

სხვათა შორის, ფინანსთა სამინისტრო დღემდე ასაჩივრებდა პენსიონერთა სასარგებლოდ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელიც ჩვენ შევარდნაძის დროს მოვიგეთ...

**- შიმშილობას და სხვა აქციებს გულისხმობთ?**

- დიახ. სამტრედია-ქუთაისის გარდა კიდევ ორმოცამდე საქმე გვაქვს მოგებული. ეს საქმეები ძალაში უნდა შესულიყო. გასაჩივრება დროს ჭიმავს, პენსიონერთა რიცხვი კი იკლებს. ძალიან უცნაური იყო ფინანსთა სამინისტროს ეს საჩივარი იმ ფონზე, რომ ამოღებული ფულით პენსიები ფინანსდებოდა. სასიხარულოა, რომ პრეზიდენტს ამ საქმეების შეჩერების და გამოწვევის გადაწყვეტილება მიუღია.

შეიძლება, ახლა ხალხისთვის მოსაწონი რამ არ ვთქვა, მაგრამ ფულის დაბრუნებისა თუ ამოღების მიმდინარე პროცესს სამართალთან არანაირი კავშირი არ აქვს და ეს უნდა ითქვას. დღეს ყველა ინსტრუმენტი არსებობს იმისთვის, რომ ეს საკითხები სამართლებრივად მოწესრიგდეს. არსებობს პროკურორსა და ეჭვმიტანილს შორის სამართლებრივი გარიგების ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც, ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, ან უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია, პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლოს. გათავისუფლებები კი ამის საფუძველზე არ ხდება.

არსებობს აგრეთვე გირაო, როდესაც გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ ადამიანი დეპოზიტზე გარკვეულ თანხას დებს. თუ ის პირველივე დაკითხვაზე არ გამოცხადდება, გირაო სხელმწიფოს საკუთრება ხდება - არც ეს მუშაობს. ეს ხალხი ფულს იხდის და სანაცვლოდ აღმკვეთ ღონისძიებას უცვლიან. ამას სამართლებრივი დასაბუთება არ აქვს. არ მინდა, მკაცრი შეფასებები მივცე, მაგრამ ეს გამოსასყიდის მიღების მიზნით მძევლების აყვანას ჰგავს.

ამ სიტუაციაში მხოლოდ ერთი რამ არის ახალი - პროკურორსა და გამომძიებელს ფული სახლში არ მიაქვთ. სხვა მხრივ, ეს არის სახელმწიფო რეკეტი ხალხის მიმართ, რომელთაც მართლაც მოიპარეს ფული. მათ ეს ფული კანონიერად უნდა ჩამოერთვათ. მიმაჩნია, რომ თუ სასჯელი არსებობს, დამნაშავემ ფულიც უნდა მოიტანოს და უნდა მოიხადოს კიდეც.

**- რაც თქვა კიდეც ძველმა პრეზიდენტმა.**

- სხვათა შორის, ეს ძველ პრეზიდენტს პირადად ეხება...

ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი დროა - ეს ძალიან კარგად მესმის - ადამიანს მალე გამოსვლა უნდა, გასაჩივრების პროცედურას კი ხანგრძლივი დრო სჭირდება. ვიცი, რომ საზოგადოება მხარს უჭერს ამ პოლიტიკას, თუმცა კანონთან ასეთი მოპყრობა არ შეიძლება. ფაქტია, რომ საპროცესო კოდექსი ირღვევა - ფულს ახდევინებ, უშვებ და ამას სამართლებრივად არანაირი გაფორმება არ გააჩნია. თუ ვცდები, ძალიან გამიხარდება.

**- ვინ უნდა აღკვეთოს?**

- აქ პარლამენტის როლი იკვეთება. ერთ-ერთ პირველს, ამ პროცესების შესწავლისა და სამართლებრივ ფარგლებში მოქცევის საკითხს დავაყენებ. დამნაშავეთა მიმართ უფრო მკაცრ სასჯელს ვითხოვ - ციხეშიც ჩაჯდეს, ზარალიც აანაზღაუროს, დაუსაბუთებელი ქონებაც ჩამოერთვას და ეს ყველაფერი კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამისთვის სახელმწიფოს დღეს ყველა საკანონმდებლო ბერკეტი გააჩნია.

ბიუჯეტის შევსებასთან კი ეს დაკავშირებული არ უნდა იყოს. პროკურატურა საგადასახადო ინსპექცია არ არის, რომ ბიუჯეტის შევსებაზე იზრუნოს. პროკურატურამ კანონი და მართლმსაჯულება უნდა აღასრულოს. ჩემი კრიტიკა ყოველთვის იმას ისახავს მიზნად, რომ თავადვე გამოასწორონ ის, რაც სწორი არ არის. კანონის წინაშე თანასწორობა ზემოდან უნდა იწყებოდეს. მესმის, რომ ეს რთულია და დროს მოითხოვს, მაგრამ თუნდაც მთელი მსოფლიო დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს - ეს რომაული გამოთქმა ყველა ცივილური სახელმწიფოს საფუძველია.

**- პროკურორი, თავდაცვის მინისტრი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე - ახალი ჭორი ხომ არ გაგიგიათ თქვენს შესახებ?**

- ჭორი ისევ პროკურორობის და პალატის თავმჯდომარეობის შესახებ დადის.

**- ჰოდა, პროცესებს თქვენვე მოაქცევთ სამართლებრივ ჩარჩოებში...**

- ჩემი ამოცანა კონსტიტუციის მოდელის აღდგენაა. არც პროკურატურის ცვლილებებით ვარ კმაყოფილი. პროკურატურა სასამართლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელში გადაიტანეს, გამოშიგნეს კონსტიტუციური დაცვის მექანიზმები, შეამცირეს დამოუკიდებლობის გარანტიების ხარისხი.

**- პრეზიდენტი მაჟორიტარებს ხვდება, იქნებით ამ შეხვედრაზე?**

- არა, სხვა საქმე მაქვს.

**- ასეთი რა მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ?**

- თქვენ გაძლევთ ინტერვიუს.

**- ასეც ვიცოდი, რომ პრესას დაბრალდებოდა...**




## კონცერტები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
პრემიერა
ჯონ სინგი
"გმირი"
რეჟისორი: გ. გეწაძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ვოლფგანგ ბორხერი
"რექვიემი კარს მიღმა"
რეჟისორი: ალეკო ესვანჯია
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია 2"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19.00 სთ.

**ძველი სახლი**
აზიზ ნესიმი
"მომკალ, მომკალ..."
რეჟისორი: ლ. კუჭაიძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ძიძა მამები"
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ.

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 17:00; 19:15; 22:30 სთ.

## გამოფენა

**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

**"ჰობი"**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა "ექიმები ხატავენ"

**კლუბები**
**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
TOLOUSE LOW TRAX
კლუბის გახსნა: 22 საათზე

**სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი"**
დიზაინერთა საერთაშორისო კონკურსი
დას: 19:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**"ლიტერატურული კაფე"**
**აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**
წიგნის გამყიდველ-კონსულტანტი, წიგნის მაღაზიის მოლარე, კაფეს ადმინისტრატორი, მცხობელი, მიმტანი.
*განცხადებები მიიღება 13 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე: გამსახურდიას N31, "წიგნის სახლი" (ტელ: 31 30 97); "ლიტერატურული კაფე", კოსტავას N48 (ტელ: 92 16 49).*
განცხადებებზე მიუთითეთ თქვენი კოორდინატი.

# სიმფსონები გაიფიცნენ




ბოლო კვირაა, რაც მულტიპლიკაციურ სერიალ "სიმფსონებზე" მუშაობა ხარვეზებით მიდის. ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით, პროტესტის ნიშნად მულტსერიალის გასახმოვანებლად აღარ დადიან მსახიობები. ამ უკანასკნელთ იმედი აქვთ, რომ განახლებული სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებამდე სასურველ მიზანს მიაღწევენ.

ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, ბოლო კვირის განმავლობაში მულტსერიალის გასახმოვანებლად ორმა მსახიობმა სამსახურში მისვლაზე უარი განაცხადა. საუბარია მსახიობებზე, რომელთა ხმითაც ეკრანებზე საუბრობენ: ჰომერი, მარჯი და ბარტი. ინფორმაციის მიხედვით, ჯერჯერობით არაა მიღწეული შეთანხმება მსახიობებსა და სერიალის პროდიუსერებს შორის.

ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავა მსახიობებსა და "სიმფსონების" პროდიუსერებს შორის პირველად 1998 წელს წამოიჭრა, როდესაც თითოეულ სერიაზე მსახიობები 30 ათას ამერიკულ დოლარს იღებდნენ. მაშინ Twentieth Century Fox TV-ის პროდიუსერებმა ახალი მსახიობები მოძებნეს.

# ოპერაში ვნებათაღელვა მატულობს

### მასმედია კი განტევების ვაცია

მადი სერებრიაკოვა

თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო კოლეგიის ხელმძღვანელმა გურამ მელივამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. ოპერის ხელმძღვანელობის შეშფოთებისა და იქ ჟურნალისტების თავშეყრის მიზეზი "24 საათში" და კიდევ რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები გახდა, სადაც ოპერაში ხელმძღვანელობასა და სოლისტებს შორის არსებულ კონფლიქტზე ორივე მხარის წარმომადგენლები საუბრობდნენ. პრესა კვლავ არბიტრისა და განტევების ვაცის როლში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ოპერის გარშემო ხმაური ბევრს არ აძლევს ხელს. თბილისის ოპერა, ალბათ, ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც წლების მანძილზე სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის გარეშე ფუნქციონირებს.

ვიდრე უშუალოდ პრესკონფერენციას შევეხებოდეთ, "24 საათში" უკვე გამოქვეყნებულ მასალას გავიხსენებ. იგი "მაკბეტის" დადგმას ეხებოდა, სადაც მთავარი პარტიის შემსრულებლები (ელდარ გეწაძე და ბესო გაბიტაშვილი) ბოლო რეპეტიციაზე, პროტესტის ნიშნად, სცენაზე არ გამოვიდნენ. თეატრის სოლისტთან ინტერვიუში ბესო გაბიტაშვილმა ოპერაში არსებულ კორუფციაზე და შემოქმედებისათვის მიუღებელ ატმოსფეროზე ისაუბრა. ვალში არც გურამ მელივა დარჩენილა – სატელეფონო ინტერვიუში მან გაფიცული არტისტები საბოტაჟსა და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების უგულებელყოფაში დაადანაშაულა.

გურამ მელივას კაბინეტში მისული ჟურნალისტები თავდაპირველად საკმაოდ უსიამოვნო სცენის მოწმენი გავხდით: ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებული სოლისტები ჟურნალისტებთან შეხვედრასა და პრესკონფერენციაზე დასწრებას მოითხოვდნენ. საქმე კაბინეტის კარის ჩაკეტვამდეც კი მივიდა, რათა ჟურნალისტები განაწყენებული არტისტებისთვის მოერიდებინათ. სიმშვიდე არც კაბინეტში სუფევდა. გურამ მელივამ თეატრის სოციალური და ეკონომიკური სინამდვილის მიმოხილვა დაიწყო. თუმცა, დამსწრე საზოგადოებას უფრო თეატრის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული სკანდალები და გაფიცული მაკბეტები აინტერესებდა. თეატრის ხელმძღვანელობის "სისუფთავის" დამამტკიცებელი საბუთები, ბატონ მელივას განცხადებით, შეგვიძლია მისსავე ბუღალტერიაში მოვიპოვოთ. თუმცა, ჟურნალისტის კომპეტენცია, ვეჭვობ, ამ საქმისთვის საკმარისი აღმოჩნდეს. დამამტკიცებელი საბუთები არც ბრალმდებელ მხარეს წარმოუდგენია.


*გურამ მელივა.*

გურამ მელივამ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შესახებაც ისაუბრა. მისი სიტყვით, ამერიკაში მოღვაწე ქართველი დირიჟორის ვახტანგ ჟორდანიას მხარდამჭერებმა ჯანსუღ კახიძის გარდაცვალებისთანავე დაიწყეს ცნობილი დირიჟორის ჩამოყვანისთვის ბრძოლა. შემდეგ წინა პლანზე ახალგაზრდა დირიჟორის ზაზა აზმაიფარაშვილის კანდიდატურამ წამოიწია. თეორიულად, სამხატვრო ხელმძღვანელის და მთავარი დირიჟორის გარეშე, საოპერო დასის ფუნქციონირება, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, ეს პოსტები დღეს თეატრში ცარიელია (თუ არ ჩავთვლით მუსიკალურ ხელმძღვანელს, ცნობილ მომღერალს თემურ გუგუშვილს, თუმცა მისი თანამდებობა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციებს მაინც არ ფარავს). ამ თემაზე დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი გურამ მელივასგან ვერ მივიღეთ. სამაგიეროდ, მან დაწვრილებით ისაუბრა არსებული კანდიდატურების ნაკლოვან მხარეებზე.

როგორც ბატონმა მელივამ განაცხადა, აზმაიფარაშვილი მან თავად მოიყვანა თეატრში და მინისტრთან მის მთავარ დირიჟორად დანიშვნასაც უშუამდგომლა. აზმაიფარაშვილმა ამ პოსტზე თავად განაცხადა უარი. მელივა ამის მიზეზად ახალგაზრდა დირიჟორის გადაჭარბებულ ამბიციებს ასახელებს: **"აზმაიფარაშვილმა ერთპიროვნული მმართველობა მოითხოვა**. ამ თემაზე დირიჟორს ჯერ კიდევ სექტემბერში ვესაუბრეთ - აზმაიფარაშვილი დირიჟორის პოსტს შეზღუდული ფუნქციებით არასერიოზულად მიიჩნევდა: **"მთავარი დირიჟორის ადგილი დიდი პასუხისმგებლობაა და თუ მე ავიღებდი მას, მაშინ ბოლომდე უნდა ამეღო და მთლიანად ვყოფილიყავი პასუხისმგებელი მუსიკალურ მხარეზე."**

ვახტანგ ჟორდანიას მიერ ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტთან შეუთავსებლობის ძირითადი მიზეზი მისი საზღვარგარეთული ანგაჟმენტები აღმოჩნდა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაკავებული დირიჟორი ჩვენი თეატრისთვის ვერ მოიცლის და, პრაქტიკულად, მის ადგილს მისივე შვილი, ასევე, დირიჟორი გიორგი ჟორდანია დაიკავებსო, - შიშობს ბატონი მელივა. არსებული საფრთხის დასასაბუთებლად უმცროსი ჟორდანიას დირიჟორობით შესრულებულ სპექტაკლებსა და სახელმწიფო კამერულ ორკესტრს იშველიებს. ვახტანგ ჟორდანიას სეულში დავუკავშირდით, სადაც იგი ამჟამად მართავს კონცერტებს: **"დირიჟორი, რომელიც ერთ ქვეყანაში ზის და მსოფლიოში არავის არ სჭირდება, დამიჯერეთ, თქვენც არ გჭირდებათ,** – აღნიშნავს ბატონი ჟორდანია, – **პერსპექტივაში ჩვენს თეატრში მთლიანად უნდა შეიცვალოს სტრუქტურა. თუ სწორედ წარვმართავთ თეატრის მენეჯმენტს, ერთ-ორ წელიწადში იგი ევროპის თეატრებს გაუწევს კონკურენციას. ამის იმედს დღეს მსოფლიოში გაფანტული უამრავი ქართველი მუსიკოსი გვაძლევს."**

პრესკონფერენციაზე არაერთხელ ახსენეს გიგა ლორთქიფანიძის სახელი, რომელიც ოპერაში დაწყებული "ჯანყის" ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე ყოფილა. მელივას აზრით, გიგა ლორთქიფანიძეს, შემოქმედებითი უსუსურობის შესანიღბად, აქცენტის გადატანა შინაურ სკანდალებზე უნდოდა. მაგალითად, მან ლორთქიფანიძის დადგმული "ქეთო და კოტე" და "კოლხთა ასული" მოიყვანა. ლორთქიფანიძისეულ "ქეთო და კოტეს" მან ალექსანდრე წუწუნავას პლაგიატი უწოდა, ხოლო, მისივე თქმით, "კოლხთა ასულიც" ლორთქიფანიძის მოძველებულ რეჟისურას უნდა უმადლოდეს სცენიდან გაქრობას.

გურამ მელივას კრიტიკა თეატრის უკმაყოფილო სოლისტებსაც შეეხო. როგორც მან აღნიშნა, მათი სცენაზე არგამოსვლის მიზეზები, სინამდვილეში, მათსავე პროფესიულ ხარვეზებში უნდა ვეძებოთ. ერთ დროს პირველი პრემიერი ელდარ გეწაძე, მელივას თქმით, დღეს მაკბეტს ვეღარ იმღერებს. ვერშემდგარ კარიერაში დაედო ბრალი ბესო გაბიტაშვილსაც. ამის მაგალითად კი, მელივამ ბარიტონის სამხრეთ აფრიკის თეატრში დამკვიდრების წარუმატებელი მცდელობები გაიხსენა და დამნაშავედ მომღერლის მეუღლე და კონცერტმეისტერი დაასახელა. ამ უკანასკნელის მისამართით გამოთქმული სხვა ბრალდებების გამოქვეყნებისგან თავს შევიკავებთ; ისევე, როგორც თავს ვარიდებთ ისრაელში გასტროლის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის საკმაოდ უხერხული მიზეზების განხილვასაც.

მელივას პრესკონფერენციის შემდეგ ვნებათაღელვამ დერეფანში გადაინაცვლა, სადაც ჟურნალისტებს განაწყენებული სოლისტები ელოდნენ. ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ თეატრის ხელმძღვანელობაში შექმნილი შემოქმედებითი ვაკუუმის გამო. მთავარი ბრალდებები იყო - ფინანსური მაქინაციები, არასწორი შემოქმედებითი პოლიტიკა; მთავარ არგუმენტად კი ის სახელდებოდა, რომ საოპერო თეატრი მუსიკოსმა, დირიჟორმა და კომპეტენტურმა პიროვნებამ უნდა მართოს.

# ნატიფი ნივთების მოყვარულთათვის

ნინო ჭანიშვილი

ჩემ ბავშვობაში ტიხრული მინანქარი იდუმალებით იყო მოცული. ტიხრული მინანქრის ნიმუშების ნახვა მარტო ხელოვნების მუზეუმში შეგეძლო. ოქროს ფონდში მისულს გიდები ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე გაზეპირებულ ისტორიას მიყვებოდნენ - რომ ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია მხოლოდ ბიზანტიაში, კიევის რუსეთში და შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა და ახლა ეს ტექნოლოგია დაკარგულია.

ჩემი და ხელოვნების მუზეუმის გიდების წარმოდგენა ამ რამდენიმე წლის წინ დაიმსხვრა. აღმოჩნდა, რომ არც არაფერი დაკარგულა. უბრალოდ, საბჭოთა დროს ამ ხელობით არავინ იყო დაკავებული. თანაც მაშინ, ჩაკეტილ ქვეყანაში ვინ იშოვიდა მინანქრის ფერებს. ახლა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს ლიმოჟის ფერების მწარმობელი ქარხნიდან ფერების გამოწერა და შეძენა. არც ღუმელის მოწყობაა პრობლემა. მოკლედ, თბილისში ამ ბოლო წლებში რამდენიმე მინანქრის სახელოსნო და ბევრი პროფესიონალი და არაპროფესიონალი გაჩნდა. ვისაც არ ეზარება, ყველამ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. ცუდი ამაში არაფერია, უბრალოდ, როცა რაიმე მასობრივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება, ფასიც ეკარგება ხოლმე.

მაგრამ, გუშინდელი გალერეა "შარდენის" გამოფენა, მართლაც, გამორჩეული იყო ნატიფი და ქალური სამკაულებით. ზეიკო ჯაფარიძეს მინანქარში მუშაობა 4 წლის წინ დაუწყია. იგი განათლებით ფილოსოფოს-ფსიქოლოგი გახლავთ. მინანქრის ტექნოლოგია კი საკუთარი სტუდენტის მეუღლისგან, პროფესიონალი ხელოსნისგან, ირაკლი მეგრელიშვილისგან უსწავლია. ზეიკო ჯაფარიძემ უკვე ოთხ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის - თბილისში მოწყობილ პირველ საერთაშორისო ბიენალეზეც. ეს ექსპოზიცია კი მისი პირველი პერსონალური გამოფენაა.


*ზეიკო ჯაფარიძის ნამუშევრები.*

ზეინაბ ჯაფარიძის მიერ შექმნილი სამაჯურები, ყელსაბამები, ბეჭდები, გულსაკიდები მინანქართან ერთად ნახევრად ძვირფასი თვლებით და ბისერებითაა გაფორმებული. განსაკუთრებით ნაზია ბისერებით გაწყობილი საყურეები.


*ზეიკო ჯაფარიძე პირველ პერსონალურ გამოფენაზე.*

გამოფენა გამორჩეული იმით იყო, რომ გარდა მშვენიერი სამკაულებისა, იგი სხვა ნივთებითაც იყო გაფორმებული. გალერეის კუთხეებში ზეიკო ჯაფარიძის გაკეთებული ორიგინალური ფორმის ნათურებიც იდგა, კედლებზე კი კოლაჟები ეკიდა. კოლაჟები ძველი ნივთებისგან იქმნება და მაქმანებით მოქარგულ ფონზე თავსდება. ავტორი აშკარად ნოსტალგიას განიცდის ჩვენი ბებიების დროინდელი ნატიფი და ქალური ნივთებისადმი. თავად საგამოფენო ვიტრინებიც, სადაც ტიხრული მინანქრის სამკაულია მოთავსებული, ძველებური მარაოთი, სასურათე ალბომით და სხვა აქსესუარებითაა გაფომებული.

ასევე, ავტორის მიერ ვარდისფერი მინანქრით დაფერილი სურათის ჩარჩოც და ბისერებით გაწყობილი სააღდგომო კვერცხები ძველი რუსეთის და ფაბერჟეს ნაკეთობების ასოციაციას იწვევს.

ზეიკო ჯაფარიძის ნამუშევრების ღირებულება რამდენიმე ათეული დოლარიდან იწყება. მათი საშუალო ფასი 200-400 დოლარია. მაგრამ, არის ნივთები, რომელთა ფასი 800 დოლარსაც აღწევს. თუ მათ შეძენას ვერ გაწვდებით, დათვალიერების სიამოვნება მაინც არ მოიკლოთ.

# სამოციანები ავედონის სამყაროდან



იზაბელ აჯანი.



რიჩარდ ავედონის არქივიდან.



ენდი ვორჰოლის იარები.

*"შენ ისე გამჭრიახად ადევნებდი თვალს საინტერესო და გასაოცარ ადამიანებს, რომლებსაც ფოტოებს უღებდი, რომ ეს ხალხი ავედონის სამყაროს ხალხი გახდა," - უთხრა მას ანრი კარტიე-ბრესონმა 1959 წელს. მას შემდეგ თითქმის 45 წელი გავიდა, და დღეს რიჩარდ ავედონს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პორტრეტისტი შეიძლება ვუწოდოთ.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ავედონის პორტრეტები არაჩვეულებრივად მიმზიდველია, ერთხელ თუ ნახეთ, არასოდეს დაგავიწყდებათ და არაფერში აგერევათ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ძალიან მარტივადაა შესრულებული. სწორედ ასეთია წიგნი "სამოციანებიც", რომელსაც შემთხვევით გადავაწყდი და რომლის გამოც გადავწყვიტე, რომ პატივცემული საზოგადოება კვლავ სიამოვნებით შეხვდებოდა რიჩარდ ავედონს და უკვე შორეულ, მაგრამ დაუვიწყარ, გასული საუკუნის სამოციან წლებს. თითქოს, დიდი არაფერია – ერთი საუკუნის ათი წელი, მაგრამ სამოციანები კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, მარად ამ სახელით დარჩება.

რიჩარდ ავედონის "სამოციანების" შესავალში ჩარლზ დიკენსის სიტყვებია მოყვანილი: "ეს ყველა დროის საუკეთესო დრო იყო, ეს ყველა დროის ყველაზე ცუდი დრო იყო. ეს იყო სიბრძნის საუკუნე და სისულელის საუკუნე. ეს იყო რწმენის ხანა და ურწმუნოების ხანა. ეს იყო სინათლის დრო, ეს იყო წყვდიადის დრო. ეს იყო იმედის გაზაფხული და სასოწარკვეთილების ზამთარი. ჩვენს ხელთ იყო ყველაფერი და არაფერი. ჩვენ ყველანი პირდაპირ ზეცისკენ მივიწევდით..." ეს სიტყვები, ცხადია, სხვა დროსა და ათწლეულზე ნათქვამი, სამოციანების წლებს ზუსტად ერგება, და ამის გადმოცემა რიჩარდ ავედონმა საუკეთესოდ შეძლო.

"ავედონმა მინიმალური კომპოზიციური საშუალებებით შექმნა აბსტრაქცია, რომელიც იეტსისა თუ ელიოტის პოეტურ პორტრეტს უტოლდება," წერდა მის შესახებ დონ ეშტონი. "მისი სტილი უნაკლოა. ის ლაბორატორიული პროცესების ალქიმიკოსი არაა, მისი იარაღი ქაღალდი, გამადიდებელი ან ტექნოლოგია როდია – ის საკითხის ბუნებას სწვდება, ყოფის არსს."

თანამედროვე ფოტოპორტრეტის ისტორიაში ავედონის ბადალი ოსტატი ერთი-ორი თუ მოიპოვება. მას წინა თაობების დიდ წარმომადგენლებს თუ შევადარებთ – რომანტიკულ ჯულია მარგარეტ კემერონს ან გასული საუკუნის პირველი ნახევრის დიდ რეალისტ ფოტოგრაფს, გერმანელ ავგუსტ ზანდერს.

რიჩარდ ავედონი ამბობდა, რომ "ფოტოპორტრეტი არის გამოსახულება ადამიანისა, რომელმაც იცის, რომ მის პორტრეტს ქმნიან. ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას ამ ცოდნის მიმართ, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი გარეგნობა თუ სამოსი". მის მიერ შექმნილი პორტრეტები თავისი ბუნებრიობით გამოირჩევა – მოდელი კამერას თითქოს სრულიად უგულებელყოფს და არაფრითაა შეზღუდული, ის გულწრფელია. ერთ ინტერვიუში ოსტატმა ბრძანა, რომ ადამიანის საიდუმლოს ცოდნა და სულში ჩაწვდომა მას სულ არ სჭირდება. "სწორედ ის ფაქტია საინტერესო, რომ ობიექტს აქვს თვისებები, რომელთა ჩემთვის გამხელაც არ სურს. მაშინ იქმნება პორტრეტი ადამიანისა, რომელიც რაღაცას მალავს, და საინტერესო სწორედ ესაა." და კიდევ: "ჩემ მიერ გაკეთებული პორტრეტები ჩემ შესახებ მეტ წარმოდგენას შეგიქმნით, ვიდრე ვინმე სხვა პიროვნების შესახებ".

ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ძველი ოსტატების მიერ შექმნილმა ორმა პორტრეტმა - კემერონის "სერ ჯორჯ ჰერშელმა" და ნადარის "მადამ ერნესტინა ნადარმა" თავის დროზე ახალგაზრდა ავედონზე დიდი გავლენა იქონია. მისი თქმით, "ისინი ოფიციალურია, სტილიზებულიც კი, გულწრფელი არცერთი მათგანი არაა, მაგრამ გასაოცარია იმის გამო, რომ დადგმულს სულ არ ჰგავს".

რიჩარდ ავედონმა ორ პოლარულ ჟანრს - მოდის ფოტოგრაფიასა და რეპორტაჟს შორის ზღვრის მოშლა შეძლო; ზოგჯერ ძალიან ძნელი სათქმელია, რა ხასიათისაა მისი ესა თუ ის ნამუშევარი. მან თითქოს განსაკუთრებული ჟანრი შექმნა, საკუთარი, ავედონისა. ის თავის პერსონაჟებს მატერიალური კონტექსტის გარეშე განიხილავს, ნაცრისფერ ან თეთრ ფონზე, შავ ჩარჩოში – "ყველაფერი გენიალური მარტივია". ნაცრისფერისა თუ თეთრის არჩევანი სიტუაციითაა განპირობებული. "მე თავიდანვე ყოველთვის თეთრი ფონით ვსარგებლობდი. ნაცრისფერი ფონი მხოლოდ იმ შემთხვევებისთვისაა, როდესაც მისთვის დამახასიათებელი ვიქტორიანული რომანტიზმი გადაღების ობიექტთან კონფლიქტში შედის, რისი მაგალითიც ენდი ვორჰოლია, რომელიც თავის ნაიარევს გვაჩვენებს".

ავედონი თეთრ ფონს ძლიერ გამომხატველ საშუალებად მიიჩნევს, რომელიც პორტრეტებში სიმბოლიზმის მიღწევისთვის გამოიყენება. ის აღიარებს, რომ "თეთრ ფონზე მუშაობისას ძალიან ძნელია, გრაფიკულობა პირველ პლანზე არ წამოიწიოს. ძალიან ძნელია, უალტერნატივო ჩარჩოში ემოციური შინაარსი შესძინო სავსებით ან პოტენციურად კარიკატურულ საგნებს. სწორედ ამიტომაა ის გამომწვევი და მნიშვნელოვანი". და, ალბათ, ამიტომაც ახდენს ფოტოგრაფის ნამუშევრები ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას.

"სამოციანები" (გამომცემლობა Random House) ფოტოგრაფის რიგით მეათე წიგნია. ვგონებ, ის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყველასთვის, ვისაც თანამედროვე ფოტოგრაფია აინტერესებს. ეს მხოლოდ ფოტოგრაფიული ალბომი როდია. ფოტოსურათებს იმ წლებში ჟურნალისტ დუნ არბუსის მიერ ჩაწერილი ინტერვიუები ენაცვლება (ავედონი მასთან მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა). ეს ის შემთხვევაა, როცა ტექსტი და ფოტოგრაფია სავსებით ორგანულია და ერთიმეორისგან განუყოფელი, და შედეგად, მაღალი ხელოვნების გარდა, დამოუკიდებელ ისტორიულ საბუთთან გვაქვს საქმე.

სხვადასხვა მოძრაობების პოლიტიკოსები და აქტივისტები, სამხედრო პირები და ექიმები, არქიტექტორები, მწერლები, მუსიკოსები... მსახიობი ვივა, ენდი ვორჰოლის "ფაბრიკის" ცენტრალური ფიგურა: "მე მინდა ვიყო მდიდარი. დედა. კაპიტალისტი. მინდა მქონდეს დიდი სახლი, ბაღი და ყველაფერი დანარჩენი. მე მინდა, ბურჟუაზიული ვიყო, მაგრამ ვეჭვობ, რომ არაფერი გამომივა, რამდენსაც არ უნდა ვეცადო"; ლეგენდარული ჯენის ჯოპლინი: "საკმაოდ აშვებული ვარ. როგორ გითხრა, ვილაც უცნობ ხალხთან ვიჭერ საქმეს და რა ვიცი, რა აღარა..." ძალიან შთამბეჭდავია ენდი ვორჰოლიც, რომელიც თავის ჯერ სულ ახალი, ოპერაციის შემდგომი იარების დემონსტრირებას ახდენს.

ცალკეულ ფოტოსურათებთან ერთად გადაშლილი გვერდებიც ოსტატურადაა შესრულებული: ბრბოდან "ამოწეული" ქალის პორტრეტი 1963 წლის ნოემბერში გაკეთებული ტაიმს სკვერის სერიიდან, რომელსაც ხელში გაზეთი New York World-Telegram უჭირავს – თვალნათლივ ვხედავთ სათაურს: "პრეზიდენტი მოკლულია". მის გვერდით სულ ახალგაზრდა ბობ დილანის პორტრეტია. ან კიდევ ერთი გვერდი: ორი ყოფილი პატიმარი და იქვე უკვე ფოტოგრაფიის კლასიკად ქცეული სურათი, ყოფილი მონის, უილიამ კესბის პორტრეტი.

"სამოციანები" საუცხოო წიგნია, კარგი საკითხავი და კარგი დასათვალიერებელი. ჩვენთვის კი, ვისაც პოსტსაბჭოთა კულტურულ სამყაროში ცხოვრების მიუხედავად, თავი მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია, ის სავალდებულო ფოტოგრაფიულ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს. თან იმაზეც შეგვიძლია დავფიქრდეთ – ისე, გასართობად: ნეტა, როგორ გამოიყურებოდა ჩვენი სამოციანები?

# მივიღოთ ისეთი, როგორიც არის

## ვივიენ ვესტვუდი ინგლისური კულტურის ნაწილი ოფიციალურად ხდება

"ისტებლიშმენტი მოდის რევოლუციონერს აღიარებს", - გაზეთ "გარდიანის" წერილი ამ სათაურით ვივიენ ვესტვუდს ეძღვნებოდა; დიზაინერ ქალბატონს, რომელსაც იმის გამბედაობაც ეყო, რომ ბუკინგემის სასახლეში უმაღლესი ჯილდოს გადაცემის ცერემონიალზე ქვედა საცვალის გარეშე გამოცხადებულიყო და ამის შესახებ მთელი ქვეყნიერებისთვის ეცნობებინა...

ამ სკანდალური აქტის შემდეგ 12 წელი გავიდა. მეამბოხე და სკანდალური ვივიენი 62 წლის გახდა, მაგრამ არ დაბრძენებულა – ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. მას ძველებურად უყვარს სკანდალები, სენსაციური ურთიერთობები, უხერხული გამოხდომები, თავხედური გამონათქვამები და ამ ყველაფრის მატერიებსა და სტილში განსხეულება – იმგვარი კოლექციების შექმნა, რომელსაც, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, პრაქტიკაში ვერავინ იყენებს.

ერთი სიტყვით, ვესტვუდს ხანში შესული და კლასიკური გაგებით დაბრძენებული ეთქმის იმ შემთხვევაში თუ მხლოდ მის ბიოლოგიურ ასაკს გავითვალისწინებთ; ისე კი, მას ძველებურად, თავქარიანი გოგოსავით შეუძლია პირში მიახალოს ადამიანებს ყველაზე უხერხული სიმართლეც კი. როგორც ჟურნალი "ვოგი" წერს, მარტში ვესტვუდი ბუკინგემის სასახლეში გამართულ მიღებაზე ბრიტანეთის პირველ ლედის, შერი ბლერს შეხვდა და უყოყმანოდ გამოიყენა შანსი, მისთვის ეთქვა, თუ სინამდვილეში რას ფიქრობს შერის მეუღლის, ტონი ბლერის შესახებ. "შერის პირდაპირ ვუთხარი, შენი ქმარი აზრზეც არ არის, რას ნიშნავს საერთოდ ცნება კულტურა, და მისი ჩაცმის სტილი ხომ კიდევ უფრო უარესია-მეთქი".

სწორედ ეს ქალბატონი, "გარდიანის" კიდევ ერთი ეპითეტი რომ გამოვიყენოთ – ბრიტანეთის ეს ყველაზე ცნობილი ნონკონფორმისტი – აღიარა ინგლისურმა კულტურულმა ისტებლიშმენტმა ხუთშაბათს და ნიშნად ამისა ვიქტორია & ალბერტის მუზეუმში დიდი რეტროსპექტივა უძღვნა; მეტიც, ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეტროსპექტივა, როგორიც ბრიტანელ დიზაინერებს ოდესმე ღირსებიათ.



ვივიენ ვესტვუდი დროსა და ტაბუს ეთამაშება.

გამოფენა საზოგადოებისთვის გუშინ, 2 აპრილს გაიხსნა და 11 ივლისამდე გასტანს (www.vam.ac.uk). წარმოდგენილ ნივთებს შორის გახლავთ ყველა ის მოდელი, რამაც ვესტვუდის სახელი მსოფლიოს მასშტაბით "ააყვირა": 1972 წელს შექმნილი მაისური, რომელზეც სიტყვა "როკი" ქათმის ძვლების ფორმებითაა ამოტვიფრული, "სექს ფისთოლზის" მაისური, რომელიც 1976 წელს ჯონი როტენს ეცვა, უზარმზარი ლურჯი ფერის პლატფორმა, რომელმაც 1993 წელს ნაომი კემპბელი პოდიუმზე წააქცია...

დარბაზის შესასვლელში უზარმაზარი კედლის საათი ჰკიდია, რომელზეც 13 საათი და ისარია განთავსებული და სწრაფი ტემპით უკან ტრიალებს. ანუ, სტუმრები ზღურბლიდანვე აცნობიერებენ, რომ მათი მასპინძელი, ვივიენ ვესტვუდი არ ცნობს დროის მშვიდ, ტრადიციულ ციკლებს, რომლებიც თანამედროვე მოდას ამოძრავებს. "დროსთან ფეხის აწყობა ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. მე დროზე უფრო სწრაფად სვლა მირჩევნია. თუ დროს მხოლოდ მიჰყვები, ბოლომდე ვერაფერს ხედავ, სულ ისეთი განცდა გრჩება, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამოგრჩა", - მიიჩნევს ვესტვუდი და მუზეუმის სტუმრებს აცნობს იმ დასკვნებსაც, რომლებიც მოდის ისტორიის კვლევისას გააკეთა. მაგალითად, მუზეუმში გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი მე-18 საუკუნის ესკიზით შექმნილი კაბა და ის მწვანე აბრეშუმის სამოსი, რომელიც მისი გავლენით შეიქმნა. ეს მშვენიერი მოდელი 1996 წელს ლინდა ევანგელისტას ეცვა.

ვიქტორია & ალბერტის მუზეუმის წარმომადგენლები კი შეგვახსენებენ, რომ ამ გრანდიოზული რეტროსპექტივის მთავარი გმირი გახლავთ ის ქალიც, რომელმაც 1970-იან წლებში პანკ-როკის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა; ქალი, რომელიც ამბობდა: "ჩემთვის მოდა იყო, უპატრონოდ მიგდებული თოთო ბავშვი, რომელიც ვიპოვე, ხელში ავიყვანე და მას შემდეგ არ გამიშვია". არსებული ნორმების დარღვევის სურვილი ვივიენ ვესტვუდის ხშირად რელიგიურობისა და ნაციონალიზმის პაროდირებისკენაც უბიძგებს და ამას ძველი სტილის გათანამედროვებით, კორსეტების, კრინოლინების და ცნობილი ინგლისური ტვიდის გამოყენებით ახერხებს.

რაც მთავარია, ამ დაუღალავ ქალბატონს დღემდე უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. გამოფენის გახსნაზე მიბრძანებულ ცნობილ სახეებს – ლიზი ჯაგერს, ჯერი ჰოლს, კეიტ მოსს, ტრეისი ემინს, სემ ტეილორ-ვუდს და სხვებს ექსკლუზიურად ვესტვუდის კაბები ეცვათ და ამით ცდილობდნენ კრიტიკოსებისთვის დაემტკიცებინათ, რომ ვივიენის მოდელები სინამდვილეში სულაც არ გახლავთ არაპრაქტიკული.

ერთი სიტყვით, ნონკონფორმიზმის მაძიებლებს 11 ივლისამდე აქვთ დრო – ვესტვუდის გამოცდილების გაზიარება მისი 150 ექსპონატისგან შემდგარი გამოფენით სწორედ ამ თარიღამდე შეეძლებათ. შემდეგ კი, ვიქტორია & ალბერტის მუზეუმი კრისტობალ ბალენსიაგას გრანდიოზულ რესტროსპექტივას გეგმავს. აქვე შეგახსენებთ, რომ ვესტვუდამდე იგივე მუზეუმი ვერსაჩეს მოღვაწეობას იხსენებდა.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის"

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| "ძველი მოდელი" | | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| "უკანასკნელი 500 წელი" | | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| "წიგნი" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| "სამი გოჯი" | | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში" | ალექსანდრე რონდელი | "მეცნიერება" | 2 |
| "ინგლისის ვარდები" | მადონა | "არეტე" | 2 |
| [illegible] | ჯიბრან ხალილ ჯიბრანი | "დიოგენე" | 2 |
| "ქართული პროზის მეორე ანთოლოგია" | თამაზ ვასაძე | "დიოგენე" | 2 |
| "მესამე სარდალი" | ლაშა ბუღაძე | "არეტე" | 1.6 |
| "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის" | გიორგი მარგველაშვილი | | 1.6 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "სკუბი-დუ 2" | რაჯა გოსნელი | მეთიუ ლილარდი, ფრედი პრინცი | 29,438,331 | 29,438,331 |
| Ladykillers | ჯოელ კოენი | ტომ ჰენქსი, მარლონ უეიანსი | 12,634,563 | 12,634,563 |
| "ქრისტეს ვნებანი" | მელ გიბსონი | ჯეიმს კევიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 12,593,974 | 315,152,778 |
| "მიცვალებულთა განთიადი" | ზაკ სნაიდერი | სარა პოლი, ვინგ რეიმსი | 10,675,945 | 44,220,945 |
| Jersey Girl | კევინ სმითი | ბენ აფლეკი, ჯენიფერ ლოპესი, მეტ დეიმონი, უილ სმითი | 8,319,171 | 8,319,171 |
| Taking Lives | დ. ჯეი. კარუზო | ანჯელინა ჯოლი, იტან ჰოუკი, კიფერ საზერლენდი, ოლივიე მარტინესი | 6,557,426 | 21,717,105 |
| "სტარსკი და ჰაჩი" | ტოდ ფილიპსი | ბენ სტილერი, ოუენ უილსონი, სნუპ დოგი, ვინს ვონი, კარმენ ელექტრა, ჯულიეტ ლუისი | 6,212,223 | 76,821,982 |
| "ჰიდალგო" | ჯო ჯონსტონი | ვიგო მორტენსენი, ომარ შარიფი, ზულეიხა რობინსონი | 5,336,874 | 56,428,037 |
| "საიდუმლო ფანჯარა" | დევიდ კეპი | ჯონი დეპი, მარია ბელო | 5,314,008 | 40,570,505 |
| Eternal Sunshine of the Spotless Mind | მიშელ გონდრი | ჯიმ კერი, კეიტ უინსლეტი, ელაიჯა ვუდი | 5,254,206 | 16,351,047 |



### ევროპის საუკეთესო ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | ალბომი | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| Patience | ჯორჯ მაიკლი | |
| Feels Like Home | ნორა ჯონსი | [illegible] |
| Greatest Hits | "განს-ენ-როუზის" | [illegible] |
| Elephunk | "ბლექ აიდ პის" | [illegible] |
| Fallen | "ევანესენს" | [illegible] |
| The Soul Sessions | ჯოს სტოუნი | [illegible] |
| Come Away With Me | ნორა ჯონსი | [illegible] |
| Life For Rent | დაიდო | [illegible] |
| Call Off The Search | ქეთი მელუა | [illegible] |
| Wir Sind Helden | "ვირ ზინდ ჰელდენ" | [illegible] |

ფეხბურთი

# სფფ-ს კიდევ ერთი სპონსორი გამოუჩნდა

## ილია კოკაია ფეხბურთს დაუბრუნდა და მასზე ზრუნვას იწყებს

აკა ტონია

უკანასკნელ ხანს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ერთბაშად იმდენი რამ ხორციელდება, რომ ყველაფერზე იმედგაცრუებულ გულშემატკივარსაც კი შეიძლება იმედი დაუბრუნდეს. შეიქმნა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, განხორციელდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა სახელოვანი ალენ ჟირესი, ფეხბურთით ქართველი ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ და კომპანია "ყაზბეგი" საქართველოს ნაკრების სპონსორი გახდა. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია აღმავალია: ფეხბურთის ფედერაციას კიდევ ერთი მძლავრი სპონსორი გამოუჩნდა.

ავსტრიული ფირმა DCM DECO-metal-ი ჯერ კიდევ 1876 წელს დაარსდა და ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მეტალურგიული კომპანიაა. სწორედ DCM-მა შეიძინა შარშან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი სპონსორი სწორედ ფეროშენადნობთა ქარხანაა.

კონტრაქტი გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ილია კოკაიამ.

მერაბ ჟორდანიას თქმით, ეს გარიგება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. კონტრაქტით განსაზღვრული ფინანსური საკითხები არ ხმაურდება, თუმცა, მერაბ ჟორდანიას განცხადებით, თანხა ძალიან სერიოზულია. "კონტრაქტი სამწლიანია. შესაძლოა, ერთ წელიწადში მას გადახედონ და თანხა კიდევ უფრო გაიზარდოს. ილია კოკაიას ფეხბურთის სფეროში კონტრაქტების გაფორმების დიდი გამოცდილება აქვს და ჩვენი ხელშეკრულებაც ისეა მომზადებული, რომ თანხის ხარჯვა სხვადასხვა განხრით შეგვიძლია", - თქვა ჟორდანიამ.

მაინც რას ნიშნავს ფეხბურთის სფეროში კონტრაქტების გაფორმების გამოცდილება? საინტერესოა, რომ ილია კოკაია ერთ-ერთი პირველი ქართველი იყო, რომელმაც FIFA-ს ფეხბურთელთა აგენტის ლიცენზია მიიღო და სატრანსფერო საქმიანობას მოკიდა ხელი. სხვათა შორის, ახალ სპონსორთან მოლაპარაკებებში ლომის წილი დაიდო სფფ-ის სატრანსფერო კომიტეტმა. "კოკაია ერთ-ერთი პირველი ქართველი ფეხბურთელთა აგენტია. ის გერმანიაში მოღვაწეობდა, ახლა კი საქართველოში დაბრუნდა და სფფ-ის ერთ-ერთი სპონსორია. ეს მისასალმებელი ფაქტია. კარგია, რომ ქართული ფეხბურთის დახმარების საშუალება თავად ფეხბურთში მოღვაწე ადამიანებს უჩნდებათ", - აღნიშნა სფფ-ს სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარემ, უჩა მალაზონიამ.

საინტერესოა, რომ, წინასწარი გადაწყვეტილებით, კონტრაქტი არა გუშინ, არამედ გუშინწინ, პირველ აპრილს უნდა გაფორმებულიყო. თუმცა, იმის გამო, რომ ეს დღე ხუმრობასთან


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ილია კოკაია და მერაბ ჟორდანია ხელშეკრულების გაფორმების წინ.

და ტყუილებთან ასოცირდება, ხელმოწერის ცერემონიალი ერთი დღით გადაწიეს. "პირველი აპრილი გუშინ იყო, დღეს უკვე ორია და ამიტომ ეს ამბავი ხუმრობა ნუ გეგონებათო", - ამბობდა სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მერაბ ჟორდანია წმინდა სპორტულ საკითხებსაც შეეხო. საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი მომავალ სამშაბათს ჩამოფრინდება თბილისში. თითქმის უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ბოსკამპი საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. სავარაუდოდ, ჰოლანდიელი მწვრთნელი პარალელურად კლუბ "ვიტ ჯორჯიასაც" გაწვრთნის.

ჟორდანიამ დაადასტურა, რომ აპრილში საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს, თუმცა, მომავალი მეტოქის ვინაობა ჯერ უცნობია. შესაძლოა, რომ ჩვენი ნაკრები ისევ გერმანიაში გაემგზავროს და რომელიმე ადგილობრივ კლუბს შეხვდეს.

რაკი ამხანაგურ მატჩებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას საქართველოს ნაკრებთან თამაშზე თანხმობა განუცხადებია. როგორც იცით, ამას წინათ ალენ ჟირესმა ფაქსი გაგზავნა სამშობლოში და საფრანგეთის ნაკრებთან თამაშის სურვილი გამოთქვა. მატჩის ჩატარების სავარაუდო თარიღი მომავალი წლის თებერვალი იყო, თუმცა, გაირკვა, რომ ფრანგებს აგვისტოში დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის სპარინგ-პარტნიორი აღარ ჰყავთ და ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. სამწუხაროდ, სფფ-ის აწ უკვე ყოფილი გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მოლდაველებს შეუთანხმდა აგვისტოში თამაშზე. ისე როგორც ცხოვრებაში, საფეხბურთო სამყაროშიც სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა სჯობს და ჩვენც მოგვიწევს, საფრანგეთის ნაკრების ნაცვლად, მოლდაველებს ვეთამაშოთ.

# შუშაკის მილოცვები ალენ ჟირესს

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მე-3 ტურის მატჩები გაიმართება. თბილისის "დინამო" "თბილისს" უმასპინძლებს.

გუშინ ორივე გუნდის მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა. შუშაკი დაესწრო მანჰაიმის მატჩს - მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრებისა და საქართველოს ეროვნული გუნდის ამხანაგურ შეხვედრას.

"საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ჩემი აზრით, წარმატებული სტარტი უნდა მივულოცო. ჯერ ერთი, გასვლითი თამაშის ფრედ დამთავრება უკვე დადებითი შედეგია. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მეტოქე ახალგაზრდული ნაკრები იყო, მაგრამ ეს გუნდი უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და შტილიკე (ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი) მომავალ ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული ამბიციით მიემგზავრება. ამ თაობის მთელ გერმანიას ძალიან დიდი იმედი აქვს. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ 2006 წელს გერმანელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობა იკისრეს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ამ მატჩის წინ ჟირესი, ნათელი გახდება, რამდენად მისაღები და სასურველი შედეგია ფრე. საქართველოს ნაკრებმა ამ თამაშში ნებისყოფაც გამოავლინა: გუნდი ორჯერ აგებდა და ორჯერვე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება", - კმაყოფილია შუშაკი.

მწვრთნელი დღევანდელ მატჩზე დიდ იმედებს ამყარებს.

"ტრადიციულად, ერთი ქალაქის გუნდების დაპირისპირება განსაკუთრებით საინტერესოა. ეს თამაში იმითაც იქნება გამორჩეული, რომ ყოველ ქულას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ორივე გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. "თბილისმა", რომელიც პირველ ეტაპზე, ძირითადად, ახალგაზრდა ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, კარგად გამოიყენა ჩემპიონატში არსებული პაუზა და გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით გააძლიერა. ახლა ჩვენი მეტოქე კარგ ფორმაშია. ვითვალისწინებ ამ გუნდის ძალას და, დარწმუნებული ვარ, მძიმე მატჩი გველის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი დამარცხება არ შეგვიძლია. ძალიან ცუდი სტარტი გვაქვს. სიტუაცია სწრაფად უნდა გამოვასწოროთ და ამისკენ ხვალ პირველ ნაბიჯს გადავდგამთ", - განაცხადა შუშაკმა.


შუშაკს "თბილისთან" გამარჯვების იმედი აქვს.

მწვრთნელმა საკადრო პრობლემებზეც ისაუბრა.

"ზოიძე ისევ არ გვეყოლება. ვერც ქოქიაშვილმა მოასწრო სრული გამოჯანმრთელება. ბურდული ახლა იწყებს ინდივიდუალურ ვარჯიშს, ხოლო სანდრო იაშვილი ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო დაგვაკლდება. ჩვენს ახალწვეულს, ბრაზილიელ რომეროს მოწამვლის გამო სამი დღე არ უვარჯიშია, თუმცა, 18-კაციან საგანაცხადო სიაში მაინც შევიყვანთ. სხვა ფეხბურთელები სრულ მზადყოფნაში არიან", - ასეთი პრობლემები აქვს ივო შუშაკს.

რაც შეეხება "თბილისის" მწვრთნელს, გიორგი დევდარიანს, მას წარმატების იმედი აქვს.

"ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით ოპტიმალურ ფორმას. ჩვენი მეტოქე კი, პირიქით – უკან მიდის. ეს ფაქტი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ და თუ წარმატების მიღწევა შევძელით, რაც, პირადად ჩემთვის, სულაც არ იქნება მოულოდნელი, რეალურად ჩავერთვებით საჩემპიონო რბოლაში", - მიაჩნია დევდარიანს.

# დიმიტრი რამიშვილი: "უხარისხო მოედნები აღარ უნდა იყოს!"

## სტადიონების მინდვრებს ამიერიდან პროფესიონალი აგრონომები მიხედავენ

*საქართველოს პროფესიული ლიგის საქმიანობის შესახებ ხშირად გაწვდით ინფორმაციას, რათა გაუწყოთ, რომ გასულ ზაფხულს შექმნილი პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობამ ქართულ საკლუბო ფეხბურთში არსებული უამრავი პრობლემის მოსაგვარებლად მოკლე დროში უაღრესად ეფექტური ცვლილებები განახორციელა. კლუბების საორგანიზაციო საკითხები მოგვარების, ობიექტური მსაჯობის, ფეხბურთელთა მხრიდან დისციპლინის დაცვის, ეროვნული ჩემპიონატის მიმართ გულშემატკივართა ინტერესის გაზრდისა და სპონსორების მოზიდვის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პროფესიული ლიგის მომდევნო "სამიზნე" ჩვენი სტადიონები, უფრო სწორად, ყოვლად უვარგისი მოედნები გახდა.*

აკა ტონია

მანამ, სანამ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი საშუალო ევროპულ დონეს მიაღწევს, ალბათ, კიდევ დიდი დრო გავა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქმე ნამდვილად წინ მიიწევს. მას შემდეგ, რაც საქართველოს პროფესიული ლიგა შეიქმნა და მან ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ითავა, ქართულ ფეხბურთში არსებული რამდენიმე პრობლემება, მართლაც, მოგვარდა. მაგალითად, ფეხბურთელები მსაჯებს აღარ აყენებენ შეურაცხყოფას - იციან, რომ ამისთვის 5 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ. მსაჯობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა, წარსულს ჩაბარდა "ჩაწყობილი" მატჩები.

სასიკეთო ძვრების მიუხედავად, უშუალოდ თამაშის ხარისხი კვლავინდებურად საგანგაშოა, ეროვნულ ჩემპიონატს არც ახლა ჰყავს მაყურებელი. არადა, მთავარი ამოცანა ხომ ქართული საკლუბო ფეხბურთის ხარისხის ამაღლებაა!

საქართველოში მოღვაწეობის დაწყების დღიდან, თბილისის "დინამოს" მწვრთნელი ივო შუშაკი საქართველოს საფეხბურთო მოედნების უხარისხობაზე საუბრობს. ამბობს, რომ ამ პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში სპორტული წარმატებების იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს. ამავე პრობლემას წააწყდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელიც სულ ახლახან დაუბრუნდა მშობლიურ "დინამოს". "აღარ ვიცი, თამაშზე ვიფიქრო თუ იმაზე ვიმარჩიელო, რომელ ბორცვზე როგორ ახტება ბურთი", - თქვა ამას წინათ ნემსაძემ. იგივეს მოისმენთ ქართულ კლუბში მოთამაშე ნებისმიერი ფეხბურთელისგან. ამას წინათ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა აუტის მოწოდებისას ბორცვს წამოჰკრა ფეხი და ისე დაშავდა, რომ დღემდე ტრავმირებულია...

რაც არ უნდა ბევრი სპონსორი გაჩნდეს, რაც არ უნდა ობიექტური მსაჯობა იყოს, ასეთი უვარგისი მოედნების პირობებში, თავად ფეხბურთს მაინც არაფერი ეშველება. ყველაზე კარგად ეს თავად ლიგის ხელმძღვანელობამ იცის.

გუშინ საქართველოს პროფესიული ლიგის პრეზიდენტს, დიმიტრი რამიშვილს ვეწვიეთ და ლიგის უახლოეს გეგმებზე ვესაუბრეთ.

- პროფესიული ლიგის დაარსების დღიდან ნაყოფიერი და მიზანმიმართული სამუშაო ჩატარდა. მოვიზიდეთ სპონსორები, პარტნიორული ურთიერთობა დავამყარეთ წამყვან ტელეკომპანიებთან, უდიდესი ყურადღებას ვუთმობთ მსაჯობას და მატჩებზე წესრიგის დამყარებას. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: პროფესიული ლიგის მთავარი ამოცანა საქართველოს საკლუბო ფეხბურთის ხარისხის ამაღლება და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივრის დაბრუნებაა. მაგრამ თამაშის ხარისხის ამაღლება ობიექტური მსაჯობით, ხარისხიანი ტელერეპორტაჟებითა და სტადიონებზე ლამაზი შოუების მოწყობით არ მოხერხდება. ვერც გულშემატკივარს დავუბრუნებთ სტადიონებს, თუ მათ კარგი ფეხბურთი არ შევთავაზეთ. ახლა საფეხბურთო მოედნები ისეთ მდგომარეობაშია, რომ კარგ ფეხბურთს უმაღლესი დონის ფეხბურთელიც ვერ ითამაშებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ასეთ მოედნებზე საერთაშორისო მატჩების ჩატარება, უბრალოდ, არ შეიძლება. ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაა. მოედნების მდგომარეობა უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს, პირველი ნაბიჯები კი ახლავე უნდა გადაიდგას!

**- კონკრეტულად რას აპირებთ?**

- უკანასკნელ დღეებში ამ თემაზე კლუბების ხელმძღვანელებს ვესაუბრე. ორ-სამ დღეში შევქმნით სპეციალურ კომისიას, რომელიც პროფესიონალი


რამიშვილის მორიგი "სამიზნე" უვარგისი მოედნებია.

აგრონომებითა და ინჟინრებით დაკომპლექტდება. ეს კომისია შეისწავლის ყველა იმ სტადიონის მინდვრის საფარს, რომლებზეც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩები იმართება და კლუბებს მისცემს რეკომენდაციებს, თუ რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად, როგორ გაკეთდეს დრენაჟი, რომელი ჯიშის ბალახის დათესვა ჯობს და სხვა. ჩვენი მოედნების უმრავლესობა ფეხბურთის სათამაშოდ სრულიად უვარგისია. ზაფხულში მინდორი თითქოს ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ აცივდება თუ არა, აღმოჩნდება, რომ ეს მინდორი არაფრად ვარგა. აგვისტოში, ჩემპიონატის დაწყებამდე ვნახავთ მინდორს და მასზე მატჩების ჩატარების ნებას დავრთავთ. როდესაც ვნახავთ, რომ ეს მინდორი უვარგისია, უკვე გვიან იქნება. სწორედ ამიტომაა საჭირო პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნა. ისინი არ მოტყუვდებიან.

უახლოეს დღეებში გავმართავთ საკოორდინაციო საბჭოს სხდომას და კლუბების ხელმძღვანელებსაც შევხვდებით. მათ მოვთხოვთ, რომ ხანგრძლივი ხელშეკრულებები გააფორმონ იმ სტადიონების პატრონებთან, რომლებზეც მათი გუნდები თამაშობენ. ახლა კლუბები მოკლე ხნით ქირაობენ სტადიონებს და ხშირად იცვლიან საშინაო არენას. როცა სტადიონს ხშირად იცვლის, კლუბი არც მოედნის საფარის ხარისხზე ზრუნავს და გულშემატკივარსაც კარგავს. ამიერიდან კლუბები იძულებული იქნებიან, სტადიონებთან, სულ მცირე, 4-5-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებები გააფორმონ. ამ ხნის მანძილზე კი მინდვრის ხარისხის გამოსწორება ნამდვილად შეიძლება. თავის მხრივ, ეროვნულ ჩემპიონატზე "არ დაიშვებიან" ის სტადიონები, რომლებიც ორ გუნდზე მეტს ემსახურებიან. რაც უნდა ბევრი ვიზრუნოთ მინდვრის საფარზე, თუ იქ ხუთი და ათი გუნდი ითამაშებს, ის აუცილებლად გაფუჭდება. ერთ სტადიონზე ორი გუნდის თამაში კი სავსებით დასაშვებია, ასეთი რამ ხშირად ხდება მაღალი დონის ჩემპიონატებშიც ("მილანი" და "ინტერი", ("რომა" და "ლაციო").

**- კარგ მოედანზე თამაშის წინააღმდეგი არც კლუბები არიან, მაგრამ მათ უმრავლესობას საამისო თანხა არ გააჩნია.**

- თანხის მოზიდვაში საქართველოს პროფესიული ლიგა მათ მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. ჩვენი მთავრობის სტრატეგიაც იმედს გვაძლევს. პრეზიდენტმა ფეხბურთი პრიორიტეტულ სახეობად გამოაცხადა და ეს კარგად იგრძნობა. მთავრობას კონკრეტული პროექტები და გეგმები უნდა შევთავაზოთ. თუ მოედნების პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, ფეხბურთის აღორძინებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

**- მაგრამ ეს კრედიტები კლუბების გასასტუმრებელი იქნება...**

- თუ პრინციპული ნაბიჯები არ გადაიდგა, არაფერი გამოვა. 12 წელიწადია, ეს პრობლემა დგას და მას ბოლო უნდა მოეღოს. რა ესაქმება უმაღლეს ლიგაში იმ კლუბს, რომელსაც მინდვრის მოწესრიგებისთვის ფულის დახარჯვა არ უნდა? ევროთასებზე გასვლის შემთხვევაში, კლუბები სოლიდურ შემოსავალს იღებენ. თუ გუნდს ნორმალური მინდორი არა აქვს, ასეთ ტურნირზე ის არ დაიშვება. თუ კლუბი საკუთარ ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებს, სპონსორებსაც უფრო მიიზიდავს, ევროტურნირებიდანაც მიიღებს შემოსავლებს და მისი ფეხბურთელების ფასიც გაიზრდება. დღეს დახარჯულ თანხას კლუბები ხვალ აუცილებლად ამოიღებენ და, მერწმუნეთ, მოგებასაც ნახავენ.

**- იმ კლუბებისთვის, რომელთაც საკუთარი სტადიონები აქვთ, საქმე უფრო მარტივადაა. მაგრამ ხომ შეიძლება, საკუთარი სტადიონის არმქონე გუნდებმა სხვისი მოედნებისთვის ფულის დახარჯვა არ ისურვონ?**

- ამიტომაც მოვითხოვთ, რომ კლუბებმა ხანგრძლივი ხელშეკრულებები გააფორმონ სტადიონებთან. ასეთ შემთხვევაში ისინი თავიანთი დანახარჯებით სარგებელს ნახავენ. როგორც უკვე გითხარით, თითოეულ სტადიონზე ამიერიდან მხოლოდ ორ-ორი გუნდი ითამაშებს. კლუბებს შეუძლიათ, სტადიონის გადასახადი გაინაწილონ. როგორც უკვე ვთქვი, პროფესიული ლიგა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს კლუბებს, თუმცა, ისე ნუ გაიგებთ, თითქოს თავად კლუბებმა არაფერზე არ უნდა იზრუნონ. პრობლემების გადაწყვეტის გზები მათ თავადაც უნდა ეძებონ.

**- მხოლოდ ორი კლუბის "მასპინძლობის" გამო სტადიონები შემოსავლის შემცირების საფრთხის წინაშეც დგანან.**

- ზოგიერთ სტადიონზე რამდენიმე საფეხბურთო კლუბი, მათი დუბლშემადგენლობები და მორაგბეები თამაშობენ. თუ სტადიონის ხელმძღვანელობას უნდა, მხოლოდ მოედნის გაქირავებით მიიღოს შემოსავალი, მაშინ ჯობს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ორგანიზაციად გადაკეთდეს. კლუბებმაც და სტადიონების ხელმძღვანელებმაც უნდა გაიაზრონ, რომ მათი შემოსავლის წყარო თავად ფეხბურთი უნდა იყოს. თუ ფეხბურთის დონის ამაღლებაზე იზრუნებენ, შემოსავლებიც საგრძნობლად გაიზრდება.

**- პრობლემების მოსაგვარებლად რა დროს გამოუყოფთ კლუბებს?**

- ჩვენ მათ ულტიმატუმებს არ ვუყენებთ, გადაწყვეტილებებს სწორედ კლუბებთან შეთანხმებით ვიღებთ. ეს პრობლემა ერთ სეზონში ვერ მოგვარდება, თუმცა, გვინდა, რომ მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე პირველი ნაბიჯები გადაიდგას. საქართველოს ჩემპიონატის მომდევნო სეზონისთვის სამუშაოები უკვე დაწყებული უნდა იყოს. უნდა დავინახოთ, რომ კლუბები პრობლემის მოგვარებას სერიოზულად მიუდგნენ. ბოლო იმას, თუ რა სანქციებს გავატარებთ ჩვენი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისევ და ისევ კლუბებთან ერთად გადავწყვეტთ - ქულების ჩამორთმევა იქნება ეს, გუნდების დისკვალიფიკაცია თუ სხვა.

**- ეს კანონი მხოლოდ უმაღლეს ლიგას ეხება?**

- მოედნების მოწესრიგებას პირველ ეტაპზე უმაღლესი ლიგის კლუბებს მოვთხოვთ, შემდეგ კი ეს ქვედა ლიგის კლუბებსაც შეეხებათ. არ დაგავიწყდეთ, რომ უმაღლეს ლიგაში კლუბები ყოველწლიურად იცვლებიან. ზოგი მეორე ლიგაში ქვეითდება, ზოგიც მეორედან უმაღლეს ლიგაში გადადის. გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს, იძულებული გახდება, მოედნის პრობლემაზე დაიწყოს ზრუნვა. ხოლო ის გუნდი, რომელიც უმაღლესი ლიგიდან ჩამოქვეითდება, თავის მოწესრიგებულ მოედანს თან "წაიღებს" მეორე ლიგაში. ასე რომ, კარგი მოედნები, პარალელურად, ქვედა ლიგებშიც გაჩნდება.

*მოკლედ*

**ფეხბურთი.** G-14-ის ჯგუფმა ოფიციალურად დაიწყო ფიფასთან ომი. G-14-ს არ აწყობს სიტუაცია, რომლის თანახმადაც კლუბები ვალდებულნი არიან, თავისი ფეხბურთელები ნაკრებში გაუშვან და სანაცვლოდ არავითარი კომპენსაცია არ მიიღონ. ჯერჯერობით, ჯგუფი ითხოვს, გამოიძიონ, ხომ არ ამეტებს ფიფა თავის უფლებებს, როცა კლუბებს ამგვარი მოთხოვნით მიმართავს. თუ არაფერი გამოვიდა, კლუბები არ აპირებენ, ფეხბურთელებს ხელფასი გადაუხადონ იმ პერიოდში, როცა ისინი გუნდის განკარგულებაში არ არიან და ხანგრძლივ სანაკრებო ტურნირებში იღებენ მონაწილეობას, ვთქვათ, ისეთში, როგორიცაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბირმინგემის "ასტონ ვილას" ფორვარდმა დარიუს ვასელმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს "მანჩესტერ სიტისთან" ინგლისის ჩემპიონატის მატჩში. შვედეთისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრაში ვასელმა მხოლოდ 10 წუთი ითამაშა - შემდეგ ტრავმის გამო ის შეცვალეს. თუმცა, ექიმებმა ფორვარდს ვარჯიშის ნება უკვე მისცეს. ბედის ირონიით, ვასელმა თანაგუნდელ ოლაფ მელბერგთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სავარაუდოდ, რუუდ ვან ნისტელროოი დღეს მონაწილეობას არ მიიღებს "არსენალის" წინააღმდეგ ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში. "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა მუხლის ტრავმა მიიღო. ნისტელროოი გასულ კვირას იმავე "არსენალთან", ინგლისის ჩემპიონატეს მატჩის დროს დაშავდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბილბაოს "ატლეტიკომა" კიდევ ორი წლით გაუგრძელა კონტრაქტი გუნდის მეკარეს ინაკი ლაფუენტეს. წლეულს ლაფუენტემ პირველი მეკარის როლი ახალგაზრდა დანი არანსუბიას დაუთმო, მაგრამ მზად არის, სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად იბრძოლოს. ლაფუენტეს მოქმედი კონტრაქტი ამ ზაფხულს მთავრდებოდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ალესანდრო ნესტამ ტრავმის გამო გამოტოვა პორტუგალიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი, თუმცა, მან შეიძლება იტალიის ჩემპიონატის მატჩში "მოდენას" წინააღმდეგ ითამაშოს. ნესტამ "იუვენტუსთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოჯანმრთელდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" სტადიონის "სტადიო ოლიმპიკოს" დისკვალიფიკაცია ერთი მატჩიდან ორამდე გაზარდეს. შეგახსენებთ, რომ "რომასა" და "ლაციოს" შეხვედრაში ინფორმაციამ, რომ პოლიციის მანქანამ ერთ-ერთი ფანი გაიტანა, ყალბი აღმოჩნდა, მაგრამ ამ ინფორმაციამ ტრიბუნებზე ქაოსი გამოიწვია. ამის გამო მატჩის მეორე ტაიმი გუნდებმა არ ითამაშეს. გადათამაშება 14 აპრილისთვის არის დანიშნული. თავდაპირველად იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ "რომა" მშობლიურ სტადიონზე ერთ მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ ახლა დისკვალიფიკაციის ვადა გააორმაგეს. საუბარია "კიევოსა" და "ემპოლისთან" გასამართ შეხვედრებზე. "კიევოს" წინააღმდეგ "რომა" პალერმოში ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" ფორვარდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, როგორც იქნა, დისკვალიფიკაციას გადაურჩა. "სკარბოროსთან" ინგლისის თასის შეხვედრის ვიდეოფირის ნახვის შემდეგ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ "ჩელსის" ფორვარდს მცველ მარკ ჰოტისთვის იდაყვი არ ჩაურტყამს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** დანიის ჩოგბურთელთა ნაკრები დაჯარიმდება იმისთვის, რომ უარი თქვა ალჟირის გუნდთან დევისის თასის მატჩის გამართვაზე. დანიელებმა განაცხადეს, რომ ალჟირში ტერორისტების შიშით არ ჩავიდოდნენ. მატჩი 9-11 აპრილს უნდა გამართულიყო. რა სანქციებს დაადებენ დანიის ნაკრებს, ეს 13 აპრილს გახდება ცნობილი. დანიის გუნდი, შესაძლოა, დააჯარიმონ ან დევისის თასის მომდევნო გათამაშებიდან მოხსნან.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მარტინა ნავრატილოვა აპირებს, ითამაშოს Bausch & Lomb championship-ის ტურნირის ერთეულთა თანრიგში. მარტინამ ამერიკის ტერიტორიაზე ბოლოს ერთეულთა თანრიგში 10 წლის წინ ითამაშა. ტურნირზე სათამაშოდ მან "ველური ბარათი" მიიღო. ოქტომბერში ნავრატილოვას 48 წელი შეუსრულდება.

■ ■ ■

**ცურვა.** ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში, რუმინელმა დიანა მოკანუმ რუმინეთის ჩემპიონატის ოქროს მედალი 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ეროვნულ ნაკრებში თანაგუნდელს, რალიუკე უდროიუს დაუთმო. ახლა მოკანუს დაფიქრება მართებს – ღირს კი ასეთი შედეგით ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა?

*ჩოგბურთი*

# ქართველები "დევისის თასზე"

სანდრო ნავერიანი

9 აპრილს დაიწყება და 11 აპრილს დამთავრდება "დევისის თასზე" საქართველო-იტალიის დაპირისპირება. რა შეიძლება ითქვას ამ მატჩზე? ბევრი არაფერი. გუნდებში თანაბარი ძალის მოთამაშეები არიან, თუმცა, იტალიის ნაკრებს უფრო გამოცდილი ჩოგბურთელები ჰყავს. იტალიელთა საუკეთესო მოთამაშეა ფილიპო ვოლანდრი, რომელმაც შარშანდელი საჩემპიონო რბოლა 58-ე პოზიციაზე დაასრულა, რაც, დამეთანხმებით, არცთუ ურიგო შედეგია. წლეულს კი ის 48-ე პოზიციაზეა. იტალიის ეროვნული ნაკრების ცხრილით და შედეგითაც მეორე მოთამაშე გახლავთ ჯორჯო გალიმბერტი. ის ვერც მაღალი რეიტინგული პოზიციებით დაიკვეხნის და ვერც მიღწევებით, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ჩოგბურთელია. მისი შარშანდელი შედეგი 131-ე პოზიციაა, ხოლო წლევანდელ რბოლაში 117-ე პოზიციაზეა. ნაკრების მესამე და მეოთხე წევრები არიან ალესიო დი მაურო და ანდრეას სეპი. პირველმა შარშანდელი რბოლა 305-ე პოზიციაზე ჩაამთავრა, ხოლო მეორემ - 256-ეზე.

მართალია, ჩვენი ნაკრები არ არის მაინცდამაინც ანგარიშგასაწევი ძალა, მაგრამ არც იტალიის გუნდია ისეთი, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწიოო. საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ოთხი ჩოგბურთელია. რა თქმა უნდა, პირველი ირაკლი ლაბაძეზეა. ირაკლიმ შარშანდელი რბოლა 110-ე პოზიციაზე დაასრულა, წლეულს კი, "ინდიანა უელსის" ტურნირზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, 32-ე პოზიციაზეა. ირაკლიმ, როგორც ეს ერთ ინტერვიუში თქვა, "ინდიანა უელსის" ტურნირზე თავისი თავი მოიგო, რაც, ალბათ, სიმართლეა. მან უაღრესად მნიშვნელოვან მატჩებში გაიმარჯვა და ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. ირაკლი მშვენიერ ფორმაშია და მისი დამარცხება რთული საქმეა. დანარჩენ სამ ჩოგბურთელს, რომლებიც ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ, მსოფლიო ჩოგბურთი არ იცნობს. მათი სახელები მხოლოდ ქართველ გულშემატკივარს თუ ეტყვის რამეს. ირაკლი უშანგიშვილი, ლადო ჩიხლაძე და დავით კვერნაძე შეეცდებიან, იტალიაში ისეთი თამაში აჩვენონ, რომ ისინი, მსოფლიომ თუ არა, იტალიელებმა და, რაც მთავარია, ქართველებმა დაიმახსოვრონ. მატჩი დაიწყება ქალაქ კალიარიში, ჩოგბურთის კლუბში. საქართველოს ნაკრები იტალიაში სამშაბათს ჩავა და პირველ ვარჯიშს გამართავს. ირაკლი ლაბაძე კი გუნდს ავსტრიიდან შეუერთდება.



*ლაბაძე საიტალიოდ ემზადება.*

**იტალია – საქართველო**
*ჩოგბურთის კლუბი "კალიარი"*
*კალიარი, იტალია*

**იტალია**

**ფილიპო ვოლანდრი**
(შარშანდელი რბოლა 56. მიმდინარე 48)
**ჯორჯო გალიმბერტი**
(შარშანდელი რბოლა 131. მიმდინარე 177)
**ალესიო დიმაურო**
(შარშანდელი რბოლა 305. მიმდინარე 0)
**ანდრეას სეპი**
(შარშანდელი რბოლა 236. მიმდინარე 157)
**კაპიტანი: კორადო ბარაცუტი**

**საქართველო**

**ირაკლი ლაბაძე**
(შარშანდელი რბოლა 110. მიმდინარე 32)
**ირაკლი უშანგიშვილი**
(შარშანდელი რბოლა 0. მიმდინარე 0)
**ლადო ჩიხლაძე**
(შარშანდელი რბოლა 0. მიმდინარე 0)
**დავით კვერნაძე**
(შარშანდელი რბოლა 0. მიმდინარე 0)
**კაპიტანი: გელა ელერდაშვილი**

*ფორმულა 1*

# მიხაელ შუმახერი სულაც არ არის გმირი!

## რისი იმედი აქვს ხუან პაბლო მონტოიას

ნინო პირველი

გაზაფხულზე სალამი ბაჰრეინს! შემოდგომაზე გაუმარჯოს ჩინეთს! 2005 წელს მივესალმებით ინდოეთს, თურქეთს, სამხრეთ კორეას! სამაგიეროდ, მშვიდობით, ცელტვეგ, მონრეალო და სილვერსტოუნ! ბერნი ეკლსტოუნი აზიის ბაზრის დაპყრობას აპირებს და თავისი ფორმულა ევროპიდან ნელ-ნელა აზიაში გადააქვს. "ევროპას მომავალი არა აქვს. მალე აქ ყველაფერი ისე შეიცვლება, რომ მესამე სამყაროს ქვეყნების დონემდე დავა. აზიას კი, პირიქით, ეკონომიკური განვითარების შესანიშნავი პერსპექტივა აქვს", - ამ თეორიას მხოლოდ ერთი ავტორი ჰყავს - ჩია ეკლსტოუნი, ფორმულა 1-ის ერთპიროვნული დიქტატორი. ეკლსტოუნი არასოდეს ითვალისწინებს სხვის აზრს, მუდამ საკუთარი ჭკუით იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ეჭვი არ ეპარება, რომ ყოველთვის მართალია.

აი, ახლაც, როცა პილოტები და ფანები ავსტრიის ნაცვლად ბაჰრეინში უნდა ჩავიდნენ, როცა ყველა ტერაქტზე ლაპარაკობს და მონაწილეებს ქვიშიანი უდაბნოს შიში არ ასვენებთ, ეკლსტოუნი დარწმუნებულია, რომ შესანიშნავი არჩევანი გააკეთა. მისი აზრით, ბაჰრეინის რბოლა სეზონის ყველაზე საინტერესო ტურნირი იქნება - ფორმულას ბოლიდები ხომ აქამდე არასოდეს შებრძოლებიან უდაბნოს.

საჯინიბოებსა და გულშემატკივრებს სხვა გზა არა აქვთ, მორჩილად უნდა დაყვნენ ჭირვეული ბოსის ნებას. შეფიქრიანებული პილოტები თამამი განცხადებებისგან თავს იკავებენ. მიხაელ შუმახერი ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. არც სხვები იკლავენ თავს წინასწარი პროგნოზების გაკეთებით. არავინ იცის, რა მოხდება. აი, ხუან პაბლო მონტოია კი ვერაფრით ახერხებს ჩრდილში დარჩენას. გასაგებიცაა - მას მიხაელ შუმახერის დამხობა უნდა. ეს ქვიშიანი ტრასა კი ორივესთვის ახალი და გამოუცნობია. ვინ იცის, იქნებ "ფერარიმ", მართლაც, წაიტეხოს კისერი უდაბნოში...

**- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონატის ბედი უკვე გადაწყვეტილია?**

- არა. გასულ წელს, სამი რბოლის შემდეგ, მსგავს შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გავეცი. მაშინ მიმაჩნდა, რომ შანსი აღარ გვქონდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ უკანასკნელ რბოლამდე არაფერი იყო გადაწყვეტილი. ვნახოთ, ახლა როგორ განვითარდება მოვლენები.

**- "ფერარის" წინსვლა, ალბათ, ძალიან მძიმეა თქვენთვის.**



*მონტოიას ბაჰრეინის სიურპრიზების სჯერა.*

- მალე ყველაფერი შეიცვლება. შეიძლება კვირას "ფერარი" აღმოჩნდეს ჩვენს ზურგს უკან. ბაჰრეინის რბოლა სიურპრიზებს გვიმზადებს. ჩვენ, ძირითადად, ბოლიდისა და საბურავების საიმედოობაზე ვიყავით კონცენტრირებულნი და შასებს ვეღარ მივაქციეთ ყურადღება. ალბათ, ეს შეცდომა იყო.

**- თქვენც იზიარებთ ექსპერტთა მოსაზრებას, რომ "ფერარი" მიხაელ შუმახერის წყალობითაა ასე ძლიერი?**

- მიხაელს საუცხოო ბოლიდი და არაჩვეულებრივი საბურავები აქვს. ეს ყველაფერი საგანგებოდ მისთვისაა შექმნილი. ამის მიუხედავად, სულაც არ ვფიქრობ, რომ ის სუპერგმირია. ასეთად მას მედიის ქება-დიდება აქცევს. "ფერარის" დამარცხება ძნელია, მიხაელის კი - საკმაოდ ადვილი. რუბენს ბარიკელო მას უკვე ფეხდაფეხ მისდევს. ჩემი აზრით, ბარიკელო უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე მიხაელი.

**- მიხაელის ძმა, რალფი, მალაიზიაში დაგემუქრათ, რომ გზიდან გადაგაგდებდათ. ხომ არ შეგაშინათ ამ მუქარამ?**

- ვკვდები შიშისგან (იცინის). ეს ჩვენი სტილია. ერთმანეთს ვემუქრებით და ამით ორივე ვიმხნევებთ თავს. რბოლა სუსტებისთვის არ არის მოგონილი. როცა რალფი ამბობს, რომ ცხოვრებას გამირთულებს, მე ეს ძალიან მომწონს.

**- "მაკლარენში" გადასვლას ხომ არ ნანობთ?**

- არა.

**- რატომ?**

- მინდა, რაღაც შევცვალო ჩემს ცხოვრებაში. როცა ოთხი წლის განმავლობაში ერთ გოგონასთან ხარ და უცებ პრობლემები გექმნება, ორ რამეზე იწყებ ფიქრს: ან ქორწინება, ან ახალი სიყვარულის პოვნა. მე "უილიამსზე" დაქორწინებას ახალი სატრფოს მოძებნა ვამჯობინე. "უილიამსის" საჯინიბოსთან ერთად ბევრს მივაღწიე, მაგრამ ჩემპიონი ვერ გავხდი. იქნებ სხვა გუნდში შევძლო ამ ოცნების განხორციელება?

**- ამისთვის "მაკლარენი" ძალიან უნდა გაძლიერდეს. ახლა მას მხოლოდ ოთხი ქულა აქვს.**

- მართალია, მაგრამ სიტუაცია, ალბათ, მალე შეიცვლება.

**- რა როლი შეასრულა თქვენმა მეუღლემ "მაკლარენში" გადასვლის საქმეში?**

- არანაირი. მე მას ველაპარაკე ამ თემაზე, მაგრამ გადაწყვეტილება თავად მივიღე. კონი ყველაფერს მშვიდად შეხვდა. მისთვის არაფერი შეიცვლება. ჩვენ ისევ მონაკოში ვიცხოვრებთ. კონისთვის ხომ სულ ერთია, მომავალ წელს "უილიამსის" ბოქსში დალევს ღვინოს თუ ცოტა მოშორებით, "მაკლარენის" საჯინიბოში.

*რაგბი*

# რუსებმა მსაჯებზე გაილაშქრეს

ევროპის ერთა თასზე პორტუგალიასთან დამარცხების შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა და ამის თაობაზე განცხადებით მიმართა რუსეთის რაგბის კავშირს.

სანამ ამას გააკეთებდა, პორტუგალიასთან მსაჯობით უკმაყოფილო რუსთა მწვრთნელმა FIRA-AER-ში პროტესტი შეიტანა: იტალიელმა მსაჯმა, გვარად მორანდინიმ, საძაგლად იმსაჯაო. პერვუხინს მატჩის დასრულებისთანავე უთქვამს შეხვედრის კომისრისთვის, რასაც აპირებდა. ის კი დამუქრებია: იცოდე, თუ ამას გააკეთებ, ოქმში ჩაგიწერ, რომ ერთი-ორჯერ მწვრთნელისთვის შემოფარგლულ არეს გასცდიო. პერვუხინზე არც კომისრის ნათქვამმა იმოქმედა და პროტესტის განსახილველად საჭირო 100 ევროც დაურთო წერილს. ასე რომ, მომავალ კვირაში FIRA-AER-ში მორანდინის ნამოქმედარს განიხილავენ. ბუნებრივია, მატჩის შედეგს არავინ გააუქმებს და ამას არც რუსები ელიან. ჩვენთვის მთავარია, მსაჯი დაისაჯოს, რათა სხვებს მსგავსი სურვილი არ გაუჩნდეთო.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა იტალიელი მსაჯები სცოდავენ. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, საქართველო-პორტუგალიის მატჩიც კმარა. ეგებ რუსთა ჩივილმა გამოიღოს რაიმე შედეგი. იქნებ FIRA-AER-შიც დაფიქრდნენ მომხდარზე და ერთა თასის მატჩების სამსაჯოდ უფრო კვალიფიციური არბიტრები მიავლინონ.

*მოკლედ*

### კურნიკოვამ სქესი შეიცვალაო

რუს ფლეიბოი ჩოგბურთელს ანა კურნიკოვას იმდენად მობეზრდა ჭორიკნების სამიზნეში ყოფნა, რომ გადაწყვიტა, ერთ-ერთ გერმანულ საავადმყოფოში სქესი შეიცვალოს. რუს სექს-სიმბოლოს მიაჩნია, რომ ამ ნაბიჯით სერგეი ფიოდოროვთან, პაველ ბურესთან თუ იგლესიასების ოჯახთან დაკავშირებული ჭორების უსაფუძვლობას დაამტკიცებს. ვერაფერს იტყვი, ჭორების გასაქარწყლებლად კარგი მეთოდი უპოვია. როგორც ანასთან დაახლოებული პირები აცხადებდნენ, ანას საოპერაციო მაგიდასთან 1 აპრილს ელოდნენ. გარდა ამისა, ირკვევა, რომ კურნიკოვას გადაწყვეტილებაზე, ოპერაცია გაეკეთებინა, გავლენა მოუხდენია ცნობილი წინასწარმეტყველის ასტროლოგიურ პროგნოზს. პროგნოზის მიხედვით, თურმე ანას კაცებისგან საფრთხე ელოდა. ჯერჯერობით უცნობია ოპერაციის შედეგები, თუმცა, ამბობენ, რომ ქირურგის ჩარევის შემდეგ ანა კვლავაც მოიპოვებს სექსუალური სპორტსმენის ტიტულს. ოღონდ ამჯერად ანა იმათზე გაიწევს, ვისაც თავად იზიდავდა.

აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, უახლოეს ხანებში კურნიკოვამ საკუთარი ძალები ATP-ს ტურნირებზე მოსინჯოს.

P.S. ასე ხუმრობდა საპირველაპრილოდ უცხოური პრესა.

### გოგოებს და ბიჭებს "კვერცხი" აერთიანებთ

ყველაზე მხურვალე გოგოები, ყველაზე ძლიერი ბიჭები, ყველაზე ხმაურიანი საღამოები – ასეთი სიტყვები ერთგვარი სატყუარის როლს ასრულებს მაყურებელზე, რომელსაც ამერიკული ფეხბურთის ევროპული ლიგის სეზონის გახსნის ცერემონიალისკენ ექაჩება.

ზოგადად, მაყურებელი სტადიონზე მიდის არა მარტო იმისთვის, რომ ზორბა ათლეტების ჯაჯგურით ისეიროს, არამედ იმიტომაც, რომ მხურვალე მუსიკის ჰანგებს აყოლილი, მინი-ქვედაკაბებში გამოწყობილი გოგოების მგზნებარე მოძრაობებითაც დატკბეს, რომლებიც ერთგულად გულშემატკივრობენ საყვარელ კლუბს. მაყურებელთა ერთი ნაწილი იმისთვისაც მიდის სტადიონზე, რომ ჰამბურგერი და პოპკორნი მიირთვას - ასეთებიც არიან.

სხვათა შორის, შოუ-გოგონების პროფესიამ ჰოლივუდს პამელა ანდერსონი და გოლდი ჰოუნი აჩუქა. ისინი დღესაც ანდამატივით იზიდავენ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს, თავის დროზე კი სწორედ საფეხბურთო სტადიონებზე აგიჟებდნენ ამერიკული ფეხბურთის გულშემატკივრებს.

თუმცა, როგორც ამერიკული ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივრები ამტკიცებენ, უმთავრესი სანახაობაა არა ზორბა კაცები და ლამაზი გოგოები, არამედ... ბურთი, რომლის ირგვლივაცაა აგებული მთელი ეს შოუ, სათამაშო ბურთი, რომელსაც კვერცხის ფორმა აქვს და ამიტომაც მას სწორედ "კვერცხს" ეძახიან.

როგორც უნდა იყოს, ფაქტია, რომ მგზნებარე გოგონების, მოთამაშეთა და მაყურებელთა ყურადღება მაინც მიმართულია "კვერცხისკენ", რომლის საჭირო ზონაში გადატანას ცდილობს 22 ფეხბურთელი, რათა შემდეგ დაიყვირონ: "თაჩდაუნ!". სიტყვა, რომელსაც ქართულად "ლელო" შეეფერება.

### სექსი - შესახურებელი საშუალება

იმ ქალბატონებს, რომლებიც განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევიან, სექს-ბომბებს ეძახიან. მაგრამ რა შეიძლება დავარქვათ იმ მოცურავეს, რომელიც აღიარებს, რომ ყველაფერზე მეტად სექსი იზიდავს? საუბარია გერმანელ მსოფლიო ჩემპიონ ფრანცისკა ვან ალმსეკზე, რომელმაც ყველას გასაგონად აღიარა, რომ სექსი შეჯიბრების წინ საუკეთესო საშუალებაა შესახურებლად.

რა იყო მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანელმა მოცურავემ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოცნება ვერ აისრულა. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვან ალმსეკი ოლიმპიური ოქროს მედლის გარეშე დარჩა. ახლა ვან ალმსეკი დანაკლისის ანაზღაურებას ათენის ოლიმპიურ თამაშებზე შეეცდება. ათენის ოლიმპიურ აუზში წარმატებისთვის მოცურავემ წონაში 5 კილოგრამიც კი დაიკლო. სიდნეიში წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მაშინ ალმსეკის წონასაც (72კგ) ასახელებდნენ.

ფრანცისკა ვან ალმსეკი, რომელსაც სექსში უმადობას ვერ დასწამებენ, საოლიმპიადოდ კვირაში 80 კილომეტრს დაცურავს. უარს ამბობს ცხიმიან საკვებზე და, რა თქმა უნდა, სასიყვარულო ამბებშია ხელბურთელ ბოიფრენდ შტეფან კრეჩმართან. ამბობენ, წონაში დასაკლებად სექსიც საუკეთესო საშუალებაო!

### მოდელი ინგლისელ მორაგბეთა სამსახურში

ბრიტანეთის მორაგბეთა ნაკრებმა სათამაშო განწყობის შესაქმნელად მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართა. კერძოდ, მაისურები ეშხიანი მოდელის კეტი პრაისის ფოტოებით ააჭრელეს. მეტიც, მოთამაშეებმა ერთ-ერთ სავარჯიშო მოედანს მოდელის სახელი მიაკუთვნეს.

"გვინდოდა, როგორმე გაგვემხნევებინა ბიჭები, - აცხადებს გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი. – ახლა ყველას პირზე აკერია კეტის სახელი. ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ, მისი სურათით დაგვემშვენებინა მაისურები. მით უმეტეს, თავად პრაისიც არაა წინააღმდეგი. შემიძლია გითხრათ, რომ მას (კეიტ პრაისს) ერთობ საპატიო მისიის შესრულება უწევს - ინგლისის ნაკრების გაძლოლა".

ყველაფერი კარგია, მაგრამ გულსატკენია, რომ მოდელი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. საქმე ისაა, რომ მალე გამოიცემა კეიტ პრაისის მემუარები, რომელშიც შავით თეთრზე მისი მრავალრიცხოვანი ინტიმური თავგადასავლებია მოთხრობილი. წიგნში მრავლად არიან ცნობილი ადამიანები. მაგალითად, ერთ-ერთი თავი ეთმობა პრაისისა და დევიდ ბექჰემის "ჰორიზონტალურ ურთიერთობებს".

*TV-სპორტი*

**შაბათი. 3 აპრილი**

**НТВ+ ФУТБОЛ**

08:30 NBA TV – NBA შიგნიდან
09:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1992. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "UTAH JAZZ". მე-5 თამაში
11:00 11:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედინალი. პირველი მატჩი. "ჩელსი" – "არსენალი"
15:10 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. "რეალი" – "მონაკო"
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:20 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:50 წვრილმანები. "ბულგარეთი – რუსეთი"
18:10 "ყველაზე სასაცილო ლიგა"
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" – "ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" – "ევერტონი"
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. "ვოლფსბურგი" – "შტუტგარტი"
00:15 "FUTBOL MUNDIAL"
00:40 თავისუფალი დარტყმა
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" – "ვილიარეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
02:55 02:55-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV – NBA შიგნიდან
06:00 NBA TV. დღიური
06:30 NBA TV. "PHOENIX SUNS" - "DALLAS MAVERICKS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

10:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:00, 14:20, 17:10, 20:30, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. ნახევარფინალები
14:35 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "MIAMI HEAT"
17:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 ცხენოსნობა. სტიპლჩეიზი. "Grand National" ლივერპულში
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 წყალში ხტომა. გრან-პრი ჩინეთში
00:45 ახალი ამბები
01:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NASHVILLE PREDATORS" – "ST.LOUIS BLUES". პირდაპირი ტრანსლაცია
03:30 03:30-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "OTTAWA SENATORS" - "TORONTO MAPLE LEAFS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:30 ფანბორდი. შეჯიბრება პარიზი-ბერსის დარბაზში
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
16:00 სნუკერი. საერთაშორისო შეჯიბრება ირლანდიაში
17:45 მოტორბოლა. ლე მანი 24 საათი. საფრანგეთი
19:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004
20:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
21:00 მოტორბოლა. ლე მანი 24 საათი. საფრანგეთი
22:0 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
23:30 მოტორბოლა. ლე მანი 24 საათი. საფრანგეთი
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
04:45 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მაღაზიებში გაზაფხულდა








თანამედროვე ქალის ცხოვრების ყოველი დღე პრობლემებით, საფიქრალით იწყება. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, დილას კარადას გამოაღებ, მოძველებულ, მობეზრებულ გარდეროპს გადახედავ და ცხოვრება კიდევ უფრო მძიმე, უხალისო მოგეჩვენება. არადა, ქუჩაში გაზაფხულდა, დათბა და სტიმული გესაჭიროება. ქალისთვის კი მაღაზიებში სიარულზე, რაიმე ახლის შეძენაზე მეტად გამახალისებელი რა შეიძლება იყოს? კარგია, თუ თვალიერების პარალელურად, ფულიც გაქვს და ყიდვაც შეგიძლია.

თბილისში, მაღაზიების სიუხვის მიუხედავად, ვერ გეტყვით, რომ ბევრ მაღაზიაში მიყვარს შესვლა. ზოგიერთი მაღაზია ზედმეტად უბადრუკი, უგემოვნო ვიტრინით, უხარისხო და დემოდე საქონლით გამოირჩევა. ზოგიერთი კი პირიქით, განსაკუთრებული "ელიტურობით", ზებუნებრივად მაღალი ფერებით და პრეტენზიული ინტერიერით გაღიზიანებს. ასეთ "პრესტიჟულ" მაღაზიებში გამყიდველის ნაცვლად ვიღაც გაპრანჭული სნობი გხვდება, რომელსაც ცოტა ეზარება, ცოტაც ეთაკილება მომსახურება, ზემოდან გიყურებს, შენს მყიდველუნარიანობას აფასებს და ვაი შენი ბრალი, თუ რომელიმე ცნობილი მოდელიერის სახელის მატარებელი ტანსაცმელი ან არ მოგეწონა, ან არ მოგერგო, ან, მით უმეტეს, გეძვირა. ჩემი აზრით, თბილისში სულ რამდენიმე ოპტიმალური მაღაზიაა, რომელშიც ფასებიც ნორმალური, ლოგიკურია, გამყიდველიც გამყიდველს ჰგავს, გიღიმის და დაუზარლად გემსახურება, ტანსაცმლის ხარისხიც და არჩევანიც მისაღებია, შენ კი სასურველ კლიენტად გრძნობ თავს.

თუ გაზაფხულმა თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული სიახლე არ შემოიტანა, სამაგიეროდ მაღაზიებში გაზაფხულდა და უამრავ ფერს, სიჭრელეს, სიხალისეს, ყვავილებს, ქალურობას გთავაზობთ. მაღაზიაში შედიხარ, არსებული სიუხვისგან, ფერადოვნებისგან თვალები გაგირბის, თავში კალკულატორი ირთვება, გახსენდება, რომ უამრავი პრობლემა, ხარჯი გაქვს. არადა, რამე ახალი როგორ გინდა! ეცადეთ, ერთხელ მაინც ყველა და ყველაფერი დაივიწყოთ და მხოლოდ თქვენს თავზე იფიქროთ, მხოლოდ თქვენს თავს ასიამოვნოთ. ყველაფერს მაინც ვერ იყიდით. ამოირჩიეთ ერთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგიხდებათ, ეფექტური, პრაქტიკული იქნება და ასე გჭირდებათ. გადაწყვიტეთ, გადაიხადეთ, ლამაზ პარკში ჩაადებინეთ და ქუჩაში უკვე სულ სხვა გუნებაზე გამოდით. ამის უფლება ერთხელ ყველა ქალს აქვს, მით უმეტეს, გაზაფხულზე.

თბილისური მაღაზიების მეპატრონეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ რევოლუციის შემდეგ გაყიდვების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ეტყობა, ვისაც ადრე ფული ჰქონდა და ვისი ცოლებიც განუსაზღვრელად ხარჯავდნენ, დაუფიქრებლად ყიდულობდნენ, დღეს შეშინებულები, მოხსნილები არიან და ამიტომ ფულს არ აჩენენ, ან შემოსავლის შემცირების, შეწყვეტის გამო ხარჯვას ერიდებიან, იზოგავენ. ახალ ნომენკლატურას კი ჯერ არ აქვს და თუ აქვს, ასევე ეშინია გამოჩენა. ამიტომაც, თბილისის მაღაზიები ახალი კოლექციებით არის სავსე, ზოგან წარმოუდგენელი ფასდაკლებაა, მყიდველი კი კანტი-კუნტად თუ შემოივლის. არადა, შოფინგზე გამოსული, პარკებით დატვირთული ქალი სულ სხვაგვარად იღიმება, სხვანაირი მიხრა-მოხრა აქვს, უფრო ბედნიერი და საკუთარ ქალურობაში უფრო დარწმუნებულია. ვის რამდენი ხანი ყოფნის ახალი შენაძენით გახალისება... ზოგიერთს ერთ ჩაცმაში ბეზრდება, ზოგიერთი კი მთელ სეზონს სიახლის შეგრძნებით ატარებს. ქალია და გუნება! მაღაზიები კი ჭრელი ვიტრინებით გეძახიან, გაზაფხული თავბრუს გახვევს და როგორ გინდა, თავი შეიკავო, ცდუნებას არ აყვე, ქალურობა გვერდზე გადადო და ვიტრინას მშვიდად ჩაუარო? თბილისის მაღაზიებში ხომ ნამდვილი ყვავილოვანი გაზაფხული შემოვიდა, თანაც პირადად თქვენთვის, ანუ ჩვენთვის, ქალებისთვის.

გაზაფხული გაზაფხულია, ქალი - ქალი, ლამაზი ტანსაცმელი კი ამ ორივეს აუცილებელი თანმდევი კომპონენტი. ჰოდა, სიამოვნებას ნუ მოიკლებთ, დამიჯერეთ!

P.S. ვინაიდან გაზეთი შავ-თეთრია, ჩემს მიერ გადაღებული ტანსაცმლის მოდელების მთელი ეფექტი იკარგება, მაგრამ ქალის თვალი მაინც მიხვდება, რას გვთავაზობს თბილისის მაღაზიების ერთი ნაწილი, რომელსაც მე "ოპტიმალურს" ვეძახი.



## განცხადება

მე, ქეთევან იგნატოვას მინდა ტანკი ვიქირავო და თბილისის ქუჩებში გავისეირნო. მაინტერესებს, მაქვს თუ არა ამის უფლება. მართვის როგორი საბუთი მესაჭიროება, რამდენი ადამიანის ჩასმის უფლება მაქვს, ტანკის მართვისას თავზე რა უნდა მეხუროს, სროლა შეიძლება თუ არა, ინსპექტორი რომ გამაჩერებს, რამდენი უნდა გადავუხადო, რა თანხა უნდა მედოს პირად ანგარიშზე და რომელ სამინისტროს მივმართო - უშიშროების თუ თავდაცვის. შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ყველაფერი კანონიერად მინდა, რომ იყოს.

ტანკის დაზიანების შემთხვევაში, ხარჯებს ავანაზღაურებ.

გთხოვთ, პასუხი შესაბამისი სამინისტროს პრესსამსახურის მეშვეობით გამცეთ. მოუთმენლად ველოდები თქვენს გადაწყვეტილებას და ტანკით ჩემს სრულიად შესაძლებელ ვოიაჟს.

## შეკითხვა

მეორე, თბილისისნაირი დაულაგებელი, დაბინძურებული ქალაქი ძნელად მოიძებნება. თუ შემთხვევით ფეხით გავლა მოგიწიათ და შავი ფეხსაცმელები გაცვიათ, ელოდეთ, რომ ფეხსაცმელი მტვრისგან თეთრი ან ნაცრისფერი გახდება, ხელები - ჭუჭყიანი, თმა - დასაბანი, სახის კანი - კოსმეტოლოგთან გასაწმენდი, თეთრი პერანგი კი - გადასაგდები. რატომღაც ასეთი კოლორიტული თბილისელი მეეზოვემხვეტავები სადღაც უგზო-უკვლოდ გაქრნენ. ისინი კი დალაგების, დახვეტის გარდა, ზუსტად მახსოვს, ხელის ერთი მოქნილი მოძრაობით ძალიან ეფექტურად და, რაც მთავარია, შედეგიანად რწყავდნენ ქალაქის ტროტუარებს.

დღეს დედაქალაქის მოსახლეობა იმ პირველყოფილ ტომს დაგვამსგავსეს, რომელიც რიტუალური ცეკვებით, მიწის დასველებისთვის ღმერთს წვიმას ევედრება, ოღონდ ერთი განსხვავებით, რომ მოსავალზე უფრო საკუთარ ფილტვებზე ვღელავთ, რომლებიც ყოველწამიერად გადამშრალ, დაუხვეტავ, მოურწყავ ქალაქში მტვრის წარმოუდგენელ რაოდენობას შთანთქავენ.

სრულიად არაკოლორიტული, ჩვეულებრივი სარწყავი მანქანები სად გაქრა? ხომ იყო?

გვითხარით, თბილისის მერიის წინ რა რიტუალი შევასრულოთ, რომ თბილისი მოირწყას?

# ჯონდის თმები, შალვას - ხმები!

ცესკო-ს შენობასთან დაახლოებით ასეთი მოთხოვნით მიმდინარეობდა შიმშილობის აქცია, რომლის ერთადერთი მიზანი ჯონდი ბაღათურიას შესაძლებელი გალამაზება და შალვა ნათელაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, რეაბილიტაცია იყო. მესმის, ძალიან ძნელია, როდესაც წლების მუშაობის, ავანტიურიზმის, დემაგოგიის, სხვისი გაუთავებელი ლანძღვის ხარჯზე, პარტკომობიდან დღემდე რაღაცა რენომე მაინც შეიქმენი, რეიტინგი შეიკოწიწე და უცბად, არჩევნების ერთ დღეს, კონკრეტული, უტყუარი, დაუნდობელი ციფრების ხარჯზე საკუთარი ნაშრომის სრულ კრახს ხედავ. გაირკვა, რომ ხალხმა შესანიშნავად გაარჩია, ვინ ვინ არის და აღარც პოპულისტური იმიჯის, არც უწერტილო, უმძიმო, რბილი "ლ"-თი გაჯერებული სიტყვების კასკადის, არც იმის, რაც ნათელაშვილისეული ღიმილისგან დარჩა, აღარ სჯერა. როგორც ჯონდი ბაღათურიას აღარ ამოუვა თმა, ისე შალვა ნათელაშვილი ნდობას ველარ დაიბრუნებს. მაგრამ, ნათელაშვილი რისი ნათელაშვილი იქნებოდა, ყველა მეთოდისთვის და ზომისთვის რომ არ მიემართა. ძალიან იოლია ცხოვრებაც და "მოღვაწეობაც", როდესაც არანაირი მორალური ზღვარი არ გაგაჩნია და მხოლოდ იმას აკეთებ, რაც ხელსაყრელია, თუნდაც ეს შიმშილობის უკიდურესი ფორმა იყოს. ოღონდ, ერთი პატარა ნიუანსით - თვითონ ლიდერებს მეტი საქმე არა აქვთ, ქუჩაში იშიმშილონ, ამისთვის მათ აქტივისტები ჰყავთ, რომლებიც მუდამ მზადყოფნაში არიან და ერთი სული აქვთ, სანატრელ რუსთაველის გამზირზე როდის გამოასეირნებენ. სახლშიც რასკლადუშკებზე წვანან და ახლა, მთავარ პროსპექტზე მაინც წამოწვებიან, გადასაფარებელს, ანუ "ადეალას", როგორც თვითონ ამბობენ, მოიტანენ და რამდენიმე დღე რუსთაველზე იცხოვრებენ! როდისღა ექნებათ ასეთი შანსი! ხოდა, ოპერატიულმა ნათელაშვილმა გარეუბნელი ახალგაზრდების ოცნებებით ისარგებლა და მათი ჯანმრთელობის ფასად, ქალაქის ცენტრში მყუდრო თავშესაფარი შესთავაზა.

თუ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი არჩევნების ლოგიკური შედეგებით ალოგიკურად უკმაყოფილო იყო, სარჩელი სასამართლოში შეეტანა, ჩივილი მაინც ხომ ეხერხება, ან თუნდაც, ეშიმშილა, ოღონდ თვითონ, ან ბოლო-ბოლო ჯონდისთან ერთად (კარგი სანახავები იქნებოდნენ ჩვენი პოლიტგმირები შიმშილობის მე-5 დღეს). არ გამიგია, საკუთარ ამბიციებს სხვისი კვების რაციონის ხარჯზე იკმაყოფილებდე. აქტივისტები მონები არ არიან და მათი გულწრფელი პროვინციული ოცნებები, ან თუნდაც გულუბრყვილობა ავანტიურიზმის იარაღი არ შეიძლება გახდეს. გარეთ წვიმდა, ქარი იყო და ეს ბავშვები, "ადეალებში" გახვეულები, ქუჩაში იწვნენ და რომ გეკითხა, "ჩვენს ხმებს ვიცავთო" - გიპასუხებდნენ. ვინ არიან ეს ჩვენ? თქვენ შალვა ნათელაშვილის პირად ინტერესებს, გეგმებს, მიზნებს და ნაირფეროვან, ზოლებიან, ხელოვნურ ჯემპრებს იცავდით და არა ხმებს, რომლებიც თქვენთვის არავის მოუცია. ხომ დაინახეთ, ამ სიცივეში საშიმშილოდ რომ გაწვენდათ, მაშინაც კი ერთი, სინთეტიკური ჯემპრიც არ გაიმეტა თქვენთვის თქვენმა ლიდერმა. დაენანა! ახლა, როდესაც მისთვის გმირობანასა და პრინციპულობას თამაშობთ, ეს უხარისხობა ენანება - მერა რა იქნება, როდესაც აღარ დასჭირდებით, თუმცა მერე არც თვითონ დასჭირდება ვინმეს. ახალგაზრდები ხართ, თქვენს თავზე იფიქრეთ, ფილტვებს ნუ გაიციებთ, თორემ მართლა ხომ არ გგონიათ, ნათელაშვილს უფასო სამედიცინო დახმარების სჯერა? არაფრისაც არ სჯერა! ერთადერთი, ჯემპრების ხარისხის გაუმჯობესება უნდა და კიდევ, ხარჯი ხარჯია, ჯონდისაც ეგება თმები გადაუნერგოს, თორემ ბავშვებს ფანტომასში, უფროსებს კი აჩი მეფარიძეში ეშლებათ და ეს კი პარტიის იმიჯს ვნებს. ხოდა, ორი კაცი, ერთი ბაილონის ჯემპრში და მეორე კი მელოტი, თავისი პატარა მიზნებისთვის პატარა ბავშვებს აშიმშილებს და პატარა ლოზუნგების მეშვეობით ცდილობს, ამ ყველაფერს პატარა პოლიტიკის სახე მისცეს. თქვენდა სამწუხაროდ, ჩვენ პატარები აღარ ვართ და ასეთი ზღაპრების აღარ გვჯერა. თუ მაინცადამაინც, თვითონ ნათელაშვილი მობრძანდეს და ცესკო-ს წინ, ან სადმე სხვაგან თავად წამოწვეს საშიმშილოდ - ეფექტიც, სანახაობაც, ლოგიკაც და სამართლიანობაც მეტი იქნება. წარმოიდგინეთ, ვინ არ შეჩერდება "ადეალაში" გახვეული, თავისი ცნობილი გაყინული ღიმილით, შიმშილისგან მისუსტებული და შესაბამისად, უფრო გასაგებად, პაუზებით მოსაუბრე შალვას სანახავად. ასეთმა შოუმ ლეიბორისტული პარტიის სრულიად ჩაძირული რეიტინგიც კი შეიძლება ოდნავ ამოწიოს, აქტივისტებს - მშობლიური გარეუბანი, ჩვენ - სიმშვიდე და ჯონდის კი ქოჩორი დაუბრუნოს.

თუ ნათელაშვილი დაწყნარდება, აღარ აგვიშლის ნერვებს, არ აშიმშილებს ბავშვებს, შეწყვეტს სხვის შეურაცხყოფას და ავანტიურულ პოლიტიკოსობას მოეშვება, გეფიცებით, ერთი კარგი შოტლანდიური შალის ჯემპრი ჩემზე იყოს. სამწუხაროდ, ჯონდის ვერაფრით დავეხმარები, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა.

# "სამყარო ბრძოლის ველია"...






"იდეა იმისა, რომ ზარატუსტრას შევჭიდებოდი, დღევანდელობამ, დრომ მიკარნახა"... - ამბობს რეზო კლდიაშვილი, პროფესიით ქიმიკოსი, თბილისის სამედიცინო აკადემიის ქიმიის კათედრის გამგე, ბევრი პიესის ავტორი, დრამატურგი (2000 წ. დავით კლდიაშვილის პრემია პროზაში, 2002 წ. - სახელმწიფო პრემია პიესების წიგნისათვის "იადონას თეატრი"), რომელიც დღეს მსახიობის და რეჟისორის ამპლუაშიც გვევლინება და სამეფო უბნის თეატრში თავის ახალ პიესას "ზარატუსტრას ჟამი" წარმოგვიდგენს. პიესა ფრიდრიხ ნიცშეს "ესე იტყოდა ზარატუსტრა" და 3+1 "მომავლის რჩეულის" მიხედვით შეიქმნა.

გულახდილად გამოგიტყდებით, რომ ნიცშე ჩემი სამაგიდო წიგნი ნამდვილად არ არის, ინკოგნიტო 3+1 ავტორების შესახებ კი მთლად არაფერი მსმენია, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ასეთი ინტერესით, სულგანაბულად კარგა ხანია, არაფერი მომისმენია.

**"ზარატუსტრა - ადამიანში უფრო მეტია მაიმუნი, ვიდრე თვით მაიმუნში. მაიმუნის სირცხვილია ადამიანი! უნდა ამაღლდეს ადამიანი თავის თავზე, რომ დაიბადოს"...**

რეზო კლდიაშვილმა პიესის კითხვა აქციად აქცია და როგორც თვითონ ხსნის, ამ ფორმით ხალხთან მისვლას ცდილობს. ასეთი წაკითხვა-აქციები უკვე რამდენიმე ადგილას - გოეთეს საზოგადოებაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, 53-ე საშუალო სკოლაში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, თეატრ "ვერიკოში" მოეწყო და ყველგან დიდი ინტერესი, შეკითხვები, პოლემიკა გამოიწვია. ასე იყო სამეფო უბნის თეატრშიც, რომლის დარბაზი განსაკუთრებული ინტელიგენტურობით გამოირჩეოდა და პიესის დასრულების შემდეგ მაყურებელს მსჯელობის, გაანალიზების სურვილი გაუღვიძა. ხალხს დაშლა არ უნდოდა, ფეხზე მდგომი განაგრძობდა საუბარს და ცდილობდა, პიესით შექმნილი განწყობა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა.

მარადიული პრობლემა მარადიული ფორმით - დღეს ასეთი საჭირო, შემაშინებელი და რეალური ჭეშმარიტება. თუ დაფიქრების უნარი ოდნავ მაინც გაქვს, პიესა აუცილებლად დაგაფიქრებს, თუ სული გაქვს - სულში ჩაგახედებს, კითხვებს გაგიჩენს და პასუხებსაც გაგცემს, ოღონდ, პასუხები მძიმე მოსასმენი, დაუნდობელი, შეულამაზებელი და ზედმეტად მართალია. თუ მხდალი ხარ, კიდევ უფრო შეგაშინებს, ღრმა ხარ - უფრო ჩაღრმავდები, საცოდავი ხარ - კიდევ უფრო შეგეცოდება შენი თავი, თუ ოპტიმისტი ხარ - მომავლის რწმენა კიდევ უფრო გაგიძლიერდება.

წერას რომ ვიწყებდი, მეშინოდა, ფილოსოფიაში არ გადავვარდნილიყავი, მაგრამ, მე მგონი, მაინც ვფილოსოფოსობ და შეიძლება სასაცილოც გამოვჩნდე, თუმცა, ყველა ადამიანს, მათ შორის მეც, სამეფო უბნის თეატრის მაყურებელს და რეზო კლდიაშვილსაც თავისი ფილოსოფია გააჩნია, რომელიც თავისთავად ძალიან საინტერესო და საჭიროა დღევანდელი მასიური ზედაპირულობის ფონზე.

პიესის წაკითხვა დასრულდა, ავტორს გულწრფელად მივულოცე, თეატრიდან გამოვედი. თბილი ამინდი იყო. ლესელიძის ქუჩაზე გასეირნება და განტვირთვა მომინდა. მოვდიოდი ქუჩაში და ხალხს ვათვალიერებდი, რომელთა პორტრეტები რამდენიმე წუთის წინ მოსმენილ პიესაში ასე ზუსტად იყო აღწერილი და სურვილი მქონდა, ავტორისეული ტექსტით მიმემართა:

**"დროის შვილებო: მომავალს ვხედავ!!! ცოტაც კიდევ და ამ სიბნელეს სინათლე შეცვლის! გადარჩებიან ყველა ისინი, ვინც მართალია ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე!"**

მაგრამ დროულად შევიკავე თავი, თორემ ხალხს ნამდვილად გიჟი ვეგონებოდი.

# ჰენკოკი ბავშვებზე ზრუნავს



ცნობილმა ამერიკელმა ჯაზმუსიკოსმა ჰერბი ჰენკოკმა თავისი ინსტრუმენტების ნაწილი ამერიკის ისტორიის სმითსონის ნაციონალურ მუზეუმს გადასცა. ნაჩუქარ ნივთებს შორის არის ქიბორდი, რომელზეც ჰენკოკის ყველაზე ცნობილი ჰიტებია შექმნილი, ასევე, ორი სინთეზატორი და მიკროფონი. ეს ნივთები მუზეუმის ერთ ვრცელ განყოფილებაში დაიდებს ბინას, სადაც უკვე ინახება დიუკ ელინგტონის, ელა ფიცჯერალდისა და ლაიონელ ჰემპტონის ინსტრუმენტები.

"ეს ნაბიჯი ახალბედა მუსიკოსების შთაგონებისთვის გადავდგი. ვინ იცის, იქნებ ოდესმე რომელიმე ახალგაზრდამ ჩაუაროს ამ ქიბორდს და თქვას, "მე სწორედ ამ ინსტრუმენტზე მინდა დაკვრა. მეც მინდა, ერთ დღეს გამოვიდე ვილაც", - განუცხადა ჰენკოკმა "როიტერს" მუზეუმში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე და იქვე დასძინა: "თუმცა, ჩვენ ყველანი პიროვნებები ვართ და პოპულარობა ბედნიერების მისაღწევად გადამწყვეტი სულაც არ არის. ადამიანი არც იარსებებდა, რომ არ შეეძლოს ცხოვრებისეულ სუფრაზე თავისი წილის მიტანა".

ჰერბი ჰენკოკს ბავშვებზე ზრუნვისკენ საკუთარი გამოცდილება უბიძგებს. ის ჩიკაგოს სამხრეთით ღარიბულ უბანში იზრდებოდა. საბედნიეროდ, დედამ ადრევე შენიშნა შვილის განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი და როცა შვიდი წლის გახდა, ფორტეპიანო აჩუქა... უკვე 11 წლის ჰენკოკი კი ჩიკაგოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავდა...

ამ ეტაპზე ცნობილი ჯაზმუსიკოსი ახალ პროექტზე მუშაობს, რომელსაც ასეც ჰქვია – HH Project 2004. სხვა დეტალებზე საუბრისგან ის ჯერ თავს იკავებს.

ჰოლივუდის მძიმეწონოსანი მარლონ ბრანდო

## მთავარი მეტოქე



მ[illegible]

## ბიოგრაფიული ცნობები

[illegible]

© GRAPHIC NEWS

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



### იაკიუდონი

იაპონური რესტორნების - "ტოკიო" და "საკურა"-ს შეფ-მზარეული

ვასილი პავნევი

**ინგრედიენტები:**

150გ ატრია (ლაფშა)
30გ ბადრიჯანი
30გ ხახვი
30გ ყაბაყი
30გ ბულგარული წიწაკა
30გ კრევეტები
30გ მოლუსკები
25გ რვაფეხა
20გ კარაქი
20გ ზეთი
10გ სოიოს სოუსი
მარილი
პილპილი

**მომზადების წესი:**

დავჭრათ მოგრძო წვრილ ნაჭრებად ბადრიჯანი, ყაბაყი, ბულგარული წიწაკა და ხახვი. კრევეტი, მოლუსკები და რვაფეხა დავჭრათ საშუალო ნაჭრებად. მოვშუშოთ ყველაფერი ერთად ზეთში, მაღალ ცეცხლზე (3-5 წუთი). შევურიოთ უკვე მოხარშული ატრია (ლაფშა) და კარგად ავურიოთ. დავუმატოთ კარაქი, მარილი, პილპილი, სოიოს სოუსი და გავაჩეროთ ცეცხლზე 2 წუთი.

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



### სუში

იაპონური რესტორნების - "ტოკიო" და "საკურა"-ს შეფ-მზარეული

ვასილი პავნევი

**ინგრედიენტები:**

200გ მოხარშული ბრინჯი
350გ თევზი ორაგული, სკუმბრია, ქაშაყი ან ქორჭილა
50გ ბრინჯის ძმარი
25გ შაქარი
5გ მარილი
იმბირი (საწებლებელი)
ვასაბი (ერთგვარი მცენარე)

**მომზადების წესი:**

მოხარშულ ბრინჯს დავუმატოთ ბრინჯის ძმარში გახსნილი შაქარი და მარილი. დავისველოთ ხელი წყალში და ბრინჯისგან გავაკეთოთ ოვალური ფორმის ბურთულები. წავუსვათ თევზის თითოეულ ნაჭერს ცოტა იმბირი და დავადოთ ბრინჯის რგოლებზე. დავდოთ თეფშზე და მივირთვათ ვასაბთან ერთად.

## სკანვორდი



N77-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი: [illegible]

## TV პროგრამა

3 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი **PS 22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ჩეჩნური იავნანა". რეჟ. ნინო კირთაძე. **01.20** მხ. ფილმი "დაქირავებული მკვლელი". მთ. რ-ში: ჯეტ ლი

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.05(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00,** 23.35(ფრანს2) **01.00,** 02.50(შვეიცარია) 03.20(აფრიკა) **05.25** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.10, 20.00, 23.00** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.20** აღმოჩენა ქათმის გრიპი. **15.05** მითხარი ღმრთის სახელი **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. **21.25** კრიმინალი. მხ. ფილმი**22.25** ჩემი გატაცება კინო.**05.20** ორმაგი თამაში. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.10** მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** ძიუდოში თბილისის საერთაშორისო და ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **15.25** ასე ვცხოვრობთ **15.55** ავტორბოლა "ფორმულა-1" მე-3 ეტაპი **18.00** ძიუდოში თბილისის საერთაშორისო და ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.20** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.45** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" **01.35** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** ფილმი "დამიჭირე თუ შეგიძლია". მთ.რ-ში ლეონარდო დი კაპრიო. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "ნაფოტი" მთ. რ-ში შერონ სტოუნი, უილიამ ბოლდუინი

### მზე

**09.00** მულტფილმი "კუზიანი ნოტრდამიდან" **10.20** საბ. სერიალი "ფერიების ქვეყანა" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "კამელოტის ქალები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მოტაცებული" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "ტოტენჰემი"-"ჩელსი" **21.20** ფეხბურთი მზეზე **21.50** მხ. ფილმი "ოსკარი" (სილვესტერ სტალონე) **23.30** მხ. ფილმი "ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო" (სპენსერ ტრეისი)

### მეორე არხი

**19.10** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** ჯანმრთელობა **20.00** მხ. ფილმი "ფორსაიტების საგა" 11-12 ს. **21.15** გლობუსი 2145 მსოფლიო ცირკის ვარსკვლავები **22.15** მხ. ფილმი "ნაპოვნი დრო" მე-26.

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "წამომწყები" **14.00** მხ. ფილმი "არმაგედონი" **16.30** მხ.ფილმი "მულენ რუჟი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ტუტსი" **23.00** მისტერ ბინის შოუ **00.20** მხ. ფილმი "შუაღამის ექსპრესი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 16.45** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** მხ. ფილმი "მოპარული გულები" **11.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **11.10, 17.50, 01.35** იმედის მელოდიები **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** დოკ. სერიალი "განუმეორებელი ალეკანი" **15.15** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **16.00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. (პ.რეპ.) **18.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 01.15** ქრონიკა **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** ქართ. სერიალ "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "მაშენკა" (ა. ბრუკი)

### მეცხრე არხი

**08.25** მხ. ფილმი "კაპიტან გრანტის შვილები" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.35** მხ. ფილმი "ბრილიანტის ხელი" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50, 16.25, 17.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **21.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" მე-3ს. **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "ალმასები" მე-5ს. **01.00** მხ. ფილმი "ძარცვა" (ჯეიმს სპეიდერი)

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ჩემი ოჯახის განძი" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** ფანტასტიკა "ძიება წარსულში" **13.55, 15.50, 20.00, 00.40, 02.45** მუსიკა **14.15** კომედია "მეოთხე ტენორი" **16.20** "ჭიტა-ჭიტა" **16.30** მულტფილმი "ტექს ავერი" **17.35** მხ. ფილმი "პატრიოტი" **19.30** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.10** მხატვრული ფილმი "წრე" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "Слово" **01.00** კომედია "სასიკვდილო გართობა" **03.00** მხ. ფილმი "ბასრი სამართებელი" **05.10** მუსიკა

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости. **07.10** Сериал "**ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО**". **08.00** Галина Польских в комедии "**ПО СЕМЕЙНЫМ ОБСТОЯТЕЛЬСТВАМ**". **09.20** Служу Отчизне! **09.50** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья" **10.10** "В мире животных" **11.10** "Непутевые заметки" **11.30** Пока все дома. **12.00** "Лошадиная энциклопедия" **12.30** "Угадай мелодию" **13.10** Изольда Извицкая в комедии "**К ЧЕРНОМУ МОРЮ**" **14.30** "Путешествия натуралиста" **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** Док. фильм "Бесы" Анджея Вайды" **16.20** Церемония "Лица года". **17.50** Живая природа. "Правда о драконах" **19.00** Времена. **20.00** Воскресный "Ералаш". **20.30** Алла Пугачева, Лев Лещенко в Большом концерте. **22.00** Время **22.45** Джим Кэрри в комедии "**Я, СНОВА Я И ИРЭН**" **00.55** Бокс. Василий Жиров - Джо Мейси. **01.50** Сэмюэл Л.Джексон в боевике "**БОЛЬШОЙ БЕЛЫЙ ОБМАН**" **03.30** Комедия "**НИКТО И НЕ ЗАМЕТИЛ**". **05.10** Сериал "**ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"** **06.00** "Клад Семена Дежнева".

### РТР

**06.55** Роза Макагонова в фильме "**ОБЫКНОВЕННЫЙ ЧЕЛОВЕК**" **08.30** Мультсериал "Том и Джерри" **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта **10.45** Сам себе режиссер **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд" **13.15** В поисках приключений **14.15** Клуб сенаторов **15.00, 21.00** Вести **15.20** Эммануил Виторган в детективе "**ЛАРЕЦ МАРИИ МЕДИЧИ**" **17.00** Футбол. Чемпионат России. **ЦСКА - "Зенит"** (Санкт-Петербург) **19.00** "Бенефис Клары Новиковой" **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг **23.20** Брюс Уиллис в боевике "**ДЕВЯТЬ ЯРДОВ**" **01.20** Джонатан Брек в фильме "**ДЖИПЕРС-КРИПЕРС-2**" **03.25** Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при Бахрейна. **05.05** Горячая десятка

### НТВ

**06.55** Роджер Мур в фильме "**ШПИОН, КОТОРЫЙ ЛЮБИЛ МЕНЯ**" **09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "**УЛИЦА СЕЗАМ**". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: Сергей Рост - Антон Конча. **12.00** Квартирный вопрос: воспоминания о путешествиях. **13.20** "Дикий мир: пещерные бесы". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.15** Марлон Брандо в комедии "**НОВИЧОК**" **16.20** Криминальная Россия: ночная стая. **17.20** "Женский взгляд". Елена Яковлева. **17.55** Сериал "**КАМЕНСКАЯ: СТЕЧЕНИЕ ОБСТОЯТЕЛЬСТВ**". 1 с. **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Владимир Машков в фильме "**ОЛИГАРХ**" **23.30** Курт Рассел в боевике "**РЕШЕНИЕ О ЛИКВИДАЦИИ**" **02.10** Двое в городе. **02.40** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой

# EMI თვითგადარჩენისთვის იბრძვის




ხმის ჩამწერი ბაზრის გიგანტი EMI თანხების სეკვესტრირების მიზნით სერიოზულ ცვლილებებს ახორციელებს: აუქმებს 1500-მდე სამუშაო ადგილს, ამცირებს მუსიკოსებთან გაფორმებული კონტრაქტების მეხუთედს და წყვეტს საკუთარი კომპაქტ და ციფრული ვიდეო დისკების გამოშვებას ამერიკასა და ევროპაში. როგორც წინასწარვეა ცნობილი, დაიხურება ქარხანა ჯექსონვილში, ხოლო ჰოლანდიური საწარმო სხვა ფირმაში გადავა. ამ მკვეთრი ნაბიჯებით კომპანია წელიწადში 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის დაზოგვას შეეცდება.

შეგახსენებთ, რომ EMI "როლინგსტოუნზის", "ქოლდფლეის", "რეიდიოჰედის", რობი ვილიამსის, ნორა ჯონსის და სხვა ცნობილი და მომგებიანი ვარსკვლავების ჩამწერი კომპანიაა. ჯერჯერობით, EMI-ის წარმომადგენლები არ აცხადებენ, თუ რომელ მომღერლებთან აპირებენ კონტრაქტების გაწყვეტას. თუმცა, განმარტავენ, რომ სეკვესტრისთვის გაწირავენ მხოლოდ არამომგებიან მომღერლებს და მათ, ძირითადად, ევროპიდან შეარჩევენ. იმედია, ეს ცვლილებები EMI-ს კრიზისის გადალახვაში, მართლაც, დაეხმარება. ეს კომპანია ხომ მსოფლიოში რიგით მესამე მუსიკალური ჯგუფია და "როლინგსტოუნზიდან" დაწყებული ყველა ახალდაბადებული ვარსკვლავის გამომცემელი გახლავთ.

## -ის კვირის პროგრამა

5 აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **07.30** აკუსტიკა. ლაზა. ამობე მევერგესთან ერთად. **12.05** ზიგზაგ კაფე. რაც მამა ის შვილი?. **24.05** თვალსაზრისი. მთელი ცხოვრება ციხეში. ჟურნალისტ გი გენდრონთან ერთად. **02.25** ჟული და ჯიმი. მხ. ფილმი. ტრაგი-კომედია ფრანსუა ტრიუფო. 1962. **04.30** ვარსკვლავთ ცვენა. მსახიობი ნადეჟ ბოსონ დიანი.

6 აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა.
**07.30** დ დიზაინი. დსკარიდი.ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი. გაზაფხული ზაფხული 2004. **08.00** მემუარები. დოკ. ფილმი.
**13.15** ქალები და ქალები. მხ. ფილმი. ტრაგიკომედია. რეჟისორი პოლ ვეჩიალი. 1974. **17.25** გენოციდიდან ათი წლის შემდეგ. რუანდა. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მადაგასკარი. კუნძული რეუნიონი.**21.25** ყველას თავს ვერ მოაწონებ. **01.30** გენოციდის ქრონიკები. დოკ. ფილმი. რუანდა.

7აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **08.05** გამოგონების ისტორია დოკ. ფილმი. **11.30** დიდი მოგზაურობა. **12.05** ზიგზაგ კაფე. 16. 30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 17. 30 კლიენტი გოგო. მხ. ფილმი. 19. 30 კითხვები ჩემპიონისთვის . ტელეთამაში. **21.25** ყრუების ქვეყანა. დოკ. ფილმი. 01. 00 მემუარები შვეიცარიის საზღვრიდან. დოკ. ფილმი. **01.25** ფესვები და ფრთები. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **06.25** ჩემი გატაცება კინო.

8 აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **12.05** ზიგზაგ კაფე. **12.15** ექიმი სილვესტრი. მხ. ფილმი. 17. 30 ფრანს ევროპ ექსპრესი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. **23.25** დ დიზაინი. **05.20** განგაში ღამით.

9 აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **07.30** ყრუების ქვეყანა. **11.30** ზღვის იქითა ქვეყნები. **13.15** კრიმინალი. მხ. ფილმი. **15.05** ყველაფერი ვცადე. **17.30** ფესვები და ფრთები. . პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **19.30** კითხვიბი ჩემპიონისთვის .ტელე თამაში. **21.25** კულტურები და დამოკიდებულებები. **23.05** აკუსტიკა.**01.30** თოვლის დნობა. მხ. ფილმი.

10 აპრილი.

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **08.35** ღია ბარათი. გურმანი. **09.25** საბავშვო გადაცემა. **10.30** ეს უნდა იცოდე. გადაცემა ბავშვებისათვის. **11.50** კლიპების სიტყვები. **13.15** თოვლის დნობა. მხ. ფილმი. **15.05** მითხარი ღმერთის სახელი. **19.35** კითხვიბი ჩემპიონისთვის .ტელე თამაში. **20.05** ორკესტრის მართვის ხელოვნება. **21.25** კრიმინალი. მხ. ფილმი. **00.00** ერტი გამოGონების ისტორია.

11 აპრილი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **08.00** ჩაი თუ ყავა. საუბრები მრგვალ მაგიდასთან. **09.25** საბავშვო გადაცემა. **12.30** ბურლინგერის დღიურები. **13.15** ყრუების ქვეყანა. **15.05** მედიჩის ბიბლიოთეკა. **24.05** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. 03. 55 ყველა მათზე ლაპარაკობს.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"
წარმოგიდგენთ
*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*
"ყვითელი ანგელოზი"
*5, 12,19, 26 აპრილი*
*"თავისუფალი თეატრი"*
*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ფილებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისურის კურსების გავლა

ლონდონში

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word,
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61





## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.






კონტექსტი

# ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის განმარტებითი ბარათი



### შესავალი

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია ერთდროულად კულმინაციაც არის და ამოსავალი წერტილიც. იგი არის იურიდიული დასტური ოცი წლის ევროპული თანამშრომლობისა არქიტექტურული მემკვიდრეობის დარგში და ამავე დროს წარმოადგენს ახალ ჩარჩოებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოების თანამშრომლობისათვის.

### კონვენციის საფუძვლები ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამის კონტექსტში

1963 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წამოაყენა ინიციატივა ძეგლებისა და ზონების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების დარგში ევროპული თანამშრომლობის შესახებ. 1969 წლის 25-27 ნოემბერს ბრიუსელში ამ სექტორის მესვეურ მინისტრთა პირველი ევროპული კონფერენციის ჩატარებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 589 (1970), რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას მიაპყრობდა მიზანშეწონილობაზე, შექმნილიყო თანამშრომლობის მუდმივი კომიტეტი, რომელიც შეადგენდა ევროპულ ქარტიას, მასში ჩამოყალიბდებოდა მემკვიდრეობის "დაცვისა და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები", ხოლო შემდეგ ამ ქარტიის შუქზე მომზადებულიყო ევროპული კონვენცია.

სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულდა 1970-იან წლებში ორგანიზაციის ხელშეწყობით და დაგვირგვინდა 1975 წლის სექტემბერში მინისტრთა კომიტეტის მიერ არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპის ქარტიის მიღებით. ქარტიის პრინციპები, რომლებიც შესულია ამსტერდამის კონგრესის, ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის წლის (1975) დამაგვირგვინებელი ღონისძიების დეკლარაციაში, წარმოადგენს ნაშენი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული აზროვნების ერთ-ერთ ნიშნეულს. მას შემდეგ ფართოდ მიღებულია ზრუნვა ქალაქის დაგეგმარებაში კონსერვაციის "ინტეგრირებაზე", ისტორიული შენობების ჯგუფების და მათი გარემოცვის შენარჩუნებაზე და მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ნაწილის, მიჩნევაზე.

ევროპის საბჭოს სამთავრობათშორისო პროგრამამ 1975 წლიდან თანამშრომლობა გააფართოვა. 1976 წელს მინისტრთა კომიტეტმა რეზოლუციაში (76) 28 მისცა რეკომენდაცია წევრ მთავრობებს, რათა მათ მიესადაგათ კანონებისა და წესების ეროვნული სისტემები "ინტეგრირებული კონსერვაციის" მოთხოვნილებებისათვის. კონვენციის იდეა, რომელსაც მეტი ძალა ექნებოდა, ვიდრე დეკლარაციას ან რეკომენდაციას და სახელმწიფოებს დაუქვემდებარებდა საერთაშორისო კანონმდებლობას, კვლავ წამოიჭრა 1982 წელს CLRAE-ს რეზოლუციაში № 127. იგი მიღებულ იქნა ისტორიული ქალაქების მე-4 ევროპულ სიმპოზიუმზე, რომელიც მოაწყო ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა მუდმივმა კონფერენციამ და ორგანიზაციამ Europa Nostra და ჩატარდა ფრიბურგში (შვეიცარია). ეს რეზოლუცია აგრეთვე სთხოვდა მინისტრთა კომიტეტს, მოეწყო იგივე მიზნით არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მე-2 ევროპული კონფერენცია.

სწორედ ამ კონტექსტში, 1981 წლის სექტემბერში, მინისტრთა კომიტეტმა დაავალა საქმიანობის სამთავრობათშორისო პროგრამის (ურბანისტული პოლიტიკისა და არქიტექტურული მემკვიდრეობის კომიტეტი, CDUP) მემკვიდრეობის სექტორის პასუხისმგებელ კომიტეტს, წინასწარ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩამოეყალიბებინა აზრი ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

1983 წლის პლენარულ სხდომაზე CDUP-მ შესაბამისად მიიჩნია დასრულებულად წინასწარი სამუშაოები, რომელიც სამდივნოს თხოვნით 1982 წელს ჩაატარა ნანსის ევროპულმა საუნივერსიტეტო ცენტრმა და მხარი დაუჭირა კონვენციის პრინციპს. CDUP-ს წინადადებით მინისტრთა კომიტეტმა 1983 წელს გადაწყვიტა შეექმნა წამყვანი ექსპერტების კომიტეტი, რომელსაც საგანგებოდ დაევალა ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის პროექტის მომზადება საქმიანობის სამთავრობათშორისო პროგრამის ჩარჩოებში.

სახელმწიფოები, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ წამყვანი ექსპერტების კომიტეტის შემადგენლობაში, რომელმაც მოამზადა კონვენციის პროექტი, იყვნენ: ავსტრია, ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. კომიტეტი შეიკრიბა სამჯერ, 1983 წლის დეკემბერში, 1984 წლის ივნისში და 1984 წლის ნოემბერში, ბ-ნ ალფრედ ვაკერის, ევროპის საბჭოში შვეიცარიის ყოფილი მუდმივი წარმომადგენლის, თავმჯდომარეობით.

განხილვის საწყისი ობიექტი იყო წინასწარი პროექტი, შედგენილი სამდივნოს მიერ, რომელიც ეყრდნობოდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციას 880 (1979) ევროპის არქიტექტიურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და ნანსის ევროპული საუნივერსიტეტო ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოების დასკვნას (დოკ. CDUP (83) 4). თავის მესამე შეხვედრაზე წამყვანი ექსპერტების კომიტეტმა წარუდგინა კონვენციის პროექტის ტექსტი CDUP-ს, რომელმაც განიხილა იგი 1985 წლის თებერვალში პლენარულ სხდომაზე და თავის მხრივ გადასცა პროექტი მინისტრთა კომიტეტს.

იმავე დროს, როცა იწერებოდა კონვენცია, უფროს ოფიციალურ პირთა კომიტეტს ეთხოვა 1984 წელს, მოემზადებინა არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპული კონფერენცია, რომლის ჩატარება ითავა ესპანეთის მთავრობამ გრენადაში 1985 წელს; მას ორმაგი მიზანი ჰქონდა - განეხილა ევროპული თანამშრომლობის მდგომარეობა პირველი კონფერენციის შემდეგ 1969 წელს და ამავე დროს დაესახა თანამშრომლობის ახალი მიმართულებები. იმისათვის, რომ აღენიშნათ განახლებული იმპულსი, რომელიც მიეცა ევროპული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას და ხაზი გაესვათ მის პოლიტიკურ წონაზე, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილიყო გრენადის მინისტრთა კონფერენციასთან დაკავშირებით.

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია გაიხსნა ხელმოსაწერად 1985 წლის 3 ოქტომბერს, არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპულ კონფერენციაზე გრენადაში.

### კონვენციის მიზნები და სტრუქტურა

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა უსაზღვროდ მდიდარია და მრავალფეროვანი. ამ მემკვიდრეობის ხასიათი, მის კონსერვაციასთან და მისდამი ოფიციალურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემები საგრძნობლად განსხვავდება ევროპის სხვადასხვა რეგიონში. კონვენციას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ეს სირთულე; ასევე, მას უნდა გამოეხატა ევროპის ძირეული ერთიანობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ მის კულტურულ ტრადიციებში, არამედ აგრეთვე იმ პრობლემათა და ამოცანათა მსგავსებაში, რომელთა წინ იგი დგას დღეს.

მემკვიდრეობის დაცვა მიზანშეწონილია ორი ძირითადი მიზეზით:

- მემკვიდრეობის დაცვას გააჩნია ამაღლებულად კულტურული მიზანი

1982 წლის მექსიკო სიტის მსოფლიო კონფერენციამ კულტურის პოლიტიკებზე აღნიშნა, რომ "ერის კულტურული მემკვიდრეობა შეიცავს მისი მხატვრების, არქიტექტორების, მუსიკოსების, მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებს და აგრეთვე უცნობ ხელოვანთა ნაშრომს, გამოხატულებას ერის სულიერებისა და ღირებულებათა სისტემისა, რომელიც აზრს ანიჭებს ცხოვრებას. იგი შეიცავს ხელშესახებ და დაუნახველ ნაშრომს, რომელთა საშუალებით ხდება ამ ერის შემოქმედების გამოხატვა: ენები, რიტუალები, რწმენები, ისტორიული ადგილები და ძეგლები, ლიტერატურა ხელოვნება, არქივები და ბიბლიოთეკები".

არქიტექტურული მემკვიდრეობა ყველაზე ადვილად შესაცნობი ნაწილია კულტურული მემკვიდრეობისა. ევროპის მრავალსახა და ხშირად უსაზღვრო კულტურების აღიარება, დაცვა და განვითარება - აი საკმარისი მიზეზები იმისათვის, რომ ევროპელებმა შემოქმედებითად იცხოვრონ და იმუშაონ ერთად. მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონვენციას ხაზი გაესვა, სადაც კი ეს საჭირო იყო, იმ როლზე, რომელიც უნდა ითამაშოს არქიტექტურულმა მემკვიდრეობამ კულტურულ განვითარებაში რეგიონალურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე.

მემკვიდრეობის ინტეგრირებული დაცვა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონვენცია არსებითად ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ეხება მემკვიდრეობის ჩართვას ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პოლიტიკაში. იგი სამართლიანად უსვამს ხაზს ურბანისტებს, მგეგმავებსა და კონსერვატორებს შორის ყველა დონეზე თანამშრომლობის და საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობას.

გარდა ამისა, მემკვიდრეობის დაცვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას.

მემკვიდრეობის მომავლისათვის საუკეთესო იქნება, რომ იგი სარგებლობაში იყოს. მართალია, უძრაობის კონსერვაცია ფული ღირს, მაგრამ იგი, ამავე დროს შემოსავლის წყაროა და ქმნის სამუშაო ადგილებს. კონვენციას უნდა ნათლად აესახა ინვესტიციების საზოგადო და კერძო ფინანსური ხელშეკრულებებისა და პროფესიული მომზადების მნიშვნელობა.

ამ კონტექსტში კონვენცია უნდა ემსახურებოდეს ორმაგ მიზანს:

- მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე დაცვისა და წარმოჩენის პოლიტიკის გაძლიერება და პროპაგანდა;

- ევროპული სოლიდარობის განვითარება მემკვიდრეობის დაცვისა და სახელმწიფოების და რეგიონების პრაქტიკული თანამშრომლობის დარგში.

კონვენციის ტექსტი ორ ნაწილად არის დაყოფილი, რომ ეს ორივე მიზანი კარგად აისახოს.

პირველი ნაწილი ეხება დაცვის მინიმალურ ზომებს და კონსერვაციის პოლიტიკას, რომელიც უნდა გატარდეს ევროპის საბჭოსა და სხვა სპეციალიზირებული საერთაშორისო ინსტიტუტების წინა დოკუმენტების გათვალისწინებით. იგი დაყოფილია შემდეგ თავებად: "არქიტექტურული მემკვიდრეობის განსაზღვრა"; "დასაცავი ქონების იდენტიფიკაცია"; "დაცვის ლეგალური პროცედურები"; "დამატებითი ზომები"; "სანქციები"; "კონსერვაციის პოლიტიკა"; "მონაწილეობა და ასოციაციები"; "ინფორმაცია და განათლება".

მეორე ნაწილის მიზანია ხელი შეუწყოს უფრო მჭიდრო ევროპულ თანამშრომლობას მემკვიდრეობის დაცვაში. იგი აყალიბებს "კონსერვაციის პოლიტიკის ევროპული პოლიტიკის" პრინციპებს, რომელიც მოიცავს მხარეთა კონსულტაციებს პოლიტიკების თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, აგრეთვე გამოცდილების და სპეციალისტების გაცვლას. კონვენციის ევოლუციური ხასიათი ვლინდება დებულებაში, რომელიც ეხება კომიტეტის შექმნას მისი ცხოვრებაში გატარების სამეთვალყურეოდ და იმ ფაქტში, რომ ამ კომიტეტს შეუძლია არა მხოლოდ კონვენციის შესწორებების შეთავაზება, არამედ რეკომენდაციების გაკეთებაც მდგომარეობის ან მოთხოვნილებების შეცვლასთან დაკავშირებით.

ტექსტი მთავრდება დასკვნითი დებულებებით, რომლებიც ეყრდნობა ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებში ჩვეულებრივ გამოყენებულ დებულებებს.

გარდა ამისა, კონვენციის სათაური შეიცავს გამოთქმას "ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა" იმისათვის, რათა დადასტურდეს, რომ კონვენციის მონაწილე მხარეების მიზანია ყველასათვის საერთო ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ მხრივ, ტექსტი არ ეხება ევროპული კულტურის გამოხატულებას, რომელიც სხვა კონტინენტებზეა შექმნილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენთან თბილისში

# სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობა თბილისში - ნაცნობი შტრიხები ქაოსის სურათისათვის

ლადო ვარდოსანიძე

სტატია წარმოადგენს იმ მოხსენების საგაზეთო, კონკრეტული მაგალითებით დასურათებულ ვარიანტს, რომელიც ავტორმა წარადგინა 2003 წლის ნოემბერში ქ. ნიქოზიაში (კვიპროსი) საქალაქო ტრანსპორტისადმი მიძღვნილი ***გაეროს ეკონომიკური კომისიისა*** და ***გაეროს პროგრამა "ჰაბიტატის"*** მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე. თბილისელებისათვის მასში ახალი არაფერია, მაგრამ, საქალაქო ცხოვრების რეალური რეფორმების მოლოდინში, მაინც ღირს თვალის გადავლება იმ გარემოებებისთვის, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენი, თბილისელების, სატრანსპორტო მომსახურების დღევანდელ, მართლაც რომ ქაოტურ, სავალალო მდგომარეობას.

***

ადრე საქართველოს დედაქალაქის შიდა საქალაქო ტრანსპორტის განვითარების ძირითად პოზიციებს განსაზღვრავდა "ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა" და მისი შემადგენელი ნაწილი - "ქ. თბილისის კომპლექსური სატრანსპორტო სქემა." საბჭოური ქალაქგეგმარებითი დოქტრინა, საზოგადოდ, უპირატესობას ანიჭებდა მოსახლეობის სატრანსპორტო მობილობის შეზღუდვას.

ამას ემსახურებოდა თუნდაც ე.წ. "შეკრული შრომითი ბალანსის" პრინციპი, რომელიც საკმარისად მსხვილი ქალაქთმშენებლობითი ერთეულების ფარგლებში ცდილობდა მოსახლეობის რაოდენობისა და სოციალური ინფრასტრუქტურის, უწინარესად სამუშაო ადგილების, დაბალანსებას. თავის დროზე ამგვარი მცდელობები დასავლეთშიც ხორციელდებოდა - მაგალითად, შვედური მოდელის ABC (Arbeiter Bustad Centrum, ანუ "შრომისა და ბინადრობის ცენტრი") სახით.

რაც შეეხება საკუთრივ საქალაქო ტრანსპორტს, საბჭოთა პერიოდში უთუო უპირატესობა ენიჭებოდა მის საზოგადოებრივ სექტორს; ინდივიდუალური ავტომობილების რაოდენობა ნორმატივებით გაიანგარიშებოდა. სხვათა შორის, ბოლო წლებში, დასავლეთშიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების სტიმულირება.

როგორც ცნობილია, თბილისი ხაზოვან, წრფივ ქალაქთა რიგს განეკუთვნება. ქალაქების ამგვარი კონფიგურაცია ტრადიციულად წარმოადგენდა არქიტექტორ-ურბანისტების ოცნების საგანს - იქნებოდა ეს ესპანელი ***სორია-ი-მატა,*** მისეული ***წრფივი მადრიდის*** წინადადებით; რუსი ***ლადოვსკი*** პეტერბურგის მიმართულებით მოსკოვის გაჭრის იდეით თუ იაპონელი ***კენძო ტანგე,*** ტოკიოს ყურის აკვატორიაზე ამ უდიდესი მეგაპოლისის განვითარების მცდელობით.

მოტანილი მაგალითების მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული "გაბნევის" მიუხედავად, ამ ნოვატორ-ურბანისტებს, ძირითადად ერთი რამ ამოძრავებდა - თეორიულად, წრფივი ქალაქები, მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების თვალსაზრისით, უკეთეს პირობას ქმნის, ვიდრე მათი ტიპოლოგიური ანტიპოდები - რადიალურ-წრიული (მაგ., მოსკოვი, პარიზი) ან მართკუთხა ბადის სქემაზე აგებულები (ჩრდილო-ამერიკული ქალაქების დიდი ნაწილი).

დღევანდელი რეალობა მეტყველებს, რომ ***თბილისის*** ეს თანდაყოლილი უპირატესობა არა თუ არ გამოიყენება - იგი თვალსა და ხელს შუა გვეცლება - ქალაქის ხელისუფალთა უპატიებელ ცდომილებათა თუ არქიტექტორების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების წყალობით.

უკვე ითქვა, რომ თბილისის სივრცით სტრუქტურას ისტორიულად განსაზღვრავდა გრძივი ვექტორი, ქალაქის ტერიტორიის გამსერავ ორ - ბუნებრივ (მდ. მტკვარი) და ხელთქმნილ (რკინიგზის ლიანდაგი) ბარიერთან ერთად, ეს თავისებურება, მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს შორის დონეთა მნიშვნელოვან სხვაობასთან ერთად, ყოველთვის აბრკოლებდა განივ სატრანსპორტო კავშირებს და, შედეგად, ქალაქის ტერიტორიების ერთიან ორგანიზმად ესოდენ სასურველ გამთელებას.

მაგალითად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დაახლოებით 5 კმ-ის მანძილზე - ***მალაკნების ბაზრიდან*** ვიდრე ***დიდუბის ავტოსადგურამდე*** - არ არის უზრუნველყოფილი განივი მიწისზედა სატრანსპორტო კავშირი. საბჭოთა პერიოდში ქალაქს ჰქონდა მიწისქვეშა ურბანისტიკის ხერხების მეშვეობით ამ მდგომარეობის გაუმჯობესების უნიკალური შანსი - თბილისის ცენტრალური სამგზავრო სადგურისა და მისგან გამავალი ლიანდაგების გარკვეული მონაკვეთების მიწაში "ჩაძირვის" გზით - ისე, როგორც ეს მოხდა, თუნდაც, იმდროინდელი სოციალისტური პოლონეთის დედაქალაქში - ვარშავაში; რომ არაფერი ვთქვათ მიწისქვეშა ურბანისტიკის ცნობილ დასავლურ მაგალითებზე. მაგრამ, რკინიგზის ვაგზლის მონუმენტური შენობა აღიმართა მიწის დონის ზემოთ, რამაც საბოლოოდ დააფიქსირა ქალაქის ტერიტორიის გაყოფა ცენტრალურ ნაწილში.

თბილისის დრამატული რელიეფი და ჩამოყალიბებული განაშენიანება ქალაქის სხვა ზონებშიც ქმნის სატრანსპორტო კავშირების სირთულეებს. ამას ემატება თბილისის მოქმედი გენერალური გეგმით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების დანაშაულებრივი გასხვისება. ასე მაგალითად, დედაქალაქის ორი მსხვილი რაიონის - ***ვაკესა*** და ***საბურთალოს*** შორის გათვალისწინებული იყო დამატებითი სატრანსპორტო კავშირის დამყარება. დღეს ამ აქტუალური ქალაქგეგმარებითი იდეის რეალიზება უაღრესად გართულდა, რადგან ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, ე.წ. "კრუგზე," - თურქეთის საელჩოს გვერდით, იქ, სადაც უნდა ამოსულიყო საბურთალოდან სატრანსპორტო ნაკადი, აშენდა მრავალსართულიანი სახლი, რომელმაც "დახუფა" პერსპექტიული განივი კავშირი.

თემას ოდნავ გადავუხვევთ და შეგახსენებთ, რომ დრამატული რელიეფი ქალაქთმშენებლობის არა მარტო მოწინააღმდეგე, ზოგჯერ მოკავშირეც არის. ეს კარგად ესმოდათ წინა ეპოქების არქიტექტორებს, რომლებიც მშვენივრად იყენებდნენ ბუნების ამ უძვირფასეს რესურსს. ***თბილისის*** პირობებში ამას მეტყველებს ისეთი ხერხი, როგორიცაა ***მამადავითის*** მთიდან ზაფხულობით მომდინარე გრილი ჰაერის ნაკადებისთვის არხებად დაგეგმარებული ქუჩები. ამგვარად ხერხდებოდა ზაფხულობით დახუთული ქალაქის გაგრილება-განიავება. ამის საუკეთესო მაგალითია ***კოჯრის ქუჩა,*** რომელიც ბუნებრივი "კონდიციონერის" როლს ახლაც ასრულებს; ამიტომ იყო, რომ ე.წ. "ბირჟები" სწორედ იქ იკრიბებოდა, სადაც მთაწმინდიდან "ჩამორბენილი" ქუჩები რუსთაველის პროსპექტს ერთვოდა - **ზემელზე, "ლაღიძის წყლებთან"** და ა.შ. დღეს ეს პრინციპი უარყოფილია - გადაწყვეტილების მიმღებთა სიხარბისა და არქიტექტორთა თავდახრილობისა თუ ნაკლები კომპეტენტურობის გამო.

თემას დავუბრუნდეთ. მანქანების პარკირების პრობლება სულ უფრო მძაფრად იჩენს თავს თბილისის სინამდვილეში. აქ უნდა განვასხვაოთ რამდენიმე შემთხვევა: (1) ავტოსადგომები საცხოვრებელ უბნებში, (2) გასაჩერებელი ადგილები დაწესებულებებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და (3) პარკინგები ქალაქის ცენტრალურ ზონაში, სხვადასხვა მიზნით, მოსულ ავტომობილისტთათვის. სამივე შემთხვევაში შესაძლო გადაწყვეტებიც განსხვავებულია.

(1) თბილისის ავტომობილიზაციის დონემ მკვეთრად გაუსწრო საბჭოთადროინდელ ნორმატიულ პარამეტრებს, რომლებზედაც აგებული იყო იმდროინდელი ქალაქგეგმარების პრაქტიკა. ინდივიდუალური მანქანების მომრავლება, მსხვილი კოლექტიური ავტოსადგომების ნაკლებობა, მანქანების გატაცების გავრცელებული პრაქტიკა და ჩვენი მოსახლეობის ფსიქოლოგიური თავისებურებები განაპირობებს გარაჟების, გარაჟ-გალიების და მისთანათა მასობრივ შემოტევას უშუალოდ საცხოვრებელ გარემოზე. არსებითია, რომ საბჭოთადროინდელი ნორმები ფაქტობრივად იგნორირებულია. სამაგიეროდ, შესაბამისი მოწვევის პარლამენტში იმძლავრა იმ სამართლებრივი ნორმის ლობიმ, რომელსაც ქვემოთ მოვიტან: "მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 208, პ. 4). დაკანონებული განუკითხაობის ბრწყინვალე ნიმუში!

დღემდე, მანქანების ეზოებზე შემოტევას წინ ვერაფერი დაუდგებოდა; ახლა, არქიტექტორებს აქვთ შემუშავებული მრავალსართულიანი გარაჟების რამდენიმე წინადადება, რომლის განხორციელება - იქ, სადაც ამის ტერიტორიული რესურსი ჯერ კიდევ დახურდავებული არ არის - შეარბილებს ვითარებას; ბავშვებს, ხანდაზმულებს დაუბრუნებს ავტომობილის მიერ წართმეულ ეზოსა და სათამაშო მოედნებს. რაც მთავარია, ქალაქის ხელისუფლება შეიარაღდება არა მხოლოდ ამკრძალავი ღონისძიებებით, არამედ პასუხითაც სრულიად ბუნებრივ კითხვაზე: "აბა რა ვქნა, სად დავაყენო?!"

(2) მანქანების პარკირება ადმინისტრაციულ შენობებთან, რესტორნებთან, კინოთეატრებთან აბსოლუტურად უმართავია. განსაკუთრებით მრავლად გვაქვს ამის მაგალითები თბილისის ცენტრში, ძველი თბილისის ჩათვლით. ავტოსადგომები, როგორც წესი, ტროტუარის და ქუჩის სავალი ნაწილის ხარჯზე ეწყობა. გამოსავალის მოსაძებნად დასავლეთით გავიხედოთ, სადაც ახლად აშენებული თუ ადაპტირებული ოფისების, რესტორნების, სასტუმროების, სტა-

გაგრძელება C3 გვერდზე

C2 გვერდიდან

დიონების პროექტები პასუხობს ნორმატიულ მოთხოვნებს ავტოსადგომების მიმართ. ამგვარი მოთხოვნის რეალიზაცია განსაკუთრებით თვალნათლივია, თუნდაც, აშშ-ს მაგალითზე, სადაც სტადიონებს უკიდეგანო ავტოსადგომები აკრავს გარს.

(3) მაგრამ, რა ვქნათ იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, როგორ მოვემსახუროთ ქალაქის სხვა უბნებიდან ან, სულაც, თბილისის აგლომერაციიდან დედაქალაქის ცენტრისკენ ყოველდღიურად დაძრულ ავტომობილთა ნაკადს? ამისთვის, ევროპის მსხვილ ქალაქებში შემუშავდა და მრავალწლიანი აპრობაცია განვლო ე.წ. **Park and Ride** სქემამ. ეს სქემა ეუბნება ავტომობილისტს: "კეთილი ინებეთ, გააჩერეთ თქვენი ავტომობილი ცენტრის პერიმეტრზე განლაგებულ ერთ-ერთ ფასიან ავტოსადგომზე, გადმოდით მანქანიდან და ფეხით მიბრძანდით თქვენთვის სასურველ ადგილზე."

ლოგიკა ყველასთვის გასაგები და მისაღებიც უნდა იყოს, თანაც მას ქალაქის ხაზინაში დიდი შემოსავალი შემოაქვს, მაგრამ მას ურბან-მენეჯმენტის მთელი კომპლექსი წინ უნდა უსწრებდეს. უწინარესად, ამგვარი ავტოსადგომების განთავსების ადგილები გონივრულად, მოხერხებულად უნდა იყოს შერჩეული. (ფრჩხილებში გამოვთქვამ დიდ სინანულს, რომ ერთ-ერთი ამგვარი საუკეთესო ადგილი თბილისში ჩვენ დავკარგეთ იმის შემდეგ, რაც მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ***"ლურჯი მონასტრის"*** ძირში, სრულიად გაუმართლებლად წამოიჭიმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი). შემდეგ, იმისთვის, რომ ინვესტორისთვის ამგვარი ობიექტი რენტაბელური გახდეს, ამ ობიექტის ფუნქციური გავლენის ზონიდან უნდა მოცილდეს არაოფიციალური ავტოსადგომები. და, რაც მთავარია, საჭიროა მკაცრი ადმინისტრირება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ამოცანა კომპლექსურად, საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების შეთანაწყობით უნდა წყდებოდეს.

მაგრამ, ჩვენთვის ეს საკმაოდ შორი მომავლის საქმეა; ურბან-მენეჯმენტის სხვა ცნობილი ხერხები დღესვეა ასამოქმედებელი. ერთ-ერთი მათგანია ავტომანქანების პარკირების მოწესრიგება და შემოსული თანხების ზრდა. მაგალითად, პარკირების უფლებების ტალონების წინასწარ შეძენა - ავტომობილისტი თავად ავსებს ავტოსადგომის გამოყენების თარიღს, დროს და შიგნიდან აკრავს მანქანის საქარე მინაზე. ანაზღაურება საათობრივია - ჩვენს პირობებში ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, 20-25 თეთრი საათში. დანარჩენი გათვლები თქვენ თავად ჩაატარეთ.

ცალკე თემაა თბილისში საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ავტობუსების ტერმინალების პრობლემა. ბოლო წლებში მომრავლდა ისეთი "ვაიტერმინალები," რომლებიც არანაირად არ პასუხობს ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ, უსაფრთხოების თუ სხვაგვარ ნორმატიულ მოთხოვნებს, მაშინ, როდესაც ***ორთაჭალის*** მძლავრი ავტოსადგური თითქმის დაუტვირთავია. ამ ავტოსადგურის რეანიმაციის საჭიროების დასაბუთება და კვალიფიციური გათვლები უკვე წარდგენილია ქვეყნისა და თბილისის ხელისუფლებაში.

სატრანსპორტო კრიზისს კიდევ უფრო გაამძაფრებს თბილისის პრესტიჟულ უბნებში - ძირითადად, ***ვაკეში*** და ***ვერაზე*** - გაშლილი კომერციული ბინათმშენებლობა. სრული უფლება გვაქვს ამგვარ სახლებს ვუწოდოთ "გარემოსმკვლელი" სახლები, რადგან ისინი ანადგურებენ სწორედ იმ გარემოს, რომლის ეშხითაც ისინი იქ "ჩაეტენენ." ამ შემთხვევაში არ ვმსჯელობ ძეგლთადაცვითი პოზიციებიდან ან სოციალური თუ საინჟინრო ინფრასტრუქტურის რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე - ეს, როგორც ჩანს, გადაწყვეტილებების მიღებისას ქალაქის მესვეურთათვის მიუწვდომლად მაღალი მატერიები აღმოჩნდა. უბრალოდ, წარმოიდგინეთ დილით და საღამოს, პიკის საათებში, ამ სახლებში მობინადრე უამრავი ავტომობილისტის სახლების ქვეშ განთავსებულ გარაჟებში შესვლა-გამოსვლა, მანევრირება და შემდეგ აბსოლუტურად შეუსაბამო საპროექტო პარამეტრების ქუჩებში მოძრავი რკინის ნაკადის შევსება. უკვე დღეს ***ბარნოვის, ირ. აბაშიძის, ფალიაშვილის ქუჩები*** საავტომობილო მაგისტრალების რეჟიმში გადავიდა.

თბილისისათვის განსაკუთრებით საგანგაშო თემაა "ქვეითი ქალაქში." ჩვენ ყველას თითქოს დაგვავიწყდა კლასიკოსების ცნობილი სენტენცია "ქვეითი უნდა გიყვარდეს." დღეს ჩვენს ქუჩებში ავტომობილი ქვეითს ემტერება, ებრძვის და იმარჯვებს მასზე. აბა, სცადეთ პიკის საათებში გადაკვეთოთ ***მ. კოსტავას*** ქუჩა ***გმირთა მოედნიდან*** ფილარმონიამდე! ამ მონაკვეთში (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს დედაქალაქის ცენტრია) არც ერთი რეგულირებული გადასასვლელი არ არის - ძველად არსებულები შეგნებულად გაუქმებულია - ერთადერთი მიწისქვეშა კი კარგა ხანია გავსებულია წყლით. მძღოლების ოსტატობასა და ქვეითთა გავარჯიშებულობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ უბედური შემთხვევები აქ არც ისე ხშირია. მაგრამ უნდა ნახოთ, რა უსუსურად გამოიყურებიან ამ რკინის ნაკადის ნაპირზე ჩვენი ქალაქის გაოგნებული სტუმრები.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისელი ქვეითი - ტროტუარები მას ელემენტარულად მოპარეს და ხშირ შემთხვევაში ქუჩის სავალ ნაწილზე გააძევეს. განსაკუთრებით მრავლადაა ასეთი მაგალითები ***ფიქრის გორაზე, ვარდისუბანში, სოლოლაკში*** და სხვაგანაც.

შეგახსენებთ, რომ ქალაქის მატერიალური გარემო ქალაქელებს თავისებურ ენაზე "ელაპარაკება" და ამ ენას ქალაქგეგმარება ეწოდება. თბილისის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქმა ადრე მკაფიოდ არტიკულირებული ურბანული ენა ნელ-ნელ შეიცვალა და პროვინციულ, კუთხურ კილო-კავებზე გადავიდა. შესაძლოა, ამის გამოცაა, რომ ***საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის*** მიერ ჩატარებულმა ერთ-ერთმა ურბანსოციოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა მოულოდნელი სურათი - თბილისელების უმრავლესობას მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ***თბილისი*** უფრო პროვინციული გახდა. შეიძლება უფრო მძაფრი აღიარება იმისა, რომ ცუდად გვაქვს საქმე დედაქალაქში?!

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ჩვენი ინვალიდი თანაქალაქელები. ერთ-ერთი რამ, რაც გაგაკვირვებს უცხოეთში - ინვალიდების სიმრავლე ქალაქში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ისინი ნაკლებად არიან - უბრალოდ, სპეციალური ურიკების არმქონეთ, ქალაქის გარემოში გასვლას ელემენტარულად ვერ ახერხებენ. ეს გარემო კი მათ მიმართ სულ უფრო მტრული ხდება - ტროტუარების უკიდურესად დავიწროების, ბოლო ხანს შემოსული მოდის - საკუთარი მაღაზიის წინ პოდიუმ-ბაქნების მოწყობის თუ, საერთოდ, ტროტუარის კიბით შეცვლის გამო.

სხვათა შორის, გავიხსენებ, რომ ლიტვის პრეზიდენტის რეზიდენციის ადაპტაციისას, მშენებლებს მოუწია უკვე დამონტაჟებული, ძვირად ღირებული ლიფტის შეცვლა, რადგან მისი კარების სიგანე ინვალიდის სტანდარტული ურიკის სიგანეზე ნაკლები იყო.

აქამდე ქვეითებზე ვილაპარაკეთ, მაგრამ, არც თბილისელი მძღოლები არიან უკეთეს დღეში - უწინარესად გზების საფარის მდგომარეობისა და მარკირების არარსებობის, ქვეითთა უდისციპლინობის და მრავალი სხვა მიზეზის გამო. მართლაც გინახავთ ავტოინსპექტორის მიერ დაჯარიმებული ქვეითი? ***პრაღაში*** კი ამ დღეებში უადგილო ადგილას ქუჩაზე გადასვლის ჯარიმამ 120 დოლარამდე მოიმატა.

თბილისის ქუჩების ქსელი, მთაგორიანი რელიეფის გამო, ყოველთვის "ეწინააღმდეგებოდა" საქალაქო ქუჩა-გზების საბჭოთადროინდელ ხისტ კლასიფიკაციას; მაგრამ, ამ კლასიფიკაციასთან მიახლოების მცდელობა მაინც იყო. დღეს თბილისის ქუჩების სისტემაში აშკარაა რანჟირების სკალის ერთგვარი დეფორმაცია - ქალაქის გარსშემოსავლელი ტრანზიტული ავტომაგისტრალის უმოქმედობის გამო ტრანზიტი მტკვრის სანაპიროებზე "ჩამოცურდა", შიდაკვარტალურმა ქუჩებმა საქალაქო მაგისტრალების დანიშნულება შეიძინა და ა.შ.

საბოლოო ჯამში, თბილისში ჩამოყალიბდა საგზაო მოძრაობის თვითრეგულებული სისტემა, რომლის რამდენიმე მაგალითს ქვემოთ მოვიყვან.

ადრე, ***წყნეთის*** მიმართულებით დანიშნული იყო ავტობუსი N34, რომელიც ავად თუ კარგად ემსახურებოდა მგზავრებს და, ელემენტარული ლოგიკის შესაბამისად, შიდასაქალაქო ტრანსპორტის ბოლო გაჩერებიდან - ***ვაკის სასაფლაოდან*** გადიოდა. დღეს, წყნეთის ხაზის მიკროავტობუსების მესაკუთრეთა გადაწყვეტილებით, ეს მარშრუტი მოხსნილია და, მაგალითად, ვაკელმა რომ მოისურვოს წყნეთში ასვლა, თბილისის რკინიგზის ცენტრალურ სადგურთან უნდა წავიდეს და იქიდან დაემგზავროს სამარშრუტო ტაქსს.

ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სავალ გზებს ავტოსადგომები იკავებს. მაგალითი? ***კოსტავას ქუჩა, კაზინო "ევროპის"*** წინ. რომელი ტროლეიბუსის მძღოლი გაბედავს საღამოჟამს ძვირფასი ავტომობილების შორის გაძვრომას? ამიტომ ხომ არ არის, რომ ტროლეიბუსი თბილისში თავის ჩანჩალს ადრიანად ამთავრებს .

ყველასთვის ნათელია, რომ აქვე, ***კოსტავას ქუჩაზე,***



*"ზემელი"*










**ქ. თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მახასიათებლების დინამიკა (1990-2002 წ.წ. )**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| [illegible] | 1990 | 18 | . . . | 284 | 53.8 | 0.06 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | 14 | 205 | 135/81² | 11.0 | 0.1 ლარი | [illegible] |
| [illegible] | 1990 | 8 | . . . | 112 | 29.5 | 0.06 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | 7 | 71.3 | 32/22² | 5.6 | 0.1 ლარი | [illegible] |
| [illegible] | 1990 | 137 | . . . | 1.037 | 113.2 | 0.05-0.1 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | 75/43² | 1.477 | 423/168² | 25.8 | 0.2-0.3 ლარი | [illegible] |
| [illegible] | 1990 | 72 | . . . | 364 | 33.7 | 0.15-0.2 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | 223 | 2.402 | 4.480/3.097² | 184.6 | 0.2-0.5 ლარი | [illegible] |
| [illegible] | 1990 | 2 ხაზი | 25.2 | 105 | 183.4 | 0.06 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | 2 ხაზი | 25.2 | 105 | 105.4 | 0.2 ლარი | [illegible] |
| [illegible] | 1990 | . . . | . . . | 3.031 | 70.0 | 0.2 [illegible] | [illegible] |
| | 2002 | . . . | . . . | 4.030 | 43.8 | [illegible] | [illegible] |

***წყარო:*** *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქის სატრანსპორტო ადმინისტრაცია, 2003 წ.*

*1,2 2000 წლის მონაცემები.*

*2 მრიცხველი გვიჩვენებს მოძრავი შემადგენლობის ერთეულების საერთო რაოდენობას, ხოლო მნიშვნელი - გამართული ერთეულების რაოდენობას.*

***"საჭაშნიკოსთან", იაკობ ნიკოლაძის*** ქუჩიდან მარცხნივ, ***გმირთა მოედნისკენ*** ჩახვევა აბსოლუტურად დაუშვებელია. ამის თაობაზე, თავის დროზე, მივწერეთ თბილისის ავტოინსპექციის ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირს. შეხვედრისას მას გაეცინა: "იქ ისეთი ბობოლა ხალხი ცხოვრობს, ამკრძალავ ნიშანს ვინ დამაკიდებინებსო."

რაც შეეხება თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სახეობებს, სურათი აქ სხვადასხვაგვარია. თბილისელები, ალბათ, დამეთანხმებიან, რომ მთელი ამ ურთულესი წლების განმავლობაში გმირულად, ტიტანურად მუშაობდა

***მეტროპოლიტენი.*** არ ვიცი, გულისხმობს თუ არა "ღირსების ორდენის" სტატუტი ორგანიზაცია-საწარმოების დაჯილდოებას, მაგრამ "დირექტორი რომ ვიყო," თბილისის მეტროპოლიტენს, და არა მხოლოდ მის ცალკეულ მუშაკებს, ნამდვილად ამ ორდენით დავაჯილდოებდი. გასაგები მიზეზების გამო, თბილისის მეტროპოლიტენს, თვალმისაწვდომ მომავალში, მასშტაბური განვითარება არ უწერია. მით უფრო საჭიროა დაწყებულის ბოლომდე მიყვანა - უწინარესად საბურთალოს ხაზის დასრულება, რაც უშუალო სიკეთის გარდა, ფასს აუწევდა მეტროზე მიბმულ უძრავ ქონებას - იქნება ეს ბინები, საოფისე ფართი თუ მიწის ნაკვეთები; ეს არა მხოლოდ ქალაქის, ქვეყნის მასშტაბის ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა, გაშუალებული სახით, მოგებას მოუტანს ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს.

***რკინიგზა,*** ჯერჯერობით, ვერ თამაშობს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც მას ეკუთვნის მგზავრთა არა მარტო შიდასაქალაქო, არამედ აგლომერაციულ გადაზიდვებში. მაგალითისთვის, ***ქ. რუსთავის*** მოსახლეობა დედაქალაქში ჩამოსასვლელად ძირითადად, ავტოტრანსპორტს იყენებს. ამას მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს - ქალაქგეგმარების ჩათვლით.

***ტრამვაი*** თბილისში პატივისცემით არ სარგებლობს, მაშინ, როდესაც ევროპის ქალაქებში საქმე გვაქვს ტრამვაის ჭეშმარიტ აღორძინებასთან - ცხადია, ახალ ტექნიკურ და ესთეტიკურ დონეზე.

***ტროლეიბუსი,*** მისი 10 თეთრიანი და მრავალშეღავათიანი მგზავრობით დედაქალაქში სამადლო ტრანსპორტი გახდა. ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება - ჩვენი ქრონომეტრაჟით, მაგალითად, N6 მარშრუტის ტროლეიბუსის მოძრაობის ინტერვალი 2003 წლის 12 ნოემბერს - იმ დღეს დენის წყვეტა არ აღინიშნა - 57 წუთი, ხოლო N4-სა კი 69 წუთიც(!) კი იყო. საუკეთესო, უტყუარი ინდიკატორი - ჯიბის ქურდებმა ტროლეიბუსებიდან სამარშრუტო ტაქსებში გადაინაცვლეს.

***ავტობუსი*** თბილისში არასაიმედო ტრანსპორტია - უწინარესად, მოძრაობის, აგრეთვე დიდი ინტერვალის გამო. მაგრამ, არანაკლებად არსებითია, რომ თავის დროზე ქალაქის მესვეურების მიერ თურქეთში შეძენილი ავტობუსები საექსკურსიო ან სასკოლო დანიშნულების უფროა, ვიდრე დინამიკური ურბანული რითმისთვის, მრავალრიცხოვან მგზავრთა სწრაფი ასვლა-ჩამოსვლისთვის განკუთვნილნი.

***მიკროავტობუსები***, ანუ სამარშრუტო ტაქსები - ეს დეტალური მსჯელობის თემაა. მე ამ ტრანსპორტის მუშტარი ვარ და დამეჯერება, რომ აქ სრული უპასუხისმგებლობა, უპატრონობა და ჩვენი, თბილისელების უპატივცემულობა სუფევს. დავიწყოთ იმით, რომ საინფორმაციო კომპონენტი აქ არ არსებობს. განა ძნელია, თუნდაც გაჩერებებზე გაკრული იყოს იმ ადგილის გამავალი მარშრუტების სქემა ქართულ და, ვთქვათ, ინგლისურ ენებზე? ყველანი ხომ მკვიდრი თბილისელები არ ვართ ან ყველამ ზეპირად არ ვიცით ყველა მარშრუტის სქემა.

საერთოდ, მარშრუტების დადგენისას ნაკლებად იზრუნეს მათ ოპტიმიზაციაზე, ტრანსპორტის სხვა სახეობების, თუნდაც მეტროს ხაზთან კოოპერირებაზე, გადატვირთული ცენტრიდან მათი ნაწილის არიდებაზე. მაგალითად, მეტად საჭირო წრიული მარშრუტები N14 და 15, რომლებიც ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ***ვაკესა*** და ***საბურთალოს*** აკავშირებს, გადის ***მ.კოსტავას*** ქუჩის ყველაზე გადატვირთულ მონაკვეთზე; მაშინ, როდესაც მათი გაშვება ***ვარაზისხევით*** ხელს შეუწყობდა ცენტრში სატრანსპორტო ვითარების შედარებით განმუხტვას.

ყველას გვაწუხებს, რომ თბილისის ცენტრალური ქუჩები სამარშრუტო ტაქსების უწყვეტ ტრანსპორტიორად იქცა, რომ მდგომარეობის გამოსწორებას "დიდი ფილოსოფია" არ სჭირდება, ამას ისევ ჩვენი გამოკითხვის შედეგები მეტყველებს. იგულისხმება სამარშრუტო ტაქსებისა და მარშრუტების რაოდენობა, მარშრუტების ტრასირება, მგზავრობის კომფორტულობა, ღირებულება და ა.შ. მოსახლეობის ხედვას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი თუ არა, წონადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

უნდა ითქვას, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ტარიფები თბილისელთათვის მიუღებელია - იგი გამოკითხულთა მხოლოდ 7.0% აწყობს. რესპონდენტთა აგრეთვე საკმაოდ მცირე წილი - 9.3% თვლის, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის მიზეზი მათი კომფორტულობაა.

შემდეგი კითხვა და მასზე გაცემული პასუხები პრაქტიკულად ნიშნავს თბილისელების გარკვეულ მონაწილეობას სამარშრუტო ტაქსების მოწესრიგებაში.

გამოკითხვის "სატრანსპორტო" ბლოკს ასრულებს კითხვა, სამარშრუტო ტაქსების შემცირებასთან ერთად, თუ რომელი სატრანსპორტო საშუალების სრულფასოვანი მუშაობის აღდგენაა საჭირო.

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობისას ნორმალური ადამიანის შეურაცხმყოფელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება; ე.წ. "მარშრუტკების" გადაკეთებული სალონები, რომლებიც ვერ პასუხობს ელემენტარულ ერგონომიულ, სანიტარულ-ჰიგიენურ, უსაფრთხოების, ესთეტიკურ და, სულაც, ეთიკურ სტანდარტებს. არ იცის ამის შესახებ შესაბამისი ლიცენზიის გამცემმა?

კრიმინალურია თბილისში ***საბაგირო გზების*** თემა. ვინ ჩათვალა, რომ მთაგორიან ქალაქში ეს ტრანსპორტი აღარ არის საჭირო? ვინ "გაუშვა" პრივატიზებაში საბაგირო სადგურები ***ნუცუბიძის ქუჩაზე, სააკაძის მოედანზე?***

კიდევ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც, ქალაქის სატრანსპორტო სისტემის განხილვისას, უსამართლოდ, ყურადღების მიღმა რჩება. სტუდენტებს ხშირად ვეკითხები - ტრანსპორტის რომელ საშუალებას გადაჰყავს მსხვილ ქალაქებში მგზავრთა ყველაზე დიდი რაოდენობა? იშვიათად მესმის სწორი პასუხი - ***ლიფტი.*** სალიფტე მეურნეობის მდგომარეობა თბილისში კატასტროფულია. ***საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის*** ცნობით (2003 წ.), დედაქალაქის საცხოვრებელ სექტორში არსებული 7.000-მდე ლიფტიდან მხოლოდ 500 ერთეულს ემსახურება სამი სპეციალიზებული საწარმო, დანარჩენი 6.500 ლიფტის ექსპლუატაცია თვითდინებაზეა მიშვებული. მაგრამ ეს ცალკე თემაა, რომელიც, სხვა ასპექტებთან ერთად, უკავშირდება კიდევ ერთ ჩვენს ჯერაც მოუგვარებელ პრობლემას - მრავალბინიანი სახლების მართვას ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ.

დავასრულებ იმედით, რომ დადგა დედაქალაქში პოლიტიკური ნების გამოვლენის დრო. ბოლო დროის ჩემი ურთიერთობა თბილისის საკრებულოსთან მარწმუნებს, რომ იკვეთება ურბანული პოლიტიკით სისხლხორცეულად დაინტერესებულ ახალგაზრდა დეპუტატთა წრე. ამას ისიც ემატება, რომ იწყება ***თბილისის ახალი გენერალური გეგმის*** შემუშავების პროცესი; ამ გეგმაში საქალაქო ტრანსპორტის პრობლემატიკამ შესაფერისი ადგილი უნდა დაიკავოს. მოკლედ, მუშაობაა საჭირო.

მანამდე კი მშვიდობიან და სასიამოვნო მგზავრობას გისურვებთ!

P.S. სტატიას ვურთავ თბილისის შიდასაქალაქო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლების ტაბულას და ამ მონაცემების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ბ-ნ ***ოთარ ჭიპაშვილს*** (თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სამსახური) და ბ-ნ ***ჯემალ გოგიჩაძეს*** (თბილისის მეტროპოლიტენის დირექცია).

ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

# ფიზკულტურის "პარადზე"

ნოდარ ცერცვაძე

პორტრეტი იყო მოულოდნელი და ძალიან სასაცილო, გაყინული სულელური გამომეტყველებით და მაღალი "პრიჩოსკით". ამიტყდა გულიანი, შეუკავებელი სიცილი და სურათი გავუწოდე მამას: - "ამ გამომეტყველების მქონეს და ასეთი ლექსის დამწერს ჩამოვიყვან?" მამა მართლაც დამშვიდდა.

რამდენიმე წლის მერე, გურამის მოსკოვში სწავლის პერიოდში, გურამისგან მივიღე წერილი. კონვერტზე ეწერა: "Очо Очоевичу Церцвадзе". ისე მოხდა, რომ ეს წერილიც მამამ მიიღო. მამამ გამომიწოდა წერილი და ღიმილით მითხრა: - "შენ ხომ მოგნათლა და დაგარქვა ოჩო. გამაგებინე, მე რალატომ ვარ ოჩო". გავხსენი კონვერტი, ამოვიღე ერთფურცლიანი წერილი, რომელსაც გარშემო სქელი შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. წერილი იწყებოდა დიდი ასოებით: - "გარდაიცვალა ანია, გულწრფელად ვუერთდები შენს გულის ტკივილს". უცნაურია, მაგრამ გული მართლა მეტკინა.

ჩვენი მოსკოვში ყოფნის დროს თამაზ მელიავაც იქ იყო, ზაფხულში მამასთან ჩასული. თამაზი ყოველ საღამოს ჩვენთან ატარებდა. იშვიათად დღისითაც გვიშვებდნენ ქალაქში. ხან რეპეტიციის შემდეგ, ხან თავისუფალი დღე გამოერეოდა ხოლმე. თამაზი არაჩვეულებრივად საინტერესო და ენთუზიასტი მეგზური იყო. ამ თავგამოდებასა და მონდომებაში ცოტა ტრიპაჩობის ელემენტებიც ერია, თავს გვაწონებდა მოსკოველობით და ქალაქის ცოდნით. წაგვიყვანა და გულისყურით დაგვათვალიერებინა ტრეტიაკოვის გამოფენა, პუშკინის მუზეუმი. წაგვიყვანა გორკის პარკში, "ერმიტაჟში", დაგვპატიჟა ყველა გასართობზე, გაგვიმასპინძლდა ლუდით, კოკტეილებით. თამაზის მამა, ჟორჟიკა მელიავა, მოსკოველ ქართველებში გამორჩეული პიროვნება იყო და ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა. თამაზიც დაუზარებლად და დაუზოგავად გვახარჯებდა ფულს.

1946 წლის შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ ტრეტიაკოვშიც და პუშკინშიც, მაგრამ პირველი ბავშვური შთაბეჭდილება, პირველი გულწრფელი აღქმა და უშუალო რეაქცია შეუდარებელი, განუმეორებელი, მარადიული და საყვარელი დარჩა. შემდგომში განმეორებით ნახვისას პირველ რიგში ის გარემო მიცოცხლდებოდა, რომელშიც ეს ყველაფერი ვნახე. სურათებად მედგა თვალწინ თამაზის, გურამის, გოგის და ჩემი იქ ყოფნა, ჩვენი სახეები, გამომეტყველება და დამოკიდებულება თითოეულ სურათთან თუ ქანდაკებასთან. სხვებისგან განსხვავებული, განსაკუთრებული რეაქცია მქონდა ტრეტიაკოვკაში იმ სურათებზე, რომლებიც თითქმის მთელი ბავშვობის განმავლობაში ჩემთან ერთად იყვნენ.

1936 წელს მოსკოვის ერთ-ერთი მივლინებიდან მამამ ჩამოგვიტანა ტრეტიაკოვის გამოფენის ფოტოალბომი ღია ბარათებად დაბეჭდილი ფერადი სურათებით. 7 წლის ვიყავი, როცა დავიწყე ამ სურათების დათვალიერება. ტელევიზორი არ არსებობდა, კინო იშვიათი ფუფუნება იყო და ამ ალბომთან კონტაქტი იყო ჩემი უსაყვარლესი გართობა. თითოეული სურათი ჩემი ცხოვრების თანმხლები გახდა, ხოლო მრავალჯერ განცდილი სიუჟეტები კი ახლობელი და შინაური. როდესაც იგივე სურათების, ფაქტიურად, ჩემი სურათების, ორიგინალები ასეთ უცნაურ და უცხო გარემოში გამოფენილი ვნახე, ობიექტური შეფასებისა და მოწონება-არმოწონების უნარი სრულიად გამიქრა და მათდამი მხოლოდ თბილი, შინაურული და ბავშვობის შთაბეჭდილებების გაცოცხლების გრძნობა მქონდა. ჩემს ალბომში არ იყო ვრუბელის "დემონის" რეპროდუქცია და კარგად მახსოვს ამ სურათის მომნუსხველი ზემოქმედება.

ერთ დღეს გვიანობამდე შევრჩით ქალაქში და გურამი, გოგი და მე "ატბოის" მერე დავბრუნდით. მთავარ შესასვლელთან თოფიანი მორიგე იდგა და იქიდან ვერ შევაღწევდით უხიფათოდ, აუცილებლად დაგვაპატიმრებდა და მიგვიყვანდა უფროსებთან. გადავძვერით საკმაოდ მაღალ კედელზე. სანამ ჩვენს კორპუსამდე მივაღწევდით, ვილაც ჩინიანი ოფიცერი წამოგვეწია. ამოიღო ჯიბიდან ბლოკნოტი და დაიწყო ჩვენი ვინაობის ჩაწერა. პირველი გურამი წარდგა დაკითხვაზე და მაგალითი მოგვცა, რა და როგორ უნდა გვეთქვა. - "გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელი ასეული და ოცეული" - იყო კითხვა. "ყუფარაძე გიორგი კონსტანტინოვიჩ" - იყო პასუხი. ასეული და ოცეულიც სულ სხვა უთხრა. დიდი ცხვირი და ულვაშები უშლიდა, თორემ ესტონელი ვარო, ეტყოდა. ამის შემდეგ გოგი წარდგა წინ. - "თოთიბაძე გურამ რაჟდენოვიჩ" - დაასახელა თავისი თავი და გურამის წაბაძვით მანაც სხვა ასეული და ოცეული უთხრა. ჩემი რიგიც მოვიდა. მუხლები მიკანკალებს, ყელი მიშრება ღელვისაგან. ამათ ყურის გდებაში სხვა გვარი და სახელი ველარ მოვიფიქრე. - "ცერცვაძე ნოდარ ვიქტოროვიჩ" - იყო ჩემი პასუხი. ასეულიც სწორად ვუთხარი, მაგრამ მთავარი კოზირი დავიტოვე და კვალის არევისათვის ოცეული მეორის ნაცვლად პირველი ვუთხარი. ოფიცერმა ყველაფერი ჩაიწერა და გაგვიშვა. ცოტა გავცილდით თუ არა დამკითხველს, გურამი და გოგი სიცილით ბალახზე დაგორდნენ: - "შე დალოცვილო! ბარემ ოცეულიც სწორად გეთქვა. შენ ასეულში შენი გვარის მეტი არავინაა და რომელ ოცეულში იქნები, რა მნიშვნელობა აქვს. კონსპირაციის და კვალის დაფარვის ასეთი გამოცდილება სად მიიღე, თუ ძმა ხარ?"

ოფიცერი ქრისტიანი გამოდგა და არ დაგვასმინა. გუშინდელი დაჟინებით დაკმაყოფილდა.

რეპეტიციებს მოსკოვის დინამოს სტადიონზე გავდიოდით. სანამ სავარჯიშოდ გასვლის დრო მოვიდოდა, ვეყარეთ სტადიონის ირგვლივ გაშენებულ მინდორ-ბუჩქნარში. ენერგია და ძალა გვერჩოდა და ვერ ვისვენებდით. ვმღეროდით, ვცეკვავდით, ვმაიმუნობდით, ვდგამდით მასიურ ცეკვებს: ხორუმს, ფერხულს, სიმდის და სხვა. გვყავდა შესანიშნავი მომღერლები: ზურაბ ლეჟავა, გოგი გელოვანი, ნოდარ ანდღულაძე და უამრავი ბანი, ცეცხლოვანი მოცეკვავეები. მარტო გიგლა ფირცხალავას იმპროვიზებული მთიულური, პირში ხანჯლით, ერთ რამედ ღირდა. ერთი სიტყვით, მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და სანახავად მიმზიდველი კონცერტები გამოგვდიოდა.

სხვა დელეგაციებიც იგივეს აკეთებდნენ. დღეების განმავლობაში გაირკვა, რომ დელეგაციებს შორის ყველაზე მეტ ყურადღებას ქართველები ვიქცევდით. ამან, რასაკვირველია, გააღვივა ჩვენი ეგოცენტრიზმი, არტისტიზმი, მონდომება და კონცერტებს ვატარებდით უმაღლეს დონეზე. პარადის მთელი მონაწილეები ჩვენ გარშემო იყვნენ შემოჯარულნი. იყო ოვაციები, გაზონებში მოკრეფილი ყვავილების მირთმევა და მოწონების ათასი სხვა გამოხატვა .

ერთხელაც, ჩვენ მიერ გაკეთებულ წრეში, რომელიც იმპროვიზებულ სცენას წარმოადგენდა, შემოაბოტა გრანდიოზულმა გოლიათმა, რომლის მსგავსი სიმაღლის, სიდიდის და წონის ადამიანი აქამდე არ მენახა. აღმოჩნდა შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკის დაუმარცხებელი ფალავანი. პარადზე ამ რესპუბლიკის გამოსვლა მთავრდებოდა მინდორზე მისი გამოჩენით, მხრებზე გადებული დიდი ძელით, რომლის ორივე ბოლოზე ეკიდა დიდი ბურთი. ბურთები იხსნებოდა და თითოეული ბურთიდან ხტებოდა ოც-ოცი ბავშვი ხელში ყვავილების თაიგულებით და გარბოდნენ ტრიბუნებისკენ.

თურმე მისი დელეგაციაც სადღაც ჩვენს გვერდით განლაგებულა, ვერც მღერიან, ვერც ცეკვავენ, არც არავინ ეკარება და დაბოღმილებს გამოუგზავნიათ ჩვენთან დასაჭიდებლად. ამ ბაყბაყდევის შემოსვლამ ჩვენს წრეში არნახული შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა გაჩერდა. მივიდა წრის ცენტრში, დადგა, მიიხედ-მოიხედა და დაიძახა: - "გამოდით ვინმე, დამეჭიდეთ. ქართველები ხომ ცნობილი ხართ სახელოვანი მოჭიდავეებით". ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. გვყავდა შავი ზღვის ფლოტის ჩემპიონი ფრანგულ ჭიდაობაში, კუპატაშვილი, რომელიც მერე ცირკში გამოდიოდა ძალოვანი ნომრებით. ვეცით კუპატას თხოვნით, გამოვეყვანეთ ამ სირცხვილიდან. - "მე ადამიანებს ვეჭიდავები, ცხოველებს და დევებს კი არა" - იყო პასუხი. ასეთი უხერხულობა და გაურკვეველი სიტუაცია გაგრძელდა რამდენიმე წუთს. ბოლოს გოლიათმა რაღაცა ჩაიბურტყუნა, ვერ გავიგე, და დაიძრა ადგილიდან. მოულოდნელად წრეში შემოვარდა ნოშრევან გალაშვილი, წარმოშობით მთიული ბიჭი, ჩემზე ოდნავ მაღალი, ჩემსავით თხელი, ოღონდ ძალზე დაკუნთული ტანით. მკერდზე მარცხენა ძუძუს ქვეშ ჰქონდა ტატუირებული წარწერა (ნაკოლკა) "სიკვდილი", რის გამოც ყველა სიკვდილას ვეძახდით. შემოვიდა წრეში და დაუძახა: - "Не уходи: давай бороться!". გოლიათი შემობრუნდა, დაინახა პატარა კაცი, გაეცინა და ჰკითხა: - "Как?" ამის თქმა იყო და გაექანა სიკვდილა, შეახტა გოლიათს, ორივე ხელი კისერზე შემოხვია და ფეხი ამოსდო ცალ ბარძაყში. გოლიათმა სცადა მისი მოცილება, მაგრამ ვერაფერს გახდა, ხელები და ფეხი სალტეებივით ჰქონდა მოჭერილი. დაიწყო წრეში სიარული გაღიმებული სახით და გამომეტყველებით, რაც გულისხმობდა, "რა ვუყო ამ ჭიანჭველასო". დიდხანს იარა ასე. ბოლოს გადაწყვიტა დავარდნა და "სიკვდილას" ქვეშ მოტანება. დაიძრა ჩვენი შერცხვენის მოსურნე გოლიათი მიწისკენ, ქვეშ მოქცეული "სიკვდილათი", იმ გადაწყვეტილებით, რომ დაასკდეს ზემოდან "სიკვდილას" და გაჭყლიტოს. მიწამდე 1 მეტრი იქნებოდა დარჩენილი, რომ ეს უზარმაზარი ხორცის მასა მოულოდნელად ამოტრიალდა და დიდი ხის წაქცევის ხმით დაასკდა მიწას, ზემოდან კი "სიკვდილა" აჯდა მუცელზე. ეს სცენა ცოტა ბაში-აჩუკიდან აბდუშაჰილისა და ბაში-აჩუკის ჭიდაობას წააგავდა, ცოტა ნაცარქექიადან დევისა და ნაცარქექიას ურთიერთობას, მაგრამ ეს იყო ჩემი თვალით ნანახი რეალობა, რომელიც მოგაგონებდა კარგი ფანტაზიის მქონე რეჟისორის გაკეთებულ კინოკადრს. ძლივს ააყენეს გოლიათი და ძუნძულით გავიდა წრიდან კუდამოძუებული.

თითქმის ოცდღიანი რეპეტიციების შემდეგ, 18 აგვისტოს, ფიზკულტურის დღეს გაგვიყვანეს პარადზე, დარიგებული და გაწვრთნილი ვიყავით, როგორც კი სტალინი და პოლიტბიურო გამოჩნდებოდა ტრიბუნაზე, ერთ ბოლოში იწყებოდა "ურას" ძახილი და ტალღად გადაეცემოდა მეორე ბოლომდე. იქიდან ბრუნდებოდა "ურას" ტალღა და ა.შ. პარადის დაწყების ზუსტი დრო არ იყო განსაზღვრული, ამიტომ სტადიონზე მიგვიყვანეს დილაადრიან და განვლაგდით დელეგაციები სათამაშო მინდორზე, რომელზეც გადაფარებული იყო ბალახისფერი მთლიანი ხალიჩა. დავეყარეთ ამ ხალიჩაზე აგვისტოს მცხუნვარე მზეზე და ველოდებოდით სტალინის გამოჩენას. რამდენიმე საათი გავიდა და იმედი გადაგვეწურა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, სტალინი აღარ მოვა და ტყუილად შეგვრჩა მთელი ზაფხულის ვარჯიში. უსაქმობისგან ვიგონებდით ათასგვარ გასართობს: ქალაქობანას, ხელის "აჩკოს" და რა ვიცი კიდევ რას. მოულოდნელად ვილაცამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იღრიალა "ურააა!" ინსტიქტურად წამოვიშალეთ და დავიწყეთ "ურას" ძახილი. უსწრაფესი ტემპით დავიწყეთ მწყობრის დალაგება, ყველამ ზეპირად ვიცოდით, ვინ სად და ვის გვერდით უნდა ვმდგარიყავით. თან თვალს არ ვაცილებდით ტრიბუნას. დავინახე, როგორ არბოდა კიბეებზე სტალინი და მცირე ინტერვალით მოყვებოდა უამრავი ხალხი. სრულიად მოულოდნელი და შეუთავსებელი იყო ჩემს გონში და ფიქრებში არსებული სტალინის სახე, გარეგნობა და ტიპი და ეს სტალინი, რომელიც კიბეებზე არბოდა, შემდეგ ტრიბუნიდან გადმოდგა ხელაწეული და თავი ძლივს უჩანდა ტრიბუნის მოაჯირის ზემოდან. ეს იყო პატარა, შეუხედავი, ასაკოვანი, ოდნავ მხრებში მოხრილი კაცი. ჩვენს წარმოდგენაში კი ოთახის კედლებზე და ქუჩებში გამოფენილი სხვადასხვა ზომისა და კომპოზიციების სურათებიდან, კინოებიდან, ცაში ატყორცნილი აეროსტატებიდან და საფრენი "შარებიდან" მოცქირალი პორტრეტებიდან შექმნილი გვქონდა ლამაზი, ახოვანი, წელგამართული, შუახნის სტალინის სახე ამასთან დაკავშირებით მაგონდება: ბაბუა იყო ჩამოსული სოფლიდან. ამ დროს რომელიღაც ჩვენი ბედნიერების დღეს ვზეიმობდით - ან 7 ნოემბერს, ან პირველ მაისს, ან გამარჯვების დღეს, ან კონსტიტუციის დღეს. თბილისი მორთულ-განათებული იყო. კომკავშირის ხეივანზე სტალინის გრანდიოზული პორტრეტი იყო დამაგრებული, ირგვლივ ნათურებშემოვლებული. სიბნელეში მთა, რომელზეც სურათი იდგა, არ ჩანდა და სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სურათი ცაში ეკიდა. ცაში აშვებული იყო რეზინის უზარმაზარი საფრენი ბურთი ზედ სტალინის გამოსახულებით, რომელიც ქვემოდან განათებული იყო უამრავი პროჟექტორით. შეღამებულს ბაბუა გავიყვანე საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ქალაქის დასათვალიერებლად (ვაჭევში ხშირად არ ჰქონდათ ხოლმე ასეთი სანახაობა).

ბაბუამ დიდხანს უყურა კომკავშირის ხეივანზე მდგარ და ციდან მოცქირალ სტალინს და თავისთვის ჩაილაპარაკა: - "მთელი ცხოვრება მიჩიჩინებდნენ, ღმერთი ცაშიაო და ვერ ვიჯერებდი და ვერ ვიწამე. ახლა ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა ჩემთვის". გაჩერდა, ხელი აიშვირა ცისკენ და განაგრძო - "ღმერთია ესეც, აბა რა არის, ციდან გვიყურებს".



თბილისი. 1943 წელი - გოგი თოთიბაძე, დათო მუსხელიშვილი, გოგი ყუფარაძე, ნოდარ ცერცვაძე, გურამ ასათიანი



თბილისი. 1946 წელი - სხედან: გურამ ასათიანი, გოგი ყუფარაძე. დგანან: გოგი თოთიბაძე, ნოდარ ცერცვაძე



არქივი

# საქართველოს გული

იოსებ გრიშაშვილი

თუ მამადავითის მთაზე ახვალთ და გადახედავთ თბილისს, ნარიყალის ციხის კალთების გასწვრივ თქვენი მხედველობის წინაშე გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისი ეწოდება. ნახევრად დანგრეული კედლები ნაამაგდარი ციხისა მთის მაღლობიდან ქვევით ეშვება, მაგრამ შუა გზაზე სწყდება. თუ ამ ნანგრევებს გონების თვალით გააგრძელებთ, ხაზი დაეშვება მტკვრისაკენ და გავა მეტეხის ციხის პირდაპირ. ეს იქითა მხარეა. აქეთა მხარის გალავანი კი, დაახლოებით ძველი სემინარიის გვერდით რომ არის დაქანებული, ეს ნარიყალის დულაბიც მტკვარში ჩადიოდა.

აი, ამ რკალშია მოთავსებული ძველი თბილისი, ხოლო ამ გალავნის აქეთა მხარეს დარჩენილი ადგილი, - "გარეთუბნად" იყო წოდებული. ძველად ამ გარეთუბანს გარეშემო ბაღები და საიალაღო ველი ერტყა; ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღი წინათ სასაფლაოს წარმოადგენდა, კუკიის ხიდსა და ხიდს შუა ჭალა იყო. ნაზირბაღთან კი - ლასტის ხიდი.

მაგრამ ჩვენი გულისყური თბილისის განსაზღვრული ნაწილისკენ არის მიპყრობილი. ტერიტორია: თათრის მოედანი, კლდის უბანი, ავანაანთ ხევი, ლეღვთა ხევი (ბოტანიკური ბაღი), ისნის ყელი, პატარა და დიდი სირაჩხანის არემარე, მეტეხის ორივე ხიდის ფარგლები, - მტკვრის მორევიდან ბაყალხანამდე, აბანოების მიდამო, სეიდაბადი, ორთაჭალა, ხარფუხი და მისი მიჯნა - განჯის კარი.

დავიწყოთ თათრის მოედნიდან.

თბილისი ცნობილია, როგორც სავაჭრო ცენტრი. ამ სავაჭრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა. აქ მოდიოდა ყოველგვარი საქონელი და სურსათ-სანოვაგე:

შორაგალიდან, მარნეულიდან და დურნუკიდან - ფქვილი, ხორბალი;

ყარაიაზიდან - ბრინჯი;

აღდაშიდან - საზამთრო;

ზაქათალიდან - "ლეკური მსხალი";

შხლოიდან - ყველი;

თუშეთიდან და ყარაბაღიდან - ცხვარი, მატყლი, ერბო;

ჰამამლიდან - კვერცხი;

ჯალალოღლიდან და მანგლისიდან - კართოფილი;

ლამბალუდან - კარაქი;

ყულფიდან და ქაღზმანიდან (აღზევანიდან) - მარილი;

ბორჩალოდან - ბოსტნეულობა: ხახვი, ბადრიჯანი და სხვ.;

თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი - დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა.

აი, ეს ეხლანდელი განაპირებული მოედანი იყო თბილისის გული, რომელსაც სოფელი აწვდიდა თავის ნაწარმს.

ერთი პატარა დეტალი:

სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს.

როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაჭრათ. სრულ 12 საათზე ბაირაღს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა აღებ-მიცემობა.



## ქალაქის ენა

ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად მოანარუქა სხვადასხვა ერის წახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ეშხი და მზეოსნობა. თანდათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გამოთქმისთვის ისე შნოიანად გაკეთებულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსელი და ვერც სხვა რომელიმე ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ველარ მიიჩნევს; ან კი "რით არიან უშნონი არაბული სიტყვები "ვეფხისტყაოსანში?" მაშ რუსთაველის თხზულება დამცირებული იქნება არაბულისა და თათრული სიტყვების ხმარებისთვის?"

სხვადასხვა მოდგმისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქალაქენი უმეტესწილად თბილისის განაპირა უბნებში ცხოვრობდნენ; აქ ესენი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავლობდნენ ერთმანეთის ენას და ამ მუდმივი ურთიერთობის ზეგავლენით თბილისის ქართული ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იღებდა.

ეს ურთიერთ ზეგავლენა უფრო მეტად ძლიერდებოდა იმით, რომ თბილისი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო არამც თუ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთათვის, არამედ გარეშეთათვისაც. გავიხსენოთ ლეონ მელიქსედბეგის მოხსენება:

"ქართულის ზეგავლენით თბილისის სომხურმა დიალექტმა ისეთი ფონეტიკური ნორმები შეჰქმნა, რომ სამაგალითო გახდა თვით სომეხთათვისაც, იმდენად სამაგალითო, რომ სომეხთა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა, აწ განსვენებულმა ლაზაროს აღაიანმა სომხური ბგერების შესახებ თავის 1874 წ. გამოცემულ წიგნში "დასავლურ" სომხებს, რომელთაც უყვართ ბგერების დამახინჯება, ურჩია მაგალითი აეღოთ თბილელი სომხებიდან, რომელნიც თავის მხრივ გაწვრთნილნი არიან ქართველების მიერ".

მოვიგონოთ აგრეთვე, თუ რას ამბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში თბილისის მოსახლეობის შესახებ: "...ტფილისის მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა".

ამავე საგნის, თბილისის განსაკუთრებული კილოს შესახებ, აი რას სწერს პეტრე მირიანაშვილი ილიას ივერიაში: "საზოგადოთ ქალაქელი სომხობა და მასთან ქართველობაც კიდე ლაპარაკობს ისეთ ქართულს, რომ გულდასმით დამკვირვებელი არაერთ ძვირფას სიტყვასა და სიტყვის საქცევს უპოვის. თქმა არ უნდა, ქალაქი, ფრთხილისა და ხელოვანის მუშაკის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალ ობოლ მარგალიტს შესძენს, მხოლოდ მეტის-მეტად საჭიროა ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლობაში მისმა მოხდენილმა და შნოიანმა საუბრის კილომ, რომელიც ღირსია ამ პატივისა, როგორც ჩვენი მოქალაქეობრივის ცხოვრების სათავეში მდზგომი და თუ ეს პატივი არ ვაღირსეთ, ქალაქი ვერ ითავადებს".

პირადად მე, როგორც აღმოსავლურ მგრძნობელობის თანამოინახეს, მიყვარს ეს თბილისური ჯიშიანი სიტყვები. თბილისური სიტყვა და გამოთქმა თავისი მოცულობით და სპეციფიური ვითარებით მეტად ხმოვანია და ლეგენდარული. ამიტომ არის, რომ ამ ენის კრიალოსანს არა ვფანტავ ონავარ ხელით, ყოველივე გამოთქმას სათუთად ველოლიავები, ვიჭერ ყოველივე ცალკეულ სიტყვას და ვსახავ იქ, სადაც მისი ბადალი სიტყვა არ მოგვეპოვება. როცა ზოგიერთ რუსული სიტყვისათვის სხვა სიტყვა ვერ შემიფარდებია, მივმართავ ხოლმე ჩემს ლექსიკონს ("თბილისის ქართული ლექსიკა") და გამოთქმაც მზად არის.

თბილისის ეგრეთწოდებული "ყარაჩოღული სიტყვები", - რომლითაც ჩვენი ძეგლები ლაპარაკობდნენ და ამჟამად არც ახალი მწერლების ნაწერებიდანაა განტვირთული, - არის ქართული ენის შემადგენელი ნაწილები, მისი ჯიგარია და არა გარმიანული სიტყვები. მეტსაც ვიტყვი: ზოგი სიტყვა თბილისში უფრო შენახულია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში. ამიტომ თბილისური ლექსიკური მასალაც რომ იყოს გამოყენებული სალიტერატურო ქართულისთვის, მაშინ ეს სალიტერატურო ქართული უფრო მოგებული დარჩებოდა.

არავინ უნდა შეშინდეს ქალაქური ენის სიჭრელით. უხსოვარ დროთაგან მიღებულ ლექსიკურ მასალას ვერ შეუძლიან დაამახინჯოს ენა, რომლის სილამაზეც ჩვენ უნდა ვეძებოთ მის საერთო აგებულებაში, მის საერთო ბუნებაში, მის საერთო სინტაქსში.

მაგონდება ალ. სარაჯიშვილის პატარა, მოხდენილი წერილი:

## წმინდა ქართული

(ფილოლოგიური ტრაქტატი)

ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის წახდენას!

წავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული, ტკბილი ქართული...

ვისი ბრალია? ემდურიან მეტადრე ჩვენს მწერლებს. ყველაზე მეტად მაგათ გარყვნეს ენაო.

დიახ, სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველ მწერლისათვის ქართულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის წახდენაში, მწერლების გარდა, დიდი ბრალი აქვს ჩვენს ვაჭრებსაც, რომელთაც რუსული სიტყვების ხმარება განათლება ჰგონიათ.

ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიამბო:

"ერთს მანუფაკტურის მაღაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.

- რა საროჩკები გნებავთო, ჰკითხა კუპეწმა, პალატნიანი თუ შოლკოვი?

- მე ნეჟნად გაზრდილი არა ვარ, სიტცეზედაც საღლასნი ვარო.

ჩამოიღო პრიკაშჩიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილავკაზედ.

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვა-და-სხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩნივი და სირენივი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩაიდო ვეშჩებით გატენილს საკვოიაჟში.

- სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა კუპეწმა: ნოვომოდნი საიუბკე შერსტანოი მატერიები მაქვს, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, ფაი, პადუშკის საპირე, ბურსო, ნაირ-ნაირი შოლკოვი მატერიები.

- არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდეო, - უპასუხა პრისტავმა, - საროჩკებში რა უნდა მოგცე?

კუპეწმა ჩოთკში ჩააგდო: თითოში - დვა რუბლი ტრიცეთ, სუმა დევით რუბლეი დვაცათ კაპეიკს იზამს.

იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გროში-კაპეიკი არ გამოაჩნდა, პორცტმანი, შინ დავიწყებოდა.

- უკაცრავად, ნალიჩნი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

- თქვენისთანა საკუპატელს, კრედიტში კი არა, დარომაც რომ ინებოს, უვაჟენიას ვუზამთო, უთხრა კუპეწმა".

ძალიან მეწყინა, ნაციონალისტს, ასეთი შებღალვა ქართულის ენისა. დამახსომდა ეს უშნო ნაამბობი და სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე.

ჯავრი მომდიოდა: ნუ თუ რუსთველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავურთეთ?

ავიღე იმ ვაჭრის ნაამბობი, გადმოვაქართულე და რაც რუსულის მაგიერ ქართული სიტყვა ვიხმარე, იმას ხაზი გავუსვი.

აი, რა გამოვიდა:

ერთს ფარჩეულობის დუქანში შევიდა ჩვენი ბოქაული და პერანგები იკითხა.

- რა პერანგები გნებავთ? ჰკითხა ვაჭარმა - ტილოსი თუ აბრეშუმისა?

- მე აზიზად არა ვარ გაზრდილი, ჩითისას ვიყაბულებ.

ჩამოიღო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი და დაუყო დაზგაზედ.

ბოქაულმა გადაარჩია ოთხი პერანგი სხვა-და-სხვა ფერისა: სოსანი, ლაჟვარდი, მიხაკისა და იასამნის ფერისა. ქაღალდში გაახვევინა და ჩაიდო ბარგით გატენილს ხურჯინში.

- სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა დახლიდარმა. ახლად შემოღებული საკაბე შალები მაქვს: მაუდი, ხავერდი, დარაია, ბალიშის საპირე, ყანაოზი, ნაირნაირი ფარჩები...

- არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდე, - უპასუხა ბოქაულმა. - პერანგებში რა უნდა მოგცე?

ვაჭარმაც იანგარიშა: თითოში ორი მანეთი და ექვსი შაური, ჯამი ცხრა მანეთსა და ერთ აბაზს იზამს.

იკრა ბოქაულმა ჯიბეზედ ხელი და ფული არ გამოაჩნდა, შინ დავიწყებოდა.

- უკაცრავად, ნაღდი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

- თქვენისთანა მუშტარს, ნისიად კი არა მუქთადაც რომ ინებოს, ხათრს ვუზამთო, მიუგო სოვდაგარმა.

ეს ხომ წმინდა ქართულია, ვთქვი ჩემს გულში... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა; როცა ხაზ-გასმული სიტყვები გადავათვალიერე: სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!

მაშ რისღა ქართული ყოფილა ჩემი გადმოქართულებული?

თურმე წმინდა ქართული არცა გვაქვს და არცა გვქონია!

დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰგონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი".

თვალსაზრისი

# საკითხების დასმა არქიტექტურულ მოღვაწეობაში



ნუგზარ ჩართოლანი

ქვეყნის კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო სარკე მის წიაღში არსებული ხუროთმოძღვრებაა, რომელიც გვამცნობს ქვეყნის ისტორიულ საფეხურებს, საზოგადოების ცივილიზაციის დონეს (ინტელექტის სახით) და კულტურას (სულიერების ფორმით). ო. შპენგლერი შენიშნავს, რომ: "კულტურაში სული ბატონობს, ხოლო ცივილიზაციაში ინტელექტი". რა ფაქტორები ავითარებენ ქვეყნის კულტურას და ცივილიზაციას ან ვინ უნდა ზრუნავდეს ქვეყნის ორიენტირებაზე ამ მიმართულებით? ამაზე დიდი ბერძენი მოაზროვნე სოკრატე პირდაპირ მიუთითებს: "ვგონებ, საოცარი უნდა იყოს, თუ ნახირის მწყემსად დაყენებულმა კაცმა ძროხების რიცხვი შეამცირა, დააჩიავა და არ აღიარა, რომ იგი ცუდი მწყემსია". ასეთი ამღიარებელნი, ჩვენს სინამდვილეში, პრაქტიკულად არც ყოფილან, რამდენადაც უწინდელი ქვეყნის სათავეში ჩამდგარი "მწყემსები" თავად უნდა ყოფილიყვნენ ცივილიზებულნი ან თუნდაც სცოდნოდათ კულტურისა და ცივილიზაციის არსი და მადლი. ამაზე მეტყველებს დღემდე მოსული არაცივილური ყოფა და რატომ - ცივილიზებულია ხელისუფლება და საზოგადოებაც, თუკი იგი ეფუძნება ზნეობრიობას, სამართლიანობას და გონიერებას. რომელი ერთი იყო სათანადო სიმაღლეზე? თუნდაც ბოლო 10-12 წელიწადის განმავლობაში?

ეს ისე, შესავლის მაგივრად.

პირველი ზრუნვის თემა - ქალაქის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში სამართლიანობის დამკვიდრებაა.

რა ხდება ამ მიმართებით ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ მის დედაქალაქში? საკითხის გასარკვევად ურიგო არ იქნება ჩვენი ისტორიის გახსენება და ამ მიზნით ჩვენს დედაქალაქში პროფესიული არქიტექტურის დანერგვის მოკლე ექსკურსი.

ჩვენს ქვეყანაში პროფესიული ხუროთმოძღვრება, განსხვავებით თვითმყოფადი თუ სიმბოლური არქიტექტურისაგან, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ინერგება. მისი დაწყება კი დაკავშირებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსის შეცვლასთან და ქვეყნის ორიენტირებასთან ევროპისაკენ. ამიტომაც, ერთ-ერთი პირველთაგანი, რაც მეფის რუსეთმა გააკეთა ჩვენი სამშობლოს ახლად წოდებულ საგუბერნიო ცენტრებში (თბილისსა და ქუთაისში), გახლდათ ევროპული პროფესიული არქიტექტურული მიმდინარეობის დანერგვა. ასე გაშენდა ჩვენს დედაქალაქში გოლოვინის პროსპექტი, ვერის თუ სოლოლაკის უბნები და სხვ. ანალოგიურად შენდებოდა ქუთაისი თუ ბათუმი. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრულ ქმნილებებს დღეს სწორედ კულტურულ ფენას ვუწოდებთ, რამდენადაც იგი კაცობრიობის მრავალ საუკუნეთა მანძილზე აპრობირებული კულტურის ნაწილია, რომელიც დიდებული საბერძნეთიდან იღებს სათავეს და ევროპა-რუსეთის გავლით ჩვენამდეც მოაღწია. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში პროფესიული არქიტექტურული აზროვნების დანერგვა, ანუ ადამიანური შემოქმედების ბეჭდის დასმა, ე.წ. "რომანტიკული" გარემოს შექმნა, რომელიც იმავდროულად იყო იმ ეპოქის სოციალ-პოლიტიკური წყობის აშკარა ზედნაშენი და ასევე იმდროინდელ ხელისუფალთა კეთილი ნება - აეშენებინათ ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, ევროპული, ცივილური ქალაქები, სადაც გაითავისებდნენ ევროპულ ღირებულებებს, სადაც შეიქმნებოდა ურბანული გარემო, სადაც ნიჭსა და გონს მიეცემოდა გზა ფართო.

ეს იყო ე.წ. რომანტიზმის პერიოდი, რომელმაც ჩვენში გენიალური ბარათაშვილი შვა, ეს იყო რაციონალიზმიდან (არქიტექტურაში ნეოკლასიციზმიდან) რომანტიზმისკენ შემობრუნება, ეს იყო სრულიად ახალგაზრდა ტატოს ინტუიტიური ხედვის საოცარი ალმაფრენის პერიოდი და ამავე პერიოდში ასეთივე შემართებით შენდებოდა თბილის-ქალაქიც. შენდებოდა ე.წ. რომანტიკული არქიტექტურის "სასიამოვნო სტილის" შენობა-ნაგებობანი. ეს იყო ადამიანთა სულის სულიერებისკენ (კულტურისკენ) ორიენტირება და ეს არის ჩვენი ისტორიული ყოფიერების ფაქტობრივი ნაწილი, რომელიც დღესდღეობით ვერაა გააზრებული და სათანადოდ გათვითცნობიერებული ჩვენს საზოგადოებაში; სამწუხაროდ, ვერც ხელისუფლება მართავდა მას ცივილიზებული კადრებით. ესთეტურობა, როგორც არქიტექტურის ერთ-ერთი უცილობელი ატრიბუტი, იგნორირებულია დღევანდელ მენაშენეთა მოჭარბებული მომხვეჭელობის გამო და მისი საზოგადოებრივი მოთხოვნილებაც ისეთ დონეზეა დასული, რომ ბუნებრივად გიჩნდება კითხვა: საერთოდ, უნდა თუ არა ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს და ხელისუფალთ პროფესიული არქიტექტურა ან არქიტექტორები? ეჭვის საფუძველს ბოლო 10-12 წლის პერიოდში აშენებული კერძო თუ კომერციული მრავალსართულიანი სახლების მაგალითები იძლევა, სადაც თვალნათლივ გამოიკვეთა არქიტექტურული ეკლექტიზმი და, რაც მთავარია, ქალაქის კულტურული ფენისადმი უდიერი დამოკიდებულება ობივატელი მენაშენეების მხრიდან, აგრეთვე ყოფილ ხელისუფალთა უუნარობა, ემართათ არქიტექტურული მოღვაწეობა და ა.შ. მაგრამ მოდით, ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს უახლეს ისტორიას.

ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში) მე-19 და მე-20 საუკუნეებში არქიტექტურულ იერსახეს და სამშენებლო პოლიტიკას გარკვეულწილად მართავდნენ ქვეყნის იმდროინდელი ხელისუფალნი და ქვეყნის კულტურული ორიენტაცია.

ამ წერილში არ შევუდგები ორი საუკუნისა და ორი პოლიტიკური წყობის არქიტექტურული ღირებულებების, ანუ ევროპული და საბჭოური არქიტექტურის შეფასებას, მაგრამ ერთს მაინც გამოვყოფდი: დღეს მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის არქიტექტურული მემკვიდრეობა აშკარად კულტურული ფენაა, განსხვავებით საბჭოური პერიოდისაგან. საბედნიეროდ, საბჭოთა მთავრობამ ვერ მოასწრო მთლიანად აღეგავა მე-19 საუკუნის ქმნილებანი, როგორც ე.წ. ბურჟუაზიული, რამდენადაც საბჭოეთი 50-იანი წლებიდან "საძილე მასივების" მშენებლობით იყო ორიენტირებული და თბილისის მაგალითზეც, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში (ისტორიულ ზონაში), მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებებს აშენებდა, მაგრამ ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, ჩვენი ყოფილი მთავრობის ბედოვლათობის გამო, სწორედ ქალაქის ცენტრალურ, კულტურულ ფენას მიადგნენ, რომელსაც პოტენციური მენაშენეები შეძლებისდაგვარად ანგრევენ კიდევაც და მათ ადგილზე "საბჭოურ" კორპუსებს აშენებენ. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი დღევანდელი მთავრობა შესაბამის რეაგირებას მისცემს ყოფილი მთავრობის უზნეო ინერციას და ახალი, ზნეობრივად სამართლიანი კანონების შემოღებით დაარეგულირებს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, ისტორიულ ზონებში, ახალმშენებლობების რეგლამენტს. ამ მიმართებით, ჩემი ღრმა რწმენით, გადასახედია ყველა იმ კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მიღებულია ყოფილი მთავრობის ხელდასმით და, რაც მთავარია, არქიტექტურული საქმიანობის კანონი შემოსატრიალებელია სახელმწიფო ჩინოვნიკთა გაფეტიშებიდან - დარგის სპეციალისტებისა და პროფესიონალებისაკენ. ხელისუფალთა კეთილი ნების შემთხვევაში პრაქტიკოს არქიტექტორთა გარკვეული ჯგუფი მზად არის, ითანამშრომლოს ახალ ხელისუფლებასთან კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელთა სულისკვეთება ორიენტირებული იქნება უსახური მასივების გაკეთილშობილებისკენ და არა ქალაქის ისტორიული ნაწილის გაჩანაგებისაკენ. ასეც იქცევიან კულტურულ ევროპაში და თუკი გვინდა ვიყოთ მათ გვერდით და ვსარგებლობდეთ ყველა იმ მადლით, რომელიც ევროპელმა ხალხმა მოიტანა XXI საუკუნემდე, უნდა ვიცხოვროთ მათი სტანდარტებით. ამაზე ელემენტარული რა უნდა იყოს, მაგრამ ცხადია, მავანთ და მავანთ ეს არ აწყობთ, არ აწყობთ თავიანთი კომერციული მიზნების გამო. აქაოდა, ბინათმშენებლობის მოთხოვნილება მხოლოდ ქალაქის ისტორიულ ნაწილზე მოზღვავდაო, უფლებრივი ზონირების ე.წ. "რეგლამენტის" შეჩერება თუ გაუქმება მოინდომეს - უწყებრივი კოლექტიური პეტიციური წერილის საშუალებით, რომელთა ავტორები და არა ყველა მორჩილი ხელმომწერი, აღმოჩნდნენ ქალაქის ზოგიერთი მესვეურის მარიონეტები, მაგრამ, საბედნიეროდ, კვალიფიციური პასუხებიც გაეცათ. ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა ქალაქის ისტორიული ზონის თითქმის ერთადერთ მარეგლამენტირებელ წესებს და ნორმებს და ამით მართვადი ქაოსის გაღრმავებას. აქაოდა, წესებს და კანონებს მართვადი ქაოსი სჯობიაო. წესები და კანონები თვითონ ჩვენ ვართო. ასეთი ფსიქიკის ადამიანები, ჩემი ღრმა რწმენით, საშიშნი არიან საზოგადოებისთვის. ფაქტია, ისინი თავიანთ "ნაღვაწს" ვერ ხედავენ და, აქედან გამომდინარე, ვერც აკონტროლებენ პირად ქმედებებს. ასეთი "კოლექტივიზმი" საზოგადოებამ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ქალაქის ახალმა მთავრობამ უნდა განსაჯოს. ასეთი ქმედება ევროგაერთიანებაში დაგვაყენებს ბალტიის ქვეყნების გვერდით და არა კორუმპირებული ქვეყნების შავ სიაში. ამგვარი ქმედებით გავხდებით ნაწილი ევროპისა, სადაც წესებს და კანონებს იცავენ ისე, როგორც სასიცოცხლო ჰაერს; ევროპისა, სადაც თავისუფალი და ღირსეული პიროვნებების ასპარეზია და არა მუნიციპალური მარიონეტების სამჭედლო. რა უნდა იყოს იმაზე დიდი უბედურება, რომ საკუთარ სამშობლოში, სადაც დემოკრატიისა და, ასე ვთქვათ, პლურალიზმის პირობებში ერთი უწყების თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთი აზრისანი იყვნენ და ცხოვრების დროებითი გაუკულმართობის გამო, ზემდგომი ინსტანციების მესვეურთა ლაქიობა ამჯობინონ და ამით შეინარჩუნონ პირადი, დაუმსახურებელი მდგომარეობა, მაგრამ სხვებს რას ერჩიან?

მეორე საზრუნავი: ქალაქის არქიტექტურის საქმეთა სამსახურის რეფორმის აუცილებლობა.

ქალაქის არქიტექტურის საქმეთა სამსახურის და საკუთრივ ქალაქის მთავარი არქიტექტორის თანამდებობის შემოღება უკავშირდება საბჭოთა წყობილების დამყარებას, რომელიც ორგანულ კავშირში იყო საერთო სახალხო საკუთრების ფორმასთან და, აქედან გამომდინარე, საყოველთაო სახელმწიფო ზედამხედველისა და დამკვეთის არსებობასთან. იმდროინდელ პოლიტიკურ იერარქიას და ქვეყნის მმართველებს დასჭირდათ ე.წ. სახელმწიფო მოხელე არქიტექტურის დარგშიც, ანუ იდეური მხარდამჭერი და, რაც მთავარია, ხელისუფალის იდეების შემსრულებელი არქიტექტორები. ქალაქის მთავარი არქიტექტორის მეთაურობით, რომელიც შეასრულებდა და ცხოვრებაში გაატარებდა ზემოდან დეკლარირებულ დირექტივებს, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ბუნებაში არარსებული რამ: "ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური". ასეთი იყო საბჭოეთში სოციალიზმის აშენების ბუნება და ასეთი რამ კიდევაც ხორციელდებოდა. დღეს, როდესაც 12-13 წლის წინათ მოხდა საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, საბჭოური უჯრედი - ქალაქის არქიტექტურული სამსახური თითქმის უცვლელი სახითაა "შემორჩენილი".

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა: თუკი ქალაქის მთავარი არქიტექტურის სამსახური იყო საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური ზედნაშენი, მაშინ ამჟამად იგი ვისი თუ რისი ზედნაშენია დამოუკიდებელ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასულ საქართველოში? დასავლეთში, ანუ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის სივრცეში ამ სახით არსებულ არქიტექტურულ სამსახურს არც კი იცნობენ, რადგანაც ასეთია საბაზრო ურთიერთობათა ბუნება.

ისევ იბადება კითხვა: რა ვუყოთ ასეთ საბჭოთა გადმონაშთს? ტრადიციად ქცეული ჭირი შევინარჩუნოთ, თუ რეფორმებით გარდავქმნათ? საკითხი დავსვათ ამ სამსახურის თვისობრივ ცვლიბებზე თუ არა? არადა, მოჭარბებული მომხვეჭელობის ნების გამო დაქუცმაცდა და ჩალის ფასად გაიყიდა ქალაქის თუ მისი შემოგარენის მიწები, შენობა-ნაგებობები. ფაქტია, რომ ქვეყნის რესურსების უდიდესი ნაწილი რამდენიმე მონოპოლისტის ხელში აღმოჩნდა და ისინიც უმეტესწილად ქვეყნის ჩინოვნიკები არიან.

კიდევ იბადება კითხვა: ასეთ კომპანიაში რა როლს ასრულებდა ქალაქის არქიტექტურის სამსახური და პერსონალურად ქალაქის მთავარი არქიტექტორი? ქალაქის მერიის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო მიწების გასხვისება, ანუ აუქციონის წესით მიყიდვა ხდება ქალაქის მთავარი არქიტექტორის პირადი ხელდასმით, ზემოდან მოსული მინიშნებების საფუძველზე და ამიტომაც ბოლო 10-12 წლის განმავლობაში რვა მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა და ყველა პირობაა შექმნილი ურთიერთგადასაბრალებელი მიზეზებისთვის.აი, რისთვის სჭირდებოდათ საბჭოთა გადმონაშთები.

არადა, რამდენი ბინა შეიძლებოდა აშენებულიყო მუნიციპალური საჭიროებისათვის, თუკი მიწებს გავცემდით ბინების სანაცვლოდ? რამდენი უბინაო და რამდენი მიწისძვრით დაზარალებული დაკმაყოფილდებოდა ასეთი მეთოდით? არსებული ბაზრის მიხედვით, კომერციული ბინათმშენებლები მიწის მესაკუთრეს სთავაზობენ ასაშენებელი სახლის ფართის 25%-ს, ანუ სახლის მთლიანი ფართის მეოთხედს. ასეთი წესი მერიას კანონით აკრძალული აქვს - მერიას მხოლოდ აუქციონის წესით შეუძლია გაასხვისოს მიწა კერძო სუბიექტებზე და ამით მიწის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მიზერული თანხა შეიტანოს ქვეყნის ბიუჯეტში; ამის მიზეზი ადვილი მისახვედრია. თუკი ახალი ხელისუფლება მოინდომებს და გამოიჩენს ჩვენი დედაქალაქის მიწისძვრით დაზარალებულთა ბინებით დაკმაყოფილებას და კანონით დაუშვებს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, ჯერ კიდევ შემორჩენილი მიწების გაცემას მენაშენეს ბინების სანაცვლოდ - ქალაქი მიიღებს ახალი ბინების ფონდს, რომელიც მოხმარდება უბინაოდ დარჩენილ ჩვენივე მოქალაქეებს. ამ საკითხის დასმა რატომ არ შეუძლია ქალაქის მთავარ არქიტექტორს, თუკი მისი ნება და ხელმოწერა სრული გარანტიაა მიწის საკუთრებაზე?

რა უნდა აკეთოს ამ არნახული კომერციული ბინათმშენებლობის ბუმის პერიოდში საქალაქო არქიტექტურის სამსახურმა, როგორც საბჭოთა გადმონაშთმა? რა ფუნქციები უნდა დავაკისროთ მთავარ არქიტექტორს, როგორც მერიისადმი დაქვემდებარებულ ჩინოვნიკს და რა უფლებები უნდა მივცეთ პრაქტიკოს არქიტექტორებს? ამაზე ნამდვილად ღირს მსჯელობა და, რაც მთავარია, ქმედება, რამდენადაც ამ მიმართებით სასიკეთო სურვილები იგრძნობა ახალი ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მათაც არ აწყენთ პროფესიული რჩევები პრაქტიკოსი არქიტექტორებისგან და არამც და არამც გაქექილი ჩინოვნიკებისგან, რომლებმაც ასეთ მართვად ქაოსამდე მიიყვანეს არქიტექტურული საქმიანობა.

დღევანდელი, მე ვიტყოდი, უუფლებო პრაქტიკოსი არქიტექტორები დარჩენილი არიან სინდისგამოცლილი მენაშენეების პირისპირ. პრაქტიკოს არქიტექტორს წართმეული აქვს მისი მომსახურების საფასურის მინიმალური თანხის მოთხოვნის უფლება, რადგანაც ასეთი უფლება 1998 წელს მიღებული არქიტექტურული საქმიანობის კანონპროექტიდან ამოღებული იქნა. ჩვენგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციამ ანალოგიურ მომსახურებაზე და პირადად საავტორო გასამრჯელოზე მინიმალური თანხის ოდენობის დაკანონება აუცილებლობად მიიჩნია; ჩვენ კი ვერ შევძელით, საკუთარი ძალებით შეგვექმნა ჩვენივე შესაბამისი კანონი არქიტექტურული მოღვაწეობის შესახებ და იგი თავიდან პირდაპირ "გადმოვაქართულეთ" რუსეთის ანალოგიური კანონიდან, შემდგომ მაინცდამაინც ხსენებული მინიმუმის ამოღება ჩავთვალეთ საჭიროდ, ვითომდა ამით საბაზრო ეკონომიკის შემაფერხებელი სარეველა მოვაშორეთ. ასეთმა უვიცობამ გზა გაუხსნა მომხვეჭელებს და პრაქტიკოსი არქიტექტორის ახალი მშენებლობის საქმე დააკნინა და გააფერმკრთალა. ესეც ძველი გადმონაშთშია, რომლის მიზანია პიროვნების შესაძლებლობის კასტრაცია, ნაცვლად მათი უნარის მაქსიმალურად გამოყენებისა.

ჩემი პირადი ინიციატივით ბევრჯერ მიცდია ხსენებულ კანონში ცვლილებების შეტანა, მაგრამ ეს არჩევნებიდან არჩევნებამდე გადადებულა და ის ატმოსფერო, რომელიც სუფევდა საქართველოში მე-19 და მე-20 საუკუნეებში არქიტექტურულ მოღვაწეობაში, როდესაც ქვეყნის კულტურულ ორიენტაციას სჭირდებოდა პრაქტიკოსი არქიტექტორი, დღევანდელ საქართველოში ჯერჯერობით სანატრელია.

თუკი საქართველოს ევროპიზაციის და ცივილიზაციის გზით უნდა სიარული, არქიტექტურული დარგის ჯეროვანი ყურადღების გარეშე იგი ვერც კი იოცნებებს ამის მიღწევაზე; ამ დარგზე ზრუნვა არ არის მეორეხარისხოვანი არც ერთი კულტურული ერისათვის. და თუკი ახალი ხელისუფლება ამ ელემენტარული ჭეშმარიტებით დაინტერესდება, ეს ამ წერილში დასმულ საკითხებზე ზრუნვით დაგვეტყობა.

ქალაქური პროზა

ნოდარ მაჭარაშვილი

## ჭეშმარიტი გზა

ბავშვობიდან მსურდა, ჩემი ცხოვრება მარტო ამეწყო. მარტო ამეშენებინა სახლი, მარტო შემექმნა ოჯახი და ბევრი, ძალიან ბევრი მემოგზაურა დედამიწაზე. ყველაფერი მენახა და დამეთვალიერებინა.

როდესაც სკოლა დავამთავრე და სახლში ატესტატით დავბრუნდი, გადავწყვიტე, ბარგი ჩამელაგებინა და სადმე, აზიაში ან სამხრეთ ამერიკაში წავსულიყავი სამოგზაუროდ. მაგრამ ჩემი მშობლების სიმკაცრემ ყველაფერს ხელი შეუშალა და იმავე ზაფხულს სამედიცინოზე ჩამაბარებინეს. იმის ნებაც კი არ მომცეს, მე თვითონ ამერჩია პროფესია (გეოგრაფია მიყვარდა ბავშვობიდან).

პირველ წელს, რაც შემეძლო, ვსწავლობდი. ვცდილობდი, როგორმე მოვეხიბლე მედიცინას, მაგრამ პირიქით ტრიალებდა ყველაფერი, დღითიდღე უფრო და უფრო მბეზრდებოდა და მძულდა თეთრხალათიანებიც და ქიმიის წიგნიც.

თავისუფლება მაკლდა, ჩემი საქმე არ იყო ქიმია და ანატომია, მთაზე მინდოდა, ან თუნდაც - ზღვაზე, გემით. ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. მთავარია, მოვშორებოდი აქაურობას და მეცხოვრა ჩემი ცხოვრებით.

პირველი კურსი რის ვაივაგლახით დავამთავრე, ზაფხულში დედაჩემმა ინგლისში სასწავლებლად გაშვება მომინდომა. კატეგორიულ უარზე ვიყავი.

ერთხელ ნასვამი დავბრუნდი. სახლში რომ შევედი, მშობლები ჩემს წასვლაზე ბჭობდნენ. ველარ მოვითმინე და გამწარებით დავიღრიალე:

- აღარ მოისვენეთ, არა! დამანებეთ თავი, მე ჩემი ცხოვრება მაქვს, მე თვითონ მინდა ჩემი გზა ვიპოვნო, ფეხებზე მკიდია თქვენი ინგლისური და მედიცინა, თავისუფლება მინდა!

- აჩიკო, რა დაგემართა, რამდენს ბედავ...

- რამდენს ვბედავ კი არა, ჩემი ფეხი აღარ იქნება სამედიცინოზე, მაგათი დედაც...

შემოვტრიალდი და ოთახში შევვარდი. მივხვდი, ნამეტანი მომივიდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი. ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა და რამდენიმე წელიწადი ვერ ვამბობდი.

II

სექტემბერში კვლავ სამედიცინოზე დავეთრეოდი, სწავლაზე საერთოდ ავიღე ხელი. ლექციებზეც აღარ დავდიოდი.

ერთხელ სახლში ძალიან გვიან დავბრუნდი. ტელევიზორს მივუჯექი და რაღაც ფილმს ვუყურებდი. უცებ ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე.

- გისმენთ?

- აჩო, სანდრო ვარ. როგორა ხარ?

სანდრო ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, ორი წელი იქნებოდა, რაც მწყემსებთან იყო შეხიზნული.

- კარგად, სანდრო. არა, გატყუებ, ცუდად.

- გახსოვს, რომ დაგპირდი წაგიყვან-მეთქი მთაში?

- მახსოვს, როგორ არ მახსოვს! – ვიყვირე გამწარებულმა.

- ხოდა, რვა საათზე სადგურში იდექი, არ დააგვიანო.

ყურმილი დავაგდე, გახარებული ვეცი კარადას და ბარგი ჩავყარე. ისეთი ბედნიერი ვიყავი, არც კი ვიცოდი, რას ვალაგებდი.

მეორე დილას მე, სანდრო და ორი მწყემსი ჯუბებით და კომბლებით ხელში გზას ვადექით, გზას, რომელიც ჩემი ცხოვრება იყო. მთებზე კი მწვანე ჯიხვები ღრიალებდნენ.

მერე, წლების მერე, "ნამწყემსარის მოგონებები" დავწერეთ ერთად.

## მხატვარი

ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტში ცხოვრობდა ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც თითქმის ყველა არანორმალურად და გიჟად თვლიდა.

როდესაც ბავშვები სკოლის ეზოში თამაშობდნენ, ან რაღაცას ყვებოდნენ, ანეკდოტს ან რამე გასართობს, მაიკლს ყოველთვის ძალიან სერიოზული სახე ეჭირა და მთელი დღის განმავლობაში მხატვრობასა და ხელოვნებაზე საუბრობდა. ბავშვები მიდიოდნენ თავიანთ მშობლებთან და უყვებოდნენ, თუ როგორი უცნაური და უმეგობროა მაიკლი. შეიძლება, ის ბავშვები, რომლებიც მაიკლს უცნაურად თვლიდნენ, ნაწილობრივ გაგემართლებინა, მაგრამ ის, რომ მაიკლი უმეგობრო იყო, მტკნარი სიცრუეა.

მაიკლი ირლანდიელი, ობოლი ბიჭი იყო, რომელიც მშობლების გარდაცვალების შემდეგ ერთ მოხუც მხატვართან ცხოვრობდა. მოხუცი მაიკლს ასწავლიდა ხატვას. უყვებოდა გამოჩენილი მხატვრების ბიოგრაფიებს; ყოველთვის ეუბნებოდა, რომ მას გენიალური ნიჭი ჰქონდა და აუცილებლად დიდი მხატვარი გამოვიდოდა. მაიკლს სწამდა და სჯეროდა მოხუცის, თავდაუზოგავად მეცადინეობდა და შრომობდა. მას, რა თქმა უნდა, აწუხებდა ის, რომ ერთი მეგობარიც კი არ ჰყავდა, მაგრამ ბავშვები მაიკლს ნორმალურად არ თვლიდნენ და ყოველთვის იშორებდნენ.

ბოლოს ხალხმა ირწმუნა მაიკლის ნიჭი, როდესაც ბიჭი 19 წლის გახდა და რამდენიმე გამოფენა მოაწყო. მას დიდი ყურადღება მიაქციეს პროფესიონალებმა და დიდმა მხატვრებმა. ამ წარმატების შემდეგ მაიკლს მონდომება უფრო მოემატა. უფრო შესანიშნავ და უცნაურ ნახატებს ხატავდა. მთელ ირლანდიაში სახელი გაითქვა და ძალიან ნიჭიერ ყმაწვილად ითვლებოდა. მაიკლს მაშინვე უამრავი ამხანაგი გაუჩნდა, ხშირად მიდიოდნენ მასთან სტუმრად, პატიჟებდნენ კინოში, მიჰყავდათ თეატრში და ასე შემდეგ.

მაიკლი ისეთი ძლიერი მხატვარი გახდა, სხვადასხვა ქვეყანაში აწყობდა გამოფენებს და ყიდდა ნახატებს, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიაში დაიწყო საშინელი არეულობა, იყო მკვლელობები და სამოქალაქო ომი.

ერთ დღეს, როდესაც მაიკლი თავისი მეგობრის სახლიდან ძალიან გვიან ბრუნდებოდა, შემზარავ მკვლელობას შეესწრო. ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ორმოციოდე წლის კაცი მოკლეს. როდესაც დაინახეს, რომ ამ ყველაფერს მაიკლი შეესწრო, მაშინვე გამოუდგნენ. მაიკლი მირბოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ბიჭების ფეხის ხმა.

- გაჩერდი, თორემ გესვრი! - მოესმა მაიკლს ბიჭის აღელვებული ხმა. და მიხვდა, რომ თუ არ გაჩერდებოდა, მართლა იმ კაცივით მოკლავდნენ. მაშინვე იგრძნო, კეფაზე როგორ მიადეს რაღაც ცივი. იარაღი იყო. მაიკლი ერთ ოთახში შეაგდეს და კარი მაგრად ჩაკეტეს.

მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, ყველას გადაავიწყდა ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ მხოლოდ იმ მოხუცს თუ ახსოვდა. მაიკლი უკვე აღარავის ანაღვლებდა. ხალხი ამბობდა, მოკლეს, მერე გვამი დაწვეს და სადღაც დამარხესო. მაიკლი ყველას ისე დაავიწყდა, როგორც ერთი საშინელი წვიმიანი დღე.

მაიკლი ოთახიდან არ გაჰყავდათ, ერთი კაცი შემოდიოდა, საჭმელს და ცარცს მოუტანდა, რომ ეჭამა და ხატვით შეექცია თავი. მერე ხმის ამოუღებლად გადიოდა.

მაიკლი მთელი დღე ხატავდა, რომ ეს საშინელი წუთები სწრაფად გასულიყო. მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და სინათლე ვერ ეღირსა.

"რატომ,რისთვის, რატომ უნდა ვლპებოდე ამ სოროში, ყველას გადავავიწყდი, არავინ არ მეძებს. ალბათ ჰგონიათ, რომ უკვე მოვკვდი", - ფიქრობდა მაიკლი და საშინელ მკვლელობებს და ეშმაკებს ხატავდა. ველარ ხატავდა მზეს, ღმერთს და ვარსკვლავებს, რომელსაც ამ ოთახში მოხვედრის პირველ დღეებში ხატავდა.

მისი ბოლო სურათები სულ მკვლელობებთან და სისხლთან იყო დაკავშირებული.

"თქვენ ყველას გგონიათ, რომ მაიკლი აღარ არსებობს, მაგრამ მე ცოცხალი ვარ. თქვენ კარგ დროს ატარებთ და მაიკლი აღარ გახსოვთ. მაგრამ მე უფრო კარგად ვგრძნობ თავს აქ, ამ სოროში, ვიდრე თქვენნაირ დამპალ და ფარისეველ ხალხთან. მე ცოცხალი ვარ და ყველას დაგცინით. რას გავხართ, თქვე მახინჯებო. მე აქ არ მოვკვდები, აქ არ ჩავძაღლდები და კიდევ ბევრს, ძალიან ბევრს ვიცოცხლებ. მეზიზღებით ყველანი, არც ერთის დანახვა არ მინდა, მინდა, რომ მარტო ვიცხოვრო, ოღონდ თქვენ მოჩვენებით სახეებს არ ვუყურო. მე ვიცოცხლებ და არ მოვკვდები, მე ვიცოცხლებ!!! ვიცოცხლებ!!! ვიცოცხლებ?

ამ საშინელ ფიქრებში გართულ მაიკლს სიცილი აუტყდა. ბოლოს სიცილი კივილად გადაიქცა.

## მზის სხივები

როდესაც ბაქრაძის ქუჩიდან მარცხნივ ჩაუყვებით ვიწრო გზას, ორი სახლის შემდეგ აუცილებლად შეგხვდებათ შავი ჭიშკარი და ხის სახლებით გაჭედილი იტალიური ეზო, რომელშიც ჩვენ ყველანი ერთად და მეგობრულად ვცხოვრობთ. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები დამელუპნენ, ჩემი საყვარელი ეზოდან ფეხი არ მომიცვლია. ასე ვთქვათ, მშობლების მიერ გამოჩენილმა დიდმა სიყვარულმა და ამაგმა ხელი შეუწყო იმას, რომ ჩემი ძირძველი ადგილი არ მიმეტოვებინა.

ჩვენს პატარა იტალიაში (ასე ვეძახი ჩვენს ეზოს) ოთხი ოჯახი ცხოვრობს. პირველი, ბატონი ბონდო, თავისი ძალიან მსუქანი ცოლით, რომელსაც გოჭოს ეძახიან და ასევე ჩასუქებული, თმახუჭუჭა ბიჭებით. მეორე, ბატონი ბესო, ძალიან გამხდარი ცოლით, რომელსაც პუდელს ვეძახით. მესამე, ბატონი შალვა - უცოლშვილო, მეოთხე ოჯახს კი შეადგენს ერთადერთი თვრამეტი წლის ბიჭი, რომელიც მე გახლავართ.



- ამდენი ენერგია დავხარჯე შენს გაზრდაში და მაინც დეგენერატი და სალახანა გამოხვედი, - ასე მომმართა სიცხისაგან ოფლში გახვითქულმა დეიდა გოჭომ, თან ხელში წერილი ეჭირა, რომელშიც ჩემი საყვარელი ლექტორები მლანძღავდნენ იმის გამო, რომ წელიწადში ორჯერ მივდიოდი მათ საინტერესო ლექციებზე.

- დაანებე, ქალო, თავი, ხომ ხედავ, ბავშვი მუშაობს და სწავლისთვის ვისღა სცხელა, - გამომესარჩლა ბიძია ბესო, რომელიც წითელი “ჟიგულის” რეცხვით იყო გართული.

- ენა გააჩერე, შე ბავშვობაში კუბოთი ნასეირნებო! - შეუღრინა დეიდა გოჭომ, - გირჩევნია, შენს საქმეს მიხედო და შენს კუდაბზიკა ცოლს მოუარო. - ნუ, ამას რაც მოყვებოდა, რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანი ხვდება - ორი საათის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა ჩემს საყვარელ მეზობლებს შორის, მაგრამ როგორც ქართველებს გვჩვევია, ორი საათის შემდეგ ერთად ისხდნენ აივანზე და გიჟებივით ხითხითებდნენ.

მე პაპიროსს მოვუკიდე და ეზოდან გავედი. ჩვენი ჭიშკრის პირდაპირ, ერთ ნახევრად დანგრეულ და ხავსმოდებულ სახლში, მოხუცი კაცი ცხოვრობდა, რომელიც მთელი დღეების განმავლობაში მზეს მისჩერებოდა, ხოლო როდესაც მოწითალო მზე ღრუბლებს მიეფარებოდა, მოხუცი წყენით ამოიოხრებდა და სახლში შედიოდა. უცნაურია, მაგრამ ამ მოხუც კაცზე მუდამ ავი მესმოდა. ბევრჯერ გამიგია ჩვენი უბნის ბიჭებისგან - "გავიქეცით, პეტრე ბაბუა მოდისო", ან თუნდაც დეიდა გოჭოსგან - "მაგ კაცმა ცოლ-შვილი დახოცა და ათი წელი ციმბირში ყავდათ გამომწყვდეულიო". მოკლედ, მე ამ კაცის ავი არასდროს მენახა. ძალიან მაინტერესებდა პეტრე ბაბუასთან დალაპარაკება, მაგრამ ბავშვობაში ჩარჩენილ შიშს მაინც თავისი გაჰქონდა და მოხუცთან ლაპარაკს მიკრძალავდა.

ზემოხსენებული მოხუცის სახლის გვერდით ცხოვრობდა ჩვენი ეზოს და საერთოდ ჩვენი უბნის მშვენება და სილამაზე - ანა. ჩვენს ეზოში მუდამ ჭყივტინი და ღრიანცელი იდგა, ხან წრეში ბურთს თამაშობდნენ, ხან გაშეშობანას, როგორც იციან ხოლმე ცელქმა და ტალახში ამოთხუპნულმა ბავშვებმა. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ჩამოვარდებოდა სამარისებური სიჩუმე ჩვენს ხმაურიან ეზოში. და ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ანა თავის მძღოლთან ერთად "მერსედესით" ჩაიქროლებდა ხოლმე. მისი კუპრივით შავი თმა, მისი სქელი ტუჩები, მისი ლამაზი თვალები, მისი მაღალი მკერდი და შესანიშნავი ფეხები დიდ და ენით აუწერელ სილამაზეს ქმნიდა.

თითქმის ყოველ საღამოს გამოვიკეტებოდი ჩემს ოთახში, ავიღებდი დიდ თაბახის ფურცელს და ვხატავდი ნუშის ხეს და ანას, ან ლურჯ ზღვას, ფერად ყვავილებს და ანას. მე ანა დიდი ხანია მიყვარს, ალბათ რომ დავიბადე, იმ დღიდან. ყოველღამე მასზე ვფიქრობ. საოცარია, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გავბედე ანასთან გასაუბრება. რაღაცით ვამსგავსებ ანას და პეტრე ბაბუას ერთმანეთს. ორივე ხელშეუხებელია და ორივე ძალზე საინტერესო. ერთთან სიყვარულის სიყვარული მაკავშირებდა, მეორესთან ინტერესის და შიშის სიყვარული. ანას ალბათ არასდროს შევუმჩნევივარ, ან თუ შევუმჩნევივარ, სულაც არ ესიამოვნა ჩემი სახის დანახვა, თუმცა, შეიძლება ესიამოვნა კიდეც და ჩემთან მოსვლა შერცხვა, როგორც ყველა მდედრს რცხვენია მამრთან მისვლა. მაინც არის რაღაც იმედი, მაგრამ შეიძლება ეს იმედიც უიმედო აღმოჩნდეს, კიდევ ერთხელ შევხედე პეტრე ბაბუას ხავსმოდებულ სახლს, ფანჯარა ჩავკეტე და ჩამეძინა.

* * *

მზე მაღლა და მაღლა აიწია. გაასწრო თეთრ ნისლს, ღრუბლებს და ძლიერად დაანათა ჩვენს ეზოს ყოვლისშემძლე სხივები. პეტრე ბაბუამ სკამი გამოიტანა, დადგა ისე, რომ მზის სხივები დაჯდომისას პირდაპირ თვალებზე დასცემოდა და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. "ნუთუ არავინ ჰყავს ამ მოხუცს, ნუთუ არავინ იცნობს, ან არასდროს ჰყოლია ნაცნობი?" - ვფიქრობდი ჩემთვის. ამ დროს კარის ჭრიალი გაისმა და ბიძია შალვა გამომეცხადა თეთრი ტორტით და წითელი მარწყვებით.

- ეს ჩემგან, შვილო, - გამიღიმა ბიძია შალვამ და ლამაზი მარწყვებით მორთული ტორტი გამომიწოდა.

- გმადლობთ, ბიძია შალვა.

- არაფრის, ჩემო კარგო, - თბილად მიპასუხა მოხუცმა და ოთახიდან გავიდა.

მართალია, იმ ტორტის გამო ერთი კვირა ფეხსალაგიდან ფეხი არ მომიცვლია, მაგრამ ბიძია შალვას საჩუქარმა ძალზე გამახარა.

* * *

პირველი ხელფასი ავიღე და გახარებული, თითქმის ხტუნვა-ხტუნვით მივუყვებოდი ალმა ვერის დანესტიანებულ, დაბერებულ ქუჩებს. უეცრად მწვანე, ლამაზმა მანქანამ გამიჩერა.

- სახლში მიდიხარ?

გავწითლდი, მერე გავყვითლდი, მერე ცივი ოფლი ვიგრძენი შუბლზე.

- რას გაშეშებულხარ, სახლში მიდიხარ? - გამიმეორა მძღოლის გვერდზე მჯდომმა უმშვენიერესმა გოგომ, - თუ მოდიხარ, მანქანით მიგიყვან.

- არა, მე ფეხ...ით წავალ, ასე მირჩევნია, - ძლივს ამოვღერღე.

- კარგი, როგორც გინდა, - მხიარულად მითხრა ლამაზმა გოგომ - უბრალოდ, ვიცი, რომ ჩემს მახლობლად ცხოვრობ და ვიფიქრე, წამოხვიდოდი, კარგი, ნახვამდის.

ენა ჩამივარდა. ნუთუ ეს ანა იყო? არა, ნამდვილად ანა იყო. მაშ მართალი ვყოფილვარ, შევუმჩნევივარ და უფრო მეტიც, იცის, სად ვცხოვრობ. უცებ საშინლად გავბრაზდი ჩემს თავზე. რატომ არ ჩავუჯექი? ნამდვილი სირაქლემა ვარ. ასეთი შანსი აღარასდროს მექნება. ან იქნებ, უფრო დავუახლოვდეთ ერთმანეთს. ამ ფიქრებში და ბედნიერებაში გახვეული გავჩერდი პეტრე ბაბუას ჭიშკართან. ის, როგორც ყოველთვის, მზეს მისჩერებოდა. მუხლები ამიკანკალდა, დავძლიე ბავშვობიდან გამოყოლილი შიში და ჭიშკარი შევაღე. პეტრე ბაბუა არც განძრეულა. პირველი ნაბიჯი გადავდგი. ახლა რა ვუთხრა? ნელ-ნელა მივუახლოვდი და მზე მოვუჩრდილე.

- გამარჯობა, პეტრე ბაბუა! - მკაცრად შევძახე, თითქოს ზვიადისტების მიტინგზე ვყოფილიყავი და მეგაფონი მჭეროდა ხელში. ვიფიქრე, ცოტა მკაცრი გამოვჩნდები და ამით დავაფრთხობ მეზობლების მიერ ბოროტად წოდებულ კაცს-მეთქი.

- გამარჯობა, შვილო. დაჯექი, ოღონდ ძალიან გთხოვ, მზეს ნუ მაშორებ, - მოხუცის ბაგედან ისე ტკბილად გაიჟღერა ამ სიტყვებმა, რომ კინაღამ გავიქეცი.

- დაჯექი, შვილო, - გამიმეორა მოხუცმა.

- პეტრე ბაბუა, თქვენ მუდამ მზესთან ზიხართ? - ისეთი რამ ვკითხე, რაც ისედაც ხუთი თითივით ვიცოდი.

- ჰო, შვილო, მუდამ მზესთან ვზივარ. მზე სიცოცხლის ნიშანია, მასთან ერთად იწყება სიცოცხლე და მასთან ერთადვე მთავრდება. მე ოთხმოცს გადავცილდი და რადგან მზე სიცოცხლეა, მსურს, რომ ჩემმა დაბერებულმა სხეულმა სიცოცხლის სხივებისგან მიიღოს შვება, - მოხუცის ყოველი სიტყვა წმინდა იყო ჩემთვის. ვერ აგიხსნით, რატომ. უბრალოდ, მისმა საუბარმა რაღაც სიკეთის და სათნოების სხივი მომფინა.

- დიდი ხანია, აქ ცხოვრობ, პეტრე ბაბუა?

- კი, შვილო, დიდი ხანია. რაც ცოლი ავად გამიხდა.

- ცოლი? თქვენ ცოლი გყავთ? - რამდენი ხანია, ამ კაცს ვუყურებ, რამდენი ხანია, მეზობლები ამ კაცს ლანძღავენ, მაგრამ არასდროს მსმენია, რომ პეტრე ბაბუას ცოლი ჰყავდა.

- ჰო, შვილო, ცოლი მყავს, უკვე ორმოცი წელია, მძიმედაა, მე კი ვუვლი და ვუვლი, რადგან მასზე საყვარელი არავინ გამაჩნია. ის და მზეა, რითაც ჩემს დაუძლურებულ სხეულს სული უდგას.

- პეტრე ბაბუა, თქვენზე ბევრ ცუდს ლაპარაკობენ ... ცოლ-შვილი ამოხოცაო?

- ილაპარაკონ და იჩხავლონ ყვავებივით, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. - ხელის ჩაქნევით მიპასუხა პეტრე ბაბუამ.

- მე წავალ, პეტრე ბაბუ, და ხვალ ისევ მოვალ თქვენთან, თქვენს ცოლსაც ვინახულებ.

- ნახვამდის, შვილო, - სევდიანად მომაძახა, - ერთი კი გახსოვდეს, დღეს შენ არაფერი შეგშლია, უბრალოდ, სიყვარულში გამოუცდელ კაცს მუდამ დაბნეულობა დასდევს. შენც დაბნეულობამ შეგიშალა ხელი.

გავშეშდი, რადგან მოხუცი ანაზე მელაპარაკებოდა. საიდან იცოდა ჩემი დაბნეულობის ამბავი, არავინ იცის, ის კი ვიცი, რომ მისმა სიტყვებმა ნუგეში და იმედის იმედი მომცა.

* * *

- გავიგე, გუშინ იმ მოხუცთან ლაყბობდი, - თვალები დამიბრიალა განრისხებულმა დეიდა გოჭომ და ყვავილებიანი კაბა გაისწორა.

- დიახ. - მოჭრილად ვუპასუხე.

- დიახ კი არა, აღარ დაგინახო მაგ... - მისი ნათქვამისთვის აღარ მომისმენია, რადგან ქუჩაში ანა შევნიშნე, რომელიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მარტო იყო, თანაც უმანქანოდ. მაშინვე კიბეზე ჩავირბინე და ახლა ბევრად უფრო გაბედულად და ომახიანად მივესალმე:

- გამარჯობა, ანა!

- გამარჯობა, ნიკა!

ჩემი სახელი იცოდა.

- სად მიდიხარ? - აუცილებლად რაღაც უნდა მეთქვა, ან მეკითხა. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად ვიცოდი, სად მიდიოდა, მაინც ეს დეგენერატული კითხვა დავუსვი.

- სახლში.

პასუხი ცივი მომეჩვენა და შემეშინდა, თავს ხომ არ ვაბეზრებ-მეთქი.

- ანა, გინდა გაგაცილებ?

- თუ არ გეზარება, გამაცილე. მაგრამ აქვე ვცხოვრობ და მე თვითონ წავალ.

- არა, არ მეზარება.

ასეთი სრული სიმართლე არასდროს მითქვამს. მეზარებოდა კი არა, ფეხით ბურკინაფასოში გავყვებოდი.

ორასი მეტრი სიჩუმეში გავიარეთ. ჩემთვის არ არსებობდა ბულბულის ხმა, ბავშვების მხიარული ჟრიამული, დეიდა გოჭოს კივილი. ჩემთვის იყო მხოლოდ ანა და მისი ყრუ ნაბიჯების ხმა, რომელიც "ფინქ ფლოიდის" მუსიკაზე ტკბილი იყო იმწუთას.

- მოვედით, ნიკა, დიდი მადლობა.

- არაფრის, - ისე ვუთხარი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, არადა, კინაღამ ცხოვრების ათი წელი დავკარგე, - კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? - ვკითხე მას.

- თუ მოგინდება, ან თუ მომინდება, აუცილებლად შევხვდებით, რადგან ერთი ადამიანის მონდომება უკვე საკმარისია შეხვედრისთვის. მშვიდობით.

მან ყველაფერი სწორად და ნათლად მითხრა. მისი სიტყვები პეტრე ბაბუას სიტყვებივით წმინდა იყო. აკი ვამბობდი, რაღაცით ჰგვანან-მეთქი ერთმანეთს ეს ორი საოცრად განსხვავებული ადამიანი.

იმ დღეს ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი იყო ჩვენი ეზო. ბედნიერი იყო ცა, მზე, ზღვა და მთელი დედამიწა!

* * *

- პეტრე ბაბუა, მე ანა გავიცანი და ძალიან, ძალიან მიყვარს! - გახარებულმა ვუთხარი, როდესაც მის ეზოში ბედნიერებით დატვირთული თავპირისმტვრევით შევვარდი.

- კარგია, შვილო, სიყვარულს არაფერი სჯობია. სიყვარულით და მზით მიდგას სული, როცა რომელიმე გამომეცლება, მეც გავყვები მათ. ლამაზი გოგოა შენი ანა?

- კი, პეტრე ბაბუა, ყველაზე და ყველაფერზე ლამაზი.

- რა უცნაურია ცხოვრება, მე ჩემი ოთხმოცდახუთი წლის ნინო ყველაფერს მირჩევნია, შენ კი შენი თვრამეტი წლის ანა.

- მაჩვენეთ თქვენი ცოლი.

მეორე სართულზე ავედით. ოროთახიანი ხის სახლი. ბევრი სურათი და ნახატი. ორი საწოლი. ისინიც ხის. ერთ საწოლში მოხუც ქალს ეძინა. ჰქონდა საოცრად მშვიდი და ბავშვივით მხიარული სახე.

- სულ ასეა? - ვკითხე მოხუცს.

- სულ. - კვლავ სევდიანად მიპასუხა მოხუცმა.

მე და მოხუცმა საერთო ენა გამოვნახეთ. ძალიან შეგვიყვარდა ერთმანეთი. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. ყოველდღე დავდიოდი პეტრე ბაბუასთან. ერთად ვუვლიდით მის ცოლს.

მე და ანამ კვლავ ვნახეთ ერთმანეთი. შეხვედრები უფრო და უფრო გახშირდა. ანამ ფეხით სიარულს მოუხშირა. მეც ხშირად ვაცილებდი ანას თავის მდიდრულ სახლში. და მოვიდა დრო, როცა უნდა გამოვმტყდარიყავი ჩემს გრძნობებში და ყველაფერი გულახდილად მეთქვა. მეთქვა, რომ ქვეყანაზე მასავით არავინ მიყვარს, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, რომ მიყვარს ზღვაზე მეტად, მზეზე მეტადაც და რომ მე არა ვარ მასავით მდიდარი, და უფრო მეტიც, ღარიბი ვარ.

დრო გადიოდა, მე კი ხმას ვერ ვიღებდი.

- თუ ხმის ამოღება გიჭირს, ლექსი მიუძღვენი, ოღონდ ისეთი ლექსი, რომ ყველაფერს მიხვდეს და გაიგოს. - მითხრა პეტრე ბაბუამ, როცა ჩემი სიბრიყვის გამო მოთმინების ძაფი გაუწყდა.

ძალიან მომეწონა ეს აზრი:

"ტანს გეტმასნება სველი ალერდი.
ჭვირვალი კაბა გიმხელს თეძოებს
და აზიდული მაღალი მკერდით
მიეფინები მწვანე ეზოებს.

დაქნილი ფრჩხილით ტაროებს კორტნი,
და ტაროც ხვდება ძუძუს რძიანი,
გაკოცებს ხაო სიმინდის ყლორტის,
და ატევრილი სხეულმზიანი,
როგორც ავაზა,
შენ, ტანხურვალი,
დაეძებ კუროს,
რომ დაგიურვოს,
გხედავ და ვიცი: შენი კუნთები
დათესილია ჩემი სურვილით."

*გრიგოლ რობაქიძე, "გველის პერანგიდან".*

ორი დღე გავიდა. ათრთოლებული ველოდებოდი იმ წამს, როდესაც ანა მოვიდოდა, შემაქებდა და ჩამეხუტებოდა. ან გამლანძღავდა. "თუმცა, არა, ანა წესიერი გოგონაა, ის ასეთ რამეს არ იკადრებს" - გავიფიქრე თუ არა ეს, კარის ჭრიალმა გამომაფხიზლა. მოვტრიალდი და, ბიძია შალვას ან დეიდა გოჭოს ნაცვლად, ანა დავინახე, მისი შავი თმა და ულამაზესი თვალები.

- ლექსი წავიკითხე, ნიკა, - ძალიან ჩუმად მითხრა ანამ.

- მერე, მოგეწონა? - ისე ვკითხე, თითქოს ჩემი დაწერილი ყოფილიყო.

- მომეწონა, ნიკა, უბრალოდ, მე...

- მიყვარხარ! - ეს სიტყვა ისე წარმოვთქვი, რომ არც კი გამიგია. ეს იყო ყველაზე დიდი და გაბედული ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ იყო ერთი რამ... - რას მიპასუხებდა ანა.

- მეც.

მე და ანა დიდხანს ვიდექით გაუნძრევლად ჩემი ღარიბული ხის სახლის შუა ოთახში, თითქოს ჩვენს შორის დიდი უფსკრული ყოფილიყოს. რომელიმე ჩვენგანს უნდა გაებედა და გადაელახა ეს საზარელი და ჭასავით ღრმა უფსკრული. და ბოლოს, პირველი ნაბიჯი, როგორც ყოველთვის, გადადგა მამრმა და მე ანას ჩავეხუტე.

* * *

- პეტრე ბაბუა, ანა მოგიყვანე!

იმ მზიან დღეს ჩემი უსაყვარლესი გოგო ჩემს უახლოეს მეგობარს მივუყვანე.

- მოიწიე, შვილო, - უთხრა პეტრე ბაბუამ ანას.

ანა გაბედულად მიუახლოვდა მოხუცს. მან ხელი მოხვია ანას, მერე დამჭკნარი ხელი ანას ახალგაზრდა და გარუჯულ სახეზე მოუთათუნა. ყელში უზარმაზარი ბურთი გამეჩხირა და თვალზე ცრემლი მომადგა. მივხვდი, პეტრე ბაბუა ველარ ხედავდა. მზე არის დამნაშავე, საზიზღარი მზე, მან წაართვა მოხუცს თვალები. იმის მაგივრად, რომ მზის სხივებით გაეთბო, სინათლე წაართვა მოხუცს.

- ექიმები მზეს აბრალებენ, მე კი სიყვარულს ვაბრალებ ჩემს უეცარ უსინათლობას.

პეტრე ბაბუამ კვლავ გამოიცნო ჩემი აზრები.

- რატომ სიყვარულს? - კითხვა დამასწრო ანამ.

- მალე კუბოს მოიტანენ, გუშინ ცოლი მომიკვდა. მეც გუშინ დავბრმავდი.

* * *

იმავე საღამოს ოთხმოცდაცხრა წლის პეტრე ბაბუამ მეორე სართულიდან გაბედა გადმოხტომა.

ეს იყო უდიდესი სიყვარული. სიყვარული, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე ძლიერია.

ორი კუბო. მე სანთლით ხელში ვდგავარ კუბოებთან. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლებს არ უყვარდათ პეტრე ბაბუა, მაინც მოვიდნენ. ზურგს უკან სითბო ვიგრძენი. მოვტრიალდი. ჩემს უკან ანა იდგა. ანას ჩავეხუტე და დიდხანს, ძალიან დიდხანს ვტიროდი.

ერთი სახლის ისტორია

# გახსოვთ ეს სახლი?

ნესტან თათარაშვილი



უძველესი ისტორიის მქონე ჩვენმა დედაქალაქმა, რომელიც სხვადასხვა ჯურის მომხდურთ ხშირად სასტიკად დაურბევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ, ალბათ მხოლოდ ღვთის წყალობითა და ჩვენი საამაყო წინაპრების ძალისხმევით დღემდე შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადი და უნიკალური სახე. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნეში, კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა უშუალოდ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ექცევა, გასაბჭოების შემდეგ ქვეყნის ბუნებრივი განვითარების შეჩერებამ და კომუნისტური გზით სიარულმა ქალაქის ბევრი შესანიშნავი ნაგებობა და ადგილი შეიწირა. ძველი შენობებისა თუ ისტორიული უბნებისადმი მცდარმა და უდიერმა დამოკიდებულებამ, აგრეთვე პროფესიონალთა მხრიდან სარესტავრაციო სამუშაოების ელემენტარული წესების უგულებელყოფამ დღეს უკვე საგანგაშო სიტუაცია შექმნა. დაგვეთანხმებით, ამაზე თითქმის ყოველდღე ვწერთ და ვლაპარაკობთ, სათანადო სახელმწიფო ორგანოებისა თუ პასუხისმგებელ პროფესიონალთა და მოხელეთა მხრიდან კი ჯერჯერობით სათანადო, პოზიტიური შედეგების მომტანი რეაგირება კვლავ არ ჩანს.

საზოგადოების მკაცრი აზრი აღნიშნულ პრობლემებზე უკვე დიდი ხანია მომწიფებულია, ამიტომ იმედი გვაქვს, ჩვენი თანამოქალაქეები, თბილისის ისტორიული თუ თანამედროვე უბნების მაცხოვრებლები გამოგვეხმაურებიან და თავიანთ აზრს გაგვიზიარებენ წინამდებარე სტატიის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავად სტატიაში განხილული სახლის (თავისუფლების მოედანი №4 ა) როგორც ძველ, ასევე ახლანდელ მობინადრეთა მოსაზრება უკვე გამქრალი შენობის შესახებ, მათი შეფასება და ანალიზი მსგავს შემთხვევებსა თუ მაგალითებზე.

საერთოდ, არქიტექტურულ ძეგლთა მობინადრეთა თუ ისტორიული უბნების მაცხოვრებელთა თავიანთ საცხოვრისთან დამოკიდებულების დასადგენად სპეციალური კითხვარების შედგენა და სათანადო კვლევები, რაც თანამედროვე მსოფლიოს ძველ ქალაქებში დღეს უკვე აუცილებლად განსახორციელებელ და სისტემატურად ჩასატარებელ ღონისძიებას წარმოადგენს, ჩვენს სფეროში ჯერ ახალია, მიუხედავად იმისა, რომ თავად სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დანერგილია საქართველოში. დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ საქმით ბევრი საერთაშორისო თუ ადგილობრივი, საკმაოდ გამოცდილი და ქმედითი ჯგუფი და ორგანიზაციაა დაკავებული, მაგრამ მათ ინტერესში ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური საკითხები დომინირებს.

უდავოა, რომ კანონდამრღვევ კომერსანტებსა თუ მათი სურვილების აღმასრულებელ არქიტექტორებს აღნიშნული კვლევების დანერგვა არც არაფრად ეპიტნავებათ, მათთვის ხომ სულერთია საზოგადოებრივი აზრი და განწყობა. ჩვენი ურვისა და განგაშის საუკეთესო დადასტურება კი დღეს არსებული გარემოა - განადგურებული და დაზიანებული არქიტექტურული ძეგლები, ძველი უბნები და ქუჩები, პარკები, ბაღები. შელახულია თბილისის ყველაზე შთამბეჭდავი მახასიათებელი - მისი უნიკალური ლანდშაფტი. ყოფილი კომკავშირის, აწინდელი სოლოლაკის ხეივნისა და მიმდებარე ფერდობების დამახინჯება უკვე ვანდალიზმის აქამდე უცნობ, ახალ ეტაპს უდებს საფუძველს. ამიტომ ხალხის აზრი დღეს უკვე ერთ მუშტად შეკვრას საჭიროებს. ქალაქის სამომავლო სახის განსაზღვრისას მთავრობა ვალდებულია, ითვალისწინებდეს ადგილობრივი მაცხოვრებლების, ფართო საზოგადოების აზრს და შეხედულებებს. საბჭოთა დროსაც კი, როცა ნებისმიერი მშენებლობისადმი პროტესტი სახელმწიფოს წინააღმდეგ ქმედების დარად ფასდებოდა და უაღრესად საშიში იყო, მაშინაც კი მოხდა რამდენიმე შემთხვევა, როცა საზოგადოების ერთიანმა პროტესტმა ნაყოფი გამოიღო და სისასტიკით ცნობილმა კომუნისტებმა ვერ გაბედეს ამა თუ იმ ძეგლისა თუ ისტორიული უბნის განადგურება.

ახლა ჩვენს ერთ ძველ პუბლიკაციას დავუბრუნდეთ, რომელიც თბილისში ძალით განადგურებული სახლის ისტორიას მოგვითხრობდა. სტატია სათაურიდანვე გვამცნობდა, რომ საქმე უკვე არარსებულ შენობას ეხებოდა (ნ. თათარაშვილი. თბილისმა დაკარგა კიდევ ერთი არქიტექტურული ძეგლი. ჟურნალი "ეპოქა". 1998 წ.) და მოკლედ აღწერდა მისი ნგრევის პროცესს. ამ შენობის ადგილას ამჟამად უკვე ახალი და ბევრად უფრო დიდი მოცულობის საცხოვრებელი სახლია. როგორც სამოქალაქო ომის დროს თბილისში დაზიანებულ სხვა ადგილებსაც, ამ სახლსაც და მის მიმდებარე ტერიტორიასაც დღეს უკვე სხვა მასშტაბი და იერი აქვს მიღებული. სერიოზული და უზარმაზარი მოცულობის სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, დღეს მათ ხარისხზე თუ ზოგადად შედეგებზე კი არავინ საუბრობს, არავინ იხსენებს რა დავკარგეთ, და ასევე არავინ მსჯელობს, რა მივიღეთ სანაცვლოდ.

პროფესიონალთა მიერ ახალმშენებლობების შეფასება ჩვენთვის კულუარული ინფორმაციით მაინც არის ცხადი. რაც შეეხება დაკარგული შენობის თავდაპირველ მობინადრეებს, მათი აზრი თავიანთ ყოფილ საცხოვრისზე ჩვენთვის მართლაც რომ სრულიად უცნობია, არადა, ეს სასარგებლო ინფორმაცია ნამდვილად საჭიროებს გაცხადებასა და გასაჯაროებას. მოვლენებს რომ თანმიმდევრობით მივყვეთ, გაგაცნობთ მოკლე ფრაგმენტებს 1998 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან: "როგორც ცნობილია, 1991-92 წლების ომი ქალაქის ცენტრში, მის ძველ უბანში მიმდინარეობდა. დაზიანდა და დაინგრა ბევრი, ისტორიული თუ არქიტექტურული მნიშვნელობით გამორჩეული შენობა. ამჟამად ომით იავარქმნილი ზოგიერთი ნაგებობის აღდგენა უკვე დამთავრებულია. ესენია: პირველი საშუალო სკოლა, ყოფილი კავკასიის შტაბის შენობა, მთავრობის სასახლე; რეკონსტრუქციის პროცესშია სასტუმრო "თბილისი" და მის გვერდით მდებარე ბანკი, ხოლო ზოგიერთი შენობა თავისუფლების მოედანზე, ყოფილი სასტუმროები: "კავკაზი" და "ინტერნაციონალი", და საცხოვრებელი სახლი (თავისუფლების მოედანი №4 ა) უბრალოდ, დავიწყებას მიეცა, რადგან მათ ადგილას აშენდა და ახლაც შენდება გეგმარებითა თუ გარეგნული იერით ახალი, თვისობრივად განსხვავებული შენობები.

თუ როგორი მეთოდებით განისაზღვრა სამოქალაქო ომის შემდგომ დაზიანებულ შენობათა აღდგენის სტრატეგია, ვინ და რამ ითამაშა მთავარი როლი ახალი მშენებლობების დაგეგმვაში, რამდენად სწორი იყო მიღებული გადაწყვეტილებები, ეს საკმაოდ ვრცელი თემაა, რომელიც ოდესმე, იმედი მაქვს, სრული ობიექტურობით განიხილება. ერთი კი ცხადია, პროექტების საერთო, დამახასიათებელი ნიშანია გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ ძეგლთა დაცვის კანონის სრული იგნორირება და უგულებელყოფა.



თავისუფლების მოედანი



1992 წელი - თავისუფლების მოედანი N4ა

საცხოვრებელი სახლი, თავისუფლების მოედანი №4 ა, თბილისის ომის დროს დაიწვა. ხანძრის შემდეგ ჩატარებული საფიქსაციო და საინჟინრო-კვლევით სამუშაოებზე დაყრდნობით, სპეციალისტებმა შენობის სრული აღდგენა სავსებით შესაძლებლად მიიჩნიეს და შესაბამისი დასკვნებიც გასცეს. მაგრამ ამ შენობის აღდგენას ბევრი ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, ამიტომ სახლი სავსებით შეგნებულად და გააზრებულად ჯერ საფუძვლიანად გაძარცვეს, მერე ნელ-ნელა ნგრევა დაუწყეს, და ერთ დღესაც მთლიანად მიწასთან გაასწორეს. დღეს ეს სახლი ფიზიკური არსებობიდან ნახაზებსა და ფოტოებში გარდაისახა არქიტექტორ-რესტავრატორების: თემო აბრამიშვილის, მურთაზ ურიდიას, მარინე ქართველიშვილისა და ფოტოხელოვან გოგი გიორგობიანის მეოხებით, რომლებმაც დოკუმენტურად შეგვინარჩუნეს არამარტო ეს შენობა, არამედ მისი მიმდებარე ნაგებობებიც.

ადგილი, სადაც აღნიშნული სახლი მდებარეობდა, ჯერ კიდევ ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია, როგორც "ბაღები მამასახლისისა", 1828 წლის თბილისის რუკის მიხედვით კი აქ განთავსებულია "თავად მამასახლისოვის" სასახლე. შესაძლებელია, რომ სახლის სარდაფში მოქცეული ძველი, სწორკუთხა ნაგებობა, შემკული აგურის თაღებითა და თახჩებით, მამასახლისის სასახლის ნაწილი იყო. რაც შეეხება მასზე დაშენებულ ნაგებობას, ის XX საუკუნის დასაწყისში აშენდა მოდერნის სტილში. თავისი ფუნქციით შენობა საცხოვრებელ სახლს, მაშინ ფართოდ გავრცელებულ ე.წ. "საშემოსავლო სახლს" წარმოადგენდა და საქართველოში მოდერნის სტილის ერთი ადრეული ნიმუშთაგანი იყო.

არაფერი იყო გასაკვირი იმაში, რომ ომის შემდეგ თბილისში ყველას საკუთარი მიზნები და სურვილები ამოძრავებდა: მაცხოვრებლებს მეტი ფართი და კომფორტი უნდოდათ, ინვესტორებს - მეტი სარგებელი, არქიტექტორებს - შეკვეთების მარტივად და უპრობლემოდ განხორციელება, ხელისუფლებას კი ყველაფრის დროულად და უპრობლემოდ მოგვარება, და, ცხადია, ყველა მათგანს ჰქონდა საკუთარი სიმართლე. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 25 იანვრის დადგენილებით (№72) დაზიანებულ შენობათა აღდგენითი სამუშაოების კოორდინაცია დაევალა თბილისის მერიას, რომელიც თავისთავად №176 (21.02.92) განკარგულებით (ხელს აწერს მერის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ლითანიშვილი) ავალებს დირექციას "თბილქალაქპროექტთან" ხელშეკრულების დადებას; ამ უკანასკნელს შესაბამისი ხელშეკრულებით უნდა ეთანამშრომლა საპროექტო-სამეცნიერო ინსტიტუტებთან თუ კონკურსში გამარჯვებულ ჯგუფებთან.

თავისუფლების მოედანი №4 ა სახლის აღდგენის პროექტი დაამუშავა არქიტექტორმა ლევან ჯანდიერმა. პროექტი შეთანხმდა მთავარ არქიტექტორთან (ბრძანება №427 31.07.92). ამ დროს შენობა ჯერ კიდევ მყარად იდგა. ამავე დროს შედგა სახლის ტექნიკური მდგომარეობის აქტი, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევდა მის აღდგენას თავდაპირველი სახით.

გადის დრო. პროექტის განხორციელებას არავინ ჩქარობს. ამასობაში, 1994 წლის 24 თებერვალს, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით, ომის დროს დანგრეული შენობების აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად და დასაფინანსებლად ჩამოყალიბდა ორგანიზაცია "თბილისი სიტი". ამ დადგენილებით მექანიკურად გაუქმდა ყველა წინა პროექტი, განკარგულება თუ დადგენილება. შესაბამისად გაუქმდა თავისუფლების მოედანი №4 ა სახლის აღდგენარესტავრაციის პროექტიც.

"თბილისი სიტი" სახლის ახალ პროექტს არქიტექტორ გ. გეგეშიძეს უკვეთავს. 1994 წლის აპრილში მისი პროექტი “საქალაქპროექტის” მცირე სხდომაზე დაწვრილებით იქნა განხილული და დამტკიცებული (ხელს აწერენ მ. ჩხენკელი, ყუფუნია). სამწუხაროდ, ამის ამსახველ ოქმებსა და სხვა დოკუმენტებში აღარაფერია ნათქვამი ძველი სახლის არქიტექტურულ სტატუსზე, მის მხატვრულ და ისტორიულ ღირსებებზე, ფასადის თუნდაც ფორმალურ აღდგენაზე ან შესანიშნავ, კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში მყოფი უძველესი სარდაფის შენარჩუნებაზე, რომელსაც ისტორიული ღირებულებაც გააჩნდა იმ მიმართებით, რომ აქ არსებულ ფოტოსახელოსნოში მუშაობდნენ ცნობილი ფოტოგრაფები: როინაშვილი და ერმაკოვი. სამწუხაროდ, არც პროექტის განმარტებით ბარათში და არც განხილვაზე საერთოდ არ აღინიშნა უწინდელი შენობის, როგორც არქიტექტურული ძეგლის რესტავრაციის აუცილებლობის შესახებ. სახლი იმ დროს, მართალია, უკვე ძლიერ იყო დაზიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა; ის კი პროფესიონალთა თუ სახელმწიფო მოხელეთა მიერ, უკვე როგორც განწირული, მხედველობაში არც იქნა მიღებული.

1996 წლის გაზაფხულზე, როცა სახლი თავისუფლების მოედანი №4 ა უკვე განადგურებული იყო და არც ახლის აგებას უჩანდა პირი, მისი კვლავ თავდაპირველი სახით აღდგენის საჭიროებაზე ვესაუბრე პროექტის ავტორს გ. გეგეშიძეს, თბილისის მთავარ არქიტექტორს ი. მასხარაშვილს და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსს ლ. მეძმარიაშვილს. მათ სინანული გამოთქვეს შენობის დანგრევის გამო, მაგრამ შენობის აღდგენა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

ყველაფერი ისე განხორციელდა, როგორც ამას "თბილისი სიტი" მიიჩნევდა საჭიროდ. საბოლოოდ ახალი სახლი აშენდა, რომლის ნახვაც სასტუმრო "მერიოტის" აგებამდე თავისუფლების მოედანზე ყველა გამვლელს შეეძლო. რაც შეეხება ორგანიზაცია "თბილისი სიტი"-ს, დღეს ჩვენთვის უცნობია როგორც ამ ორგანიზაციის მოღვაწეობა, აგრეთვე მის მიერ თავის დროზე დასაკუთრებული თბილისის უმნიშვნელოვანესი შენობებისა და ადგილების ბედი, ის კი კარგად ვუწყით, რომ თავისუფლების მოედანზე სწორედ მისი დამსახურებით დავკარგეთ ისტორიული შენობები: ყოფილი სასტუმროები "კავკაზი" და "ნაციონალი" - თბილისის ლანდშაფტისა და ამ მოედნისათვის სავსებით ჰარმონიულად მისადაგებული შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები, ხოლო მათ მაგიერ დღეს მიმდებარე გარემოსათვის სავსებით შეუფერებელი, უხეში პროპორციების, შეუსაბამო მოცულობისა და დაბალი დონის არქიტექტურული ღირსების მქონე სასტუმრო "მერიოტი" მივიღეთ.

მნახველისათვის სადავო არ არის ახლად აგებული შენობის, თავისუფლების მოედანი №4 ა, გარეგნული უბადრუკობა, სხვა დანარჩენ ნაკლოვანებებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყველაფერი კი განსაკუთრებით უფრო მძაფრდება, თუ მას თავის წინამორბედს, ძველ სახლს შევადარებთ. ეს კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ დავკარგეთ მხატვრულად საუკეთესო და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლი, მის მაგიერ კი მივიღეთ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი ნაგებობა, მხოლოდ ერთი რამისთვის რომ გამოდგება: ხშირად ვაჩვენოთ ახალგაზრდებს და ავუხსნათ, რომ მსგავსი რამ XXI საუკუნეში საერთოდ არ უნდა შენდებოდეს.

დასასრულს, გვინდა ამ სახლის ძველ მობინადრეებს მივმართოთ, მათ, ვინც ცხოვრებას ამჯერად ახალ სახლში აგრძელებს; გვაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ, როგორ გრძნობთ თავს ახალ ბინაში. 1998 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ძველ სტატიას ასე ვამთავრებდით: "...ეჭვგარეშეა, სახლის ძველ მობინადრეებს არასოდეს დაავიწყდებათ და ალბათ ბევრჯერ მოენატრებათ უწინდელი სახლის ის სილამაზე და სულიერება, რაც საერთო დამახასიათებელი ნიმუშია ძველი ხელოვნების ნიმუშთათვის". თუ თქვენ სხვანაირად ფიქრობთ, გამოგვეხმაურეთ, რადგან გვინდა გვჯეროდეს, რომ მართლაც ხშირად გენატრებათ თქვენი ძველი, ლამაზი სახლი...